- თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვ. ჯანჯღავა

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917—1921 წლებში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1982

ნაშრომში გაშუქებულია გლეხთა რევოლუციური გამოსვლები და მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში 1917—1921 წლებში. ფართოდაა განხილული საქართველოს გლეხთა რევოლუციური გამოსვლები 1918 წელს, საქართველოს გლეხობის აქტიური მონაწილეობა 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, ქართველი გლეხობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1920—1921 წლებში.

შრომა განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი გ. ითბაშვილი
რეცენზენტები ი. კაჭარავა
ი. შენგელაია

Вахтанг Сомсонович Джанджгава

РЕВОЛЮЦИОННОЕ ДВИЖЕНИЕ КРЕСТЬЯН
В ГРУЗИИ В 1917—1921 ГОДАХ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1982

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

10604
Д ——————
М 608(06)-82

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიო იმპერიალისტური სისტემის მსხვრევისა და კომუნიზმის გამარჯვების დიადი ეპოქა დაიწყო.

ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში მოსპო კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და ამით იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, გაათავისუფლა იგი მსოფლიო იმპერიალიზმზე დამოკიდებული ნახევრად კოლონიური მდგომარეობიდან და საბჭოთა ხალხი გამარჯვების გზაზე გამოიყვანა.

ოქტომბრის რევოლუცია სისხლხორცეულად შეესაბამებოდა რუსეთის თვალუწვდენელი და მრავალეროვანი იმპერიის ყველა მშრომელი კლასის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის გმირი პროლეტარიატის თაოსნობით იგი ელვისებური სისწრაფით გადაიქცა უდიდესი მასშტაბისა და სიმძლავრის სახალხო ტალღად, რომელმაც დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელი მთელ ქვეყანაში.

რუსი მუშებისა და გლეხების მხარდამხარ რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებიც დაირაზმნენ ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის, იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში გამოჭედეს საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოში დასაბამი მისცა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლას. მიუხედავად იმისა, რომ შეძლებულმა კლასებმა და კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ მჭიდრო ბლოკი შექმნეს და იმპერიალისტური დასავლეთის დახმარებით მოინდომეს ძალაუფლების შენარჩუნება, საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით და რუსი ხალხის დახმარებით, სამწლიანი შეუპო-

ვარი ბრძოლების შემდეგ, შეძლეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის აღკვეთა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ოქტომბრის რევოლუცია რომ არ ყოფილიყო და რუსი ხალხი არ დაგვხმარებოდა, ქართველ ერს სავალალო ხვედრი მოელოდა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის დამღუპველი პოლიტიკის შედეგად საბჭოთა რუსეთიდან ძალებით მოგლეჯილს, უნდა გაეზიარებინა ბედი იმ კოლონიური ხალხებისა, რომლებიც დღესაც იმპერიალიზმის უღელში გმინავენ.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას 1917—1921 წლებში, საქართველოს მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის ვრცელსა და შესანიშნავ ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ამ გმირულ ბრძოლაში საქართველოს მშრომელი გლეხობა უდიდეს როლს ასრულებდა, რადგან მას, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირეს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ იმ მომენტში, როცა პრაქტიკულად დადგა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ამოცანა.

ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადება-გატარების პერიოდში მშრომელი გლეხობის მობილიზაციისა და დარაზმვის საქმეს.

ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, საქართველოს ბოლშევიკები დაუღალავად იბრძოდნენ 1917—1921 წლებში მშრომელი გლეხობის დარაზმვისათვის, მენშევიკური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლებისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში.

1917—1921 წლებში ბურჟუაზიულ-ნაციონალური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელი მასების ძლევამოსილი იერიშები, რასაც შედეგად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება მოჰყვა, ცხადია, წარმოადგენდა დამაგვირგვინებელ ეტაპს იმ ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლისა, რომელსაც ისინი ათეული წლების მანძილზე ეწეოდნენ რუსეთის პროლეტარიატის, მისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას

ანიჭებდა ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების მდიდარი რევოლუციური წარსულის მეცნიერულად შესწავლასა და გაშუქებას.

„რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უეჭველია ეკალება ზედმიწევნით და ყოველმხრივ შეისწავლოს ჩვენი რევოლუცია, გაავრცელოს მასებში ცოდნა მისი ბრძოლის ფორმებისა, ორგანიზაციების ფორმებისა და სხვა... ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე,... რათა ხალხი იცნობდეს ამ სიცოცხლით სავსე, შინაარსით მდიდარ და თავისი მნიშვნელობით და შედეგებით დიად დღეებს“.[1]

ვ. ი. ლენინის ეს ბრძნული მითითებანი როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად დადასტურებული და გამართლებულია, რადგან მშრომელი ხალხის მდიდარი რევოლუციური წარსულის მეცნიერულ შესწავლას და მასებში ფართო პროპაგანდას აქვს არა მარტო შემეცნებითი, არამედ დიდი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

დიდი რევოლუციური ტრადიცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, წარმოადგენს ერთგვარ მატერიალურ ძალას. იგი უდავოდ ეხმარება ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, უკეთესად იშრომონ და წარმატებით გადაწყვიტონ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

ახლა არა მარტო ჩვენი ქვეყნისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მკითხველებს, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობას აინტერესებს საფუძვლიანად იცოდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი ხალხის მიერ წარმოებული იმ სახელოვანი ბრძოლების ისტორია, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების დამხობა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. ამიტომ საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის 1917—1921 წლებში მშრომელი გლეხობის მიერ ჩატარებული ბრძოლების დაწვრილებით გაშუქება უდავოდ საინტერესოა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას არაერთი სერიოზული გამოკვლევა მიეძღვნა, სადაც გაშუქებულია რევოლუციური მოძრაობის ამსახველი სურათები საქართველოში 1917—1921 წლებში.

იმ მნიშვნელოვან ნარკვევებს შორის, რომლებიც 1917—1921 წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, პოლიტიკურ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 32—33.

ვითარებაზე, მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო მდგომარეობაზე, ამ ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლზე, აგრარულ საკითხებსა და მენშევიკური მთავრობის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კრახზე ამახვილებენ ყურადღებას, ჩვენ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ამ ბრძოლის უშუალო მონაწილეებისა და ხელმძღვანელების: ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ს. შაუმიანის, მ. ორახელაშვილის, მ. ცხაკაიას და სხვათა ნარკვევები და სტატიები.

1917—1921 წლების საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაზე საქართველოში ბევრი გამოჩენილი ისტორიკოსი მუშაობდა და ამჟამადაც მუშაობს. მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ხაჭაპურიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ა. სურგულაძე და გ. ძიძარია. პროფესორები: ი. კაჭარავა, ი. მირცხულავა, ნ. მახარაძე, ა. კიკვიძე, გ. ჟვანია, მ. ცერცვაძე, ვ. ესაიაშვილი, შ. ჩხეტია, დ. ენუქიძე, პ. ცქვიტარია, ს. ბერიძე, დ. ჯიბლაძე და სხვები.

აღნიშნული ავტორები თავიანთ მნიშვნელოვან და საყურადღებო გამოკვლევებში აშუქებენ საქართველოს მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მაგრამ ისინი გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას 1917—1921 წლებში ზოგადად, მეტ-ნაკლები სიღრმით ეხებიან.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეძლებისდაგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დებულებებზე და შრომებზე დაყრდნობით, საარქივო მასალებისა და სხვა პირველადი წყაროების ანალიზის შედეგად დაგვემუშავებინა საკითხი გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ საქართველოში 1917—1921 წლებში, მოგვეცა იგი ერთ მთლიანობასა და ურთიერთკავშირში, წარმოგვედგინა მთლიანი მონოგრაფიის სახით და ამით ერთგვარი წვლილი შეგვეტანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მშრომელი გლეხობის ბრძოლის ისტორიის გაშუქებაში.

შრომის დამუშავებისას გამოვიყენეთ ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შრომებში მოცემული სახელმძღვანელო დებულებები, რომლებიც აშუქებენ სამოქალაქო ომის ისტორიას საბჭოთა კავშირში და მშრომელი გლეხობის უდიდეს როლს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის საქმეში, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივისა და სკკპ ცენ-ტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივის საარქივო მასალები, საჟურნალო და საგაზეთო სტატიები, მოთავსებული 1917—1921 წლების როგორც ბოლშევიკურ, ისე მენშევიკურ პრესაში, თითქმის ყველა ნაბეჭდი ლიტერატურა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ისტორიას შეეხება და სხვა წყაროები.

ვფიქრობთ, ნაშრომი ერთგვარ სარგებლობას მოუტანს და დაეხმარება მკითხველს ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ამ მეტად მღელვარე და რთული პერიოდის ძირითადი პოლიტიკური მოვლენების შეცნობაში.

თავი I

აგრარული საკითხი და აგრარული მოძრაობა საქართველოში ოქტომგრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში

1917 წლის თებერვალში რუსეთის მუშათა კლასმა, ჯარისკაცის ფარაჯებში გადაცმულ გლეხთა მრავალმილიონიანი მასების აქტიური მხარდაჭერით, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია. აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება და გაკაფეს გზა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

პეტროგრადში დაწყებული რევოლუცია სწრაფად გავრცელდა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე, ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც. მაგრამ შინაური ვითარების თავისებურებამ დიდი გავლენა მოახდინა ამ მხარეში რევოლუციური მოვლენების განვითარებაზე.

1917 წლის 18 მარტს თბილისში ჩამოვიდა და ხელში აიღო მმართველობა ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა („ოზაკომ"), რომელიც რუსეთის დროებითმა მთავრობამ შექმნა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახით საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში შეიქმნა ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც ატარებდა იმავე პოლიტიკას, რასაც დროებითი მთავრობა რუსეთში.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე გამოამჟღავნა თავისი კლასობრივი სახე. იგი მშრომელთა ინტერესების საპირისპიროდ მხარში ამოუდგა შეძლებულ კლასებს, ეხმარებოდა ქართველ თავად-აზნაურებს, აზერბაიჯანელ ბეგებსა და ღალარებს მიწების მთლიანად შენარჩუნებასა და გლეხობის აღვირ-

ახსნილ ყვლეფაში, ფარულად ემზადებოდა რევოლუციის ჩახშობისათვის, ამავე დროს მასების სიფხიზლეს ადუნებდა დაპირებებით, რომელთაც განხორციელება არ ეწერათ.

იგი წინ აღუდგა მუშათა კონტროლის შემოღებას წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე. მუშათა და კაპიტალისტთა შორის მომხდარი კონფლიქტების გადაწყვეტისას განსაკუთრებული კომიტეტი ყოველთვის კაპიტალისტ-მრეწველთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა.

განსაკუთრებულმა კომიტეტმა ხელუხლებლად დატოვა მემამულეთა საკუთრება, მაგრამ ღარიბმა გლეხობამ ხელი მიჰყო მემამულეთა მიწების თვითნებურ დამუშავებას. მაშინ განსაკუთრებული კომიტეტი მემამულეთა ინტერესების დამცველად გამოვიდა და ჯარებიც კი გამოიყვანა აგრარულ „უწესრიგობათა“ აღსაკვეთად. მან ვერც სასურსათო საკითხი მოაწესრიგა. მისი სასურსათო პოლიტიკა მხოლოდ მემამულეთა ავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებს, იმპერიალისტური ომის ინტერესებს ემსახურებოდა.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ შემუშავებული საარჩევნო დებულების საფუძველზე აპრილში საქართველოს მაზრებსა და სოფლებში ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. მენშევიკური და ესერული პარტიების გამცემლურმა პოლიტიკამ არჩევნებზე შესაფერისი შედეგი გამოიღო. სასოფლო და სამაზრო საბჭოების სათავეში ისევ შეძლებული კლასების წარმომადგენლები მოექცნენ.

მაშასადამე, საბჭოების ადგილობრივ, საგუბერნიო და სამხარეო ორგანოებში გაბატონდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები. ბოლშევიკებს საბჭოებში თავისი ფრაქცია ჰყავდათ, მაგრამ უმცირესობას წარმოადგენდნენ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოში შედიოდნენ მ. ცხაკაია და ა. ჯაფარიძე. ბევრ საბჭოში ბოლშევიკებს არ ჰყოლიათ დეპუტატები. საბჭოების მენშევიკურ-ესერული შემადგენლობა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ინტერესებს სრულიად არ უპასუხებდა. მაგრამ მენშევიკურ-ესერული საბჭოები ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ მასებისათვის ანგარიში გაეწიათ და ჩაეშალათ ბურჟუაზიის აშკარა კონტრრევოლუციური ღონისძიებანი.

ამრიგად, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით,

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სუსტი, ჩანასახოვანი, მაგრამ მაინც უეჭველად ნამდვილად არსებული და მზარდი მეორე მთავრობა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები“.[1]

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე, ისე როგორც მთელი პარტიის წინაშე, იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანები: გაეჩაღებინათ ენერგიული მუშაობა დროებითი მთავრობის იმპერიალისტური არსის გამოსამჟღავნებლად, ახსნა-განმარტებითი მუშაობის გზით მიეღწიათ იმისათვის, რომ მას ყოველგვარი ნდობა დაჰკარგოდა მასების თვალში, მენშევიკებისა და ესერების გამცემლური მოქმედების მხილების გზით მოეხდინათ მათი იზოლაცია მშრომელთაგან, მოეპოვებინათ უმრავლესობა საბჭოებში და ამით შეეცვალათ საბჭოების პოლიტიკა.

„1917 წლის თებერვლის რევოლუციამ აღგავა მეფის თვითმპყრობელობა. მაგრამ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარ ბურჟუაზიას არ სურდა და არც შეეძლო დაეკმაყოფილებინა მუშათა და გლეხთა საარსებო საჭიროებანი“.[2]

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში გლეხობის მდგომარეობა უცვლელი დარჩა. სახნავ-სათეს მიწებს, ტყეს, საძოვრებს ფლობდნენ მემამულეები, რომელთაც წინანდელი პრივილეგიები კვლავ შერჩათ, უმიწაწყლო გლეხობა იძულებული შეიქნა ისევ მემამულეებისათვის მიემართა და მიწის დამუშავების უფლება კაბალურ პირობებში მოეპოვებინა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა 1917 წლის 12 აპრილს აცნობა ხალხს, რომ აგრარულ საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტდა დამფუძნებელი კრება. „სხვისი საკუთრების მიტაცება, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — მემამულეთა თუ სახელმწიფო ტყეების თვითნებური გაჩეხვა, ყოველგვარი ძალადობა და თვითნებური მოქმედება აბსოლუტურად დაუშვებელია, როგორც ხალხის მტრებისათვის სასარგებლო არეულობის გამომწვევი.

გადასახადები და ბაჟები უნდა იქნეს გადახდილი ძველებურად, სანამ ისინი არ იქნებიან შეცვლილი ახლებით“[3]. მაგრამ განსაკუთრე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 22.

[2] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი. სკკპ ცკ თეზისები, თბ., 1967, გვ. 7.

[3] Газ. «Известия, Советов рабочих и солдатских депутатов». 13 апреля 1917 года. ციტირებულია ი. მ. კაჭარავას წიგნიდან, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 360.

ბული კომიტეტის მოწოდებას გლეხთა დამშვიდება არ შეეძლო. იგი ვერ შეაჩერებდა გლეხების მიერ სოფლად დაწყებულ მემამულეთა მიწების რევოლუციურ გადანაწილებას.

გლეხთა ბრძოლა მიწისათვის დაიწყო და იზრდებოდა მუშათა მოძრაობის უშუალო ზეგავლენითა და ხელმძღვანელობით.

ბოლშევიკური პარტია აგრარულ რევოლუციას, რომელსაც უნდა მოესპო ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები და გადაეცა მიწა გლეხებისათვის, განიხილავდა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ამოცანის შემადგენელ ნაწილს.

გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, ფართო პროპაგანდას უწევდა რა ბოლშევიკური პარტიის მოწოდებას სოფლად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების რევოლუციური გზით ლიკვიდაციის შესახებ, 19 მარტს წერდა: „საჭიროა ახლავე წამოვაყენოთ ღარიბი გლეხების ყველა უალრესად არსებითი მოთხოვნა და მოვითხოვოთ მემამულეთა მიწის დაუყოვნებლივი კონფისკაცია“ [1].

ამიერკავკასიის საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობაზე ს. შაუმიანმა განაცხადა: „რაც შეეხება გლეხთა საკითხს, ჩვენ ახლავე უნდა გადავისროლოთ მასებში მიწების კონფისკაციის ლოზუნგი და გამეფებულად ვიმოქმედოთ“ [2].

გლეხობამ რა დაინახა, რომ განსაკუთრებული კომიტეტი მას მიწას არ მისცემდა, უკვე აპრილიდან თვით იწყებს აქტიურ ბრძოლას ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების მოსასპობად. საადგილმამულო საქმეთა კომისიის პირველსავე სხდომებზე განსაკუთრებულ კომიტეტს მოუხდა გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების დატაცების საკითხის განხილვა.

გორის მაზრაში ხიზანმა გლეხებმა, რომლებსაც საიჯაროდ ჰქონდათ აღებული თავად ციციშვილების 70 ათას ჰექტრამდე მიწა, უარი განაცხადეს რაიმე ბეგარის გადახდა-შესრულებაზე მემამულეთა სასარგებლოდ და გააძევეს ამ მამულის ადმინისტრაცია. გლეხებმა მიწა თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს. ამავე მაზრაში გლეხებმა გააძევეს კულაკი მოიჯარადრეები, რომლებიც, თავის მხრივ, იჯარითვე აძლევდნენ გლეხებს მიწას კაბალურ პირობებში. გლეხებმა ხელთ იგდეს თავად ერისთავების მიწები. ამავე მაზრის კავთისხევის სასოფლო საზოგადოებამ

---

[1] Газ. «Кавказский рабочий», 19 марта 1917 года.

[2] იქვე.

ხელთ იგდო სამონასტრო მიწები და უარი განაცხადა, მიეცა მონასტრისათვის აღებული მოსავლის ნაწილი. დუშეთის მაზრის სოფ. მუადიჯვრის გლეხებმა თავიანთ ყრილობაზე დაადგინეს ჩამოერთმიათ თავად ბაგრატიონ-მუხრანსკისათვის მთელი სახნავ-სათესი მიწა, ბაღები და ტყე. სოფ. აწყურში გლეხებმა თვითნებურად დახნეს თავად გრუზინსკის და კულაკების მიწები, მოშალეს მიჯნები. სოფ. ჟინვალის გლეხებმა მიწა ჩამოართვეს აზნაურებს.

მასობრივი ხასიათი მიიღო მიწების დატაცებამ თბილისის მაზრაში. ასე მაგალითად, მანგლისში გლეხებმა ხელთ იგდეს სათიბები, რომლებიც მსხვილ მიწათმფლობელებს ეკუთვნოდათ. სოფ. კუმისის გლეხები დაეპატრონენ ალავერდოვის მიწებს, სოფ. წალასყურის გლეხებმა გააძევეს მიწების მოიჯარადრე კაკაიანცი. მიწების დატაცებამ და აგრარულმა კონფლიქტებმა მასობრივი ხასიათი მიიღო აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მრავალი ადგილიდან იუწყებოდნენ სახაზინო და მემამულეთა ტყეების მასობრივი გაჩეხვის შესახებ. მაგალითად, გლეხები ჩეხდნენ ტყეს ბორჯომის მამულში, რომელიც დიდ მთავარს რომანოვს ეკუთვნოდა. სახაზინო და მემამულეთა ტყეები მასობრივად იჩეხებოდა სიღნაღისა და თბილისის მაზრებში. გლეხები აძევებდნენ ტყის მცველებს და ხელში იღებდნენ ტყეების მართვა-გამგეობის საქმეს.

მასობრივი ხასიათი მიიღო მიწების დატაცებამ დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის კომისრის სახელზე შემოვიდა შორაპნის მაზრის სოფ. ზვარის მემამულე ქალის — კორძაიას განცხადება იმის გამო, რომ გლეხები აღარ იძლეოდნენ საიჯარო გადასახადს, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ კერძო საკუთრება მიწაზე უკვე გაუქმებული იყო და მიწები გლეხების საკუთრებას წარმოადგენდა. იგივე მემამულე ქალი იტყობინებოდა, რომ გლეხები თვითნებურად ჩეხდნენ მის ტყეს. მოდიოდა ცნობები, რომ გლეხები მემამულეებისა და კულაკების მიწებს იტაცებდნენ სამეგრელოს სოფლებში: მარტვილში, სალხინოში, სუჯუნაში, აბაშაში, ძველსენაკში და სხვაგან. ქუთაისის გუბერნიის სოფ. სიმონეთის გლეხებმა ხელთ იგდეს ათას ჰექტრამდე მიწა, რომელიც მსხვილ კაპიტალისტს ონანოვს ეკუთვნოდა. აფხაზეთში (სოხუმის ოლქი) ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა სეკვესტრი დაედო დიდი მთავრის—რომანოვის მამულზე — „სინოპზე“ და „ძიამურზე“.

მიწების დატაცებისას ღარიბი მოსახლეობა ერთსულოვნად გამო-

დიოდა მემამულეებისა და ხელისუფლების ღონისძიებათა საპასუხოდ, იგი კოლექტიური წინააღმდეგობის ხერხს მიმართავდა. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიში“ დაბეჭდილია ასეთი ცნობა: „ამას წინათ ბორჩალოს რაიონში გლეხ თათართა მიერ მითვისებულ იქნა მემამულეთა მიწები.

დაზარალებულმა მემამულეებმა არაერთხელ მიმართეს სამაზრო კომისარიატს წინადადებით, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ დამტაცებელთა მეთაურები.

გაგზავნილ იქნა რაიონის კომისარი 50 შეიარაღებული მილიციელის და მოხალისის თანხლებით. ამ სოფლის მცხოვრებლებმა უარი თქვეს გაეცათ მეთაურები იმ მოტივით, რომ მიწები დატაცებულია არა ცალკეულ პირთა, არამედ ყველა გლეხის მიერ.

კომისარმა არ დაუჯერა და დაჟინებით მოითხოვა მეთაურების გაცემა.

მაშინ გლეხები თავიანთი ბავშვებითა და ცოლებით შემოეხვივნენ კომისარს და განუცხდეს მას: ჩვენ არა გვყავს მეთაურები. თუ გსურთ დამტაცებელთა დაპატიმრება, მაშინ ყველანი დაგვაპატიმრეთ ჩვენი ბავშვებითა და ცოლებით, რადგან ეს მიწები დატაცებულია ჩვენი სოფლის ყველა გლეხის მიერ.

რაიონული კომისარი გაჩუმდა. იგი წავიდა, რომ მოეხსენებინა თავისი უფროსისათვის დამტაცებელ თათართა ამ გმირული გამოსვლის შესახებ“.[1]

მემამულეები და სოფლის ბურჟუაზია გლეხთა ერთსულოვანი თვითნებური მოქმედებით შეშფოთებული იყვნენ. ისინი სთხოვდნენ განსაკუთრებულ კომიტეტს, საგუბერნიო კომისარიატს მიეღოთ ენერგიული ზომები გლეხების ალაგმვისათვის.

მემამულეები თავის საჩივრებში მოითხოვდნენ, რომ მთავრობას გაეუქმებინა სოფლის საგლეხო კომიტეტების დადგენილებანი, გაეგზავნა სოფლად შეიარაღებული ძალა გლეხების „დასამშვიდებლად“. განსაკუთრებული კომიტეტი სრულებითაც არ ერიდებოდა, რამდენადაც ძალა შესწევდა, მიეღო გლეხების მიმართ საგანგებო ღონისძიებანი. არაერთგზის მოწოდებებთან, ახსნა-განმარტებებთან და დაპირებებთან ერთად იგი შეიარაღებულ ძალებსაც იყენებდა.

„მენშევიკები და ესერები შეძლებულ კლასთა ინტერესებს იცავდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ გაეწბილებინათ ბოლშევიკების მოწო-

---

[1] Газ. «Кавказский рабочий», 25 мая 1917 года.

დება სოფლად ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების რევოლუციური გზით მოსპობის შესახებ. ისინი დემაგოგიურად გაჰყვიროდნენ, რომ ეს იყო „ველური ანარქია“, ბოლშევიკების „თვითნებობა“, „სახალხო თავისუფლების ხელყოფა“ [1].

საქართველოს ბოლშევიკები, ისე როგორც მთელი ჩვენი პარტია, იდეურად შეაიარაღა აპრილის VII კონფერენციის გადაწყვეტილებებმა. 1917 წლის 24—29 აპრილს (7—12 მაისს) პეტროგრადში გაიმართა რსდმპ(ბ) VII (აპრილის) კონფერენცია. ეს იყო ბოლშევიკების პირველი ლეგალური კონფერენცია რუსეთში, კონფერენცია, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში და რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პარტიის ყრილობას. თბილისის ორგანიზაციიდან კონფერენციის დელეგატად წარგზავნილი იყო ფ. მახარაძე. აპრილის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მ. ცხაკაია, რომელიც ვ. ი. ლენინთან ერთად დაბრუნდა ემიგრაციიდან პეტროგრადში.

კონფერენციის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო აგრარული საკითხი, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

ნაცვლად ბურჟუაზიულ-ლიბერალური ქადაგებისა, რომელსაც მენშევიკები და ესერები აწარმოებდნენ, ურჩევდნენ რა გლეხებს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არ დაეტაცებინათ მემამულეთა მიწები და არ დაეწყოთ აგრარული გარდაქმნები, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის პარტიამ უნდა მოუწოდოს გლეხებს დაუყოვნებლივ, თვითნებურად განახორციელონ აგრარული გარდაქმნა და მოახდინონ მემამულეთა მიწების კონფისკაცია, გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით.

ეს ნათელი და კონკრეტული მოთხოვნები მშრომელთა ფართო მასებისათვის გასაგები იყო და პასუხობდა მათ ინტერესებს. ამიტომ ბოლშევიკური პარტიის ეკონომიკურ პლატფორმას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მასების რევოლუციური მობილიზაციის საქმეში.

ვ. ი. ლენინმა განაზოგადა რუსეთის პირველ რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის გამოცდილება, ჩამოაყალიბა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარული პარტიის აგრარული პროგ-

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1954, გვ. 107.

რამის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც შემდეგში გამოიხატებოდა: მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მის საფუძველზე, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარების შემთხვევაში, სახელმწიფოში მთელი მიწების ნაციონალიზაცია. ეს მოთხოვნები მიმართული იყო აგრარულ ურთიერთობაში ბატონყმობის ნაშთების სრული ლიკვიდაციის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასრულებისა და მისი სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისაკენ. ამდენად, ლენინური აგრარული პოლიტიკა პარტიას აძლევდა ბასრ იარაღს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მუშებისა და მშრომელი გლეხების კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ცარიზმისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასისა და გლეხობის საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ქმნიდა ყველა აუცილებელ წანამძღვარს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის, ბოლშევიკურმა პარტიამ გამოიყენა მუშათა კლასისა და გლეხობის ეს საერთო ინტერესები, რევოლუციის ჰეგემონის—მუშათა კლასის გარშემო დარაზმა გლეხთა მასები, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით შექმნა საზოგადოებრივი ძალა რევოლუციის გამარჯვებისათვის და 1917 წელს რუსეთში დაამხო მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება.

მაგრამ 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში არ დასრულებულა მთელი ძალაუფლების მუშებისა და გლეხების ხელში გადასვლით. ამიტომ თებერვლის რევოლუციამ ვერ გადაჭრა აგრარული საკითხი. რუსეთში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ აგრარულ საკითხში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები გზადაგზა უნდა გადაეწყვიტა სოციალისტურ რევოლუციას.

ხელისუფლების სათავეში მდგომი ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა ესერულ-მენშევიკური პარტიების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ცდილობდა ჩაეშალა აგრარული საკითხის გადაწყვეტა. დროებითი მთავრობა თავის 17 მარტის დეკლარაციაში აფრთხილებდა რევოლუციურ გლეხობას, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო მიწების ხელში ჩაგდებით და მოუწოდებდა მოეცადათ ღამფუძნებელი კრებისათვის, მის მოწვევას კი განზრახ აჭიანურებდა.

მენშევიკები და ესერები, რომლებსაც უმრავლესობა ჰყავდათ საბჭოებში, მთლიანად მხარს უჭერდნენ დროებით მთავრობას, მოუწოდებდნენ გლეხებს, უარი ეთქვათ მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდებაზე და დაეცადათ დამფუძნებელი კრებისათვის. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა, როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინმა მოგვცა თავის განთქმულ აპრილის თეზისებში, სადაც ბოლშევიკების აგრარული პროგრამა ასე იყო ფორმულირებული:

„აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრის გადატანა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე.

მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია.

ჩვენი ქვეყნის მთელი მიწის ნაციონალიზაცია, მიწას უნდა განაგებდეს მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. გამოყოფა უღარიბესი გლეხების დეპუტატთა საბჭოებისა. ყოველი მსხვილი მამულისაგან (დაახლოებით 100-დან 300 დესეტინამდე ადგილობრივი და სხვა პირობების მიხედვით და ადგილობრივი დაწესებულებების დადგენით) შექმნა სანიმუშო მეურნეობისა მოჯამაგირეთა დეპუტატების კონტროლით და საზოგადოებრივ ხარჯზე“.[1]

მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მთელი მიწების ნაციონალიზაციის მოთხოვნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინს მანამდეც ჰქონდა, აქ ახალი იყო სიმძიმის ცენტრის გადატანა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე და მიწების ნაციონალიზაციის უსიტყვო მოთხოვნა. ახალი იყო ისიც, რომ ვ. ი. ლენინმა აქ პირველად წამოაყენა მსხვილ მემამულეთა მიწების ბაზაზე სახელმწიფო მეურნეობების შექმნის მოთხოვნა, რაც სოფლის მეურნეობაში მსხვილი მეურნეობის უპირატესობის დამამტკიცებელი საბუთი იქნებოდა და ხელს შეუწყობდა გლეხური მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანას.[2]

სოციალისტური რევოლუციისათვის მზადების პერიოდში ბოლშევიკების აგრარული პროგრამის უფრო გაშლილი დასაბუთება მოცემულია რსდმპ(ბ) VII (აპრილის) კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის მიერ აგ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 6.

[2] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში, II, თბ., 1965, გვ. 21.

რარულ საკითხზე წარდგენილ რეზოლუციაში, რომელიც კონფერენციამ მიიღო მნიშვნელოვან შესწორებათა გარეშე.[1]

მოხსენებაში აგრარული საკითხის შესახებ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით შეეხო მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მთელი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის კლასობრივ შინაარსს. „მემამულური მიწის უსასყიდლო კონფისკაცია აკმაყოფილებდა უწინარეს ყოვლისა გლეხობის საუკუნეობრივ მისწრაფებას, ამასთანავე ეს საფუძვლებს ურყევდა მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობას. მემამულური საკუთრება მებატონე-მემამულეთა ბურჯი და მონარქიის შესაძლო აღდგენის საწინდარი იყო. მემამულური მიწის კონფისკაცია არის გარანტია მონარქიის აღდგენის წინააღმდეგ. ხოლო რამდენადაც მემამულური მიწები დაგირავებულია ბანკებში, მემამულური მიწის კონფისკაცია უმძიმესი დარტყმაა ბურჟუაზიულ საკუთრებაზეც. მთელი მიწის ნაციონალიზაცია ყოველგვარი ბატონყმური ნაშთისაგან გაათავისუფლებს მიწათსარგებლობას“.[2]

გარდა ამისა, როგორც ჩაწერილია ვ. ი. ლენინის წარდგენილ რეზოლუციაში, „... მიწის ნაციონალიზაცია, როგორც მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, პრაქტიკულად ისეთი მძლავრი ლახვარის ჩაცემა იქნებოდა საერთოდ წარმოების ყველა საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის, რომ პროლეტარიატის პარტიამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ასეთ გარდაქმნას“ [3].

აპრილის კონფერენციამ გადაჭრით გაილაშქრა დროებითი მთავრობისა და შემთანხმებელთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გაეჭიანურებინათ აგრარული საკითხის გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებამდე და ურჩევდა გლეხებს ხელთ აეღოთ მიწა დაუყოვნებლივ, ორგანიზებულად.

მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა ნიშნავდა არა მარტო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას, არამედ სოციალისტური რევოლუციისათვის გზის გაწმენდასაც.

ამრიგად, ბოლშევიკების აგრარული პროგრამა ამ პერიოდში მიმართული იყო არა მარტო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასრულების, არამედ მშრომელი გლეხობის მობილიზაციისაკენ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად.

---

[1] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში, II, თბ., 1965, გვ. 21.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ. 1973. გვ. 270

[3] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, ისე როგორც მთელმა პარტიამ, აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა, კიდევ უფრო ფართოდ გაშალა მუშაობა მასების აღზრდისა და ორგანიზაციისათვის. იგი ამხელდა მენშევიკებისა და ესერების ანტიხალხურ პოლიტიკას, ახორციელებდა მათ იზოლაციას მასებისაგან. საქართველოს ბოლშევიკებმა ფართო განმარტებითი მუშაობა გააჩაღეს. ისინი აძლიერებდნენ პროლეტარიატის დარაზმულობას, ქმნიდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს არმიაში, დაუღალავად და ენერგიულად მუშაობდნენ რევოლუციის პოლიტიკური არმიის შესაქმნელად.

აპრილის კონფერენციის შემდეგ საქართველოს ბოლშევიკებმა ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირი გაწყვიტეს მენშევიკებთან და დამოუკიდებელი ორგანიზაციები შექმნეს[1] (1917 წლის 12 მარტს მოხდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფორმალური გაერთიანება), მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის გამო რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტი თავის 1917 წლის ივნისის მიმართვაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი წერდა: „მომენტის სერიოზულობა და წამოყენებულ ამოცანათა სწორი გადაჭრის უდიდესი სიძნელე დაჟინებით გვიკარნახებს პროლეტარიატისა და მისი პარტიის ორგანიზაციული შემჭიდროების საჭიროებას სოციალიზმის დროშის გარშემო, სოციალიზმისა, რომელიც აშუქებს წმინდა პროლეტარული პოლიტიკის დაცვის ეკლიან და მძიმე გზას, თავისუფალს წვრილბურჟუაზიული მერყეობისაგან... მენშევიკები ემხრობიან დროებით მთავრობას, რომელიც აქტიურად რაზმავს კონტრრევოლუციას და შეტევით იმპერიალისტურ ომს აწარმოებს: ისინი მხარს უჭერენ ეგრეთ წოდებულ „თავისუფლების სესხს“ და ეწინააღმდეგებიან ჯარისკაცთა დაძმობილებას ფრონტზე: ისინი ცდილობენ ინტერნაციონალიზმის აღდგენას არა იმპერიალისტებთან კავშირის გაწყვეტის გზით, არამედ შეიდემანებთან ერთად, რომლებიც ბურჟუაზიას მიეყიდნენ. ჩვენი პარტია იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გავლენისაგან, რევოლუ-

[1] 1917 წლის 4 ივნისს შეიკრიბა თბილისის ბოლშევიკების საერთო საქალაქო კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება მენშევიკებთან კავშირის სრული გადაწყვეტისა და დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის გაფორმების შესახებ. აქვე არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) თბილისის დროებითი კომიტეტი. ამის შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციების კრებები ჩატარდა თბილისის რაიონებში. კრებებზე გაფორმდა რაიონული ბოლშევიკური ორგანიზაციები. ხოლო 5 ივლისს სარაიონო დელეგატების საქალაქო კონფერენციამ აირჩია რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტი, მენშევიკებთან საბოლოო გამიჯვნა მოხდა საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციაში.

ციური ობორონცობისადმი ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა და გადაჭრით წყვეტს მასთან ყოველგვარ კავშირს. ამიტომ თბილისის ორგანიზაციის კრებამ დაადგინა კავშირი გაწყვიტოს ობორონცობის თვალსაზრისზე მდგომ მენშევიკურ ორგანიზაციასთან, გამოიწვიოს იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე ბოლშევიკი და შექმნას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე მდგომი ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“ [1].

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებას მენშევიკებმა და ესერებმა სასტიკი დევნითა და ბოროტი ცილისმწამებლური ბრალდებებით უპასუხეს. მათ აშკარა რეპრესიულ ზომებსაც კი მიმართეს ბოლშევიკი მოღვაწეების წინააღმდეგ.

მაგრამ მიუხედავად კონტრრევოლუციური ბლოკის მიერ მიღებული ზომებისა, ბოლშევიკების გავლენა მასებში დღითიდღე იზრდებოდა. ბოლშევიკურ პრესაში, ბოლშევიკი ორატორების გამოსვლებში მიტინგებსა და კრებებზე მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ნათელ და [illegible] [illegible]ტებას [illegible]ებულობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. ისინი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ ბოლშევიკური პოლიტიკა რევოლუციაში ერთადერთი სწორი პოლიტიკაა, რომელიც მშრომელთა ინტერესებისათვის ტარდება, რომ მენშევიკებისა და ესერების ბლოკის პოლიტიკა — ესაა ანტიხალხური პოლიტიკა, რომელიც ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისათვის ტარდება.

გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში გრძელდებოდა საგაფიცვო ბრძოლა საქართველოში. მუშები მოითხოვდნენ შრომის მძიმე პირობების მოსპობას, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მომრიგებელი კამერები მუშების არავითარი ნდობით არ სარგებლობდნენ. მუშები გადაჭრით უარს აცხადებდნენ მათი შუამავლობის გამოყენებაზე.

ბოლშევიკების გავლენის გაძლიერება და რევოლუციური მოძრაობის ზრდა დამახასიათებელი იყო აგრეთვე პოლიტიკური მდგომარეობისათვის სოფლად.

გლეხების ყველა განცხადებას მიწის საკითხების პრაქტიკულად გადაჭრის შესახებ ხელისუფლების ორგანოები მუდამ ბიუროკრატიულად პასუხობდნენ: „ვერ იქნება დაკმაყოფილებული, სანამ მიწის საკითხს დამფუძნებელი კრება არ გადაწყვეტს“.

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, документы и материалы (1917—1921 гг.), Тб., 1958, стр. 35—36.

დამფუძნებელი კრების ასეთი მომიზეზება გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ტყუილი იყო იმედი მიწის საკითხის გადაჭრისა ახალ ხელისუფალთა მხრივაც. სოფლად სულ უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობდა ბოლშევიკური მოწოდება --დაუყოვნებლივ, ორგანიზებულად დაპატრონებოდნენ მემამულეთა მიწებს, მოეხდინათ ამ მიწების კონფისკაცია.

საქართველოს ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ გლეხობის საკითხში ლენინურ პროგრამას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო პოლიტიკური არმიის მომზადება პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ბოლშევიკები, ახორციელებდნენ რა VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებებს, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ სოფლად პროლეტარული გავლენის გასავრცელებლად და განსამტკიცებლად.

ქართველი მენშევიკები, ისე როგორც ყველაფერში, აგრარულ საკითხებშიც ენერგიულად უჭერდნენ მხარს დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას და ურჩევდნენ გლეხებს მემამულეებთან კონფლიქტები მოეგვარებინათ შეთანხმებით მომრიგებელი კამერების საშუალებით. 1917 წლის 17 მარტს, ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე, თავის მოხსენებაში წიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ, ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „გლეხთა საკითხიც ისე უნდა მოწესრიგდეს, როგორც მუშათა ეკონომიური საკითხი, დაარსდეს სოფლებში მომრიგებელი კამერები, რომლებიც შეთანხმებით გადასწყვეტენ ყოველივე უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ექნება მიწის საკითხის გარშემო. რაც შეეხება მიწის კონფისკაციის საკითხს, ამას საბოლოოდ დამფუძნებელი კრება გადაჭრის“.[1]

სოფლად მზარდი რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მენშევიკები იძულებული იყვნენ აგრარული საკითხი საბჭოებისა და პარტიის ყრილობების დღის წესრიგში დაეყენებინათ, მაგრამ მათ გადაწყვეტას რევოლუციური გზით უარყოფდნენ. ასე გახდნენ ისინი იძულებული 1917 წლის მაისში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობაზე განსახილველად აგრარული საკითხიც დაესვათ.

1917 წლის 21 მაისს თბილისში მოწვეულ იქნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კავკასიის სამხარეო ყრილობა. ყრილობას 261

[1] გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 21 მარტი.

დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის 143 კაცი გლეხთა დელეგატი იყო. დელეგატები იყვნენ საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან. ყრილობის გადაწყვეტილებით მუშებისა და მეწარმეთა შორის წარმოშობილი კონფლიქტებისა და ხელფასის მომატების განხილვა მომრიგებელი კამერების საგანს შეადგენდა. ბოლშევიკური ფრაქციის ინიციატივითა და დაჟინებული მოთხოვნით ყრილობამ მოისმინა მოხსენება მუშათა კონტროლზე. ამ საკითხის დაყენებასა და გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, „ვიდრე დედა-ქალაქებსა და უდიდეს ცენტრებში მთავარ ძალ-ღონეს ვანდომებთ ძალების მომზადებას რევოლუციის მეორე ეტაპის დასამთავრებლად, — ადგილობრივ უშუალოდ შეიძლება და კიდევაც უნდა წავწიოთ წინ რევოლუცია, განვაბორციელოთ მუშათა დეპუტატების საბჭოების ერთხელისუფლებიანობა, განვავითაროთ მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციური ენერგია, გადავიდეთ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების კონტროლზე“.[1]

ბოლშევიკური პარტიისათვის მუშათა კონტროლი რევოლუციის შემდგომი განვითარების ლოზუნგი იყო. ამიტომ სავსებით გასაგებია ის გაბოროტება, რომლითაც გამოვიდნენ ყრილობაზე ქართველი მენშევიკები ბოლშევიკების წინადადების წინააღმდეგ. მენშევიკები ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების საფუძველებს იცავდნენ.

მენშევიკებმა ისარგებლეს იმით, რომ ყრილობის უმრავლესობას მენშევიკების პოლიტიკის მომხრეები შეადგენდნენ და მიაღწიეს მუშათა კონტროლის შემოღების უარყოფას. ამასთან, მენშევიკებმა განაცხადეს, რომ თუ კაპიტალისტები მასობრივ ლოკაუტს მიმართავენ, მაშინ მუშებს შეუძლიათ დროებით მთავრობას მოსთხოვონ სახელმწიფო კონტროლის შემოღებაო. ეს სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ კონტროლი კვლავ ბურჟუაზიის ხელში რჩებოდა. ბოლშევიკები როგორც ყრილობაზე, ისე მუშათა მასებში ააშკარავებდნენ მენშევიკების მიერ მიღებულ „სახელმწიფო კონტროლის“ ანტიმუშურ არსს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლად განუწყვეტლივ მზარდი რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მენშევიკები იძულებული იყვნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობაზე განსახილველად დაეყენებინათ აგრარული საკითხიც.

მენშევიკებმა თავიანთი დახავსებული არქივიდან ამოათრიეს მიწის მუნიციპალიზაციის ყბადაღებული პროგრამა და გააფთრებით ილაშ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 297.

ქრებდნენ ყრილობაზე მიწის ნაციონალიზაციის, გლეხთა კომიტეტების შექმნისა და მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, აგრარული საკითხის გადაჭრა უნდა გადადებულიყო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ყრილობაზე მიწის ნაციონალიზაციის ბოლშევიკური პროგრამის დასაცავად გამოვიდნენ: მ. ცხაკაია, ა. ჯაფარიძე და სხვა ბოლშევიკები. მათ გაილაშქრეს მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამის წინააღმდეგ, მოითხოვეს გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნა და მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდება დაუყოვნებლივ, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. მაგრამ ყრილობის მენშევიკური უმრავლესობის გამო, უარყოფილ იქნა მიწის ნაციონალიზაციის, გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნისა და მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდების ბოლშევიკური მოთხოვნა.

ყრილობამ მიწის საკითხის გადაწყვეტა ჩათვალა დამფუძნებელი კრების საქმედ, მის ამოცანად. მან, მუნიციპალიზაციის პროგრამიდან გამომდინარე, განსაზღვრა: „1) ყველა სახაზინო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწების კონფისკაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოებისთვის გადაცემა. 2) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიწების ნაციონალიზაცია. 3) მიწების, რომლებიც შეიძლება საგადასახლებო ფონდად იქნეს გამოყენებული, აგრეთვე მემამულეთა და კერძომფლობელური მიწების, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმაზე მეტია, კონფისკაცია და ამ ორგანოების მფლობელობაში გადაეცემა. 4) მიწების, რომლებიც აუცილებელია წვრილი გლეხური ნადელების დამრგვალებისათვის, მიწა ზოლიანობის მოსპობისათვის, გლეხების ხელში გადაცემა უსასყიდლოდ".[1] ამასთან ერთად ყრილობამ აუცილებლად ცნო, „დროებით მთავრობას გამოეცა დეკრეტი, დამფუძნებელი კრების მიერ მიწის საკითხის გადაწყვეტამდე მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქებისა და დაგირავების (გარდა სამეურნეო საჭიროებისათვის ადგილობრივი კომიტეტების ნებართვით მიმდინარე წელს დაგირავებისა) ყოველგვარი გარიგების შეწყვეტის შესახებ"[2].

---

[1] გაზ. „ერთობა", 1917 წლის 1 ივნისი.

[2] ი ქ ვ ე.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკას მიწის საკითხში მხარს უჭერდნენ საქართველოს ესერებიც. 1917 წლის აპრილში კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობამ, რომელიც ესერ-მენშევიკური უმრავლესობისაგან შედგებოდა, მიიღო სოციალიზაციის ესერული პროგრამა, აღიარა მიწაზე ყოველგვარი საკუთრების მოსპობის აუცილებლობა, მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა მიანდო დამფუძნებელ კრებას და უარყო გლეხების მიერ მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდება [1].

ქართველმა მენშევიკებმა თავიანთი დამოკიდებულება აგრარული საკითხისადმი „დააკანონეს" 1917 წლის ივნისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობის დადგენილებით. მენშევიკების შეხედულება აგრარულ საკითხზე ჩამოაყალიბა მომხსენებელმა გ. კონიევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „მენშევიკების პროგრამა მოითხოვს სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და მსხვილ მემამულეთა მიწების ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემას და ამ მიწების ნაციონალიზაციას, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, წერილ მიწათმფლობელობაზე კერძო საკუთრების შენარჩუნებას, ხოლო ნორმის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებით" [2]. ყრილობამ აგრარულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში საჭიროდ ცნო: ყველა სამონასტრო, საკაბინეტო, საუფლისწულო და სახაზინო ადგილ-მამული გადასცემოდა ადგილობრივ მსხვილ თვითმართველობის ორგანოებს, ჩამოსართმევი მამულების მინიმალური ზომა განესაზღვრა ადგილობრივ თვითმმართველობას, ის ადგილ-მამულები, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, დაეტოვებინათ დემოკრატიული სახელმწიფოს კუთვნილებად, ხოლო სარგებლობისათვის გადასცემოდა ადგილობრივ მსხვილ თვითმმართველობას.

როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, ქართველი მენშევიკები ერთგულნი იყვნენ მიწის მუნიციპალიზაციის საერთო მენშევიკური პროგრამისა, მაგრამ მის დაუყოვნებლივ განხორციელებას არ მოითხოვდნენ და ამავე დროს უარყოფდნენ გლეხების მიერ მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდებას. ყრილობის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ყრილობა გადაჭრით უარყოფს მიწების ძალით მითვისებას, დამფუძ-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1917 წლის 15 ივნისი.
[2] გაზ. „ერთობა", 1917 წლის 21 ივნისი.

ნებელი კრების მოწვევამდე, რომელიც შეიმუშავებს მიწის კონფისკაციის ძირითად დებულებებს".[1] იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა აუცილებლად მიიჩნია დამფუძნებელ კრებამდე, ყრილობამ გამოთქვა ასეთი აზრი: „სახნავი მიწების ყველა საკითხს სწყვეტს მომრიგებელი კამერა, საუფლისწულო და სამონასტრო მიწებს ამუშავებს ადგილობრივი კომიტეტი და საიჯარო გადასახადი შეაქვს დამფუძნებელ კრებამდე ბანკში, ხიზნების მიწები დროებითი მთავრობის საგანგებო დეკრეტით გადავცეთ ხიზნებს საკუთრებად და განთავისუფლდნენ ისინი საიჯარო გადასახადისაგან".[2] ამ უკანასკნელს მენშევიკები დიდ რევოლუციურ ღონისძიებად თვლიდნენ და ამით ფარავდნენ აგრარული პროგრამის რეაქციულ ხასიათს. ხიზნებისადმი სანადელო მიწების საკუთრებაში გადაცემას მეფის ადმინისტრაციის ლიბერალ მოხელეები და ვორონცოვ-დაშკოვიც კი მოითხოვდნენ, მაგრამ მათ აზრადაც არ ჰქონიათ რევოლუციური აგრარული რეფორმის განხორციელება.

საქართველოს მენშევიკებმა და ესერებმა გლეხობის თვალის ახვევის და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩაშლის მიზნით 1917 წლის 19 ივნისს თბილისში მოიწვიეს გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობა, რომლის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა და ესერებმა. როგორც გ. ხაჭაპურიძე წერს: „მენშევიკებმა და ესერებმა, სოფლად გლეხთა მოძრაობის ჩასაშლელად, ივნისში გლეხთა სპეციალური სამხარეო ყრილობა მოიწვიეს. ყრილობაზე მათ თავისი უმრავლესობა გაიყვანეს. ხელთ იგდეს ყრილობის ხელმძღვანელობა და მიაღწიეს იმას, რომ სოფლად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაციის ძირითადი საკითხის გადაწყვეტის ნაცვლად ყრილობამ ხელი მიჰყო ისეთი მცირემნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორიცაა მევენახეთა მომარაგება ყურძნის დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებებით, სასამართლოს გარდაქმნა და ა. შ."[3].

ყრილობაზე მენშევიკები თავგამოდებით იცავდნენ მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას. „მე არ შემიძლია დაგიმალოთ, რომ ის, რასაც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები გპირდებით მიწის საკითხის გადასაჭრელად. ე. ი. მუნიციპალიზაცია მიწისა, არ არის სამოთხე, მაგრამ უნდა

---

[1] უწყება რსდმპ ა/კ მეექვსე საოლქო ყრილობის შესახებ. თბ., 1917, გვ. 9—10.

[2] იქვე.

[3] გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1954, გვ. 120.

მივიღოთ მხედველობაში, რომ დღეს კაპიტალიზმის ხანაა და სხვა უფრო რადიკალური ზომა მიწათმფლობელობის მოსაგვარებლად არ შეიძლება იყოს“ [1] — ასე იხდიდა ბოდიშს ყრილობაზე აგრარული საკითხის შესახებ მომხსენებელი მენშევიკი კ. გვარჯალაძე. ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია გლეხობას ჰპირდებოდა ზოგიერთ შეღავათს, მაგრამ მათი მოგვარება მომრიგებელ კამერებსა და საადგილმამულო კომიტეტებს ჰქონდათ მინდობილი.

„ცარიელი მინდვრების და სახნავი მიწების შესახებ ყველა საკითხს სწყვეტს მომრიგებელი კამერები. იმ საკითხებს კი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დამუშავება-დათესვასთან, არჩევს საადგილმამულო კომიტეტები“ [2], ნათქვამი იყო ამ რეზოლუციაში. მენშევიკები ხელს უწყობდნენ აგრეთვე სოფლის ბურჟუაზიას, რათა იგი არ დაზარალებულიყო საიჯარო ქირის მიღების საქმეში. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „იჯარის ფულის გადახდა უნდა დარჩეს დამფუძნებელ კრებამდე“ [3].

ყრილობამ აირჩია გლეხთა სამხარეო საბჭო, რომელიც თითქმის მთლიანად მენშევიკური აღმოჩნდა. საბჭომ ადრევე გამონახა საერთო ენა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან და სავსებით გაიზიარა გლეხობის „დაწყნარების“ საქმეში მის მიერ აღებული გეზი.

გლეხთა სამხარეო საბჭო გულგრილად ეკიდებოდა გლეხთა საჩივრებსა და მოთხოვნებს, აძლევდა მათ რჩევას, დაეცადათ დამფუძნებელ კრებამდე, საკითხის გამწვავების შემთხვევაში კი საბჭო ყოველთვის მემამულეთა მხარეზე იყო. ეხებოდა რა გლეხთა დეპუტატების საბჭოს გულგრილობას ახალქალაქის გლეხობის შევიწროების საქმეში, გაზ. „ბრძოლა“ წერდა: „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სავსებით გამოხატავს და იცავს მემამულეების ინტერესებს, ე. ი. იგი ემსახურება კონტრრევოლუციონურ კლასს.

იგი წინააღმდეგია არა მარტო იმისა, რომ მიწები გლეხობის ხელში გადავიდეს, არამედ იმისაც კი, რომ გლეხებს რაიმე შეღავათი მიეცეს მემამულეს მხრით რაიმე შევიწროებისაგან. თავისთავად იგულისხმება, რომ აქ გასაკვირალი არაფერია, ვინაიდან ამიერკავკასიის კომიტეტი კოალიციური სამინისტროს ორგანოა, და ასრულებს იმას, რასაც მას მთავრობა უბრძანებს. მაგრამ გასაკვირალია მეორე გარემოება, სა-

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 25 ივნისი.

[2] გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 28 ივნისი.

[3] ი ქ ვ ე.

ხელდობრ ის, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც ვალდებულია გლეხების ინტერესი დაიცვას, ამ საქმეში პილატესავით ხელს იბანს, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს. ეს საბჭო, როგორც ჩანს, სავსებით შეუბოჭავს და თავისი გავლენისათვის დაუმორჩილებია დროებითს მთავრობას, რომელიც კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესებს ემსახურება".[1]

ქართველი მენშევიკები ზოგჯერ ბურჟუაზიულ მთავრობაზე მეტ აქტივობასაც იჩენდნენ. ნათლავდნენ რა ხულიგნურ მოქმედებად გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას, ისინი მოითხოვდნენ ბრძოლას ამ მოძრაობისა და მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ. ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს იმათ, ვინც სოფლის ბნელ ხალხს აქეზებს ასეთი ხულიგნური გამოსვლებისათვის — იმუქრებოდა თბილისის მენშევიკური საბჭოს ორგანო „იზვესტია".

საქართველოს მშრომელი გლეხობა კარგად ხედავდა, თუ როგორ ღალატობდნენ მას მენშევიკები და ესერები. ამიტომ იგი ზურგს აქცევდა მათ და ირაზმებოდა იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც ნამდვილად იყო დაინტერესებული მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების განსახორციელებლად.

ბოლშევიკური პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც გადაჭრით მოითხოვდა რევოლუციური გზით მემამულეთა მიწათმფლობელობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემას. გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობისადმი მიმართულ წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „მთელი მიწა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. მემამულეთა მთელი მიწები გლეხებს უნდა გადაეცეს გამოუსყიდველად: ეს ცხადია. კამათს იწვევს ის გარემოება, საჭიროა თუ არა გლეხებმა ადგილებზე დაუყოვნებლივ აიღონ მთელი მიწა ისე, რომ არ აძლიონ მემამულეებს არავითარი საიჯარო ქირა და არ დაელოდონ დამფუძნებელ კრებას?

ჩვენი პარტია ფიქრობს, რომ ეს საჭიროა, და ურჩევს გლეხებს ადგილებზე ახლავე, რაც შეიძლება ორგანიზებულად, დაეპატრონონ მთელ მიწას, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ქონების გაფუჭება და მთელი ძალღონე მიმართონ იქითკენ, რომ პურისა და ხორცის წარ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1917 წლის 27 აგვისტო.

მოება გადიდდეს, რადგან ფრონტზე ჯარისკაცები საშინელ გაჭირვებას განიცდიან".[1]

ქართველი ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ გლეხობის საკითხში ლენინურ პროგრამას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის პოლიტიკური არმიის მომზადება.

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მტკიცე და საიმედო მოკავშირის — ღარიბი გლეხობის შესახებ გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" წერდა: „რევოლუციის მატარებელი პროლეტარიატის შემდეგ პირველყოვლისა არის გაღატაკებული გლეხობა, მაგრამ იგი რომ რევოლუციას შეეუერთოთ, რევოლუციისათვის აქტიური მებრძოლი რომ გავხადოთ, აუცილებელია ახლავე წამოვაყენოთ ღარიბი გლეხობის ყველაზე უფრო მომწიფებული მოთხოვნები"[2].

ამ მოთხოვნებში გაზეთი გულისხმობდა ყველა მიწის დაუყოვნებლივ კონფისკაციას და ღარიბ გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში მის გადაცემას.

ქართველი ბოლშევიკები ამხელდნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის კონტრრევოლუციურ ხაზს, ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკების, ესერებისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების „სოციალისტური" პროგრამის თვალთმაქცურ ბუნებას, გლეხობის მიმაძინებელ პოლიტიკას და ხელმძღვანელობდნენ გლეხებს მემამულეთა კაბალისაგან განთავისუფლების საქმეში.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის აგრარულ საკითხში სამოქმედო პროგრამას წარმოადგენდა ი. ბ. სტალინის სტატია — „მიწა — გლეხებს", რომელიც დაიბეჭდა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" 9 მაისის ნომერში. სტატიამ გლეხობაზე უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა.

ფარდას ხდიდა რა დროებითი მთავრობის მემამულურ-კაპიტალისტურ ბუნებას, მიწათმოქმედების მინისტრის შინგარიოვის თვალთმაქცობას გლეხების მიმართ, ი. ბ. სტალინი ამ სტატიაში წერდა: „... ჩვენ მივმართავთ გლეხებს, მთელი რუსეთის მთელ ღარიბ გლეხობას — თავის საკუთარ ხელში აიღოს თავისი საქმე და წინ წასწიოს იგი.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ დაირაზმონ გლეხთა რევოლუციურ კომი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 442—443.

[2] Газ. «Кавказский рабочий», 10 мая 1917 года.

ტეტებში (სათემო, სამაზრო და სხვა), მათი საშუალებით ხელში ჩაიგდონ მემამულეთა მიწები და თავისი ნებით დაამუშაონ ისინი ორგანიზებული წესით.

ჩვენ მოვუწოდებთ გააკეთონ ეს დაუყოვნებლივ, — არ დაელოდონ დამფუძნებელ კრებას და ყურადღება არ მიაქციონ მინისტრთა რეაქციულ აკრძალვებს, რომლებიც ხელს უშლიან რევოლუციის ჩარხის ტრიალს".[1]

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიმ" მოათავსა აგრეთვე ბოლშევიკთა VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხზე („კავკაზსკი რაბოჩი", 13 მაისი), ვ. ი. ლენინის „ჯარისკაცები და მიწა" („კავკაზსკი რაბოჩი", 21 მაისი), მისივე — „ღია წერილი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებს"(„კავკაზსკი რაბოჩი", 28 მაისი), „მიწის თვითნებურად დატაცების შესახებ" („კავკაზსკი რაბოჩი", 1 ივნისი) და სხვა.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩისა" და „ბრძოლის" ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა აგრეთვე ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის და სხვა ცნობილ ბოლშევიკ მოღვაწეთა სტატიები.

ყველა ეს სტატია, რომლებიც ქართველ ბოლშევიკებს გლეხობამდე დაჰყავდათ, ააშკარავებდა აგრარულ საკითხში ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მისი დამქაში პარტიების კონტრრევოლუციურ საქმიანობას, ასაბუთებდა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მჭიდრო კავშირის აუცილებლობას.

ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა" ააშკარავებდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის საქმიანობას, მის მიერ მემამულეთა ინტერესების დაცვას, მენშევიკებისა და ესერების მოღალატურ პოლიტიკას. სტატიაში „აგრარული საკითხი დღევანდელ მომენტში" გაზეთი „ბრძოლა" მიუთითებდა, რომ ღარიბი გლეხები სოფლად და პროლეტარიატი ქალაქად მოითხოვენ მემამულეთა მიწების, საკაბინეტო, სამონასტრო და სხვა მიწების კონფისკაციას უფასოდ და მათ გადაცემას გლეხებისათვის უსასყიდლოდ, მიწათმფლობელობის ბატონყმური ნაშთების ძირეულად განადგურებას, რაც კონტრრევოლუციისათვის ლახვარის ჩაცემა იქნებოდა. „ამისათვის საჭიროა, — წერდა გაზეთი,— რომ გლეხკაცობამ დარაზმულად და ერთობის ძალით, ახლავე მოახდი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 38.

ნოს კერძო მემამულეების და სხვა მიწების კონფისკაცია, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებას მხლოდ უკვე მომხდარ ფაქტთან ჰქონდეს საქმე და თავისი ავტორიტეტით დაადასტუროს სინამდვილე".[1]

ბოლშევიკების გადამწყვეტი რევოლუციური ღონისძიებანი აგრარულ საკითხში გლეხობაში ერთსულოვან გამოხმაურებას და მხარდაჭერას პოულობდა. უმიწაწყლო, ღატაკი გლეხობა მტკიცედ ირაზმებოდა ბოლშევიკური დროშის ქვეშ და უფრო გაბედულად, ორგანიზებულად მოქმედებდა.

ამიტომ იყო, რომ ივნისისა და ივლისის თვეებში გლეხთა თვითნებური, მაგრამ ერთსულოვანი მოქმედება კიდევ უფრო მასობრივი გახდა. თბილისის, თელავის, თიანეთის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის, შორაპნის, ქუთაისის, ახალციხის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და სხვა მაზრების, აგრეთვე სოხუმის ოლქის გლეხებმა 1917 წლის ზაფხულიდან ხელი მიჰყვეს მემამულეთა მიწების თვითნებურად დატაცებას.

1917 წლის ზაფხულში სტიქიურმა აგრარულმა მოძრაობამ მწვავე ფორმა მიიღო ბორჩალოს მაზრაში.

„მაზრის მოსახლეობა, — წერდა მაზრის კომისარი კალინოვსკი, — ყველგან შეიარაღებული ძალით იტაცებს კერძო მფლობელთა მიწებს, საზამთრო საძოვრებს, იგი ანგარიშს არ უწევს დროებით მთავრობას, ღარწმუნება არ მოქმედებს. დატაცების ადგილობრივი ძალებით შეწყვეტა შეუძლებელია. საჭიროა სამხედრო ნაწილების საჩქაროდ გამოგზავნა" [2].

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის" კორესპონდენტი ამ მაზრაში არსებული ვითარების შესახებ წერდა: „რაც დრო გადის, გლეხები მით უფრო იტაცებენ ბატონების, მემამულეების, საუფლისწულო და საიჯარო მიწებს. ჯერჯერობით იტაცებენ საძოვარი და სათიბი მიწების ნაკვეთებს, ხანდისხან სახნავ მიწებსაც. ამ მიწებს იტაცებენ არა ცალკეული პიროვნებანი, არამედ ამა თუ იმ სოფლის, ანდა რამდენიმე სოფლის ყველა მცხოვრები ერთად. ადმინისტრაციულ წრეებში და მემამულეთა შორის ხშირად ვრცელდება ხმები, თითქოს ამ დატაცებას ხელმძღვანელობდ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1917 წლის 25 ივნისი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1800, ფურც. 36.

ნენ ცალკეული პირები, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდნენ „კანონიერ“ პასუხისგებაში მიეცათ ყველა ეს „ბნელი“ ადამიანი. აქ ზედმეტია ლაპარაკი ბნელ პიროვნებებზე, რადგანაც გლეხებს სრულიად არ გააჩნიათ მიწები“ [1].

ბორჩალოს მაზრაში იყო თავად ა. სუმბათოვის (სუმბათაშვილი) მსხვილი მამული, რომელსაც 6 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი ეჭირა. როგორც ეს მემამულე გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრს წერდა, გლეხებმა შეწყვიტეს ყოველგვარი გადასახადის გადახდა და დაიწყეს მისი მიწების დატაცება. ასე მაგალითად, გლეხებმა გადახნეს საზამთრო საძოვრები, „ჩანთინარის“ მიწის ნაკვეთები 300 ჰექტრის რაოდენობით. მათ არაფერი გადაუხადეს მემამულეს გათიბული თივისა და ხორბლისათვის, იწყეს მემამულის ბაღებისა და ბამბის ნათესების მცველებზე თავდასხმა [2].

ასევე მოქმედებდნენ გლეხები მაზრის სხვა მსხვილი მემამულეების: არამიანცის, ლორის-მელიქოვის, ციციანოვის (ციციშვილის) მიმართაც. ღარიბი გლეხობა კულაკების მიწებსაც იტაცებდა.

თიანეთის მაზრის (სოფ. ხაიშოს, ჩობანოს, ორხევის) გლეხებმა დაიტაცეს და დაინაწილეს თავადების გ. შანშიევის, ა. შანშიევისა და გ. გულისოვის 6400 დესეტინა მიწა, რომელიც გლეხებს ეძლეოდათ ფულადი იჯარით. თავზარდაცემულმა მემამულეებმა მიმართეს თიანეთის მაზრის საადგილმამულო კომიტეტს, მაგრამ იგი უძლური აღმოჩნდა გამოესწორებინა მდგომარეობა. ამის შემდეგ მათ იჩივლეს თბილისის გუბერნატორთან და აცნობეს, რომ თიანეთის მაზრაში არ არის ხელისუფლება, იქ გავრცელებულია მიწების დატაცება, სუფევს განუსაზღვრელი აღვირახსნილობა გლეხებისა, რომლებიც ხელყოფენ საკუთრების უფლებას, მემამულეები თხოულობდნენ მიეღოთ სათანადო ზომები, რათა აღდგენილიყო მიწაზე მათი საკუთრების უფლება და შეწყვეტილიყო გლეხების მიერ მიწების დატაცება [3]. მართლაც, განსაკუთრებული კომიტეტის წევრმა ა. ჩხენკელმა თიანეთის მაზრის კომისარს შანშიევებისა და გულისოვის განცხადებებთან ერთად გაუგზავნა განკარგულება მემამულეთა საკუთრების უფლების აღდგენისა და მიწების თვით-

---

[1] Газ. «Кавказский рабочий», 10 июня 1917 года.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2, აღწ. 1, საქმე 78, ფურც. 2.

[3] Борьба за победу Советской власти в Грузии, Тб., 1958, стр. 57.

ნებურად დატაცების დაუშვებლობის შესახებ. გორის მაზრის გლეხებმა დაიტაცეს თავად ერისთავის საბალახოები, რომელიც დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა [1].

სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახისა და ჩალაუბნის გლეხებმა დაიტაცეს მემამულეთა მიწები და ტყეები, მაზრის კომისარი, ა/კ განსაკუთრებული კომიტეტის წევრი პაპაჯანოვი 1917 წლის 4 აგვისტოს დეპეშით აფრთხილებს ამგვარი დანაშაულის დაუშვებლობას და მოითხოვს მტკიცედ დაიცვან მიწებზე მემამულეთა საკუთრების უფლება [2].

შულავერში გლეხების მიერ მემამულეთა მიწების დატაცებამ ძალზე ფართო ხასიათი მიიღო. შულავერის აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებულ კომიტეტს აცნობებდა: „მიწების დატაცებამ უდიდესი მასშტაბი მიიღო, ხელისუფლება უძლურია. გთხოვთ გამოგზავნოთ კაზაკები და აღადგინოთ წესრიგი“ [3].

ქუთაისის მაზრის სოფ. სიმონეთის გლეხებმა დაიტაცეს მსხვილი კაპიტალისტის—ონანოვის 1000 ჰექტარამდე მიწა. შორაპნის მაზრის სოფ. ზვარისა და ჩდილის გლეხებმა უარი განაცხადეს საიჯარო ქირის გადახდაზე [4]. მცხეთის მახლობლად სოფ. გოლოვანსა და პრეზეტში გლეხებმა თვითნებურად გაჩეხეს მემამულეთა ტყე. ბორჯომის მიდამოებში გლეხთა მღელვარების დასაწყნარებლად საჭირო შეიქნა ჯარის ნაწილები [5].

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1917 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში სენაკის, ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრებში, სადაც გლეხები თვითნებურად იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს და უარს ამბობდნენ საიჯარო გადასახადზე.

როგორც აღვნიშნეთ, გლეხების მიერ კაბალური ურთიერთობის ძალდატანებითმა ლიკვიდაციამ პანიკა გამოიწვია მემამულეთა მხრივ. ხელისუფლების სამხარეო ორგანოებში შედიოდა თავად-აზნაურთა ორგანიზაციების საჩივრები და განცხადებები. ისინი მოითხოვდნენ გადამჭრელი ზომების მიღებას გლეხების მიერ მემამულეთა მიწების დატაცების წინააღმდეგ.

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, Тб., 1958, стр. 60.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 59.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 124.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 71.

თბილისის გუბერნიის აზნაურები ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში დაწვრილებით გადმოსცემდნენ გუბერნიაში აგრარული მოძრაობის ფაქტებს და შეშფოთებულნი წერდნენ: „ურთიერთობა მიწათმფლობელებსა და გლეხებს შორის ბოლო დროს გამწვავდა... იქმნება საშიშროება გაიზარდოს სახელმწფო უბედურების მნიშვნელობამდე. ეს სამწუხარო გარემოებანი (მიწების დატაცება, საიჯარო გადასახადის გადახდაზე უარის თქმა, — ვ. ჯ.) თბილისის გუბერნიის მიწათმფლობელებს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ, ემუქრებიან მათ გარდუვალი შიმშილით... ჩვენ ვთხოვთ „ოზაკომს“ მოაწყოს მთავრობის დახმარება იმ მიმართულებით, რათა მიწათმფლობელნი ღებულობდნენ მოსავლის კუთვნილ წილსა და მიწის იჯარას გლეხების სარგებლობაში მყოფი მათი კუთვნილი მიწებისათვის“.[1]

გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი იძულებული შეიქნა 1917 წლის 27 ივლისს სპეციალური მიმართვა გამოექვეყნებინა ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი გლეხების მიერ მიწების თვითნებურად დატაცების აკრძალვის შესახებ. ამ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის მხარის მრავალ სოფელში გლეხები არ უცდიან დამფუძნებელი კრების მიერ მიწის საკითხის გადაწყვეტას და თვითნებურად იტაცებენ მემამულეთა მიწებს, ჩეხავენ ტყეებს და თვითნებურად იყენებენ სარწყავ სისტემებს. „ოზაკომი“ აფრთხილებს მოსახლეობას, რომ მიწის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას. ამიტომ „დამფუძნებელი კრების მიერ მიწის რეფორმის ჩატარებამდე მოსახლეობა ადგილებზე თვითონ თუ დაიწყებს სამიწათმოქმედო წყობილების დაუყოვნებლივ გარდაქმნას, — ნათქვამია მიმართვაში, — მაშინ დიდი უბედურება დაემუქრება ჩვენს მხარეს. ოზაკომი მოუწოდებს მოსახლეობას, არ დაარღვიონ წესიერება სოფლად, მიწის შესახებ კანონის შეცვლამდე იცნონ უფლება მესაკუთრისა მიწაზე, ტყეზე და წყლებზე, წესიერად შეიტანონ სახელმწიფო ხაზინაში მიწის და სხვა გადასახადები, უხადონ საგლეხო და სხვა ბანკებს გადასახადები, არ ჩეხონ ტყე, არ დაიტაცონ წყალი. ამ ხაზით ყოველგვარი

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2, აღწ. 1, საქმე 79, ფურც. 4

თვითნებური მოქმედება, ყოველგვარი მოწოდება კანონის არ შესრულების შესახებ, იკრძალება კანონის მთელი სიმკაცრით".[1]

მენშევიკები და ესერები, იცავდნენ რა შეძლებული კლასების ინტერესებს, გლეხთა აგრარულ მოძრაობას დემაგოგიურად „ანარქიას", ბოლშევიკების „თვითნებობას" უწოდებდნენ და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მთავრობის ორგანოებს გლეხთა მოძრაობის ჩაქრობისა და მემამულეთა ინტერესების დაცვაში.

ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელშიც მოკალათებული იყვნენ მენშევიკები და ესერები, ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო გლეხების მიერ მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. გლეხთა დეპუტატების საბჭოს მენშევიკი მეთაურები თავადაზნაურობასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ და მისგან ფულად სუბსიდიებს იღებდნენ. არქივში შენახულია მიმართვა, რომელიც თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თავადმა გრუზინსკიმ გაუგზავნა „ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს". ამ მიმართვაში ნათქვამია, რომ „გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებმა პ. გელეიშვილმა და გ. გედევანოვმა 6 ივლისს მიმართეს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობას თხოვნით, რათა მას მატერიალური დახმარება გაეწია აღნიშნული საბჭოსათვის, რომელმაც ერთ-ერთ თავის ამოცანად დაისახა აღკვეთოს მიწების დატაცება და საერთოდ ყოველგვარი ექსცესი მიწათმფლობელთა და გლეხებს შორის, რის გამოც საჭიროებს ფულად სახსრებს გეგმიანი მუშაობის ორგანიზაციისათვის. ბანკის გამგეობა საჭიროდ თვლის აუწყოს საბჭოს, რომ იგი სრული თანაგრძნობით ეკიდება საბჭოს ამოცანებს" [2].

შემდეგ მიმართვაში მოცემული იყო ცნობა, რომ სათავადაზნაურო ბანკმა გარკვეული თანხა გადადო „ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს" განკარგულებაში. საბუთებით დადასტურებულია, რომ გლეხთა ცენტრმა 10 ათასი მანეთი მიიღო „ქართველ თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს საადგილმამულო კომისიისაგან". გარკვეული თანხა გადასცა სამხარეო ცენტრს აგრეთვე ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 1471, აღწ. 1, საქმე 587, ფურც. 374.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии. стр. 45.

ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის სხდომაზე 1917 წლის 6 ივლისს მოისმინეს ანგარიში აღნიშნული თანხის მიღების შესახებ. სამხარეო კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მიღებულ იქნას აღნიშნული თანხა და ნება დაერთოს შეიტანონ იგი გლეხთა სამხარეო ცენტრის მიმდინარე ანგარიშზე, პ. პ. გელეიშვილისა და გ. ტ. გედევანოვის სახელზე. მომავალში ეთხოვოს მატერიალური დახმარება ზემოთ მოხსენებული მიზნის განხორციელებისათვის ბანკებს, სასოფლო-სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებებს, ქალაქთა თვითმმართველობებს, ვაჭრებს და აგრეთვე მრეწველებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ გლეხთა ცხოვრებასთან“ [1].

ეს დოკუმენტები ნათლად გვიჩვენებენ, რომ მენშევიკებისა და ესერების გამოსვლები გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების „თვითნებურად“ დატაცების წინააღმდეგ და აგრარული საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება დამფუძნებელ კრებამდე ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესების სასარგებლოდ ტარდებოდა.

მენშევიკი მინისტრი ჩხენკელი ცირკულიარებს უგზავნიდა მაზრების კომისრებს, რომ გლეხებს არ გაებედათ რევოლუციური გზით მიწების ხელში ჩაგდება.

„ასეთია მენშევიკების და ესერების „საქმიანობა“ და მათი სიტყვები, — წერდა ფ. მახარაძე გაზ. „ბრძოლაში“, — ისინი სიტყვით ლაპარაკობენ და საქმით სულ სხვას აკეთებენ. ვინაიდან ისინი შეკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან, აშკარაა იმათ არ ძალუძთ გლეხებისა და მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან საქმით კაპიტალისტებს და მემამულეებს ემსახურონ იმათი საქმე აკეთონ, მუშები და გლეხები კი მხოლოდ სიტყვებით კვებონ. რა გაუჭირდათ, ბატ. ადგილობრივ მენშევიკებს და ესერებს მიწის დეკრეტის გამოცემა? აშკარაა, იმიტომ, რომ იმათ უნდათ, რომ როგორმე დაატყუონ გლეხობა და იხსნან დაღუპვისაგან მემამულეები. ამას მოწმობს მთელი მათი მოღვაწეობა წარსულში, ამასვე ამტკიცებს მთელი მათი ტაქტიკა აწმყოში“ [2].

მაგრამ მენშევიკებისა და ესერების ამ ღონისძიებებს არ შეეძლო აეცილებინა გლეხთა შორის ბოლშევიკების გავლენის ზრდა. ბოლშე-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2, აღწ. 1, საქმე 77, ფურც. 5—6.

[2] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 16 სექტემბერი.

ვიკების მოწოდება მემამულეთა მთელი მიწის დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდებისა და კონფისკაციის შესახებ გლეხთა შორის სულ უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობდა.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიის შემდგომი საქმიანობა, იყო რსდმპ(ბ) VI ყრილობა. იგი ნახევრად არალეგარულ პირობებში მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე. VI ყრილობას ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადების, კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლის ყრილობა.

VI ყრილობაზე საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან არჩეული იყო სამი დელეგატი — ი. სვერდლოვი, ს. ქავთარაძე და ა. ენუქიძე.

ამიერკავკასიელმა დელეგატებმა ზუსტად დაახასიათეს ივლისის ღონისძიებანი შემდეგ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება. მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების მხრივ განუწყვეტელი დევნის მიუხედავად, საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ მასების შემოკრებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებმა რევოლუციური პროლეტარიატი და გლეხობა ახალ ვითარებაში შეაიარაღა კონკრეტული სამოქმედო პროგრამით. ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მომზადებისაკენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. VI ყრილობამ პარტიას გეზი მისცა უშუალოდ შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. მიმდინარე მომენტში მთავარი იყო ყველა რევოლუციური ძალის შემჭიდროება, მათი ორგანიზაცია, რათა საერთო ნაციონალური კრიზისის მომწიფების შემთხვევაში გადამწყვეტი იერიშით უზრუნველეყოთ უეჭველი გამარჯვება.

VI ყრილობამ დადგენილებაში „ეკონომიური მდგომარეობის შესახებ“ მოგვცა რუსეთის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი. ყრილობამ გამოააშკარავა არსებული ეკონომიკური კრიზისის მიზეზები და დასახა ძირითადი ეკონომიკური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება აუცილებელი იყო: მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, ბანკების ნაციონალიზაცია, წარმოებასა და გზნაწი-

ლებაზე მუშათა კონტროლი, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მთელი მიწის ნაციონალიზაცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში ნათქვამია, „VI ყრილობამ განიხილა პარტიის ეკონომიური პოლიტიკა. ყრილობის რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ქვეყანა განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზისს და „ვარდება საბოლოო ეკონომიური დაშლისა და დაღუპვის უფსკრულში". ამ კრიზისს შეგნებულად აღრმავებს ბურჟუაზია, რათა ის რევოლუციის წინააღმდეგ გამოიყენოს.

კრიზისული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში. მხოლოდ ამ კლასებს, როცა ხელში აიღებენ ძალაუფლებას, შეუძლიათ იხსნან ქვეყანა ისეთ რევოლუციურ ღონისძიებათა გზით, როგორიცაა: საბანკო საქმის ნაციონალიზაცია და ცენტრალიზაცია, რიგი მონოპოლიების (ნავთობის, ქვანახშირის, შაქრის, მეტალურგიისა და ტრანსპორტის) ნაციონალიზაცია, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მთელი მიწის ნაციონალიზაცია" [1].

1917 წლის აგვისტო-სექტემბრისათვის ამიერკავკასიასა და საქართველოში, ისე როგორც მთელ რუსეთში, ეკონომიკური ნგრევა და მშრომელი მასების გაღატაკება კიდევ უფრო გაძლიერდა. მასთან ერთად ადგილი ჰქონდა კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებას, მუშებისა და უღარიბესი გლეხობის რევოლუციურობის ზრდას.

ახასიათებდა რა ამიერკავკასიის ეკონომიკურ მდგომარეობას, გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" 28 აგვისტოს ნომერში წერდა, რომ მხარე სრულ ეკონომიკურ გაჩანაგებას, სამეურნეო ნგრევას, დეზორგანიზაციას განიცდის და იგი გარდუვალი და წარმოუდგენელი კატასტროფის წინაშე დგას. ფაბრიკებსა და ქარხნებში მასობრივი მოთხოვნილების საგნების წარმოება მკვეთრად შეიკვეცა. სასურსათო პროდუქტები ბაზარში ხან მეტისმეტად მცირე რაოდენობით გამოჩნდება, ხან კი სულ ქრება, რაც უმთავრესად მოსახლეობის ღარიბ ფენას შიმშილობისათვის წირავს. სპეკულაციამ და ექსპლოატაციამ დაუჯერებელ დონეს მიაღწია. სამეურნეო ცხოვრებაში სრული ანარქია, კაპიტალისტებისა და ვაჭრების თვითნებობა გამეფდა. ხელფასის ზრდა ვერ მისდევს საბომხმარებლო საგნებზე ფასების ზღაპრულ გადიდებას. ტრანს-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973, გვ. 286.

პორტის მთლიანად მოშლამ შეუძლებელი გახადა ნედლეულის მოზიდვა და მზა პროდუქტების გამოტანა[1].

რსდმპ(ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკებმა აქტიური მუშაობა გააჩაღეს პროლეტარიატისა და გლეხობის მობილიზაციისათვის სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად. გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა VI ყრილობის მოწვევის თაობაზე და რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ[2]. გარდა ამისა, ყრილობის დელეგატები და სხვა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები (მ. ცხაკაია, ს. ქავთარაძე და სხვანი) ბოლშევიკთა ღია კრებებს ატარებდნენ, სადაც მუშები, ჯარისკაცები და გლეხები ესწრებოდნენ, დაწვრილებით მოუთხრობდნენ ყრილობის შესახებ, პოპულარიზაციას უწევდნენ მის გადაწყვეტილებებს[3].

პარტიის VI ყრილობის შემდეგ საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებით „ახალგაზრდობის კავშირის შესახებ“, მეტი ყურადღება მიაქციეს მუშა და გლეხ ახალგაზრდობაში მუშაობას.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თბილისში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში დაიწყო ახალგაზრდობის პირველი სოციალისტური ორგანიზაციების შექმნა „სპარტაკის“ სახელწოდებით. „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაცია ერთ-ერთი უძლიერესი იყო. მისი პირველი კრება მიმდინარეობდა 1917 წლის 3 სექტემბერს ნაძალადევში მიხა ცხაკაიასა და ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდობის ორგანიზაციები შემდგომში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში.

მაშინ როცა სოციალისტური რევოლუცია მთელ რუსეთში მძლავრად იზრდებოდა, როცა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყებისათვის ენერგიული მზადება მიმდინარეობდა, თბილისში 1917 წლის 2—7 ოქტომბერს გაიმართა ბოლშევიკური ორგანიზაციების კავკასიის საოლქო ყრილობა. ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველ სამხარეო ყრილობას, ამიერკავკასიის დელეგატების გარდა, ნოვოროსიისკის, გროზნოს, ყუბანის, სტავროპოლისა და შავი ზღვისპირეთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

---

[1] Газ. «Кавказский рабочий», 28 августа 1917 года.

[2] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 20 აგვისტო.

[3] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 22 აგვისტო.

ყრილობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფ. მახარაძე, ჩატარდა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ნიშნით და მან განსაზღვრა კავკასიის ბოლშევიკების ტაქტიკა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ყრილობის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში შენახული არ არის, ამიტომ შეუძლებელია აღვაღგინოთ მისი მუშაობის სრული სურათი. იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმ ინფორმაციული ცნობებით, რომლებსაც ყრილობის მუშაობის შესახებ „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბაკინსკი რაბოჩი" ათავსებდნენ. ეს ინფორმაციები მეტად ღარიბია, მაგრამ აქაც შეიძლება იმის გარკვევა, რომ ყრილობაზე მიმდინარე მომენტის შეფასების, ნაციონალური, აგრარული და სხვა საკითხების ირგვლივ ოპორტუნისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ მკვეთრი ბრძოლა გაიშალა.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობის პარალელურად თბილისშივე მიმდინარეობდა მენშევიკების საოლქო ყრილობა. მენშევიკები შეეცადნენ ბოლშევიკების გავლენის ზრდის შესაფერხებლად ახალი ხერხისათვის მიემართათ. ბოლშევიკების ყრილობას მენშევიკებმა ორგანიზაციული გაერთიანება შესთავაზეს. ამ მანევრის მიზანი ნათელი იყო: მენშევიკებს სურდათ ბოლშევიკებთან გაერთიანების შემდეგ მასებში დაბნეულობა შეეტანათ. ერთიანობის საფრით თავიანთი შემთანხმებლური, რეფორმისტული ლოზუნგები გაეპარებინათ და, ამრიგად, მასები რევოლუციური გზიდან აეცდინათ. ბოლშევიკების ყრილობამ ამ წინადადებას მტკიცე უარით უპასუხა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლშევიკებს არც იდეურად, არც ორგანიზაციულად საერთო არა აქვთ რა მენშევიკებთან. პირიქით, რევოლუციის გაღრმავების ბოლშევიკური ხაზი უპირისპირდებოდა მენშევიკთა პარლამენტურ, ანუ კონტრრევოლუციურ პროგრამას.[1]

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველმა სამხარეო ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება პარტიული ყრილობისა და პარტიული ცენტრის შესახებ, 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. მიმდინარე მომენტი, 4. დამფუძნებელი კრება, 5. ეროვნული

[1] რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, თბ., 1917, გვ. 14—15.

საკითხი, 6. ორგანიზაციული საკითხი, 7. პარტიული პრესა, 8. აგრარული საკითხი, 9. არჩევნები, 10. სხვადასხვა საკითხი.

დაწვრილებითი მოხსენებები ადგილებიდან მოწმობდნენ ბოლშევიკების გავლენის განუწყვეტელ ზრდას ქალაქებსა და სოფლებში.

მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ს. გ. შაუმიანმა, რომელიც პარტიის VI ყრილობაზე არჩეული იყო რსდმპ(ბ) ცკ წევრად. მოხსენებაში მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ბოლშევიკური ორგანიზაციების ძირითად ამოცანას — მუშებისა და გლეხების მობილიზაციას შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

ყრილობის რეზოლუციაში მიმდინარე მომენტზე ნათქვამი იყო: „რსდმპ (ბ) კავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა აცხადებს, რომ მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები არავითარ ნდობას და არავითარ მხარდაჭერას არ გაუწევენ წერეთლისა და კომპანიის ხელით შეთითხნილ კერენსკი-კორნილოვის კონტრრევოლუციურ, ანტიხალხურ მთავრობას. რევოლუციის მორიგ ამოცანად, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით რა პარტიის ცკ, მიგვაჩნია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა, რომელმაც ხელთ უნდა აიღოს მთელი სახელმწიფო ძალაუფლება.

მუშათა კლასის, ჯარისკაცებისა და გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეუშინდნენ სიძნელეებსა და მსხვერპლს და გაბედულად წავიდნენ წინ ძალაუფლების მოსაპოვებლად და ქვეყნისა და რევოლუციის გადასარჩენად დაღუპვისაგან“.[1]

აგრარულ საკითხს, როგორც რუსეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, უდიდესი ყურადღება დაუთმო კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველმა სამხარეო ყრილობამ.

„აგრარულ საკითხზე ყრილობამ წამოაყენა მოთხოვნა ნაციონალიზაცია ეყოთ მიწებისათვის და მემამულეთა მთელი მიწები დაუყოვნებლივ ორგანიზებულად ჩაეგდოთ ხელში გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ან გლეხთა კომიტეტებს. ყრილობამ მოუწოდა გლეხებს ყველგან შეექმნათ ეს კომიტეტები“ [2].

აგრარულ საკითხზე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ფ. მახარაძე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აგრარული საკითხის გადაწყ-

---

[1] რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, თბ., 1917, გვ. 4.

[2] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 404

ვეტა საერთოდ რუსეთში და, კერძოდ, კავკასიაში გულისხმობს ბატონყმობის ყველა ნაშთის აღმოფხვრას, წოდებათა გაუქმებას, მემამულეთა მიწათმფლობელობისა და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას. მაგრამ დროებით მთავრობას 7 თვის განმავლობაში არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გლეხობას იგი კვებავდა მხოლოდ ცარიელი დაპირებებით, იცავდა მემამულეთა ინტერესებს, ხან ცირკულარებითა და ხან დამსჯელი ექსპედიციებით ომს უცხადებდა გლეხობას. მენშევიკებისა და ესერების პარტიები, რომლებიც კოალიციაში იყვნენ დროებით მთავრობასთან, ნდობას უცხადებდნენ და მხარს უჭერდნენ კაპიტალისტთა და მემამულეთა მთავრობას და ატყუებდნენ გლეხობას. მხოლოდ ბოლშევიკები სახავდნენ აგრარული საკითხის სწორად გადაჭრისა და გლეხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ჯეროვან გზას. „ჩვენ, — განაცხადა ფ. მახარაძემ ყრილობაზე, — ვდგევართ იმ რეზოლუციის თვალსაზრისზე, რომელიც აგრარული საკითხის შესახებ მიიღო ჩვენმა პარტიულმა კონფერენციამ აპრილში“ [1].

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობის დადგენილებას აგრარულ საკითხზე საფუძვლად დაედო რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

გამომდინარე იქიდან, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია ძალაუფლების საკითხთან, ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა: აგრარული საკითხი რუსეთში და კერძოდ კავკასიაში გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ძალაუფლება გადავა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ამ გაგებით და რსდმპ(ბ) VII (აპრილის) კონფერენციის დადგენილებებზე დაყრდნობით, კავკასიის ბოლშევიკების პირველმა სამხედრო ყრილობამ დაადგინა:

1) „პროლეტარიატის პარტია მოითხოვს სახელმწიფოში ყველა მიწის ნაციონალიზაციას, ე. ი. მათ გადაცემას მთელი ხალხის ხელში.

2) პარტიის აზრით, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მემამულეთა მთელი მიწები (მათ შორის საკაბინეტო, საუფლისწულო, სახაზინო, საბეგო, საალალარო, საეკლესიო-სავახშო) წინასწარ შემუშავებული წესით უნდა გადაეიდეს გლეხთა დეპუტატების საბჭოების ანუ

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, თბ., VII, გვ. 56.

გლეხთა კომიტეტების ხელში, რომელთაც მიეცემათ ამ მიწების განკარგულების უფლება.

3) საჭიროა დაუყოვნებლივ ყველგან, ყველა სოფელში თუ ოლქში, მოეწყოს გლეხთა საბჭოები ანუ კომიტეტები ზემოჩამოთვლილი მიწების ხელში ჩასაგდებად, რომლებიც ამა თუ იმ სოფელში ან ოლქშია, ცოცხალ და მკვდარ სასოფლო-სამეურნეო ინვენტართან ერთად და საინიმუშო მეურნეობის მოსაწყობად, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ქონების გაფუჭება და იზრუნონ მეურნეობის განვითარებისათვის. გლეხთა საბჭოების ანუ კომიტეტების კოორდინაციისათვის უნდა შეიქმნას საგუბერნიო და საოლქო ორგანოები საბჭოების ან კომიტეტების სახით".[1]

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების საშუალებად ყრილობამ აღიარა: 1) გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ და არა შეთანხმება კონოვალოვებთან, როძიანკოვებთან და კორნილოვებთან, როგორც ეს მიაჩნდათ მენშევიკებსა და ესერებს, 2) ბრძოლის გამოცხადება შემარიგებელი კამერების საშუალებით, ე. ი. გლეხებსა და მემამულეებს შორის შეთანხმების, მორიგების გზით, აგრარული საკითხის „გადაწყვეტის" მენშევიკური ხერხისადმი, 3) გლეხობის მიერ ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მომრიგებელ-ობორონცების პარტიებთან — მენშევიკებთან და ესერებთან, რომლებმაც უღალატეს მუშებსა და გლეხებს და შეკრეს კავშირი კონტრრევოლუციურ მთავრობასთან.

აგრარულ საკითხზე ყრილობის რეზოლუცია მთავრდება მოწოდებით პარტიის წევრებისადმი — „აუხსნან უღარიბეს გლეხებს, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც გადაჭრით უჭერს მხარს უღარიბესი გლეხობის რევოლუციურ მოთხოვნებს, არის პროლეტარიატის პარტია ანუ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, ე. ი. ბოლშევიკების პარტია. მხოლოდ ეს პარტია იცავს თანმიმდევრულად და სრულად ყველა მშრომელის ინტერესებს, მხოლოდ ის იბრძვის ყველა ხალხის ძმობისათვის, ომის სწრაფად დამთავრებისა და კაპიტალიზმის უღლის დამხობისათვის" [2].

რსდმპ(ბ) კავკასიის ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობის დადგენილებას აგრარული საკითხის თაობაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაშლი-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 107.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 107—108.

სათვის საქართველოში. იგი წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა საბრძოლო რევოლუციური კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის პროგრამას.

1917 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მნიშვნელოვნად გაძლიერდა აგრარული მოძრაობა, გაიზარდა გლეხების მიერ მემამულეთა, სახაზინო და საუფლისწულო მიწების დატაცება. საქართველოს უმიწაწყლო გლეხები უარს ამბობდნენ საიჯარო გადასახადებზე და ნაკვეთებს ინაწილებდნენ ურთიერთშორის. ასე ხდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

უმიწაწყლო გლეხობის თვითნებური მოქმედების საწინააღმდეგოდ, ე. წ. „აგრარულ უწესობათა" მოსაგვარებლად ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა და მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო საბჭომ დამსჯელი რაზმები აამოქმედეს.

12 სექტემბერს თბილისის გუბერნიის კომისარი მენშევიკი პოპოვი თავის მოხსენებაში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის სახელზე წერდა, რომ აუცილებელია სამხედრო ნაწილების ჩაყენება თელავის მაზრაში, ბორჩალოში, შულავერში, ბაშკიჩეთში, ეკატერინეფელდსა და ჯალალაღლოღლში —ეს-ასი კაცისა, თბილისის მაზრაში ნახევარი ასეულისა.

26 სექტემბერს სიღნაღის სამაზრო კომისარმა დეპეშით მოითხოვა საიმედო ჯარის გაგზავნა: დაბა წითელწყაროში — 400, ველისციხეში —100. ლაგოდეხში — 100 კაცისა და სხვა. 1917 წლის 4 ოქტომბერს ჯარისკაცთა ასეულის გაგზავნას თხოულობდა თელავის მაზრის კომისარი.

შულავერიდან (ბორჩალოს მაზრაში) კავკასიის არმიის შტაბს დეპეშით ატყობინებდნენ: „ხელისუფალნი უძლურნი არიან, გთხოვთ გამოგზავნოთ კაზაკები წესრიგის აღსადგენად".[1]

საქართველოს საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა მენშევიკმა ჩხენკელმა კვლავ გასცა განკარგულება „მიეღოთ უაღრესად გადამწყვეტი ზომები გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ".

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოშიც — ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმის ოლქში, შორაპნის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში. მაგრამ ამიერკავკასიის განსაკუთრებუ-

[1]Борьба зо победу Советской власти в Грузии, стр. 59—60.

ლი კომიტეტისა და მენშევიკურ-ესერული სამხარეო საბჭოს დამსჯელ რაზმებს არ შეეძლოთ საქართველოს სოფლებში დანთებული აგრარული რევოლუციის ხანძრის ჩაქრობა, ის დღითიდღე ძლიერდებოდა და წალეკვას უქადდა მემამულურ მიწათმფლობელობას საქართველოში.

როდესაც საქართველოს სოფლებში აგრარული რევოლუციის ხანძარი ენთო, რუსეთში მიმდინარეობდა უდიდესი სამზადისი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად ბოლშევიკურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარა.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) წითელმა გვარდიამ და რევოლუციურმა ჯარისკაცებმა მუშებთან ერთად მოაწყვეს აჯანყება პეტროგრადში და გამარჯვება მოიპოვეს. დაემხო ბურჟუაზიული მთავრობა. კრეისერ „ავრორას“ ზარბაზნების ქუხილმა მთელ მსოფლიოს ამცნო ახალი ეპოქის დასაწყისი. დამყარდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება — პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოების მეორე ყრილობამ, რომელიც აჯანყების გამარჯვების დღესვე შეიკრიბა პეტროგრადში, მიიღო დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. შედგა საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. მთავრობას სათავეში ჩაუდგა რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ვ. ი. ლენინი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა. ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა რუსეთში და ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე გამოიყვანა, არამედ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მთელ კაპიტალისტურ სამყაროს. რუსეთის პროლეტარიატის ამ დიდ გამარჯვებას რომ ახასიათებდა, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „...ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“.[1]

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ცხოველი გამოხმაურება და აქტიური მხარდაჭერა პოვა. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის და სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში გამართულ ხალხმრა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 276.

ვალ მიტინგებსა და კრებებზე მუშები მიესალმებოდნენ პეტროგრადელ თანამოძმეთა გამარჯვებას, თვლიდნენ მას უდიდეს ისტორიულ მოვლენად და გამოთქვამდნენ ადგილობრივ ბურჟუაზიაზე გადამწყვეტი შეტევის მზადყოფნას.

პეტროგრადის მოვლენები საქართველოს მუშებს ნათლად არწმუნებდნენ, რომ ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც საქმით იცავს მშრომელთა ინტერესებს, საბჭოთა მთავრობაა, რომ მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც წინ მიუძღვის რუსეთის პროლეტარიატს გმირულ ბრძოლაში, შეუძლია ქართველი მუშები და გლეხები ასეთსავე გამარჯვებამდე მიიყვანოს, მენშევიკთა ბატონობა დაამხოს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყაროს.

უდიდესი გამარევოლუციურებელი და დამრაზმველი ძალა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ცნობას საქართველოს სოფლებზე. 5 ნოემბერს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიმ“ მოათავსა სტატია „სამიწათმოქმედო პროგრამა“, სადაც ჩამოთვლილი იყო მიწის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის ძირითადი მუხლები და მოცემული — მათი განმარტება. ამ ისტორიულ ღონისძიებებში ღარიბმა გლეხებმა მათი სასიცოცხლო ინტერესების პრაქტიკული განხორციელება დაინახეს. მშრომელი გლეხობის რევოლუციური აქტივობის ზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს სოფლებში მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცთა დაბრუნებამ, რაც ნოემბერში დაიწყო. ისინი თანასოფლელებს მოუთხრობდნენ საკუთარი თვალით ნანახ დიდ მოვლენებს და მათ ადგილობრივი კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდნენ.

თავი II

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები საქართველოში 1918 წელს

1917 წლის 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი) ბრწყინვალე თარიღია კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ დღეს რუსეთის პროლეტარიატმა, უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

პეტროგრადში მომხდარი გადატრიალება მთელ რუსეთში პროლეტარული რევოლუციის განვითარების მძლავრ ბიძგად იქცა. იგი აღაფრთოვანებდა ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს, მშრომელ მასებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

მძიმე და რთულ პირობებში მიმდინარეობდა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სამი წლის მანძილზე იბრძოდნენ საქართველოს მშრომელები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობისა და უცხოელ იმპერიალისტთა ბატონობის დასამხობად. სოციალისტური რევოლუციის დაგვიანება საქართველოში გამოწვეული იყო იმ საშინაო და საგარეო ვითარების თავისებურებებით, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ ი. ბ. სტალინი სტატიაში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით“ წერდა: „ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა — „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს“ მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე

დააყენა ჩაგრული მასები. და როცა ამ ლოზუნგმა, რომელიც ჩრდილოეთ რუსეთში გაისმა, იქ განხორციელება იწყო, ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლებას გარდუვალი სიკვდილი მოაქვთ მათთვის".[1]

მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით თბილისში შეიქმნა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი". კონტრრევოლუციონერთა თათბირზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანტისაბჭოთა პარტიების, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სადაც ხელმძღვანელ როლს მენშევიკები და ესერები ასრულებდნენ, 1917 წლის 14 ნოემბერს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მთავრობა (ამიერკავკასიის კომისარიატის სახელწოდებით) მენშევიკ ე. გეგეჭკორის მეთაურობით.

ამიერკავკასიის კომისარიატი დაჰპირდა ხალხს, რომ უახლოეს დროში გადაწყვეტდა მიწის, სურსათის, ეროვნულ და ფინანსურ საკითხებს, დადებდა ზავს, შემოიღებდა დემოკრატიულ ერობას და გადაარჩენდა მხარეს სამოქალაქო ომის საშინელებისაგან. მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატი სინამდვილეში კონტრრევოლუციურ პოლიტიკას ახორციელებდა და თავისი მოღვაწეობის სამი თვის მანძილზე არც ერთი სოციალური პრობლემა არ გადაუწყვეტია, მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არც ერთი ღონისძიება არ გაუტარებია.

რსდმპ(ბ) კავკასიის კომიტეტმა სპეციალური მოწოდებით მიმართა მშრომელებს ამიერკავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „მთავრობის მთელი შემადგენლობა აშკარა მტერია რუსეთის რევოლუციისა. არც ერთი მისი წევრი არ არის მომხრე პროლეტარიატის გამარჯვებისა. არც ერთი მათგანი არ ებრძვის ბურჟუაზიას. ისინი ირაზმებიან რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ, ისინი კავკასიას გლეჯენ რევოლუციური რუსეთიდან და ზურგიდან თავს ესხმიან მებრძოლ პროლეტარიატს.

არავითარი ნდობა მენშევიკ და დაშნაკცაკან-ესერ-კადეტების მიერ ხალხის ზურგს უკან შექმნილ მთავრობას. მუშებო, გლეხებო, სალდათებო, ყველა მშრომელნო, მხარი დაუჭირეთ მუშებისა და გლეხების მთავრობას, შეუერთდით რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, სრული

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 57.

ნდობა გამოუცხადეთ მის მთავრობას, გვერდში ამოუდექით და ენერ-
ვიულად დაეხმარეთ მის გმირულ ბრძოლას. მხოლოდ რუსეთისა და
მთელი ქვეყნის მშრომელ კლასებთან სოლიდარობა უზურნველყოფს
ხალხის მტრებზე გამარჯვებას, მოგანიჭებთ ზავს, მიწას და თავისუფ-
ლებას".[1]

ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის თებერვალში თბილისში
მოიწვია ე. წ. ამიერკავკასიის სეიმი, რომლის მიზანი იყო საბჭოთა რუ-
სეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმის შემუშავება და ამი-
ერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის რაც შეიძლება სწრაფად
ჩახშობა, აგრეთვე საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორე-
ბის იურიდიული გაფორმება. სეიმი შედგებოდა მენშევიკთა, ესერთა,
დაშნაკთა და ხანთა დეპუტატებისაგან. ბოლშევიკებმა უარი განაცხა-
დეს სეიმში მონაწილეობის მიღებაზე. სეიმი იყო ბურჟუაზიულ-შოვი-
ნისტური და ცრუსოციალისტური პარტიების წარმომადგენლობა, რო-
მელიც სრულებით არ გამოხატავდა მუშებისა და მშრომელი გლეხე-
ბის ინტერესებს. იგი, როგორც კონტრრევოლუციური კლასების სუ-
ლისკვეთების გამომხატველი, ცდილობდა საბოლოოდ შეემუსრა საბ-
ჭოები, ადასტურებდა ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთისაგან და
ყოველივე ამით ქვეყანა მიჰყავდა დაღუპვისაკენ. სეიმის გახსნის წინ
მთავრობამ დაიწყო რეპრესიები. დააპატიმრა რამდენიმე ამხანაგი ბოლ-
შევიკური კომიტეტიდან, დახურა ბოლშევიკური გაზეთები: „კავკაზ-
სკი რაბოჩი", „ბრძოლა" და „ბანვორო კრივი", დაარბია სტამბები.
ყოველივე ამან თბილისის მუშების აღშფოთება გამოიწვია. ყველგან
იმართებოდა მიტინგები. მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების
განთავისუფლებას და გაზეთების გამოშვების განახლებას.

სეიმის გახსნის დღეს, 10 თებერვალს, რსდმპ(ბ) კავკასიის სამხა-
რეო და თბილისის კომიტეტებმა ალექსანდრეს ბაღში (დღევანდელი
26 კომუნარის ბაღი) დანიშნეს კონტრრევოლუციური სეიმის საწინააღ-
მდეგო მიტინგი. ამიერკავკასიის კომისარიატმა მუშებს აქ შეიარაღე-
ბული ბანდა მიუსია, რომელმაც იწყო მიტინგის დახვრეტა. ამ ვერა-
გულმა მოქმედებამ ახალი, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ამიერკავ-
კასიისა და, კერძოდ, საქართველოს მშრომელებში. მთელ საქართველო-
ში ტარდებოდა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები. მუშები,
ჯარისკაცები და გლეხები კიცხავდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1917 წლის 17 ნოემბერი.

პოლიტიკას, მოითხოვდნენ კონტრრევოლუციური სეიმის გარეკვას, საბჭოთა რუსეთთან კავშირურთიერთობის აღდგენას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

„მიტინგის მხეცური დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თბილისში გამოცხადდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რკინიგზელმა მუშებმა, მბეჭდავთა კავშირმა, არსენალის მუშებმა, მეტყავეთა კავშირმა, ტოლეს, ზაგარიანის, ბასენცოვის, მამადბეკოვის და სხვა ქარხნების მუშებმა“ [1]. გაფიცვაში მონაწილე მუშები მოითხოვდნენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას და 10 თებერვლის ამბების გამოძიებას.

1918 წლის 11 თებერვალს ქ. თბილისის მუშათა ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენ მოვითხოვთ: 1) დაუყოვნებლივ გაუქმდეს ბრძანება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების — ამხ. შაუმიანის და მისი მდივნის ამხ. კუზნეცოვის დაპატიმრების შესახებ, 2) განთავისუფლდეს ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკი, 3) გამოვიდეს გაზეთები: „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანვორო კრივი“, 4) არავინ დაისაჯოს ახლანდელ პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილეობისათვის.

...ჩვენ მოვითხოვთ იმ პირების დაუყოვნებლივ დაპატიმრებას და რევოლუციურ სამართალში მიცემას, ვინც დამნაშავენი არიან 10 თებერვლის მშვიდობიანი მუშათა მიტინგის დახვრეტაში.

ძირს ჯალათები, რომლებმაც დაღვარეს უდანაშაულო მუშების სისხლი!

გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას“ [2].

ამხელდა რა ამიერკავკასიის კომისარიატის საშინელ ბოროტმოქმედებას სადგურ შამხორთან და თბილისში ალექსანდრეს ბაღში, ი. ბ. სტალინი წერდა: „.....უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს, და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის „სეიმურ“ ნაციონალურ დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული“ [3].

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბილისი, 1957, გვ. 150.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 218—219.

[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 70—71.

სეიმი განაგრძობდა მისი წინამორბედის — ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკას, იგი წარმოადგენდა უცხოელი იმპერიალისტების იარაღს, მას არც ერთი ღონისძიება არ განუხორციელებია მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესების დასაცავად.

ამიერკავკასიის კომისარიატის მსგავსად სეიმმაც სამიოდე თვე იარსება. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა. იმავე დღეს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის შექმნის შესახებ. „დამოუკიდებელმა" საქართველომ, რომელიც საბჭოთა რუსეთს ჩამოსცილდა, ორიენტაცია აიღო ევროპის იმპერალისტურ სახელმწიფოებზე.

მენშევიკებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე თავს ასაღებდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებად, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მშრომელი მასების ნება-სურვილის წინააღმდეგ თავიანთი დიქტატურა დაამყარეს. ძალაუფლება მთლიანად შეძლებული კლასების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელში დარჩა. ქართველი მენშევიკები წინ აღუდგნენ მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საქმეს, რაც მაშინ საქართველოშიც დღის წესრიგში იდგა.

ამგვარად, „ასეთი იყო მდგომარეობა ამიერკავკასიაში კერძოდ საქართველოში 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში, რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში. მაგრამ პროლეტარული რევოლუცია ამიერკავკასიაში ელოდა ახალ ძალას. ეს იყო ჯარისკაცები, რომლებმაც, დაბრუნდნენ რა ფრონტიდან, აგრარული რევოლუციის ხანძარი მოსდეს სოფლებს".[1]

ჩვენი მიზანია საქართველოში 1918 წლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაშუქება, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გლეხობის ბრძოლის თანმიმდევრულად გადმოცემა. რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ყველა საკითხის სრულყოფილად და ამომწურავად გაშუქებისა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავიდანვე შევეხოთ იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ეს მოძრაობა, ვინაიდან ისინი საერთო იყო 1918 წელს საქართველოში მომხდარი ყველა აჯანყებისათვის.

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს., თბილისი, 1959 წ., 11, გვ. 372.

გლეხთა მღელვარებისა და მათი რევოლუციური გამოსვლების პირველი და ძირითადი მიზეზი იყო აგრარული საკითხი. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მოაგვარა უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე ეს საქმე, რაშიც სისტხორცეულად იყო დაინტერესებული სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — ღარიბი და საშუალო გლეხობა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის დეკრეტმა მიწის შესახებ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს მშრომელ გლეხობაზე. საქართველოს მენშევიკურ-ესერული მთავრობა არც ფიქრობდა აგრარული საკითხი მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ გადაეწვიტა და ამიტომ გლეხობას მხოლოდ დაპირებებით კვებავდა. სოფლის მშრომელთა მოთმინების ფიალა აივსო და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა მთელ საქართველოს მოედო. მან მემამულეებისა და მისი დამცველი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. მენშევიკების ორგანო გაზ. „ერთობა", შეშინებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციითა და საბჭოების მეორე ყრილობის დეკრეტით მიწის შესახებ, თავის მოწინავეში „დაყოვნება შეუძლებელია" წერდა: „ჩვენ არ შეგვიძლია გულხელდაკრეფილი ვისხდეთ და მოველოდეთ, სანამ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს და გლეხობას მიწას მისცემდეს. ეს კითხვა ჩვენ უნდა გადავჭრათ ადგილობრივად... თუ ჩვენ დღესვე არ დავაკმაყოფილეთ ხალხი, დემოკრატია დასუსტდება და მის რაზმებში არევ-დარევა იქნება შეტანილი".[1] მთავრობა იძულებული შეიქნა არ დალოდებოდა დამფუძნებელ კრებას და გლეხობის მოსატყუებლად მიწის საკითხის მოგვარებისათვის მოეკიდა ხელი.

1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა დებულება „სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირებისა და კერძომფლობელურ მიწათა საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ". აღნიშნული დებულება თავისი ხასიათით წარმოადგენდა ცარიელ დეკლარაციას, რომელსაც არავითარი ძალა არ ჰქონდა. „ამ დებულების პირველ მუხლში ნათქვამი იყო: „ყველა სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო და კერძომფლობელური მიწა გარკვეული ნორმის ზევით, რისი ოდენობაც ცალკე იქნება განსაზღვრული, სამხარეო საადგილმამულო ფონდში გადადის"... ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამია:

---

[1] გაზ. „ერთობა", 1917 წლის 21 ნოემბერი.

„საადგილმამულო კომიტეტებს არ გადაეცემათ კარმიდამოები და საკარმიდამო მიწები“. დებულება არავითარ პასუხს არ იძლეოდა იმ საკითხზე, თუ რომელი ნორმის ზევით მოხდებოდა მიწის ჩამორთმევა“ [1].

„დეკრეტში მიწის შესახებ“ რეალური იყო ხიზნური ურთიერთობის გაუქმება და ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება გამოსასყიდისაგან 1918 წლის 1 იანვრიდან. ამ შემთხვევაში იმის ფიქსირება ხდებოდა, რაც უკვე განხორციელებული იყო, ვინაიდან მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ გლეხებმა თვითნებურად შეწყვიტეს გადასახადის შეტანა და აღარც ცნობდნენ ხიზნურ დამოკიდებულებას მემამულისადმი.

ამ „დეკრეტის“ გამოცემიდან ორი თვის შემდეგ, 1918 წლის 15 თებერვალს, ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე ქართველი მენშევიკების ლიდერი ნოე ჟორდანია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო ის მთავარი, ძირითადი დაკმაყოფილება, რასაც ის მოითხოვდა იმთავითვე და რისთვისაც ის ჩადგა რევოლუციის რიგებში, ჩვენი ხალხი კიდევ ვერ ეღირსა აგრარული საკითხის გადაჭრას. ჩვენ მოგვეპოვება დეკრეტები, მაგრამ ისინი ქაღალდზე დარჩნენ!... და სანამ ჩვენში არ იქნება მოგვარებული აგრარული საკითხი,... ანარქია თანდათან გაიზრდება, და შესაძლებელია, ეს ანარქია ბოლოს და ბოლოს ჩვენ წაგვლეკავს“ [2]. ნოე ჟორდანიას აღნიშნული სიტყვა კომენტარს არ საჭიროებს.

გლეხთა მზარდი რევოლუციური მოძრაობით დაშინებულმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა 1918 წლის 7 მარტს გამოსცა კიდევ ერთი დეკრეტი მიწის შესახებ. ეს დეკრეტი თავისებური განმარტება იყო 1917 წლის 16 დეკემბრის კანონისა, რომელიც იცავდა მემამულეთა ინტერესებს და სრულებითაც არ იყო გამიზნული უმიწაწყლო გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

1921 წელს ფ. მახარაძე წერდა: „გაბრუებულმა გლეხური რევოლუციის შიშით, მკვდრად დაბადებულმა და კონტრრევოლუციურმა ამიერკავკასიის სეიმმა გამოსცა კანონი (1918 წლის 8 მარტის თარი-

---

[1] მიწათმოქმედების სამინისტროს კანონების, ინსტრუქციებისა და განმარტებათა კრებული, თბილისი, 1918, გვ. 42—45; ციტირებულია გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 131.

[2] ნ. ჟორდანია, სიტყვები და მოხსენებები, თბილისი, 1919, გვ. 66.

ლით) „მფლობელთათვის დასატოვებელი მიწის ნორმის განსაზღვრაზე და მიწის რეფორმის განსახორციელებელ ზომებზე“ [1]. 1918 წლის 7 მარტის კანონით მემამულეებს ნება ეძლეოდათ მიეღოთ მიწის ორი, სამი და მეტი ნორმა ოჯახის ფიქტიური გაყოფის გზით. ამ „რეფორმით“ მიწის საუკეთესო ნაკვეთები რჩებოდა მემამულეთა ხელში. მენშევიკურმა მთავრობამ შექმნა ე. წ. გასანაწილებელი ფონდი, რომლის ხელშიც გადადიოდა უვარგისი მიწები და რომელზეც ისეთი მაღალი ფასები იყო დაწესებული, რომ მისი შეძენა უძნელდებოდა საშუალო გლეხობასაც კი.

მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი შემდეგში ასე ამართლებდა ამ ღონისძიებას: „მიწა რევოლუციამ მოგვცა, მაგრამ რევოლუცია პარტო გლეხებს არ მოუხდენია... გლეხობას არ სწამს უფასოდ შენაძენი — მისახვედრია გლეხი კერძო მესაკუთრეა, მას საკუთრებად მიაჩნია ის, რაშიც ფული ან შრომა გაუღია“ [2].

რასაკვირველია, ამის შემდეგ ფუჭი იყო მენშევიკური პარტიის ოფიციოზის — „ერთობის“ მტკიცება იმის შესახებ, რომ „ამიერიდან სოფლად მოსპობილია მემამულის უპირატესობანი: სოფლის მუშას. გლეხკაცს თავისუფლად განვითარებისათვის გზა ეხსნება და ისიც სწორუფლებიანი მოქალაქე ხდებაო“ [3].

მეურნეობის „სათანადო სიმაღლეზე“ დატოვების მომიზეზებით 1918 წლის 2 მაისს სეიმმა კიდევ გამოსცა ერთი კანონი მიწის შესახებ. ამ კანონის თანახმად, კერძო მესაკუთრისაგან ჩამორთმეული მამულები ან მათი ნაწილები, რომლებსაც ჰქონდათ განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულება, საოლქო და საგუბერნიო მიწის გამგეობის განკარგულებით, შეიძლებოდა დაეტოვებინათ წინანდელი მფლობელისათვის. ეს იყო მენშევიკური მთავრობის მორიგი თვალთმაქცობა, რომელიც ხსენებული კანონით ადასტურებდა და ამტკიცებდა მემამულურ მიწათმფლობელობას.

ამგვარად, ამიერკავკასიის კომისარიატისა და კონტრრევოლუციური სეიმის მიერ ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმებმა 1918 წელს

---

[1] ფ. მახარაძე, მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, თბ., 1921, გვ. 49.

[2] პარტიული არქივი (თბილისი) — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 72, საქმე 120, ფ. 45.

[3] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 15 თებერვალი.

თითქმის მთელი საქართველოს გლეხობა აამხედრა მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

„1918 წელს ადგილი ჰქონდა 20-ზე მეტ გლეხთა აჯანყებასა და შეიარაღებულ შეტაკებას.

განსაკუთრებით მწვავე და ფართო ხასიათის გლეხთა აჯანყებები მოხდა ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის, დუშეთის, შორაპნის, თიანეთის და გორის მაზრებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“.[1]

საფიქრებელი იყო, რომ 1918 წელს მომხდარი ამბების მწარე გაკვეთილებიდან გარკვეულ დასკვნას გამოიტანდნენ მენშევიკები და სერიოზულად მოჰკიდებდნენ ხელს აგრარული საკითხის გადაჭრას, მაგრამ ასე არ მოხდა; 1919 წლის 28 იანვარს მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა „კანონი მიწის სახელმწიფო ფონდიდან მცხოვრებლებისათვის მიწების კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ“. აღნიშნული კანონი ახალს არაფერს შეიცავდა, ის მხოლოდ ადასტურებდა კომისარიატისა და სეიმის მიერ გამოცემულ კანონებს. ეს კანონი კვლავ შეძლებული კლასების ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან მიწის ყიდვა მხოლოდ კულაკებმა შეძლეს, ღარიბი უმიწაწყლო გლეხობა კი ისევ უმიწოდ დარჩა. გაზეთი „მიწაც“ იძულებული იყო ეღიარებინა: „მიწები კვლავ ხელთ იგდეს შეძლებულებმა, რომლებსაც საკმაოდ მოეპოვებათ როგორც ცოცხალი, ისე უსულო ინვენტარი და საშუალება აქვთ დაამუშაონ იგი“.[2]

მენშევიკები დაპირებებით, მყვირალა ფრაზებით კვებავდნენ გლეხობას, მაგრამ მათი მოტყუება უკვე შეუძლებელი იყო, რადგან თვალწინ ედგათ ორი რევოლუციის გამოცდილება. გლეხობა თანდათან რწმუნდებოდა, რომ ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა მას არაფერს მისცემდა, საჭირო იყო იარაღით მოეპოვებინა მიწაც და თავისუფლებაც.

უმიწობა, მთავრობის მოხელეების უდიერობა, სიღარიბე, სიშიშვლე და შიმშილი, პოლიტიკური უუფლებობა საქართველოს გლეხობას გარდუვალად მიაქანებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ.

ვერც ამიერკავკასიის კომისარიატმა, ვერც სეიმმა და ვერც „დამო-

---

[1] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წწ. II, თბ., 1965, გვ. 149.

[2] გაზ. „მიწა“, 1920 წლის 30 ნოემბერი.

უკიდებელი“ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გადაჭრა ნაციონალური საკითხი. მენშევიკებს არ მიუციათ ავტონომია აფხაზებისათვის, ოსებისა და აჭარლებისათვის. პირიქით, ისინი მთელი თავისი ბატონობის მანძილზე შუღლს თესდნენ ქართველ და სხვა ერებს შორის.

„საქართველო ქართველებისათვის“ — ასეთი იყო მენშევიკების შოვინისტური ლოზუნგი ეროვნულ საკითხში. მენშევიკების ასეთი მოქმედება უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა საქართველოს მრავალეროვან მშრომელ მოსახლეობაში, ამიტომ, ბუნებრივია, მენშევიკების დიდმპყრობელური პოლიტიკაც საქართველოს გლეხობის აჯანყების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა.

1918 წელს გლეხთა რევოლუციური გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს, ქართველი ხალხი—რუს ხალხს. მენშევიკებს უნდოდათ დაერღვიათ რუსი და ქართველი ხალხის მეგობრული კავშირი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა. მენშევიკებმა საქართველო უცხოეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს მიუგდეს საჯიჯგნად, რაც უდიდეს აღშფოთებას იწვევდა გლეხობაში. ამიტომ ქართველი გლეხობა იარაღით იბრძოდა კოლონიალიზმის მძიმე უღლის გადასაგდებად.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამომწვევ სხვა მრავალ მიზეზს შორის შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმის სრული მოშლა. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ძალიან დაბალ დონეზე იდგა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, იშვიათი იყო საქართველოში მაზრა, სადაც ერთი ან ორი ექიმი ყოფილიყო. გავრცელებული იყო ე. წ. ექიმბაშობა, რაც ათასობით მშრომელს ასალმებდა წუთისოფელს. მოსახლეობას ანადგურებდა შავი ჭირი, ტიფი და სხვა დაავადება, ხოლო მათ წინააღმდეგ მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობდა.

უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო განათლებისა და კულტურის საქმე; ის რაც მენშევიკებმა მიიღეს მემკვიდრეობით, დაინგრა და მოიშალა. სკოლები უხარისხობის გამო იხურებოდა, სასკოლო შენობების ნაწილი გვარდიელებს, ჯარს და მილიციას ეკავა. თვით მენშევიკური გაზეთიც — „ხალხის მეგობარი“ იძულებული იყო აღენიშნა, რომ „დაინგრა და განადგურდა სკოლები... შენობებს არ გააჩნია აივანი, ფან-

ჯრები ნახევარზე მეტი დამტვრეულია, ბუხრები დანგრეულია, სასწავლებლის ოთახებში მილიციელები დგანან".[1]

აუტანელი იყო მასწავლებელთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ისინი თვეობით ვერ ღებულობდნენ ისედაც მათხოვრულ ხელფასს, ამიტომ სისტემატური ხასიათი ჰქონდა მასწავლებელთა გაფიცვებს, პროტესტებსა და მღელვარებებს.

მენშევიკების მიერ გადაუჭრელი ყველაზე აუცილებელი საკითხების მარტო ჩამოთვლა და შექმნილი მდგომარეობის ასეთი ზოგადი დახასიათებაც კი ნათელს ხდის, რომ მენშევიკების ბატონობის წლები საქართველოს მშრომელებისათვის უაღრესად მძიმე და აუტანელი იყო, რომ ამ პირობებს მშრომელები გარდუვალი აუცილებლობით მიჰყავდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ამგვარად, მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში საქართველოს მშრომელები, ქართველი გლეხები ეკონომიკური და პოლიტიკური შევიწროების ისეთ რკალში მოემწყვდნენ, რომ მათ წინაშე ორი არჩევანი იდგა: ერთი—შიმშილის, სიკვდილისა და დამონების გზა, მეორე — რევოლუციური ბრძოლა, მენშევიკური დიქტატურის დამხობა და თავისუფლების მოპოვება იარაღით ხელში. სხვა გამოსავალი ქართველი მშრომელი მასებისათვის, ქართველი გლეხობისათვის არ არსებობდა.

„მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესების დამცველმა მენშევიკურმა მთავრობამ, — წერს პროფ. ა. სურგულაძე, — სამწლიანი არსებობის მანძილზე საქართველო კატასტროფის პირამდე მიიყვანა, მოშალა მისი მრეწველობა და სოფლის ძეურნეობა, გაამეფა ნგრევა, გაპარტახება და შიმშილი, საწარმოო ძალების ნგრევა და გაჩანაგება გამოიწვია. წარმოებითი ურთიერთობა არათუ არ შეესაბამებოდა საწარმოო ძალების ხასიათს, არამედ, პირიქით, მისი განვითარების ბორკილად იყო გადაქცეული. მემამულეები, კაპიტალისტები და მათი დამცველი მენშევიკური მთავრობა უცხოეთის იმპერიალისტთა ხიშტებზე დაყრდნობით... გააფთრებით ებღაუჭებოდნენ ძველს, ებღაუჭებოდნენ არსებულ წარმოებით ურთიერთობას და ხელს უშლიდნენ საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიური კანონის მოქმედებას.

მაგრამ მათი ცდა ამაო იყო. ქვეყნის შიგნით ხანგრძლივ ბრძოლაში

---

[1] გაზ. „ხალხის მეგობარი", 1918 წლის 30 მაისი.

იწრთობოდნენ და იზრდებოდნენ რევოლუციური ძალები. იზრდებოდა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საბრძოლო კავშირი. მას სათავეში ედგა კომუნისტური პარტია, რომელსაც გზას ოქტომბრის დროშა უნათებდა. ამ ძალამ მოძმე რუსი პროლეტარიატის დახმარებით შეძლო დრომოჭმული ძალების დამარცხება".[1]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოს მშრომელთა სამწლიან დაუცხრომელ ბრძოლაში 1918 წელს განსაკუთრებული ადგილი უკავია. 1918 წლის თებერვლიდან რევოლუციური ტალღა ერთბაშად აზვირთდა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებში. მენშევიკური მთავრობა არა მარტო თავის დამსჯელ ექსპედიციებს იყენებდა აჯანყების კერების ჩასახშობად, არამედ საქართველოში მოკალათებულ გერმანელ ოკუპანტებსაც.

მენშევიკები და მათი დამქაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ყოველთვის ალამაზებდნენ „დემოკრატიული საქართველოს" საშინაო მდგომარეობას და მათ მიერ დამყარებულ რეჟიმს სამოთხეს უწოდებდნენ, იძულებული იყვნენ თვითონვე ეღიარებინათ მთავრობისადმი გლეხობის მტრული დამოკიდებულება.

„საქართველოს თითქმის ნახევარი გახვეულია სახალხო აჯანყების და ანარქიის ცეცხლის ალში, — წერდა მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", — დუშეთის მაზრაში გლეხობამ იარაღი ხელში აიღო და აქტიურად გამოვიდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო გზაზე დარიალის ხეობაში მთავრობის ჯარები გარშემორტყმულია აჯანყებულთა მიერ და არავინ იცის, რა მოელის ამ რაზმს. გორის მაზრაში მეტისმეტი მღელვარებაა. ოსეთში დიდი ამბები მწიფდება და დღემდე მოსალოდნელია შეიარაღებული გამოსვლა დუშეთის მსგავსად. თიანეთის მაზრაში მღელვარება ძლიერდება და სახიფათო სახეს ღებულობს, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ქუთაისის გუბერნიაში. რაჭის მაზრაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებებს. ასეთივე შეტაკებები იყო ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრებშიაც. სერიოზული ამბები დატრიალდა საჩხერის ოლქშიაც"[2]. ეს იყო სანახევრო აღიარება იმ დროს საქართველოში დატრიალებული ამბებისა: უკვე აღარ შეიძლებოდა იმის დამალვა, რაც ყველა კუთხეში და ყველას თვალწინ ხდებოდა.

---

[1] ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წ.წ.), 1954, გვ. 213—214.

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", 1918 წლის 26 ივლისი.

მენშევიკების მთავრობა ცდილობდა უმკაცრესი კანონები შემოეღო აჯანყებულთა სალიკვიდაციოდ. მას არ სურდა შეესრულებინა გლეხთა მოთხოვნები: მიწა, მოქალაქეობრივი თავისუფლება, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ალაგმვა, საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენა-შეერთება.

მენშევიკური მთავრობის წინადადებით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ყველა ფრაქციის ერთსულოვანი მოწონებით, 1918 წლის 5 ივლისს მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ. კანონი სპეციალურად იყო მიმართული აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ეს კანონი მენშევიკებმა მეტად ფართოდ გამოიყენეს: ისინი აარსებდნენ დამსჯელ სამხედრო-საველე სასამართლოებს და სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულ მშრომელებს. ასე უპასუხა მენშევიკურმა მთავრობამ მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს მიწისა და თავისუფლების შესახებ.

მენშევიკების მტკიცება გლეხური „კონტრრევოლუციის“ მოძალების, დემოკრატიული მთავრობისადმი საქართველოს „ჩამორჩენილი“ გლეხური რაიონების მტრობის შესახებ აშკარა სიცრუე და პროვოკაცია იყო. ჯერ ერთი, საქართველოს მშრომელი გლეხობა არათუ კონტრრევოლუციური, არამედ პროლეტარიატის შემდეგ ერთადერთი რევოლუციური ძალა იყო, რომელზე დაყრდნობითაც შეეძლო მუშათა კლასს თავისი საბრძოლო ამოცანის განხორციელება. მეორეც, საქართველოს საერთო აგრარულ-რევოლუციური ხანძარი მოდებული ჰქონდა არა ჩამორჩენილ, არამედ მოწინავე რაიონებს: იბრძოდა როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველო. მართალია, გურია (რომელიც მხედველობაში ჰქონდათ მენშევიკებს) 1918 წელს მართლაც დუმდა, მაგრამ ეს იყო დროებითი დუმილი, რომელიც განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზით. 1919 წლიდან გურიის მშრომელმა გლეხობამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ისევ ავანგარდული პოზიცია დაიკავა.

ჯერ კიდევ 1918 წლის 26 იანვარს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ბოლშევიკებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს გლეხებს და სოფლის ღარიბ-ღატაკებს. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „როგორ უნდა დავეხმაროთ რუსეთის პროლეტარიატს, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი მის გამარჯვებას? ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც მთელ რუსეთში აკეთებს პროლე-

ტარიატი. მან ხელთ აიღო ძალაუფლება ცენტრში, ჩვენმა მშრომელმა ხალხმა უნდა აიღოს ძალაუფლება ადგილობრივად. მან ჩამოართვა მიწები მემამულეებს და გადასცა ისინი მშრომელ ხალხს, ჩვენც უნდა ჩამოვართვათ მიწები ჩვენს მემამულეებს და მთელი მშრომელი ხალხის კუთვნილებად გავხადოთ იგი. მან შეაიარაღა ხალხის ინტერესების დამცველი წითელი გვარდია, ჩვენც უნდა შევქმნათ შეიარაღებული რაზმები, რომლებიც დაიცავენ მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ყველა ამის განხორციელება მოახერხა რუსეთის პროლეტარიატმა იმიტომ, რომ მოეპოვება ამის შესაფერისი ძლიერი იარაღი. ეს იარაღია მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოები. ჩვენც უნდა დავაარსოთ საბჭოები და მხოლოდ მაშინ შევძლებთ დიადი საქმის განხორციელებას.

ყოველ სოფელში უნდა დავაარსოთ სოფლის გლეხთა დეპუტატების საბჭო, ეცადეთ დეპუტატებად უეჭველად ღარიბი გლეხები აირჩიოთ. მხოლოდ ისინი შესძლებენ მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას.

სოფელში ეს საბჭოები უნდა იქნეს მთელი ძალაუფლების მატარებელი. მის ხელშია სასამართლო, ხალხის დაცვა და ყოველგვარი საზოგადო საქმის გამგებლობა. მის ხელშია მემამულეებიდან ჩამორთმეული მიწები, მის განკარგულებაშია აგრეთვე ჩამორთმეული სამუშაო იარაღი და საქონელი. ის სრულუფლებიანი ძალით აღჭურვილი ორგანოა, რომელიც ემყარება თვით ხალხს და არავითარ ზევიდან დანიშნულ კომისრებს არ ემორჩილება“ [1].

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა. ფრონტზე ბოლშევიკების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ჯარისკაცების ფარაჯაში გადაცმულმა გლეხებმა შეიგნეს, თუ ვინ იყვნენ მათი ნამდვილი მტრები. მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ იძულებული იყო აღენიშნა, რომ „ჯარი დღეს შინ ბრუნდება, როგორც განსაკუთრებული ფსიქოლოგიისა და ჩაბერილი პოლიტიკის აზროვნების მატარებელი. ჯარისკაცების სოფლად შემოსვლამ ახალი საფრთხე შემოიტანა და რევოლუციის მდგომარეობა საფრთხეში ჩააგდო. ჯარისკაცები ცარიელი როდი დაბრუნდნენ შინ, მათ მოიტანეს ეგრეთწოდებული ბოლშევიზმი და სოფელს საჩუქრად შესთავაზეს. დღეს მცნება — ჯარისკაცი და ბოლშევიკი — ერთმანეთშია

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წლის 26 იანვარი.

გადახლართული. ეს სიტყვები სინონიმებია და ვინც ახსენებს ჯარისკაცს, მან იმავე დროს უნდა ახსენოს ბოლშევიკიც“ [1].

საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, მშრომელი მასების შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი გადაწყვიტა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა ქ. ქუთაისში 1918 წლის 20 თებერვალს. კონფერენცია მუშაობდა 20 თებერვლიდან 23 თებერვლამდე.

კონფერენციამ განიხილა რიგი აქტუალური საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, მომენტი და ძალაუფლების საკითხი, მიწის, წითელი სოციალისტური გვარდიის, გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციისა და სხვ.

კონფერენციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები: ფ. მახარაძე (მურმანიძის გვარით), ალექსი (საშა) გეგეჭკორი და სხვა. კონფერენციამ დიდი ინტერესით მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. მომხსენებლებმა აღნიშნეს მრავალი ფაქტი გლეხთა უკმაყოფილებისა, მათ მიერ მიწების ძალით ხელში ჩაგდება, მენშევიკ ხელისუფალთა თვითნებური მოქმედება და მრავალი სხვა. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„როგორც დელეგატებმა თავიანთ მოხსენებებში წარმოგვიდგინეს, სოფელი დღეს დიდ კრიზისს განიცდის. გლეხობას დაუკარგავს ან კარგავს ყოველივე ნდობას მენშევიკებისადმი და ამით მთავრობისადმი. უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ გლეხები დარწმუნდნენ იმაში, რომ მენშევიკებმა ისინი დაატყუილეს“ [2].

მოხსენებებიდან ჩანს, რომ მენშევიკებმა, ისარგებლეს რა ხალხის ნდობით, ძველი მთავრობის წევრები ახლით შეცვალეს, რომლებიც ძველებიდან თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ. მიწის საკითხი, მიუხედავად 1917 წლის 16 დეკემბრის დეკლარაციისა, მაინც გადაუწყვეტელი რჩებოდა.

კონფერენციაზე ცხადი გახდა, რომ ხალხი მეტად უკმაყოფილო იყო ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მოქმედების გამო. ხალხმა იგრძნო, რომ მენშევიკები მათ ინტერესებს ღალატობდნენ და ამიტომ ზურგი აქცევს. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვა-

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წლის 14 მარტი.

[2] რეზოლუციები, მიღებული დ/ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციაზე, ქუთაისი, 1918, გვ. 4.

მია: „ამნაირად უკანასკნელი ორი სამი თვის განმავლობაში ჩვენი სოფელი შესამჩნევად გამოიცვალა: მენშევიზმმა ან აქ სრულებით დაჰკარგა ნიადაგი ან ეხლა კარგავს, ამავე დროს ჩვენ ვხედავთ იქ ბოლშევიზმის გასაოცარ ზრდას. თითქმის ყველა სოფელში თავისთავად სტიქიურად ჩნდება ბოლშევიკური ორგანიზაცია“.[1]

კონფერენციამ აღნიშნა განსაკუთრებული რევოლუციური გავლენა სოფელში ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისა და მითითება მისცა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მათთვის; მტკიცედ დაეკავშირებინათ ისინი პარტიულ ორგანიზაციასთან და მათი მოქმედებისათვის გარკვეული პოლიტიკური მიმართულება მიეცათ.

კონფერენციამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობას და მის სრულუფლებიან ორგანოს. ამასთანავე, ხაზი გაესვა იმას, რომ ამიერკავკასიაში რევოლუცია დიდ განსაცდელშია, რომ ადგილობრივი მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკის წყალობით საბჭოების პოლიტიკური როლი დაეცა და ისინი დღეს სრულებით ქრებიან. ძალაუფლებას ეპატრონებიან მუშებისა და გლეხების სურვილის წინააღმდეგ შექმნილი „ეროვნული“ საბჭოები, რომლებიც ცდილობენ რევოლუციის დაღუპვას. რეზოლუციაში დახასიათებულია ამიერკავკასიის კომისარიატი, როგორც გაბატონებული კლასების შეთქმულება მუშებისა და გლეხების რევოლუციის და მის მიერ შექმნილი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, როგორც ორგანო, რომელმაც მიიყვანა ქვეყანა უფსკრულამდე და რომელმაც გამოაცხადა საკუთარი დიქტატურა, დაარბია სოციალისტური პრესა, დევნა დაუწყო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს, დახვრიტა მუშებისა და ჯარისკაცების მიტინგი და სხვა. დახასიათებულია ამიერკავკასიის კომისარიატის მემკვიდრე სეიმი, როგორც ბურჟუაზიულ-შოვინისტური და ცრუ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლობა, რომელიც არ გამოხატავს ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობის —მუშებისა და გლეხების სურვილებს. სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთისაგან, ე. ი. რუსეთის მუშების, ჯარისკაცები-

---

[1] რეზოლუციები მიღებული დ/ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციაზე, ქუთაისი, 1918, გვ. 7.

სა და გლეხების სახალხო მთავრობისაგან. კონფერენციამ მიიღო სპეციალური დადგენილება გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციის შესახებ. მითითებულ იქნა, რომ ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები შედიან მუშების ან გლეხების დეპუტატების საბჭოებში და არავითარ შემთხვევაში არ აარსებენ ჯარისკაცთა საკუთარ საბჭოებს.

აგრარული საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორაგნიზაციების კონფერენციაზე.

კონფერენციამ მიწის შესახებ თავის დადგენილებაში ნათლად ჩამოაყალიბა მიწის საკითხის სამართლიანი გადაჭრის საფუძვლები, რაც მდგომარეობდა შემდეგში: 1) ყველა მიწის მთელი ხალხის საკუთრებად გამოცხადება. მიწის ყიდვა-გაყიდვის, იჯარით გაცემის, დაგირავების ან სხვაგვარად გადაცემის სამუდამოდ მოსპობა. 2) ყველა მიწის— სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო, კერძო მემამულეთა და სხვა — უსასყიდლოდ ჩამორთმევა და ხალხისათვის გადაცემა, 3) კერძო მესაკუთრეთა ყველა მიწის, აგრეთვე საეკლესიო-სამონასტრო და საუფლისწულო მიწების — ყოველგვარი შენობებით, სამეურნეო იარაღებითა და მუშა საქონლით — გლეხთა დეპუტატების სასოფლო, სარაიონო ან საგუბერნიო საბჭოების განკარგულებაში გადაცემა.[1]

მიწის წიაღის მთელი სიმდიდრე: სხვადასხვა მადნეულობა, ნავთი, ნახშირი, მარილი და სხვა აგრეთვე ისეთი ტყეები და წყლები, რომელთაც საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდათ, უნდა გადასულიყო სახელმწიფო სარგებლობაში, ხოლო პატარა მდინარეები, ტბები, ტყეები და საძოვრები—ადგილობრივ საზოგადოებათა სარგებლობაში. ბაღები, ვენახები, ჩაის, თამბაქოს, დაფნის პლანტაციები, სანერგეები, ორანჟერეები კი არ უნდა დაენაწილებინათ, არამედ გადაექციათ სანიმუშო მეურნეობებად და გადასულიყო სახელმწიფოს ან ადგილობრივ საზოგადოებათა სარგებლობაში, იმის მიხედვით, თუ რა ზომის და მნიშვნელობისა იქნებოდა იგი.

მიწით სარგებლობის უფლება უნდა მისცემოდა ყველა მოქალაქეს. განურჩევლად სქესისა, ვისაც კი ექნებოდა მიწის დამუშავების სურვილი თავისი შრომით. მიწის მფლობელს მიწა უნდა ჰქონოდა მანამ, სანამ შეეძლო მისი დამუშავება, ვინაიდან დაქირავებული შრომა სოფლის მეურნეობაში მოისპობოდა.

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", № 2 (12), გვ. 161.

დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ წვრილ გლეხკაცობას მიწა არ ჩამორთმეოდა, თუმცა ეს მიწები შეტანილი იქნებოდა მიწების საერთო ფონდში. რაც შეეხება ყოფილ მემამულეებს, მათ მიეცემოდათ მიწა სარგებლობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთი შრომით ან ოჯახის წევრების დახმარებით გაუძღვებოდნენ მეურნეობას, ხოლო მათთვის გადასაცემ ნორმას გადაწყვეტდნენ გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები.

დადგენილებაში მიწის საკითხის სამართლიანი გადაჭრის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გლეხთა დეპუტატების ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოების ამოცანებს, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებს, რომ ღარიბ და უღარიბეს გლეხობას გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებისა და ნიადაგის გასანოყიერებელ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა მისცემოდა.

კონფერენცია ხაზს უსვამდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის აუცილებლობას. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „კოლექტიური წარმოების განვითარების დასაჩქარებლად და სოციალიზმის განსახორციელებლად ნიადაგის მოსამზადებლად, გლეხების დეპუტატების საბჭოები უღარიბეს გლეხებიდან ადგენენ ამხანაგობებს დიდი მინდვრების კოლექტიური შრომით დასამუშავებლად. ასეთ ამხანაგობებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ, რათა მიწის დამუშავებაში გამოიყენონ აგრონომიული მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა".[1]

კონფერენციის აზრით, მიწის ასეთი რეფორმა უნდა განეხორციელებინა თვითონ ხალხს თავის მიერ არჩეული გლეხთა დეპუტატების საბჭოების საშუალებით. ამიტომ მიწის საკითხთან ერთად მიღებულ იქნა მეორე. სპეციალური დადგენილება გლეხთა დეპუტატების საბჭოების შესახებ.[2] კონფერენციამ საჭიროდ ცნო, ყველგან შექმნილიყო სასოფლო, სარაიონო და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, განესაზღვრა გლეხთა დეპუტატების სასოფლო, სარაიონო, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოების ორგანიზაცია იქ, სადაც არსებობდა მუშათა დეპუტატების საბჭოები. გლეხთა საბჭოებს თავიანთი მოქმე-

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", № 2 (12), გვ. 165.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 165—167.

დება უნდა შეეთანხმებინათ მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის, ხოლო ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები შეერთებოდნენ მუშებისა და გლეხების დეპუტატების საბჭოებს და აერჩიათ ერთი ხელმძღვანელი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ექნებოდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების სექციები. მთელი ძალაუფლება საბჭოებისა და მათ მიერ შექმნილი ორგანოების ხელში უნდა გადასულიყო.

მიწის საკითხის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად კონფერენციამ მოითხოვა დასავლეთ ამიერკავკასიის, ე. ი. ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქების გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის მოწვევა, რომელიც დაწვრილებით გამოიმუშავებდა საჭირო ღონისძიებებს.

ამრიგად, კონფერენციის დადგენილებები მოუწოდებდა მშრომელ გლეხობას — რევოლუციური გზით ჩაეგდოთ ხელში მიწები და ასე გადაეწყვიტათ ეს მწვავე საკითხი.

კონფერენციამ დაადგინა დაეწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, ე. ი. მან სანქცია მისცა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას. აჯანყების მოსამზადებლად შეიქმნა მებრძოლი შტაბი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსი (საშა) გეგეჭკორი. კონფერენციის სპეციალური გადაწყვეტილებით პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები გაიგზავნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში აჯანყების მოსამზადებლად.

დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია ჯერ კიდევ განაგრძობდა მუშაობას, როდესაც 1918 წლის 22 თებერვალს დაიწყო ლეჩხუმის მაზრის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებულებმა მეორე დღესვე დაიკავეს სამაზრო ცენტრი, ხელთ იგდეს ყველა დაწესებულება, ცაგერში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

ამგვარად, 1918 წლის 23 თებერვალს ლეჩხუმის მშრომელებმა საქართველოში პირველებმა ააფრიალეს აჯანყების დროშა ამიერკავკასიის სეიმისა და მენშევიკური პარტიის დიქტატურის წინააღმდეგ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ლეჩხუმის მაზრის გლეხთა გამოსვლამდე ადგილი არ ჰქონდა საქართველოში გლეხთა მოძრაობას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში აღდგნენ გლეხები თბილისის გუბერნიაში (გორის, ახალქალაქის, ახალციხის, ღუშეთის, თელავის, სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრებში) მიწისათვის მემამულეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ გლეხთა

ბრძოლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც თითქმის სრულიად მოკლებული იყო ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, იმდენად სუსტი იყო, რომ შეუძლებელია ის მივიჩნიოთ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისად 1918 წელს.

გლეხთა ნამდვილი რევოლუციური მოძრაობის დასაწყისად 1918 წელს, რომელმაც შეძრა და შეაშფოთა მენშევიკური მთავრობა და რომელიც წალეკვით დაემუქრა მას, ლეჩხუმის გლეხთა აჯანყება უნდა მივიჩნიოთ.

სწორედ ლეჩხუმის მაზრის გლეხთა რევოლუციური გამოსვლით იწყება მთელი სერია გლეხთა აჯანყებებისა საქართველოში.

ლეჩხუმში გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და შეიარაღებული გამოსვლის მიზეზები და მიზანი იგივე იყო, რაც სხვა რაიონებში. მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკით მოთმინებადაკარგული, შიერი და გაძვალტყავებული გლეხობა, რომელსაც მოსწყინდა მენშევიკური დაპირებები და ლოდინი ამქვეყნიური „დემოკრატიული სამოთხისა", ხელში იღებდა იარაღს, რათა აელაგმა მემამულეთა და მოხელეთა თვითნებობა, შეექმნა ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება და თვითონ გადაეწყვიტა თავისი სასიცოცხლო საკითხები.

ლეჩხუმის მაზრაში აგრარული მოძრაობა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებიდანვე დაიწყო. როგორც ცნობილია, დროებითმა მთავრობამ და მისმა ფილიალმა ამიერკავკასიაში — ოზაკომმა მიწის საკითხის გადასაწყვეტად არაფერი იღონა და მშრომელ გლეხობას, რომელიც რევოლუციისაგან პირველ რიგში მიწას მოელოდა, ურჩია დამფუძნებელ კრებას დალოდებოდა, მანამდე კი ყველა ვალდებულება ძველებურად მოეხადა მემამულისა და სახელმწიფოს წინაშე. გარდა დაპირებებისა და ცარიელი დეკლარაციებისა, გლეხობას ვერაფერი მისცა ვერც ამიერკავკასიის კომისარიატმა და ვერც მისმა მემკვიდრე სეიმმა. ყოველივე ამის შედეგად უმიწობით, მთიან რაიონებში მუდმივი შიმშილით სულშეხუთულმა ლეჩხუმის მაზრის გლეხობამ დიდი აქტივობით დაიწყო აგრარული რევოლუცია.

როგორც საერთოდ მთელს საქართველოში, ისე ლეჩხუმის მაზრის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საქმეში ყველაზე დიდი როლი ფრონტიდან დაბრუნებულმა და სოფელს შეხიზნულმა ჯარისკაცებმა შეასრულეს. ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა იცნობდა ბოლშევიკური პარტიის იდეებს, ბევრი მათგანი ბრუნ-

დებოდა როგორც ბოლშევიკური პარტიის წევრი. მათ ჩამოჰქონდათ ამბავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, იმ დეკრეტების შესახებ, რომლებიც სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ მიიღო მიწისა და ზავის თაობაზე. ამ მოვლენას დიდი გამა-რევოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

გაზეთი „ბრძოლა“ დიდ ამოცანებს უსახავდა ფრონტიდან დაბრუ-ნებულ ჯარისკაცებს. თავის მოწოდებაში იგი წერდა: „...ამხანაგო ჯა-რისკაცებო! თუ დღევანდლამდე რევოლუციის დედაბოძად ითვლებით, დღეიდან თქვენი მოვალეობა ათკეცდება. თქვენ ვალდებული ხართ საესებით განიცადოთ რევოლუციის ქარტეხილი, დღეს თქვენს სიტყვას აქვს უღიდესი მნიშვნელობა“.[1]

სწორედ ეს ჯარისკაცები ედგნენ სათავეში ლეჩხუმის მაზრის მშრო-მელი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათ-ვის 1918 წელს. თვით მენშევიკებიც ვერ მალავდნენ იმას, რაც ხდებო-და ლეჩხუმის სოფლებში ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების მოქმედების შედეგად. „ლეჩხუმში ამ ბოლო დროს საშინელი ამბები დატრიალდა, — წერდა მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“— შინ დაბრუნებულ ყოფილ ჯარისკაცთა ერთი ნაწილი იარაღით ხელში უწესობას ახდენს, არსებულ მთავრობას ებრძვის“.[2]

ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა ცალკეულ სოფლებში მჭიდრო კავშირი დაამყარეს ურთიერთს შორის და სულ მალე რევო-ლუციური მუშაობის ფართო ქსელი გაშალეს მთელს ლეჩხუმის მაზრა-ში. სოფ. ღვირიშში, ნაკურალეშის თემში, მუშაობდა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი სოლომონ ხეცურიანი, სოფ. დეხვირში — ბოლშევიკი ჯარისკაცი ალექსანდრე სილაგაძე, სოფ. ცხრუკუშერში— ივანე სვანიძე, სოფ. ლუხვანოში — გიორგი ბენდელიანი, სოფ. უსახე-ლოში — ვლ. ხეცურიანი, სოფ. ჩქუმში — ალექსანდრე დავითულიანი, სოფ. ლასხანაში — ილიკო ხმელიძე და სხვა. 1817 წლის დამლევსა და 1918 წლის დასაწყისში ლეჩხუმის მაზრის მთელ რიგ სოფლებში ფრონ-ტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა შეადგინეს პარტიზანული რაზმე-ბი, ცალკეულ სოფლებში ჩამოაყალიბეს არალეგალური სამხედრო წრეები. ამ წრეებში ერთიანდებოდნენ მშრომელი გლეხობა და რევო-ციური ახალგაზრდობა.

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 15 მარტი.

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წლის 21 მარტი.

1918 წლის 22 თებერვალს სოფ. ლასურიაშში მოწვეულ იქნა ლეჩხუმის მაზრის გლეხთა სამაზრო ყრილობა, რომელმაც მაზრის მენშევიკურ ხელმძღვანელობას წინადადება მისცა უბრძოლველად დაეთმო ცაგერი. როდესაც უარი მიიღო, გამოტანილ იქნა დადგენილება სამაზრო ცენტრის შეიარაღებული ძალებით აღების შესახებ, რისთვისაც ყრილობამ აირჩია ლეჩხუმის სამაზრო სამხედრო-რევოლუციური შტაბი. შტაბის თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე დავითის ძე სვანიძე, შტაბის წევრებად — ა. სილაგაძე, ბ. ყურაშვილი, ს. ხეცურიანი, ბ. ლიპარტელიანი, ა. ჩაკვეტაძე და სხვები. სამაზრო სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა ადგილებზე უშუალო ხელმძღვანელობისათვის შექმნა საველე შტაბები. ცენტრალურმა შტაბმა აირჩია სამხედრო რევოლუციური ტრიბუნალი, რომელსაც ევალებოდა წესრიგის დაცვა და კონტრრევოლუციური ელემენტების გასამართლება. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწყებულიყო შეიარაღებული აჯანყება.

1918 წლის 23 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ლეჩხუმის მაზრაში, იმავე დღესვე აჯანყებულებმა დაიკავეს მაზრის ცენტრი ცაგერი.

„ლეჩხუმის მაზრის მენშევიკებსა და სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებს ვერ უშველათ ვერც დადიანისეულმა ისტორიულმა ზარბაზანმა და ვერც არამზადული ელემენტებისაგან შემდგარმა გვარდიამ... გლეხებმა დაამხეს მენშევიკური მთავრობის ადგილობრივი ძალაუფლება და მთელს ლეჩხუმის მაზრაში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება“.[1]

აჯანყებულმა გლეხებმა გარეკეს მენშევიკური კომისარიატი, ციხეებიდან გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. თითქმის ყველა სოფელში ჩაატარეს გლეხთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები. არჩეულ იქნა სამაზრო საბჭო და ლეჩხუმის მაზრის 24 საზოგადოების 191 სოფელში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მაზრას სათავეში ჩაუდგა „ლეჩხუმის მუშათა დეპუტატების საბჭო“.

აჯანყებულებმა ლეჩხუმის მაზრაში სერიოზული ღონისძიებები გაატარეს: „ბევრ სოფელში სასოფლო საბჭოების დადგენილებით თავად-აზნაურებს მიწები ჩამოერთვათ და გლეხებს გადაეცათ. საბჭოები მტკიცედ იცავდნენ საზოგადოებრივ ქონებას, სასტიკად სჯიდნენ

---

[1] ნ. ჩახვაშვილი, ლეჩხუმის მაზრის გლეხთა აჯანყება 1918 წ. იხ. წიგნი საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავისადმი, 1941, გვ. 17—18.

ჯაჩაღებს, მძარცველებს, მშიშარებსა და პანიკიორებს. მაზრაში დამყარდა სანიმუშო რევოლუციური წესრიგი“ [1].

ლეჩხუმის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დიდად შეაშფოთა მენშევიკები. 1918 წლის 1 მარტს ქუთაისის გუბერნიის კომისარმა მთელი ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშე გამოაცხადა. ლეჩხუმში აჯანყების სალიკვიდაციოდ გაიგზავნა გვარდიის შენაერთები. მთელი მაზრის კანონგარეშე გამოცხადება უჩვეულო ამბავი იყო, ასეთი აზრი 1905 წლის რევოლუციის ჯალათს გენერალ ალიხანოვ-ავარსკისაც კი არ მოსვლია თავში. ქუთაისის გუბერნიის კომისარის ი. კაჩუხაშვილის ბრძანებებში წერია: „...მე უკვე გავეცი ბრძანება ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშე იქნას გამოცხადებული, მანამ, სანამ მცხოვრებთ არ ჩაუბარებიათ ყველა დამნაშავენი და იარაღი, ხაზინას, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებსა და მთავრობის ყველა დაწესებულებებს ებრძანათ შესწყვიტონ ყოველივე კავშირი ლეჩხუმის მაზრასთან. ქუთაისის ადგილობრივი სახალხო მილიციის უფროსს და აგრეთვე ხონის, ტყიბულის, რაჭის სახალხო მილიციის უფროსებს ევალებათ შეკრან ლეჩხუმში მიმავალი ყველა გზები, და შესწყვიტონ ყოველივე მოძრაობა და საქონლისა და სანოვაგის გადატან-გადმოტანა ლეჩხუმის მაზრასთან“ [2].

1918 წლის 18 მარტს ქუთაისის საქალაქო მენშევიკურმა საბჭომ მოისმინა საკითხი ლეჩხუმის მაზრის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა გუბერნიის კომისარმა ი. კაჩუხაშვილმა. ქალაქის საბჭომ 17 ხმით 13-ის წინააღმდეგ მოიწონა გუბერნიის კომისრის მიერ დასახული ღონისძიება [3].

ლეჩხუმის მაზრის კანონგარეშე გამოცხადებასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „არის მხოლოდ ერთი ბრძანება, რომელსაც ჯერ არავითარი მავნე შედეგი არ მოუტანია“ [4].

ლეჩხუმის კანონგარეშე გამოცხადებით აღშფოთებული მაზრის მოსახლეობა — მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი უფრო აქტიურად ებმება ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1918 წლის 13 მარტს რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა

---

[1] დ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ლეჩხუმის მაზრის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, იხ. ბროშ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, 1960, გვ. 75.

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წლის 2 მარტი.

[3] ქუთაისის ქალაქის გამგეობის ფონდი, საქმე № 307, ფურც. 3—6, 1918.

[4] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წლის 5 მარტი.

ლეჩხუმის მაზრის კანონგარეშე ვამოცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს მშრომელებისადმი გამოაქვეყნა მოწოდება „ხმა აღიმაღლეთ ლეჩხუმზე ძალადობის წინააღმდეგ“. მოწოდებაში ნათქვამია: „ორი კვირაა, რაც მთელი ლეჩხუმის მაზრა, დიდი და პატარა, მამაკაცი და დედაკაცი, ჯანმრთელი და ავადმყოფი, გლეხი, მუშა, ალყაშემორტყმულია და კანონგარეშეა გამოცხადებული... ხმა აღიმაღლეთ, მოითხოვეთ კრებებზე და მიტინგებზე დაუყოვნებლივ საალყო წესების მოხსნა... ძმა ძმისთვინო, შავი დღისთვინო — ლეჩხუმელებმა თავისუფლად განძრევა მოისურვეს — ახალ ბატონებს სურთ ჩაუცხრეინონ მათი ესენ. უნდათ შიმშილით ხელახლა დაიჩოქონ გადაყენებული კომისრების წინაშე... საალყო წესები უნდა მოიხსნას... გაუმარჯოს ლეჩხუმის რევოლუციური გლეხების თვითმოქმედებას! ძირს ლეჩხუმის შავრაზმელი ხულიგნები!...“[1]

აღნიშნული რევოლუციური მოწოდება ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, დიდი გამოხმაურება პოვა მასებში, კერძოდ, მშრომელ გლეხობაში. 1918 წლის მარტის მეორე ნახევრიდან გლეხთა რევოლუციური ტალღა მოედო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს: აჯანყდა სამეგრელო (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები), სამხრეთ ოსეთი, გაგრა და გუდაუთა, რაჭა და სვანეთი. 1918 წლის 12(25) აპრილს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ბაქოში. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება შეიქმნა ქუთაისის გუბერნიაში, რის გამოც, მთავრობის მითითების თანახმად, ქუთაისის გუბერნიის კომისარმა მთელს გუბერნიაში 1918 წლის 6 მარტს სამხედრო წესები გამოაცხადა.

ლეჩხუმელი გლეხები ბოლშევიკების აქტიური ხელმძღვანელობით კრებებსა და მიტინგებზე სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ მენშევიკური მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

1918 წლის 15 მარტს გამოქვეყნდა ლეჩხუმის მაზრის აჯანყებული გლეხების მოწოდება — „ყველა სოფლის და ქალაქის მუშებს, ყველა მოქალაქეებს“. მოწოდებაში ნათქვამია: „ვისაც უყვარს ხალხი და საზოგადოება, ვისთვისაც უძვირფასეს განძს შეადგენს ძმობა, ერთობა და თავისუფლება, მან ლეჩხუმის მაზრაში დაწყებულ ხალხურ მოძრაობას მხარი უნდა დაუჭიროს და საერთო გზით, საერთო ძალით უნდა ებრძოლოს ის, და, ამრიგად, აბობოქრებული ტალღა მოძრაობისა როგორც ლეჩხუმში, ისე სხვა მაზრებშიც უნდა გადავიდეს... ლეჩხუმის

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა“, 1918 წლის 13 მარტი.

რევოლუციური მაზრა, / ევოლუციურ რუსეთთან ერთად ხელიხელ-ჩაკიდებული გაუვება იმ გზას, რომელიც მას მიიყვანს სოციალიზმამდე! საქართველოს ყველა სოფლის მუშებო, ყველა მოქალაქენო! ლეჩხუმი სულგანაბული ელის თქვენს გამოძახილს და მოგიწოდებთ დაუჭიროთ მხარი მას".[1]

ლეჩხუმის აჯანყებული გლეხობის მოწოდებას აქტიურად დაუჭირეს მხარი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, სამეგრელოს, გურიის, რაჭის, სვანეთის, ქართლ-კახეთის რევოლუციურმა გლეხებმა და საქართველოს მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ.

საქართველოს მშრომელთა მოთხოვნითა და ზეგავლენით 1918 წლის 25 მარტს ქუთაისის გუბერნიის კომისარი ი. კაჩუხაშვილი იძულებული გახდა მოეხსნა ლეჩხუმის მაზრის კანონგარეშე გამოცხადება. მაგრამ ამას აჯანყებულ გლეხობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია,— მათ უარი განაცხადეს მენშევიკური ხელისუფლების ცნობაზე და ახალი ძალით ეკვეთნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილ ჯარისა და გვარდიის ნაწილებს. სისხლისმღვრელი შეტაკებების შემდეგ 1918 წლის მარტის ბოლო რიცხვებში ლეჩხუმის აჯანყებული გლეხები უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ.

ამით დამთავრდა პირველი პერიოდი ლეჩხუმის გლეხთა რევოლუციური გამოსვლისა, რომელიც დაიწყო 1918 წლის 23 თებერვალს და გაგრძელდა ამავე წლის მარტის ბოლო რიცხვებამდე. მიუხედავად მარცხისა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ლეჩხუმში არ შენელებულა. მართალია, მენშევიკებმა ლეჩხუმის აჯანყება დროებით ჩაახშეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ ჩააქრეს. თვით მენშევიკური ხელისუფლების მესვეურებიც არ მალავდნენ ამას. გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" ისინი წერდნენ: „ლეჩხუმის პირველი ამბოხება ჩვენ ვერ ჩავაქრეთ, რადგან სიმართლე უნდა ითქვას, ამისათვის საკმაო ძალები მაშინ ჩვენ არ გაგვაჩნდა"[2].

გლეხთა რევოლუციური გამოსვლის მეორე პერიოდი ლეჩხუმის მაზრაში იწყება 1918 წლის მაისის მეორე ნახევრიდან. გლეხთა აჯანყებებით შეშინებული მენშევიკური მთავრობა შეუდგა ყველა მაზრაში და მათ შორის ლეჩხუმში მოსახლეობის განიარაღებას, რევოლუციონერი გლეხების დაპატიმრებას, სახელმწიფო და საბატონო გადა-

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა", 1918 წლის 15 მარტი.
[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", 1918 წლის 31 მარტი.

სახადების ძალდატანებით გადახდევინებას, რაც გლეხებში დიდ აღშფოთებას იწვევდა. ლეჩხუმის გლეხობამ, მშრომელმა მოსახლეობამ ვერ გაუძლო მენშევიკი ავაზაკების ბარბაროსულ აღვირახსნილობას, რის შედეგადაც ხელმეორედ აინთო აჯანყების ხანძარი მთელს მაზრაში. კვლავ აღდგა საბჭოთა ხელისუფლება და მთელი ძალაუფლება გლეხთა საბჭოების ხელში გადავიდა. უბადრუკი მენშევიკური მთავრობა შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ამჯერად გლეხთა აჯანყების მიზეზი იარაღის ჩამორთმევის შიში იყო და სხვა არაფერი. მენშევიკები წერდნენ: „მაისში ხონის რაიონში მთავრობის განკარგულებით დაიწყო იარაღის ჩამორთმევა, როცა გაიგეს ლეჩხუმის მაზრის მკვიდრთა იმ ჯგუფებმა, რომელიც თავის თავს უწოდებს „ბოლშევიკს“ და დარწმუნებული, რომ მათაც ჩამოართმევდნენ იარაღს, ხელახლად ამბოხების მოწყობას შეუდგა. მაზრის კრებაზე 20 მაისს მეამბოხენი აშკარად გამოვიდნენ და თავიანთ სიტყვებში უნდობლობა გამოუცხადეს, როგორც მაზრის კომისარს, ისე მთელს საქართველოს მთავრობას“.[1]

ლეჩხუმის მაზრის გმირი რევოლუციური გლეხობა 1918 წლის აგვისტოს ბოლომდე აწარმოებდა უთანასწორო ბრძოლას მენშევიკური ჯარის, გვარდიის, არტილერიის, აგრეთვე გერმანელი იმპერიალისტების ჯავშნიანი მანქანებისა და თვითმფრინავების წინააღმდეგ.

ზაფხულის განმავლობაში თავიანთი თავგანწირული ბრძოლით ლეჩხუმელებს მხარს უმაგრებდნენ ზუგდიდის, სენაკის, სიღნაღის, დუშეთის, საჩხერისა და სხვა რაიონების გლეხები, რომლებიც წალეკვით ემუქრებოდნენ მენშევიკების ძირმომპალ ხელისუფლებას.

გლეხთა აჯანყებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველად მენშევიკებმა თბილისიდან ჯარის ნაწილები გაგზავნეს. 1918 წლის 6 აგვისტოს გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ მენშევიკები აქვეყნებდნენ ცნობას, რომ თბილისიდან ქუთაისში ჩავიდნენ მენშევიკური მთავრობის ჯარები, რომელთა ნაწილიც გაიგზავნა ლეჩხუმის, საჩხერისა და სამეგრელოს აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამხედრო რევოლუციურმა შტაბმა საგანგებო კაცი გაგზავნა ქ. ბლადიკავკაზში ს. გეგეჭკორთან, რათა აჯანყებულებისათვის დახმარება გაეწია. მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან ს. გეგეჭკორის რაზმი ამ დროს

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 50, აღწ. 1, საქმე 1507, ფურც. 2.

დუშეთში ეხმარებოდა აჯანყებულ გლეხებს. საგულისხმოა, რომ ამ მომენტში ს. გეგეჭკორი აჯანყებულებს დახმარების სახით 25 ათას მანეთს უგზავნის. სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა საგანგებო პირები გაგზავნა აგრეთვე რაჭის, სამეგრელოს, შორაპნისა და სხვა მაზრებში. შტაბი მეზობელ მაზრებს სთხოვდა ლეჩხუმში გადაესროლათ ძალები, იარაღი, სურსათი და სხვ.

სიძნელეებს დაემატა ისიც, რომ ამ დროისათვის ქუთაისის საგუბერნიო ბოლშევიკური კომიტეტის თითქმის ყველა წევრი დაპატიმრებულ იქნა და მათგან რაიმე ოპერატიულ დახმარებას აჯანყებულები ვერ ღებულობდნენ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კონტრრევოლუციური ძალების შეტევას ლეჩხუმის აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ.

მთელი აგვისტოს განმავლობაში მენშევიკური მთავრობის მრავალრიცხოვან ჯარს გააფთრებული იერიშები მოჰქონდა ლეჩხუმის მაზრის აჯანყებულ გლეხებზე. ცუდად შეიარაღებული გლეხობა გმირულად იგერიებდა იერიშებს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო შემოტევებს.

23 აგვისტოს მენშევიკების ჯარებმა აიღეს აჯანყებულთა სტრატეგიული პუნქტი ხვამლის მთა, 24 აგვისტოს დაიკავეს ნასპერი, ლაილაში და ორბელი, 25 აგვისტოს კი ხელთ იგდეს ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი ცაგერი.

ლეჩხუმის მაზრის გლეხობის გმირული ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ, რომელიც 6 თვის განმავლობაში გრძელდებოდა, მარცხით დამთავრდა. მაგრამ ეს იყო დროებითი მარცხი, 1919—1921 წლებში ლეჩხუმის გლეხობა უფრო მეტი ენერგიით, სიმტკიცითა და რევოლუციური შემართებით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში. აჯანყების დამარცხების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ ლეჩხუმის სოფლებში ჩააყენა ჯარის ნაწილები და გვარდია, რომლებმაც გადაწვეს და გაანადგურეს აჯანყების მონაწილე გლეხების ეზო-სახლ-კარი. ამას მოჰყვა აჯანყების მონაწილეთა და ხელმძღვანელთა დასჯა-დაპატიმრება, ლეჩხუმის მაზრის მშრომელი მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების გატარება.

1918 წლის მარტის შუა რიცხვებში, როდესაც ლეჩხუმის მაზრის გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ აღდგა სამეგრელოს გლეხობა. აჯანყდნენ სენაკისა და ზუგდიდის მაზრის გლეხები.

სამეგრელოში გლეხების ბრძოლას მენშევიკური ხელისუფლების

წინააღმდეგ შედარებით ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. აქ უფრო ძრავლად არსებობდა ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას 1918 წელს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად მეფის ხელისუფლების დამხობამ დიდი აღმაფრენა გამოიწვია სამეგრელოს მშრომელებში. „აბობოქრდა სამეგრელოც, — წერდა გაზეთი „ერთობა", — თავისუფლების სიომ აქაც დაჰბერა. დადგა შვება-დიდების დღე. ხალხი დიდს აღტაცებაშია"...[1]

მეფის ჩამოგდებასთან დაკავშირებით მიტინგები გაიმართა სენაკის მაზრის მთელ რიგ სოფლებში, განსაკუთრებით ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა სოფ. სუჯუნაში 1917 წლის 9 მარტს. ამ მიტინგს რამდენიმე საზოგადოების მცხოვრებნი დაესწრნენ, ხალხი ერთმანეთს ულოცავდა მეფის ჩამოგდებას. ხალხმრავალი მიტინგები ტარდებოდა აგრეთვე ზუგდიდის მაზრაში. განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩატარდა მიტინგი 1917 წლის 27 მარტს სოფ. ხეთაში. მიტინგს, დამსწრეთა გადმოცემით, 5 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, მათ შორის რკინიგზაზე მომუშავე სამხედრო ნაწილებიც. მიტინგმა აირჩია მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ზუგდიდის მაზრის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად დიდი როლი ითამაშეს შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის მუშებმა. ზუგდიდის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცალკეულმა წევრებმა ინგურის ხიდსა და რკინიგზებზე მომუშავე მუშებს შორის ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე შექმნეს ფარული ბოლშევიკური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო პ. პ. მეუნარგია. ორგანიზაციის წევრმა მუშებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მენშევიკების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებებში.

1917 წლის ზაფხულისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციები დაარსდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრების თითქმის ყველა უმთავრეს დაბასა და სოფელში. ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა დიდი ნაწილი ბოლშევიკად აცხადებდა თავს.

გაზ. „ბრძოლის" 1917 წლის 8 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ზუგდიდში ბოლშევიკური პარ-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1917 წლის 21 მარტი.

ტიის ორგანიზაციულ გაფორმებას, იუწყებოდა: „25 სექტემბერს აქ დაარსდა ცალკე ორგანიზაცია მუშათა პარტიისა (ბოლშევიკების). ზემოაღნიშნულ დროს, ადგილობრივ გიმნაზიაში გვქონდა დამფუძნებელი კრება ნამდვილი თანამგრძნობი ამხანაგებისა. არჩეული იქნა პრეზიდიუმი 4 კაცისაგან".[1]

ზუგდიდის მაზრის ბოლშევიკური ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციამდე, 25 სექტემბრამდე, ზუგდიდში 1917 წლის მარტიდან არსებობდა ბოლშევიკების დროებითი სამაზრო კომიტეტი. ამ კომიტეტს ევალებოდა მოემზადებინა სამაზრო პარტიული კონფერენცია მუდმივი სამაზრო კომიტეტის ასარჩევად. დროებითი სამაზრო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ამხანაგები: ბეგი ხაბურზანია, გრიგოლ ჩიჩუა, პ. პ. მეუნარგია (თავმჯდომარე) და სხვები. დამფუძნებელ კონფერენციას დაესწრნენ კავკასიის 31-ე მუშათა ბატალიონის წარმომადგენლები (31-ე მუშათა ბატალიონი ომის დროს და 1917 წელსაც ზუგდიდში იდგა) და სხვა მაზრების დელეგატები. კონფერენციაზე აირჩიეს ბოლშევიკური პარტიის სამაზრო კომიტეტი, რომელშიც შეიყვნენ: გრიგოლ ჩიჩუა, პეტრე მეუნარგია, ვასო ბუკია და სხვანი. სამაზრო კომიტეტმა მეტად ფართო მუშაობა გააჩაღა. ზოგ სოფელში აღდგა ბოლშევიკური ორგანიზაციები. ხოლო ზოგან — ჩამოყალიბდა ახალი.

1917 წლის ზაფხულში სენაკის სამაზრო პარტიული ორგანიზაცია ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა აღრიცხვაზე აიყვანა. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლეონტი კარტოზია მოგვითხრობს: „1917 წელს ჯარში ყოფნისას შევედი პარტიის (ბოლშევიკების) რიგებში, სადაც ამჟამადაც ვიმყოფები. ვიყავი ჯარის ნაწილთან ლეგიონის კომიტეტის წევრი. 1917 წლის ბოლო რიცხვებში ჩამოვედი სოფელ ნოქალაქევში (სენაკის მაზრა). განთავისუფლებული ჯარისკაცები ადგილებზე იყვნენ შეიარაღებულნი. ფარულად ჩამოვაყალიბეთ პარტიული ორგანიზაციები სოფ ნოქალაქევში, ქვემო და ზემო ლებაღათურეში, სადაც ერთ-ერთ ორგანიზაციაში მეც ვირიცხებოდი. სასოფლო ორგანიზაციები დაკავშირებული იყო მაზრის ორგანიზაციასთან"[2].

აღფრთოვანებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას სენაკისა და ზუგდიდის მაზრის მშრომელები. 1917 წლის 28 დე-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", 1917 წლის 8 ოქტომბერი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), მოგონებათა ფონდი, № 54.

კემბერს სოფ. სუჯუნაში (ყოფ. სენაკის მაზრა) შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკების დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრნენ მეზობელი სოფლების წარმომადგენლებიც. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში რუსეთის დიდ რევოლუციას, ვალდებულად ვსთვლით თავს, რომ ყოველივე ნდობა და დახმარება აღმოვუჩინოთ რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელ პროლეტარიატს, რომლისაგანაც არის შემდგარი სახალხო კომისრები, ვუძღვნით მას სალამს და ვუსურვებთ გამარჯვებას, ხოლო ვუცხადებთ უნდობლობას და პროტესტს ცრუ სოციალისტებს, მენშევიკ-ობორონცებს, რადგან ისინი არიან მემამულე კაპიტალისტების ინტერესების გამომხატველი“ [1]. მსგავსი კრებები და მიტინგები იმართებოდა სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში.

ამიერკავკასიის კომისარიატმა და შემდეგ მისმა მემკვიდრემ — ამიერკავკასიის სეიმმა ვერ გადაჭრეს აგრარული საკითხი, ამან სამეგრელოს გლეხობაში უდიდესი გულისწყრომა და მღელვარება გამოიწვია. ყველგან დაიწყო გამოსვლები. გლეხები მოითხოვდნენ მიწას, ამიერკავკასიის კომისარიატმა გლეხთა აგრარული მოძრაობა, გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება უაჩაღობად და ხულიგნობად გამოაცხადა. იგი მიმართავდა მასობრივ რეპრესიებს აჯანყებულთა წინააღმდეგ, აიძულებდა გლეხებს კვლავ ძველებურად ეხადათ ხარკი მემამულეებისთვის. ამ გარემოებამ რევოლუციით გამოწვეული წინანდელი ენთუზიაზმი ჩააქრო ხალხში და მენშევიკებისადმი წინააღმდეგობის ახალი ტალღა გამოიწვია. 1917 წლის 15 ნოემბრის გაზეთ „ბრძოლაში“ მოთავსებულია კორესპონდენცია სათაურით „ზუგდიდის მაზრა“. კორესპოდენციაში ნათქვამია: „ხალხი აღტაცებით შეეგება რევოლუციას, მაგრამ დღეს ხალხის აღმაფრენას ადგილი არა აქვს. ყველგან გაუგებრობა და უილაჯობაა გამეფებული... ხალხის გულში რევოლუციის აღგზნებული ცეცხლი თანდათან ქრება. ის რაღაც ეჭვის თვალით უყურებს მომავალს. მერე რამ წარმოშვა ასეთი უიმედობა, რამ აუცრუა გული რევოლუციაზე უმიწაწყლო გლეხობას? მიწის მუშას მიწა უნდოდა, მას თავისუფლება უმიწოდ ვერ წარმოედგინა. მაგრამ მის ოცნებას ფრთები შეაკვეცეს, სასტიკად აუკრძალეს ბუნების მიერ შექმნილი სიმდიდრის უსასყიდლოდ სარგებლობა“ [2].

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წლის 14 იანვარი.

[2] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 15 ნოემბერი.

1918 წლის დასაწყისში სამეგრელოს მშრომელები, მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის წყალობით, უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ.

სამეგრელოში ამ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ გაზეთი „ერთობა“ წერდა, რომ ხალხი უკმაყოფილოა მენშევიკების პოლიტიკით „და ჩვენ ვერც მოვსთხოვთ მას დღევანდელ პირობებში რევოლუციისათვის თავდადებას, ეხთუზიაზმს, რომელიც ახასიათებდა რევოლუციის პირველ დღეებს, როდესაც ეს რევოლუცია მშრომელ ხალხს აუარებელ სიკეთეს პირდებოდა და ხალხსაც სწამდა, რომ ამ სიკეთეს ის უახლოეს დღეებშივე ეღირსებოდა. სინამდვილეში კი ცხოვრება ომისა და ანარქიის წყალობით უარესდება, მძვინვარებს შიმშილი, ყველაფერი საშინლად გაძვირდა. არ იშოვება პური, სიმინდი, შაქარი, ნავთი, რკინა, ტყავი და სხვა“.[1]

სამეგრელოს მშრომელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1918 წლის მარტში მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალეს.

სენაკის მაზრის 15 საზოგადოების ყოფილ ჯარისკაცთა კრებამ სოფ. ძველ სენაკში 1918 წლის 6 მარტს მოისმინა მოხსენება მიმდინარე საკითხებზე და ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვდა:

„1. დღეიდან აღმასრულებელი კომიტეტების გაუქმებას და მისი ფუნქციების გადაცემას მშრომელ გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებისათვის .

2. სრულ ნდობას ვუცხადებთ რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების მთავრობას.

3. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ წითელი გვარდიის გაუქმებას და ჩამორთმეული იარაღის გადაცემას ადგილობრივი საბჭოებისათვის.

4. დაარსებული იქნას დაბა ძველ სენაკში რაიონული მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭო“.[2]

ძველ სენაკში მართლაც დაარსდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭო. საბჭოში შევიდა ხუთი ყოფილი ჯარისკაცი. 1918 წლის 5 მარტიდან იმავე წლის 6 აპრილამდე ძველ სენაკში საბჭოების ხელისუფლება იყო.

აჯანყებული მაზრების ძალთა კოორდინაციას ხელს უშლიდა ის,

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 10 იანვარი.

[2] გაზ. „ჩვენი ბრძოლა“, 1918 წლის 10 მარტი.

რომ საგუბერნიო კონფერენციის მიერ დამტკიცებული აჯანყების შტაბის თავმჯდომარე საშა გეგეჭკორი ქუთაისის ციხეში იჯდა (1918 წლის 8 მარტს საშა გეგეჭკორი მენშევიკებმა დააპატიმრეს აბაშაში და გადაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში). საშა გეგეჭკორის დაპატიმრების შემდეგ ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა სენაკის მაზრაში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოების ხელმძღვანელად გაგზავნა შ. ასკურავა. 1918 წლის 17 მარტს ძველ სენაკში გამართულ მიტინგზე, რომელსაც 1000-მდე კაცი დაესწრო, სიტყვით გამოსულმა შ. ასკურავამ ულმობლად ამხილა ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის კონტრრევოლუციური საქმიანობა, მოუწოდა დამსწრეებს შეიარაღებული ბრძოლისაკენ. ფართოდ გაიშალა აჯანყებისათვის მზადება სენაკის მაზრის სოფლებში. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობისათვის ჩამოყალიბდა შტაბი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შ. ასკურავა, ხოლო აჯანყების სამხედრო-ტექნიკურ ხელმძღვანელად — ლეონტი კარტოზია. შტაბში შედიოდნენ: მიშა გეგეჭკორი, აკაკი ოჩიგავა, მალაქია სანიკიძე და სხვები. აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმები თავს იყრიდნენ სოფ. აბედათთან და ბანძას შუა ე. წ. მარსელის ველზე.

1918 წლის 30 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა ბანძანაოღალევ-ნოქალაქევის რაიონებში. მენშევიკური ხელისუფალნი განდევნილი იქნენ ბანძიდან, ნოქალაქევიდან, ძველი სენაკიდან, აბედათიდან, ჯოლევიდან, სეფიეთიდან, ნაოღალევიდან, ინჩხურიდან, კინჩხიდან და სხვა სოფლებიდან.

30 მარტს სოფ. ბანძაში გამართულ მიტინგზე, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო, ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა შ. ასკურავამ.

მენშევიკური პარტიის გაზეთი „ერთობა“ ამ ამბებთან დაკავშირებით წერდა: „...თუ კი ბოლშევიკები აგიტაციას ამდენხანს ჩუმად და ფარულად ეწეოდნენ, დღეს ეს აშკარად ხდება. პირველად მათ 30 მარტს მოახდინეს ასეთი საჯარო კრება. პირველად აქ ბანძაში 30 მარტს პოლშევიკების წინამძღოლმა შალიკო ასკურავამ აცნობა ხალხს სეიმის მოღალატეობა: „ყველაფერი ტყუილია, თქვენ გატყუებთ ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული მთავრობა, გეგეჭკორმა და ჟორდანიამ კავკასია რუსეთს ჩამოაშორეს იმათ მოღალატეობა აქვთ გულში.

ამხანაგებო! სეიმი და დროებითი კავკასიის კომისარიატი — თქვენი დაუძინებელი მტრებია, ისინი ცდილობენ თქვენს დამონებასა და დაბეჩავებას, ისინი მოღალატეები არიან და თუ ეს მართალი არ არის,

თქვენც კარგად იცით, აბა რათ უნდათ მათ თქვენს წინააღმდეგ თოფები და ტყვიამფრქვევები, თუ არა სამტროდ".[1]

შ. ასკურავამ მოუწოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ შედგარი ბრძოლისაკენ. მენშევიკი კორესპონდენტი ჩივის: „მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია... ფაქტიურად დღეს ბანძა იმათ ხელშია და მომავალში შეიძლება სხვა ადგილებიც ჩაიგდონ ხელში, თუ დროზე მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები არ იქნა მიღებული".[2]

აჯანყებულთა რაზმებმა დაიკავეს სენაკის მაზრის დიდი ნაწილი. მენშევიკების ადგილობრივი ხელისუფალნი გარბოდნენ აჯანყებულთა რაზმების მიახლოვებისთანავე.

31 მარტს შეიარაღებულმა რაზმებმა დაბა მარტვილი აიღეს. მარტვილის რაიონის კომისარი თავისი მილიციონერებით გაიქცა ხონში. მენშევიკური ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი მარტვილის რაიონში ამ ამბის შესახებ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" წერს: „...გათენდა 31 მარტი. მე და რაიონის კომისარი თომა ჩიქვანაია მივედით ნაოღალევის ტელეგრაფის აპარატთან. ამ დროს ხონიდან პირდაპირი მავთულით გვიძახის ხონის ქალაქის თავი. გაიმართა საუბარი, ქალაქის თავი გვეუბნება: ბათუმი განსაცდელშია... გევედრებათ ამიერკავკასიის დემოკრატიის სახელით ჟორდანია, წერეთელი, გეგეჭკორი მიაშველოთ გაწვრთნილი ჯარისკაცები, არტილერისტები, პულიმიოტისტები და სხვა... ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ბანძა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში და დღეს ჩვენსკენ მოიწევენ... ამ დროს შემოვარდა მილიციონერი აღშფოთებული, — მოდიან... სამასი კაცი წრეგაშლილი... ახლოს არიან, თავს ვუშველოთ. ეს უცბად გადავეცით ხონს და ჩვენ რამოდენიმე ამხანაგებმა იარაღით, დავტოვეთ მარტვილი და გავეშურეთ სამშვიდობოსკენ — ხონში"[3].

აჯანყებულთა რაზმებში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომლებმაც თან ჩამოიტანეს იარაღი (შაშხანები), სწორედ ამ იარაღით იყვნენ შეიარაღებული აჯანყებულები. ბანძა-ნოქალაქევი-ნაოღალევის რაიონში ოფიციალურად იქნა გამოცხადებული საბჭოთა ხელისუფლება.

შეიარაღებული ბოლშევიკური რაზმების რიცხვი დღითიდღე იზრდე-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1918 წლის 7 აპრილი.

[2] იქვე.

[3] გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", 1918 წლის 2 აპრილი.

ბოდა. აჯანყებულთა რაზმები ითვლიდა დაახლოებით 1000 მებრძოლს. ბანძა-ნოქალაქევ-ნაოღალევის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა აჯანყებულთა მხარეზე იყო და ყოველნაირად უწყობდა ხელს მენშევიკ ხელისუფალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

„აღსანიშნავია ის, რომ განსაკუთრებით ამ ორ რაიონში (ბანძასა და ნოქალაქევში — ვ. ჯ) თავი იჩინა ბოლშევიზმმა, — წერდა „ერთობა“, — ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები თავის თავს თითქმის უკლებლივ ბოლშევიკად აღიარებდნენ. სოფლის მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი თანაგრძნობას უცხადებდა მას, არც გასაკვირია, სოფლის გლეხობა რევოლუციისაგან მოელოდა მიწას, თავისუფლებას და მტკიცე წყობილებას. სწორედ ასეთ პირობებში შ. ასკურავამ მოაგროვა 600-მდე ვინტოვკიანი ჯარისკაცი. ერთი ნაწილი ბანძაში დარჩა, მეორე ნაწილი ნოქალაქევის ციხეში გამაგრდა, მესამე ნაოღალევში (მარტვილში). საქმეებს განაგებდა აჯანყებულთა სამხედრო შტაბი“ [1].

აჯანყებას სამეგრელოს მრავალი სოფელი გამოეხმაურა, გლეხები მიდიოდნენ ბანძაში რაზმებში ჩასაწერად. აჯანყებულებს მებრძოლი რაზმების ორგანიზაციის საქმეში დიდ დახმარებას უწევდა კოწია ჭავჭანიძე, რომელიც სპეციალურად იქნა მივლინებული აჯანყებულთა შტაბში ხონის ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ. კ. ჭავჭანიძეს მიღებული ჰქონდა სამხედრო განათლება.

31 მარტს აბაშის ორკლასიანი სასწავლებლის დარბაზში შედგა კრება. ბოლშევიკმა ორატორმა დაახასიათა ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი. როგორც ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესების დამცველი. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხსნა განსაცდელისაგან, რომელიც ემუქრება სამშობლოს და რევოლუციას, შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკურ სოციალისტურ მუშურ ჯარს, რომელსაც ისინი ადგენენ სოფ. ბანძასთან. მომხსენებელი მოუწოდებს ხალხს ჩაეწერონ ბანძასთან არსებულ ბოლშევიკურ პოლკში. „უნდა დავამხოთ მენშევიკური მთავრობა, უნდა დავამხოთ იგი რევოლუციონური ჯარით. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ უნდა ავლაგმოთ ჩვენი შინაური მოსისხლე მტრები: ბურჟუა-კაპიტალისტები, თავადაზნაურობა და სხვა. ამხანაგებო! ჩვენ რუსეთიდან გაგვთიშეს მენშევიკებმა, რომ თვითონ იბატონონ. შევუერთდეთ რუსეთს, სადაც ძალაუფლება მუშის ხელშია“ [2] — ამბობდა ბოლშევიკი ორატორი.

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 7 აპრილი.

[2] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 8 აპრილი.

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი აჯანყებულთა რაზმები დღითიდღე იზრდებოდა. აჯანყებულები კონტროლს უწევდნენ ბანძას, მარტვილს, ნოქალაქევს და მის მომიჯნავე სოფლებს, ძველი სენაკის ჩათვლით.

ამ დროს ბრძოლები მიმდინარეობდა თურქეთის ფრონტზე. მენშევიკები ბევრს გაჰყვიროდნენ იმის შესახებ, რომ მთელი ერი ფეხზე დგას, თურქებს არ შემოვუშვებთ, ჩვენ ნამდვილი პატრიოტები ვართო და სხვა. ამაო გამოდგა მენშევიკების ბაქიაობა. მათმა ჯარებმა 31 მარტს თითქმის უბრძოლველად დატოვეს ბათუმი, თურქთა ჯარები წინააღმდეგობის გაუწევლად მოიწევდნენ წინ. მენშევიკებმა ისეთ კრიტიკულ მომენტში, როდესაც თურქებმა ოზურგეთიც აიღეს, მოხსნეს ყველაზე ბრძოლისუნარიანი ჯარის ნაწილები გვარდიელებთან ერთად ნატანების ფრონტიდან და გაგზავნეს „შინაური მტრების“ — აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მენშევიკურ გვარდიას დავალება მიეცა გლეხთა აჯანყება ჩაეხშო ბანძა-მარტვილ-ნოქალაქევის რაიონში, შემდეგ გადასულიყო სამურზაყანოში და იქიდან შეეტია ქ. სოხუმისათვის, სადაც იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო (მენშევიკები არ მოერიდნენ ფრონტის გაშიშვლებასაც კი იმისათვის, რომ ნახევრად მშიერი, თითქმის უიარაღო გლეხების წინააღმდეგობა ჩაეხშოთ).

გვარდიას თან მოჰყვებოდა ქუთაისის მენშევიკური მილიცია და ჯარის მნიშვნელოვანი შენაერთები. ერთი ნაწილი ჯარისა და გვარდიისა 4 აპრილს, საღამოს, ვ. ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის მეთაურობით გადმოსხდა სადგურ აბაშაში, მეორე ნაწილი — ახალ სენაკში, 31 მარტს სენაკში თავი მოიყარეს ფოთის, სენაკის, შორაპნის, ქუთაისისა და სამტრედიის გვარდიელებმა. მენშევიკური გვარდიის მთავარმა შტაბმა განიზრახა შეტევა მოეწყო ორი მიმართულებით. ერთი — აბაშა-სეფიეთის გზით ბანძისაკენ და მეორე — ახალ სენაკ ძველ სენაკ-კოტიანეთით ნოქალაქევისაკენ.

სენაკიდან ჯარის ნაწილებისა და გვარდიელების შეტევას მეთაურობდნენ სეიმის წევრი ვლ. ჯიბლაძე და შტაბსკაპიტანი ერქომაიშვილი. მენშევიკური ჯარისა და გვარდიის შენაერთები შეიარაღებულნი იყვნენ ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით, ამასთანავე რიცხობრივად გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე აჯანყებულთა რაზმები.

სოფ. ბანძა მდებარეობს გაშლილ ვაკე ადგილზე. აქ არტილერიით შეიარაღებული ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა მარტო შაშხანე-

ბით შეუძლებელი იყო. ამიტომ აჯანყებულთა შტაბმა გადაწყვიტა უბრძოლველად დაეხია ბანძიდან. აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა გაამაგრა მარტვილისაკენ მიმავალი გზა. მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი გამაგრდა სოფ. ნოქალაქევის ნაციხარში. აჯანყებულებს ამ პერიოდში არ შეეძლოთ შეტევაზე გადასულიყვნენ მთავრობის რეგულარული ჯარებისა და გვარდიის დიდი შენაერთების წინააღმდეგ, რომლებიც ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებული.

რეგულარული ჯარისა და გვარდიის დიდი შენაერთები ვ. ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის მეთაურობით 6 აპრილს სოფ. ბანძაში შევიდნენ.

მთელ გზაზე აბაშიდან ბანძამდე მოსახლეობა გახიზნული იყო. „ჩვენი მსვლელობის გზაზე მოსახლეობა მეტად დაშინებულია, მრავალი სახლი თითქმის ცარიელია, მამაკაცი — ახალგაზრდობა მთლიანად გაქრა“ — წერს ჯუღელი.

6 აპრილს, ნაშუადღევს, შეტაკება მოხდა მთავრობის ჯარებსა და გვარდიასთან ნოჯიხევთან. სროლა ორ საათს გაგრძელდა. მთავრობის ჯარმა ულმობლად დაუშინა ცეცხლი აჯანყებულებს და ადგილობრივი გლეხების ქოხებს. ვ. ჯუღელი თვითონ იძლეოდა ბრძანებას აჯანყებულთა ქოხების დანგრევის შესახებ.

აჯანყებულები დამარცხდნენ. მათ დატოვეს მარტვილი და გამაგრდნენ სოფ. გაჭედილთან, მარტვილის ჩრდილოეთით 5 კილომეტრზე. აქ თავდაცვისათვის მეტად მოხერხებული ადგილი იყო. მთავრობის ჯარებმა და გვარდიამ ამის გამო ვეღარ შეძლო მარტვილის ჩრდილოეთით წინ წაწევა.

გვარდიელებისა და ჯარის ნაწილების მეორე რაზმი უტევდა სენაკიდან ძველ სენაკ-კოტიანეთის გზით სოფ. ნოქალაქევს. ოპერაციები დაიწყო 31 მარტს. აჯანყებულთა დიდი ნაწილი, როგორც ვთქვით, გამაგრდა ნოქალაქევის ნაციხარში. თავდაცვა იქ მეტად მოხერხებულად იყო მოწყობილი. აჯანყებულთა რაზმები დაყოფილი იყვნენ ასეულებად, ოცეულებად, ათეულებად. ყველა დანაყოფს თავისი მეთაური ჰყავდა. აჯანყების ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ მტრის ძალა მათ ძალას გაცილებით სჭარბობდა. იცოდა ისიც, რომ რაკი საქართველოს სხვა კუთხეებში ამ დროს სერიოზული გამოსვლები არ იყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ამიტომ აჯანყებულები ვერ გაუმკლავდნენ მთავრობის ჯარებისა და გვარდიის შემოტევას, მაგრამ მაინც გადაწყდა ბრძოლის მიღება ნოქალაქევთან.

შ. ასკურავამ კარგად იცოდა, რომ ამ შემთხვევაში უბრძოლველად რაზმების დაშლა შეუძლებელი იყო. ახალი სენაკიდან აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციები 1918 წლის 31 მარტს დაიწყო. რასაკვირველია, აჯანყებულებს არ შეეძლოთ დიდხანს გაეწიათ წინააღმდეგობა მრავალრიცხოვანი მტრისათვის, რომელიც ზარბაზნებით იყო შეიარაღებული: აჯანყების მეთაურებმა გადაწყვიტეს უკან დაეხიათ. დიდი ნაწილი მთებისაკენ წავიდა, ხოლო ნაწილი, 50 კაცის შემადგენლობით, ზემო სამეგრელოს (წალენჯიხის) გზით სოხუმისაკენ გაეშურა, რათა იქ მონაწილეობა მიეღო სოხუმის დაცვაში.

პირველი მასობრივი აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ დამარცხდა. აჯანყების მონაწილეები და მათი ოჯახები ულმობლად დასაჯეს და დააჯარიმეს. ქ. სოხუმისაკენ მიმავალი აჯანყებულთა ერთი ჯგუფი ოჩამჩირის რაიონში ხელთ იგდო მენშევიკურმა გვარდიამ და გაგზავნა ქუთაისის ციხეში. სამეგრელოში მენშევიკურმა გვარდიამ ნამდვილი ნადირობა დაიწყო აჯანყების მონაწილეებზე. მენშევიკები, მიუხედავად იმისა, რომ შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება, მაინც გრძნობდნენ, რომ გამარჯვება დროებითი იყო, მოსალოდნელი იყო გლეხთა შემდგომი გამოსვლები. მენშევიკი კორესპონდენტი, რომელიც ახლდა გვარდიას აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციების დროს, რჩევას აძლევდა რა მთავრობის ორგანოებს, წერდა: „მოსალოდნელია უარესი ამბავი... საჭიროა დაუყოვნებლივ მუდმივი ჯარის ჩაყენება დაბებში, სენაკის მაზრას დასჭირდება 200—250 კაცი. რაზმი სასტიკად უნდა შეებრძოლოს მეამბოხეებს, არავითარ ლმობიერ „სოციალისტურ" მოქცევას დამნაშავესთან ადგილი არ უნდა ექნეს".[1]

მენშევიკთა დამსჯელი ჯარებით აიკრძალა სამეგრელოს სოფლები. გრიალებდნენ ზარბაზნები. მენშევიკმა მმართველებმა სავსებით გამოამჟღავნეს თავიანთი თავი, როგორც მშრომელი ხალხის, მუშებისა და გლეხების უბოროტესმა მტრებმა. არნახული სისასტიკით ეპყრობოდნენ აჯანყებულებსა და მათ ოჯახებს. მარტვილის კომისარმა თომა ჩიქვანიამ ერთ-ერთი აჯანყებულის — გერასიმე კალანდიას მეუღლეს სასტიკად სცემა. ქალი ორსულად იყო, ცემისაგან მუცელი მოსწყდა და გარდაიცვალა. ასეთი ფაქტები იშვიათი როდი იყო.

სამეგრელოში აჯანყების დაწყებასთან დაკავშირებით ბოლშევიკების ქუთაისის კომიტეტმა გააერცელა პროკლამაცია. მასში ნათქვამია:

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1918 წლის 10 აპრილი.

„ამხანაგებო, მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! ოთხი წლის საზღაპრო ომმა მთელი კაცობრიობა სისხლის მორევში გადააგდო, ქვეყნის სიმდიდრე და კულტურის საუნჯე გაანიავა. ყველა ქვეყნის მტაცებლები და ძალადობ-ყაჩაღობის მოციქულები პირმოთნედ იფიცებოდნენ-სამართლიანობისათვის და პატარა დაჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის ვიბრძვით და გარეშე მტერს ვიგერიებთო. მათ ზურგს უმაგრებდნენ ცრუსოციალისტები, ბანს აძლევდნენ და მშრომელებს, ღარიბ გლეხებს მოუწოდებდნენ სისხლის საღვრელად და ამით სწამლავდნენ მათ სულს, რყვნიდნენ მათ პროლეტარულ შეგნებას.

ბოლო არ უჩანდა ყაჩაღურ იმპერიალისტურ ომს. ოქტომბრის რევოლუციამ, რომელიც მოახდინეს მუშებმა, ღარიბმა გლეხობამ და რევოლუციურმა ჯარებმა ჩვენი პარტიის მეთაურობით, ბოლო მოუღო ასეთ საზიზღრობას და რუსეთის მხრივ მტაცებლური ომი გათავებულად გამოაცხადა“ [1].

მენშევიკური მთავრობის მიერ სენაკის მაზრაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დაიწყო პარტიზანული მოძრაობა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მენშევიკ მმართველებს.

პარტიზანული რაზმი ავიწროებდა მენშევიკ ხელისუფალთ მარტვილის რაიონში. პარტიზანული რაზმის შტაბის ბრძანებით დაიშალა მენშევიკების მიერ ფრონტზე გასაგზავნად ძალით მორეკილ გლეხთა ჯგუფი. პარტიზანები კონტროლს უწევდნენ დიდიჭყონს, სალხინოს, კიწიას, თამაკონს და ზოგიერთ სხვა სოფლებს. პარტიზანული რაზმის ერთმა ნაწილმა (მასში უმთავრესად აჯანყების ხელმძღვანელები შედიოდნენ) გადაწყვიტა სოხუმში გადასვლა და იქ აჯანყებულებთან შეერთება. ამ ჯგუფში შედიოდნენ მიშა გეგეჭკორი, აკაკი ოჩიგავა, ლეონტი კარტოზია და სხვები. სოხუმისაკენ წასული ეს მეორე ჯგუფი შეჩერდა დაბა გალში და იქ აქტიური მონაწილეობა მიიღო 11 აპრილს სამურზაყანოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების საქმეში.

დიდი ჭყონი-სალხინოს რაიონში არსებული პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელობა დაევალა პავლე ბაჩილავას.

ასე რომ მენშევიკურმა მთავრობამ, რეპრესიების მიუხედავად, ვერ მოახერხა აჯანყებული გლეხების „დაწყნარება“. მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა ცვალებადი წარმატებით გრძელდებოდა.

1918 წლის აპრილის დასაწყისში მენშევიკების ბატონობის წინააღ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 150, ფურც. 5.

ᲫᲚᲔᲒ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყეს ზუგდიდის მაზრაში ჩამოყალიბებულმა ბოლშევიკურმა რაზმებმა.

საშა გეგეჭკორი დაპატიმრებამდე იყო ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის მაზრის სოფლებში, სადაც მან სამაზრო კომიტეტს (ბოლშევიკებისას) და პარტიულ ორგანიზაციებს ადგილებზე მისცა მითითება იმის თაობაზე, თუ როგორ მოეხდინათ აჯანყება, ორგანიზაციებს დაუსახა მოქმედების გეგმა. დაპირების თანახმად, საერთო გამოსვლების სიგნალს თვით საშა მისცემდა. ზუგდიდის მაზრაში გაჩაღდა მეტად ენერგიული მუშაობა მებრძოლი რაზმების ჩამოსაყალიბებლად. საშა გეგეჭკორის დაპატიმრებამ დაარღვია ზუგდიდის მაზრის აჯანყებულთა კავშირი საგუბერნიო კომიტეტთან და სხვა მაზრების აჯანყებულებთან. ზემო სამეგრელოში ამ დროისათვის მენშევიკებს თითქმის არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდათ. წალენჯიხა-ჩხოროწყუს რაიონებში მებრძოლი ბოლშევიკური რაზმების ჩამოსაყალიბებლად და ხელმძღვანელობის გასაწევად გაგზავნილ იქნა ცნობილი ბოლშევიკი სანდრო მახარაძე. იგი დაინიშნა წალენჯიხა-ჩხოროწყუს აჯანყებულთა შტაბის უფროსად.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1918 წლის მარტში ზუგდიდის მაზრაში ჩამოყალიბდა ძლიერი რაზმები. ამ რაზმების ხელმძღვანელები და ყველაზე უფრო აქტიური მებრძოლები ბოლშევიკური პარტიის წევრები იყვნენ. ეს რაზმები შეიქმნა:

1. ზემო სამეგრელოში (ჩხოროწყუ-წალენჯიხაში), სადაც რაზმების შტაბში შედიოდნენ: სანდრო მახარაძე (შტაბის უფროსი), მიხა შელია, თადა გოგუა (დახვრიტეს მენშევიკებმა ყაზბეგში), აკაკი ქუჩულორია (დახვრიტეს მენშევიკებმა ყაზბეგში 1918 წ. ივლისში), იოსებ ცხაკაია და სხვები. შტაბი მოთავსებული იყო სოფ. ჩხოროწყუს სკოლის შენობაში.

2. სოფ. ნარაზენში. შტაბის ხელმძღვანელი იყო ვასილ ქვარაია, წევრები — ჯვებე ჩიჩუა, ვასო კემულარია, პავლე თოდუა და სხვები.

3. რუხ-კახათში. შტაბის ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე კოსტას ძე თოლორაია, წევრები — ვასილ ბუკია (სამაზრო კომიტეტიდან), მიხა გაბედავა და სხვები.

ამ მებრძოლ რაზმებში 900-მდე კაცი შედიოდა. ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში ქუთაისის კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში ზუგდიდის ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი აცხა—

დებდა, რომ აჯანყების შემთხვევაში შეიძლებოდა ზუგდიდის მაზრიდან გამოსულიყო 1700 შეიარაღებული კაცი. განსაკუთრებით ძლიერი მებრძოლი რაზმი ჩამოყალიბდა სოფ. ნარაზენში. ეს სოფელი მდებარეობს ზუგდიდის აღმოსავლეთით 13 კილომეტრზე. სოფ. ნარაზენში ჯერ კიდევ 900-იანი წლებიდან სპირტის სახდელი ქარხანა ჰქონდა გერმანელ მრეწველს ედუარდ პროცერს. გარდა ქარხნისა, იგი ფლობდა უზარმაზარ მამულსაც, დაახლოებით 1800 ჰექტარ მიწას. მეზობელი სოფლების — ხიბულის, აბასთუმნის, ჭაქვინჯის მცხოვრები მცირემიწიანი გლეხები მისგან იჯარით იღებდნენ მიწას. საიჯარო ქირა, ჩვეულებრივ, მოსავლის ნახევარს უდრიდა. პროცერის სპირტის გამოსახდელ ქარხანაში უმთავრესად ახლომდებარე სოფლების უღარიბესი გლეხები მუშაობდნენ. ქარხნის პატრონი განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდა დაქირავებულ მუშებს. აუტანელი ექსპლოატაციის გამო მუშები რამდენჯერმე გაიფიცნენ. გაფიცულებს ე. პროცერი სამუშაოდან ითხოვდა ან აპატიმრებინებდა პოლიციას. ასე რომ ნარაზენის მცხოვრებთათვის ცნობილი იყო ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს რეაქციული პოლიტიკა, რომელსაც სიდუხჭირე მოჰქონდა მუშებისათვის. ამიტომაც ამ სოფელში ბოლშევიკური მებრძოლი რაზმის ჩამოყალიბების ინიციატივას მეტად ენერგიულად დაუჭირეს მხარი.

ამ პერიოდისათვის ქუთაისის ციხიდან გაიქცა საშა გეგეჭკორი და კვლავ სათავეში ჩაუდგა სამეგრელოს მშრომელთა ბრძოლას. ს. გეგეჭკორი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: „შიმშილობის გამოცხადების გამო მე გამანთავისუფლეს და გადამიყვანეს შინაურ პატიმრობაზე. მაგრამ გაიგეს, რომ მე არ ვასრულებდი შინაური პატიმრობის წესებს— განვაგრძობდი მუშაობას, ხელმეორედ დამაპატიმრეს, მე მოვახერხე ეაქცევა და ხონის ორგანიზაციის დახმარებით გადავედი სამეგრელოს მთაგორიან ადგილებში. ჩემი გაქცევიდან ოთხი დღის შემდეგ მე შევძელი 12 თავდადებული ახალგაზრდა რევოლუციონერის შეგროვება, ეარაღი ავყარე სალხინოს რაიონის მილიციას და დავიკავე სალხინო. იმავე დროს გადავეჭერით სალხინოზე მიმავალი გზა ერთის მხრივ ნოქალაქევიდან და კიწიიდან და მეორეს მხრივ მარტვილ-გაჭედილიდან, რითაც უზრუნველვყავით სალხინო თავდასხმისაგან“.[1]

ს. გეგეჭკორის მცირერიცხოვან რაზმს მალე, 1918 წლის აპრილში შეუერთდნენ სამეგრელოს (ბანძა-ნაოღალევ-ნოქალაქევის რაიონში)

[1] საშა გეგეჭკორის ავტობიოგრაფიიდან, „კომუნისტი“, 1928 წლის 10 ივნისი.

აჯანყების მონაწილენი. მისი რაზმი 10 დღის განმავლობაში 300 კაცამდე გაიზარდა, ხოლო ადგილობრივ სასოფლო უჯრედებთან ჩამოყალიბებულ რაზმებთან ერთად ს. გეგეჭკორის განკარგულებაში იყო 1700 შეიარაღებული რაზმელი. ს. გეგეჭკორი დაუკავშირდა ზუგდიდის მაზრის აჯანყებულებს, კერძოდ, ბოლშევიკური პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბებულ მებრძოლ რაზმებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სანდრო მახარაძე, ვასილ ქვარაია და ალექსანდრე თოლორაია.

ზუგდიდის მაზრის აჯანყებულთა საერთო ხელმძღვანელობა საშა გეგეჭკორმა იკისრა. მან შემოიკრიბა ასკურავას ხელმძღვანელობით აპრილის პირველ რიცხვებში მოწყობილი აჯანყების მონაწილენი, რომელთაც ამ პერიოდში დაუნდობლად სდევნიდა მენშევიკური მთავრობა. ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში ბოლშევიკების ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ინიციატივით დაარსდა ახალი ხიბულის რაიონის ბოლშევიკური ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნესტორ სიმონის ძე მზარელუა. ს. გეგეჭკორის მითითების მიღებისთანავე ახალი ხიბულის ბოლშევიკურმა სარაიონო ბიურომ ჩამოაყალიბა მებრძოლი რაზმი, რომელიც უშუალოდ საშა გეგეჭკორის შტაბს ემორჩილებოდა. ხელმძღვანელები იყვნენ: ილარიონ შამათავა, ჯვებე ხეცია, ალექსი ჩუკია, ვლადიმერ მზარელუა, გრიგოლ გვაძაბია, მიშა ტყებუჩავა და სხვები.

მებრძოლი რაზმების შექმნის საქმეში ასეთივე ენერგიული მუშაობა გააჩაღა ბოლშევიკების ხორში-საჯიჯაოს რაიონულმა კომიტეტმა. აღნიშნული რაზმები სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ემზადებოდნენ საერთო გამოსვლებისათვის. აჯანყების სალხინოს შტაბის წევრი ლეონტი კარტოზია თავის მოგონებაში წერს: „გალიდან დაბრუნების შემდეგ ჩამოვედით სალხინოში მე, ლეონტი კარტოზია, მიშა გეგეჭკორი, აკაკი ოჩიგავა, კაპიტონ კარტოზია, ლავრენტი როგავა და სხვები. იქ დაგვხვდა საშა გეგეჭკორი. მას მოეხერხებინა საგუბერნიო ციხიდან გამოქცევა... გალიდან დაბრუნებული ამხანაგებიც ყველანი იქ ვიყავით, ეს იყო 1918 წლის მაისის დასაწყისში. ამ დროს სალხინოში იყვნენ ათასამდე შეიარაღებული რაზმელები. ამხ. საშამ მოგვცა დავალება გაგვემაგრებინა, უპირველეს ყოვლისა, სალხინოსაკენ მიმავალი გზები ნოქალაქევთან და გაჟედილთან. თვითონ ამხ. საშა ჭაშინვე გაემ-

ეზაკრა ლეჩხუმში მაშველი რაზმების შესაკრებად და ჩვენთვის მოსაშველებლად“.[1]

აჯანყებულთა სალხინოს შტაბში შედიოდნენ: საშა გეგეჭკორი, ლეონტი კარტოზია, პავლე ბაჩილავა და სხვები. ამ დროისათვის (ლაპარაკია 1918 წლის მაისის შუა რიცხვებზე) ზუგდიდისა და სენაკის მაზრის უმეტეს ადგილებში ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში იყო. აჯანყებულებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ხონის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. ხონიდან ჩამოსული ჭაეჭანიძე დიდ დახმარებას უწევდა სალხინოს შტაბს მებრძოლი რაზმების საერთო ორგანიზაციისა და რაზმელების სამხედრო წვრთნის საქმეში. წალენჯიხის აჯანყებულთა შტაბმა მაისის პირველ რიცხვებში გამოუშვა მოწოდება ზუგდიდის მაზრის მცხოვრებლებისადმი. ეს მოწოდება 1918 წლის 4 ივნისს ჩამოართვეს ხონში დაპატიმრებულ სანდრო მახარაძეს. მოწოდებაში ნათქვამია: „სოფლებში გავრცელდა მაზრის კონტრრევოლუციური კომისრების მიერ ხელმოწერილი ფურცლები, რომლებშიც ურცხვად და უნამუსოდ გაჰკივიან სოხუმის აღებას. შუბლშერცხვენილი, სინდისწარეცხილი ვაჟბატონები (სიმონ თოლორდავას მეთაურობით) ხედავენ თავიანთ აღსასრულს და აღარ იციან რა ქნან, რა გზას მიმართონ, მაგრამ პროვოკაცია არც სიკვდილის წინა ხანებში დაივიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე გრძნობენ, მათი მოქმედება მომაკვდავის უკანასკნელი ფართხალია და მეტი არაფერი, აღვირახსნილი ვაჟბატონები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ხალხი გამოერკვა, რომ ხალხმა თვით ჩამოგლიჯა ის ბნელი რიდე, რომელიც მას გრძნობასა და გონებას უხუთავდა და შესანიშნავი ერთსულოვნებით იარაღით ხელში ამ „მენშევიკ“ ვაჟბატონების წინააღმდეგ გაილაშქრა, ისინი გრძნობენ თავის არარაობას. მათ კარგად ესმით, რომ ეს აბობოქრებული ხალხის ტალღა მათ წალეკავს და დედამიწის პირიდან წაშლის. ამხანაგებო, მოძრაობა უკვე დაიწყო, საშა გეგეჭკორს მოჰყავს 600 კაცი. და ძლევამოსილი ხმით გიკივინებენ თქვენ: აღსდექით, გმირნო, შეერთდით და შეერთებული ძალით მტერს სასტიკად ვეკვეთოთ. ცდა და უოყმანი მოსპეთ და საქმეს ენერგიულად მოკიდეთ ხელი. გეგეჭკორის ჯარი უკვე მესაროდან დაიძრა და ჩვენც მზად უნდა დავხვდეთ უსათუოდ, რომ დრო არ დავკარგოთ. მაშ, ამხანაგებო, გელით. გაუმარჯოს

[1] პარტიული არქივი (თბილისი), მოგონებათა ფონდი, საქმე 54.

ჩვენს მოძრაობას, ძირს პროვოკატორი სიმონ თოლორდავა და მისი დამქაშები!

ხელმოწერა:

(სამხედრო ტექნიკის ხელმძღვანელი)".[1]

მენშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა ბოლო მოეღო საშა გეგეჭკორის მიერ მოწყობილი სახალხო აჯანყებისათვის. ამ დროისათვის ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლები კვლავ აჯანყებულნი იყვნენ. საშა გეგეჭკორი, რომელიც ქუთაისის პარტიული კონფერენციის მიერ იყო გამოყოფილი ბოლშევიკური პარტიის დასავლეთ საქართველოს კომიტეტის მებრძოლი შტაბის ხელმძღვანელად, 1918 წლის 15 მაისს ჩავიდა ლეჩხუმში, იქ მყოფ აჯანყებულთა ხელმძღვანელებს მისცა მითითებანი და დაბრუნდა სალხინოში. ამიერკავკასიის სეიმის მთავრობამ, რომელიც ამ დროს სულს ღაფავდა, ყოველი ღონე იხმარა სამეგრელოს აჯანყების სალიკვიდაციოდ. აჯანყებულთა წინააღმდეგ შეტევა სამეგრელოში დაიწყო ორი მიმართულებით; ერთი — ზუგდიდ-წალენჯიხის მხრით და მეორე მარტვილ-გაჭედილიდან. საშა გეგეჭკორმა გადაწყვიტა აჯანყებულთა მთავარი შტაბი სალხინოდან სოფ. გორდში (წულუკიძის რაიონი) გადაეტანა. ამის შესახებ ის თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „მუშაობაში გეგმიანობის შეტანის მიზნით მე ვიკისრე მთავარი ხელმძღვანელობა, აჯანყების განვითარებასთან ერთად სტიქიურად ფართოვდებოდა სამოქმედო რაიონები. არ ეძინა მენშევიკურ მთავრობასაც. შემოტევა აჯანყებულთა წინააღმდეგ მენშევიკურმა ჯარებმა დაიწყეს ზუგდიდის მხრიდან. მაგრამ წალენჯიხის რაიონში იგემეს სასტიკი დამარცხება: ჩვენ დაგვრჩა 89 ტყვე, 2 ტყვიამფრქვევი და მთელი მათი საომარი მასალა და სურსათ-სანოვაგე. მეორე შემოტევა დაწყებული იქნა მარტვილიდან, აქაც ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა — ამ მეორე თავდასხმის დროს აჯანყებულთა მთავარი შტაბი გადავიდა სალხინოდან სოფ. გორდში და მოთავსდა დადიანის სასახლეში. შტაბის გადატანა გამოწვეული იყო სტრატეგიული მოსაზრებით, რომ დაგვეჭირა გამაგრებული და ცენტრალური ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა ხელმძღვანელობის გაწევა მეორე რევოლუციური აჯანყებისათვის, რომელიც უკვე ვითარდებოდა რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში" [2].

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1918 წლის 7 ივნისი.

[2] გაზეთი „კომუნისტი", 1928 წლის 10 ივნისი, ამბ. ს. გეგეჭკორის ავტობიოგრაფიიდან.

მენშევიკურმა მთავრობამ რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ზუგდიდის გვარდიისაგან შეადგინა ძლიერი რაზმი, რომელშიც შედიოდა 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, და გაგზავნა ზუგდიდიდან წალენჯიხისაკენ აჯანყებულთა რაზმების გასანადგურებლად. ს. გეგეჭკორის მითითების თანახმად, მთავრობის ეს რაზმი უბრძოლველად შეუშვეს წალენჯიხაში. მენშევიკების დამსჯელ ჯარს წალენჯიხაში მეთაურობდა კ. ანთელავა. აჯანყებულთა რაზმების შემოტევის შიშით მთავრობის ჯარი გამაგრდა წალენჯიხის ჩრდილოეთით მთაზე მდებარე ეკლესიის გალავანში. სოფ. ნარაზენიდან გამოწვეულ იქნა მებრძოლი რაზმები, რომლებსაც მეთაურობდა ჯვებე ჩიჩუა, ვასილ ქვარაია და პავლე თოღუა. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ეკლესიის გალავანში გამაგრებულ მენშევიკების ჯარს. ბრძოლა დაიწყო 25 მაისს, საღამოს, და გაგრძელდა ორ დღეს. მენშევიკური დამსჯელი რაზმი იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ორი ტყვიამფრქვევი, უამრავი შაშხანა, რევოლვერი და სხვა საბრძოლო იარაღი. ბრძოლაში მოკლულ იქნა მენშევიკების წალენჯიხის რაიონის კომისარი დიტო კალანდია. მოსახლეობა ერთსულოვნად ეხმარებოდა აჯანყებულთა რაზმებს სურსათ-სანოვაგით.

გაზეთი „შრომა" 1918 წლის 4 აგვისტოს ნომერში წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში შექმნილ მდგომარეობაზე წერდა: „ორ თვეზე მეტია, რაც წალენჯიხის რაიონის სოფლებში ბოლშევიკურმა ჯარისკაცებმა გადააყენეს მთავრობა. მართვა-გამგეობა ხელთ იგდეს და შეუდგნენ საომარ სამზადისს. მაზრის რაიონის კომისართან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ და სოფლებს მართავდნენ თავიანთი კანონებით. მენშევიკური უტაქტო მოქმედების მეოხებით ისინი (გლეხები) ბოლოს ბოლშევიკებს მიემხრნენ. შემდეგ სოფლებში გაჩნდნენ გარე რაიონის ბოლშევიკების წინამძღოლები და შეაკავშირეს წალენჯიხის რაიონის ჯარისკაცები სხვა რაიონის ჯარისკაცებთან. მოახდინეს მობილიზაცია და ყველანი თოფს ქვეშ დააყენეს. 25 მაისს ათასამდე ჯარისკაცმა თავი მოიყარა სოფ. ჩხოროწყუში და იქ გამართეს მიტინგი. მიტინგს ჯარისკაცების გარდა დაესწრო აუარებელი ხალხი. ბოლშევიკებმა გააკრიტიკეს მენშევიკების მთავრობა და თავისი სიმართლის დასამტკიცებლად კრებას წაუკითხეს მაზრის კომისარ თოლორდავას ბრძანება, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა — დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცებული, კაცი და ქალი მიემხრო მათ. საღამოს 25 მაისს ბოლშევიკების ჯარი გაემგზავრა წალენჯიხაში და

ორი გასროლის შემდეგ იარაღი აყარეს მთავრობის მიერ გაგზავნილ რაზმს. შემდეგ ჯარი დაიშალა ერთი კვირის ვადით. ერთი კვირის შემდეგ თავი მოიყარეს. ერთი ნაწილი საშა გეგეჭკორის მეთაურობით წავიდა გორდისაკენ და მეორე ზუგდიდში".[1]

რასაკვირველია, ამ გაზეთის კორესპონდენტს ვერ დავწამებთ ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობას, მაგრამ ამ წერილიდანაც ცხადია, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა. ეს გაზეთიც ვერ უვლის გვერდს იმ ნამდვილ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ხალხის აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ზემო სამეგრელოში (წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში) აჯანყებულებს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ სანდრო მახარაძე და აკაკი ქუჩულორია. მენშევიკურმა მთავრობამ გლეხთა აჯანყებების წინააღმდეგ საბრძოლველად 1918 წლის 10 აპრილს (ძვ. სტილით) მიიღო დადგენილება ე. წ. „მფრინავი რაზმების" ჩამოყალიბების შესახებ. ეს რაზმები უშუალოდ ემორჩილებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრს. 1918 წელს მათ შესანახად მთავრობის მიერ გამოყოფილ იქნა 6 754 200 მანეთი. კანონს „მფრინავი რაზმების" ჩამოყალიბების შესახებ ხელს აწერდა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და ამიერკავკასის მთავრობის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი. კანონში ნათქვამია:

„1. გაუქმდეს ამიერკავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში, დაღესტნის ოლქისა და შავი ზღვის გუბერნიის გამოკლებით, ყოფილი ა) კავკასიის კომისარიატის 1918 წლის 2 თებერვლის დადგენილების თანახმად არსებული მილიციის რეზერვები.

2. დაწესდეს ა) კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში დროებით 6 ივით საგანგებო მფრინავი რაზმები და გადაცემულ იქნან ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებასა და საგუბერნიო (საოლქო) კომისრების უშუალო ქვემდებარეობაში.

3. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის სახელმწიფო ხაზინის ნაღდი სახსრებიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გაღებულ იქნას კრედიტი ექვსი მილიონ შვიდას ორმოცდათოთხმეტი ათას ორასი მანეთის რაოდენობით (6 754 200) გასაუქმებელი მილიციის რეზერვისათვის მიკუთვნებული თანხების ჩათვლით"[2].

---

[1] გაზეთი „შრომა", 1918 წლის 4 აგვისტო (გაზ. „შრომა" გამოდიოდა 1918—1921 წლებში. იგი იყო ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო).

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 1, საქმე 22, ფურც. 7.

„მფრინავი რაზმები“ სასწრაფო წესით იქნა ჩამოყალიბებული. მასში ერთიანდებოდნენ (ეწერებოდნენ) თავზეხელაღებული ბანდიტები, გახრწნილი ელემენტები. „მფრინავი რაზმები“ ულმობლად უსწორდებოდნენ არა მარტო აჯანყებულთა, არამედ უბრალოდ ეჭვმიტანილთა ოჯახებსაც. საშა გეგეჭკორის აჯანყებულთა რაზმების წინააღმდეგ მეორე შეტევა მენშევიკურმა მთავრობამ სწორედ ამ „მფრინავ რაზმებს“ დაავალა.

1918 წლის 21 მაისს ქუთაისის „მფრინავი რაზმი“ გვიშტიბიდან ხონში დაბრუნდა, სადაც შეხვდა ხონში გამოქცეულ მარტვილის რაიონის კომისარს, რომელსაც თავისი მილიციონერებიც ახლდა. ესენიც შეუერთდნენ ქუთაისის „მფრინავ რაზმს“. 22 მაისს ხონში ქუთაისის „მფრინავ რაზმს“ შეუერთდა ყვირილის „მფრინავი რაზმი“. ორივე რაზმი, მარტვილის მენშევიკურ მილიციასთან ერთად, გაემგზავრა მარტვილ-გაჭედილის გზით სალხინოსაკენ. ეს რაზმები შეიარაღებული იყვნენ არტილერიით და ტყვიამფრქვევებით. 23 მაისს ორივე „მფრინავი რაზმი“ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში გავიდა მარტვილიდან გაჭედილისაკენ. პირველი შეტაკება აჯანყებულებთან მოხდა გაჭედილთან (სადაც ახლა აბაშის ჰიდროელექტროსადგურია). აჯანყებულები გამაგრებული იყვნენ თამაკონისა და უყურის მთებზე. ამ მთებს შორის მიედინება მდინარე აბაშა. მენშევიკთა „მფრინავ რაზმებს“ კაპიტანი ღლონტი მეთაურობდა.

23 მაისს შუადღისას „მფრინავი რაზმები“ მიუახლოვდნენ გაჭედილს. აჯანყებულთა რაზმებმა პირველებმა ატეხეს სროლა. სროლა ორივე მხრიდან მთელი დღე-ღამე გრძელდებოდა. „მფრინავმა რაზმებმა“ გამოიყენეს არტილერია და ტყვიამფრქვევები. ულმობლად უშენდა არტილერია აჯანყებულთა რაზმებს, რომელთაც მხოლოდ შაშხანები ჰქონდათ, არ ჰყოფნიდათ ვაზნები. მიუხედავად ასეთი უთანასწორო ბრძოლისა, აჯანყებულებმა უკან დაიხიეს მხოლოდ ერთი დღე-ღამის შემდეგ. აჯანყებულთა რაზმების ბრძოლას გაჭედილთან ხელმძღვანელობდნენ პავლე ბაჩილავა და ლეონტი კარტოზია. საშა გეგეჭკორის შტაბი და მებრძოლთა ძირითადი ნაწილი ამ დროისათვის სოფ. გორდში იყო გადასული. საშა სათავეში ჩაუდგა ზუგდიდის, სენაკის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრის აჯანყებულებს. აჯანყებულთა მასა დღითიდღე იზრდებოდა. ფილიპე მახარაძე წერს: „ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ ზუგდიდისა და სენაკის მაზრებს გარდა აგრეთვე ლეჩხუმისა და რაჭის მაზრების გლეხებიც. ამ გამოსვლებს დირექტი-

ვებს აძლევდა დასავლეთ საქართველოს პარტიული კომიტეტი. ლეჩხუმის, რაჭის, ზუგდიდისა და სენაკის აჯანყებულთა რაზმებს ხელმძღვანელობდა ერთი შტაბი, რომელიც სოფ. გორდში იდგა (ქუთაისის მაზრა) — ამხ. საშა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. შეტაკებები იყო სალხინოში, გორდში, გაჭედილში, ხაბუმეში, ჩხოროწყუში, ამ რაზმს ტყვედ ჩაუვარდა 92 კაცი ოფიცერთა რაზმიდან და მრავალი სამხედრო იარაღი, ყველგან რაზმი გამოდიოდა გამარჯვებული. საერთო რიცხვი ოთხივე მაზრაში შეირაღებულებისა უდრიდა 8 000—11 000 კაცს“ [1].

„მფრინავმა რაზმებმა“ ნაწილობრივ შეძლეს აჯანყებულთა წინააღმდეგობის გატეხვა, მაგრამ მათი განადგურება ვერ მოახერხეს. ამასობაში ბოლშევიკური პარტიის ქუთაისის კომიტეტმა, დასავლეთ ამიერკავკასის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც ნაკარნახევი იყო ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ვითარებით, მოსთხოვა საშა გეგეჭკორს მებრძოლი რაზმების დაშლა და აჯანყების დროებით შეჩერება. სათანადო დირექტივა გაეგზავნა საშა გეგეჭკორის შტაბს გორდში.

საშა გეგეჭკორის შტაბის ბრძანებისამებრ, მებრძოლი რაზმების დიდი ნაწილი სენაკის მაზრაში დაიშალა. ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი რაზმებისა დაიშალა ზუგდიდის მაზრაში (წალენჯიხა-ჩხოროწყუ). იარაღი გადამალულ იქნა. მაგრამ იმის გამო, რომ მშრომელი მასების საარსებო ინტერესების გადაჭრას მენშევიკური მთავრობა არ ცდილობდა, აჯანყებები სამეგრელოში არ შეწყვეტილა. იგი გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. სამეგრელოს მშრომელი გლეხობა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ნამდვილ ომს აწარმოებდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს აჯანყება 1918 წ. გაზაფხულზე შედარებით ორგანიზებული ხასიათისა იყო. თვით მენშევიკური პარტიის ოფიციოზიც კი იძულებული იყო ეღიარებინა:

„3 ივნისს ხონის სამობილიზაციო რაზმის ხელმძღვანელებმა დააპატიმრა სამეგრელოდან გამოსული პირები: ს. მახარაძე, შელია და სხვა. ჩამორთმეული დოკუმენტები ეხება სამეგრელოში ბოლშევიკების მოძრაობას, რომელიც ჯერჯერობით დასრულებულად არ ჩაითვლება. ერთი საბუთიდან სჩანს, რომ ცენტრიდან (ალბათ ქუთაისიდან) გაუგზავნიათ 6 000 მანეთი. საბუთებიდან ჩანს, რომ ბოლშევიკები

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921 წლებში, თბილისი, 1927, გვ. 175.

ნამდვილ ომს აწარმოებენ მთავრობის წინააღმდეგ და სერიოზულად ფიქრობენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე. მათი ამა თუ იმ სოფელში გამოსვლა არ ჩაითვლება პარტიზანულ მოქმედებად, მათ ერთმანეთთან კავშირი აქვთ და თავიანთ მოქმედებას უთანხმებენ ამიერკავკასიის ცენტრს. ჯარის ორგანიზაცია, როგორც ეტყობათ, გვარიანი აქვთ, ახლენენ ამა თუ იმ სოფელში მობილიზაციას როგორც ადამიანების, ისე იარაღის. სურსათ-სანოვაგის, ჰყავთ ტექნიკური ორგანიზაციები და სხვა".[1]

ზემომოტანილი ცნობა ცხადყოფს, რომ აჯანყება ასე თუ ისე ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

საშა გეგეჭკორი გორდიდან ჩავიდა სოფ. ხაბუმეში (ჩხოროწყუს რაიონი), სადაც შეიკრიბა მებრძოლი რაზმი ათას კაცამდე. ის გამოვიდა სიტყვით. კრების მონაწილეებს გააცნო საგუბერნიო კომიტეტის დადგენილება შეიარაღებული აჯანყების დროებით შეჩერების შესახებ, დასახა მომავალი სამოქმედო გეგმა, ურჩია იარაღი შეენახათ საიმედო ადგილას. მსურველებს მოუწოდა ჩაწერილიყვნენ მისი ხელმძღვანელობით მოქმედ რაზმში, რომელიც, ბოლშევიკური პარტიის ქუთაისის კომიტეტის მითითებით, უნდა გადასულიყო მამისონის უღელტეხილით ქ. ვლადიკავკავში[2]. მიუხედავად ამისა, სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გრძელდებოდა 1918 წლის სექტემბრის ბოლომდე.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1918 წლის სექტემბერში დამარცხდა. მენშევიკური მთავრობის ქუთაისის გუბერნიის კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი თავის მოხსენებაში შინაგან საქმეთა მინისტრისადმი აჯანყების დროებით ჩაქრობის შემდეგ წერდა: „29 აგვისტომდე მთელი ზუგდიდის მაზრა, გარდა ქალაქ ზუგდიდისა, აჯანყებულების ხელში იყო... ამ დროს ქალაქ ზუგდიდში იდგა საგუბერნიო მფრინავი რაზმი და ქ. ახალსენაკში მე-12 პოლკის ნაწილი პოლკოვნიკ სრესელის მეთაურობით, რომლებიც მხოლოდ იგერიებდნენ მტრის შემოტევას. ამასთან პოლკოვნიკ სრესელის განკარგულებაში იყო გამოგზავნილი მეორე ცხენოსანი პოლკის რაზმი როტმისტრ დენისოვის უფროსობით, რო-

---

[1] გაზეთი „ერთობა", 1918 წლის 7 ივლისი.

[2] საშა გეგეჭკორმა აუწყა რაზმელებს, რომ ბრძოლა იქნებოდა სამკედრო-სასიცოცხლო, ამიტომ გააფრთხილა რაზმში ჩაწერის მსურველნი, ნაუცბათევი გადაწყვეტილება არ მიეღოთ: „არჩევანი თქვენზეა, ვისაც არ გეშინიათ ასეთი ბრძოლისა, — გამომყევით".

მელიც წინ მიიწევდა ზუგდიდ-სენაკის გზატკეცილით ზუგდიდისაკენ. ასეთი მდგომარეობა იყო მაშინ, როცა ჩამოვიდა გენერალ-მაიორ გედევანიშვილის რაზმი.

შეტევა დაიწყო ხუთი მხრიდან იმ მიზნით, რომ შეიარაღებულები არ გაქცეულიყვნენ ზევით მთებისაკენ და ამავე დროს არ გადასულიყვნენ სხვა რაზმებში... ორ სექტემბერს ჩამოვიდა სახალხო გვარდია, რომლებიც შეუერთდნენ გედევანიშვილის რაზმს და დაიწყო საერთო შეტევა... როგორც მასობრივი მოძრაობა, დღეს ზუგდიდის მაზრაში ეს მოძრაობა ძირიანად აღმოფხვრილია. განსაკუთრებულმა მდგომარეობამ მაიძულა შემექმნა მაზრაში განსაკუთრებული ცხენოსანი რაზმი. ამავე დროს, როგორც გამოცდილი ადმინისტრატორი, მოვიწვიე მაზრის კომისარი ამხანაგი ისაკი ახვლედიანი, ხონის რაიონის ყოფილი ბოქაული... დღეს მხოლოდ დარჩენილია მაზრაში გედევანიშვილის რაზმი, რომელიც მალე აპირებს საოპერაციოდ გადასვლას სამურზაყანოში. სახალხო გვარდია დარჩა ზუგდიდის მაზრაში რამოდენიმე დღეს. მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მდინარე ინგურზე გადასვლის დროს სამურზაყანოელებმა".[1]

მენშევიკური მთავრობის მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირიც კი იძულებულია აღიაროს, რომ სამეგრელო მათთვის (მენშევიკებისათვის) სახალხო აჯანყების გამო მთელი 1918 წლისათვის დაკარგული იყო. ამ მოხსენებიდანაც ჩანს, თუ რა დიდი ძალების გაგზავნა დასჭირდა მენშევიკურ მთავრობას სამეგრელოს აჯანყებულთა წინააღმდეგ. მენშევიკების სატრაპი არ მოერიდა აჯანყებულთა დროებით უკანდახევის შემდეგ ზუგდიდის მაზრის კომისრის ამხანაგად გაეგზავნა ნიკოლოზ II-ის დროინდელი ჯალათი, ბოქაული ახვლედიანი. აუწერელია ი. ახვლედიანის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი სამეგრელოში მენშევიკების დროებით გამარჯვების შემდეგ. მის საქმიანობას იწონებდა მენშევიკური მთავრობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მენშევიკების ლიდერებიც კი იძულებული იყვნენ სამეგრელოს გლეხთა 1918 წლის აჯანყებები ჩაეთვალათ სახალხო მასობრივ აჯანყებებად მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრო 1919 წლის მაისში, თავისი ერთი წლის მუშაობის ოფიციალურ ანგა-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 11, აღწ. 1, საქმე 4, ფურც. 24—25.

რიშში, იძულებულია აღიაროს, რომ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აღდგა საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობა, რომ მენშევიკური მთავრობა ზარბაზნებით ახშობდა ამ სახალხო მოძრაობას, ანგარიშში ნათქვამია, რომ ოდიშის (სამეგრელოს) მოსახლეობამ სრულიად არ ცნო საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წლიურ ანგარიშში ვკითხულობთ: „...საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1918 წ. 26/V) წარმომდგარი ანარქია იმ ადგილებში, რომლებიც რესპუბლიკაში შედიოდნენ, სრულებით კლავდნენ ადგილობრივ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას, თხოულობდნენ სახელმწიფოს მხრივ დიდი ძალის დახარჯვას. ნორჩი, ჯერ კიდევ გაუმტკიცებელი საქართველოს სახელმწიფო, ვინაიდან ის იძულებული იყო საზღვარი დაედვა ანარქიისათვის, და ამ მიზნით უნდა მიემართა არაჩვეულებრივი ზომებისათვის. მაგალითად ჯარებისა და სახალხო გვარდიის ნაწილები დაიგზავნა იმ ადგილებში, რომლებსაც მოდებული ჰქონდა ანარქია და მღელვარება. ამნაირად საჭირო იყო ხშლით ჩაქრობილიყო ამბოხებანი, რომელნიც რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში წარმოიშვა, სახელდობრ: საჩხერისა და ლეჩხუმის რაიონებში, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებში და აგრეთვე მთელ ოდიშში, სადაც ხალხმა, ყოველგვარი უპასუხისმგებლო ელემენტებით შთაგონებულმა, თითქმის უარჰყო ეცნო საქართველოს მთავრობის ხელისუფლება“.[1]

შემდეგ ანგარიშში ნათქვამია, რომ თითოეული საზოგადოების ადმინისტრაციასთან შეიქმნა 5 მილიციელისაგან შემდგარი რაზმი, რომლის წევრებს გაძლიერებული ჯამაგირი ეძლეოდათ. დაარსდა ცხენოსანი „მფრინავი რაზმები“, რომელთა რიცხობრივი შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 600 კაციდან 1000 კაცამდე. სოხუმის ოლქში 300-დან 400-მდე. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა განსაკუთრებული რაზმი (ამ რაზმს კი ედია ხელმძღვანელობდა).

ამ ოფიციალური დოკუმენტიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა დაძაბული მდგომარეობა შეუქმნა მენშევიკურ მთავრობას სახალხო აჯანყებებმა 1918 წელს.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 11, აღწ. 11, საქმე 147, გვ. 17—19.

მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ანგარიშში იძულებულია აღიაროს, რომ სამეგრელოს მშრომელებმა არ ცნეს მენშევიკური მთავრობა და მას მედგარი ბრძოლა გამოუცხადეს.

სამეგრელოს გლეხთა 1918 წლის აჯანყებებმა, საქართველოს სხვა კუთხეების მშრომელთა მიერ მოწყობილ აჯანყებებთან ერთად, ძირი გამოუთხარა მენშევიკურ მთავრობას, შეარყია მისი ძალაუფლება. მენშევიკებმა მხოლოდ დიდძალი ჯარისა და გვარდიის დიდი შენაერთებით შეძლეს ჩაეხშოთ გლეხთა რევოლუციური გამოსვლა სამეგრელოში 1918 წელს.

ჯლეჩხუმისა და სამეგრელოს გლეხთა ბრძოლას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოში მხარს უმშვენებდნენ აფხაზეთის გლეხები, რომლებმაც მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლა გააჩაღეს 1918 წლის მარტის მეორე ნახევრიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გადაჭრა ნაციონალური საკითხი საქართველოში. მენშევიკებმა არ მისცეს ავტონომია აფხაზებს. ეს უდიდეს გულისწყრომას იწვევდა აფხაზ მშრომელებში. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ყველა არაქართველი ეროვნება ფაქტიურად მოკლებული იყო მოქალაქეობრივ უფლებებს. მენშევიკებმა საქართველოში შემოიღეს შეკვეცილი საერობო თვითმმართველობა, მაგრამ ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებს, მათ შორის აფხაზებს, ეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეფორმაც არ აღირსეს.

ამგვარად, იმ მრავალრიცხოვან მიზეზს შორის, რამაც გამოიწვია მშრომელი გლეხობის რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1918 წელს, ერთ-ერთია მენშევიკური მთავრობის მიერ ეროვნული საკითხის მოუგვარებლობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათათვის.

მენშევიკური მთავრობის ე. წ. „აგრარულმა რეფორმებმა" აფხაზ გლეხობას ვერაფერი მისცა, მიწები კვლავ მემამულეთა და კულაკობის ხელში რჩებოდა. აფხაზი გლეხობის აუტანელ მდგომარეობას მენშევიკური გაზეთებიც ვერ უვლიდნენ გვერდს. გაზეთი „ბორბა" წერდა: „დღემდე აფხაზეთში შემორჩენილია რევოლუციამდელი აგრარული ურთიერთობა, თუ მოისურვებთ ნახოთ მემამულე, რომელიც არ თესავს, მაგრამ ბეღელს ივსებს, თუ მოისურვებთ ნახოთ მოჯარე, რომელიც ოფლად იღვრება და მოსავალს მიწათმფლობელს აძლევს,... ამ სურათით სოხუმის ოლქში შეგიძლიათ დატკბეთ".[1] 1917 წლის დამ-

[1] Газ. «Борьба», 10 июля 1918 года.

ლესა და 1918 წლის დამდეგს აფხაზეთის სოფლებში საგრძნობლად გაძლიერდა კლასობრივი წინააღმდეგობანი. გლეხები რევოლუციური გზით ეპატრონებოდნენ მემამულეთა და კულაკთა მიწებს.

თავადაზნაურულ-მემამულურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მიზნით აფხაზი მშრომელები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აყალიბებდნენ შეიარაღებულ რაზმებს. „ასეთი რაზმები შეიქმნა გუდაუთსა და ბრიფში „კერაზის" სახელწოდებით, სამურზაყანოში, გუმისთის საზოგადოებაში და კოდორის უბანში" [1]. აფხაზეთის გლეხობას რევოლუციური ბრძოლის სათავეში ედგნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ კავკასიის ბოლშევიკების საბჭოთა ხელისუფლებასთან.

აფხაზეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები ენერგიულად ამხელდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ძალებს და რაზმავდნენ მასებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. გუდაუთის პარტიულმა ორგანიზაციამ, განიხილა რა ამიერკავკასიის ხელისუფლების საკითხი, მხედველობაში მიიღო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი თვითნებურადაა შექმნილი, რომ იგი უპირისპირდება სახალხო კომისართა საბჭოს, რომელიც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამ დაამტკიცა, მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „1) ყოველი ღონით დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება მთელ რუსეთში, როგორც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხელისუფლება. 2) მთელი ენერგიით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ კავკასიაშიც დაუყოვნებლივ გადაეცეთ მთელი ხელისუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. 3) განვუმარტოთ მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი კონტრრევოლუციურია" [2].

1918 წლის 25 თებერვალს მენშევიკური გაზეთი „ერთობა" სოხუმში შექმნილი მდგომარეობის შესახებ წერდა: „ქალაქის თავის ბ. ჩხიკვიშვილისა და მთავრობის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ აგიტაცია წარმოებს, მუშები და გლეხები ბოლშევიკთა ძლიერ გავლენას განიცდიან. ისინი მოითხოვენ, მუშათა საბჭოში ახალ არჩევნებს. უმრავლესობა ბოლშევიკები გაჰყავთ საბჭოში. ფრონტიდან დაბრუნებუ-

---

[1] ვ. ქარჩავა, კ. გაბისონია, აფხაზეთის ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, იხ. ბროშ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, 1960, გვ. 51.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузин, стр. 242.

ლი ჯარისკაცებიც მოითხოვენ ქალაქის დაცვის საქმე მათ ხელში იყოს“ [1]. „უნდა ითქვას, რომ უკვე 1917 წლის მიწურულს, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სოხუმის საბჭოში უპირატესობა მიიღეს ბოლშევიკებმა. მათი გავლენა ამ საბჭოში იმდენად გაიზარდა, რომ მის თავმჯდომარედ მენშევიკ ჩხიკვიშვილის ნაცვლად აირჩიეს ბოლშევიკი ე. ეშბა“ [2].

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ცდას სოხუმში ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში. 28 თებერვალს სოხუმში შეიარაღებული შეტაკება მოხდა სამხედრო გემის რევოლუციურ მეზღვაურებსა და თავად ნ. ემუხვარს შორის.

მეზღვაურებმა სოხუმში დაინახეს თავისუფლად მოსეირნე მეფის თეთრგვარდიელი ოფიცრები, მათ შორის ნ. ემუხვარი, რომელიც ამაყად მიაბიჯებდა ბულვარში . მეზღვაურებმა მას წინადადება მისცეს მოეხსნა მეფის ოფიცრის ჩინი. წინააღმდეგობის გაწევის დროს მას ძალით ჩამოგლიჯეს ჩინი. მაშინ ნ. ემუხვარმა ადგილზე მოკლა ერთი მეზღვაური, დაჭრა მეორე და მიიმალა. ამან გამოიწვია ქალაქში მღელვარება, მენშევიკური ხელისუფლება დაიბნა. სოხუმის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ხელსაყრელი მომენტით. ბოლშევიკური კრეისერის დახმარებით ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

სახელდახელოდ მოიწვიეს მუშებისა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი ე. ეშბას თავმჯდომარეობით. რევკომის შემადგენლობაში შევიდნენ: გ. ათარბეკოვი, ს. კუხალეიშვილი, ნ. სვანიძე და სხვა ბოლშევიკები. მალე ჩამოყალიბდა წითელი გვარდიის სამხედრო შტაბი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი შეიარაღებული ძალები სოხუმში. რევკომმა ციხიდან გაანთავისუფლა პოლიტიკური პატიმრები. ყველა საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ ორგანიზაციას დაავალა ემოქმედათ მასთან შეთანხმებით.

რევკომმა გამოსცა სპეციალური განცხადება მოსახლეობისადმი — ბიულეტენი № 1 — „ამხანაგებსა და მოქალაქეებს“. „ამხანაგებო და მოქალაქენო, — ნათქვამი იყო ბიულეტენში, — იცოდეთ, რომ ხელი-

---

[1] გაზ. „ერთობა“ 1918 წლის 25 თებერვალი.

[2] ვ. ძ ი ძ ა რ ი ა, აფხაზეთის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, იხ. კრებ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, 1957, გვ. 236.

სუფლება მტკიცე ხელთაა და ის, ვინც შეეცდება დაარღვიოს რევოლუციური წესრიგი, სამხედრო რევოლუციურ სასამართლოს გადაეცემა".[1]

ამ მოვლენებს მთელი ოლქის მოსახლეობა გამოეხმაურა. გუდაუთიდან, დრანდიდან და სხვა ადგილებიდან მოვიდა ცნობები, რომ გლეხები მზად იყვნენ დახმარებოდნენ რევოლუციურ კომიტეტს. მაგრამ ეს უკანასკნელმა ვერ შეძლო დაემყარებინა აუცილებელი კავშირი რაიონებთან. მის მოღვაწეობაში სხვა შეცდომებიც იყო, ამით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და სამხედრო გემის წასვლისთანავე, 1918 წლის 4 მარტს, კონტრრევოლუციამ სასტიკი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ კვლავ დაიკავა სოხუმი. სოხუმში შეიქმნა ე. წ. „საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტი" ბ. ჩხიკვიშვილის მეთაურობით, რომელიც აყალიბებდა განსაკუთრებულ სამხედრო ნაწილს — „სოხუმის სახალხო ლეგიონს". კომიტეტმა გამოსცა ბიულეტენი, რომლითაც დახვრეტით ემუქრებოდა იმათ, ვინც რევოლუციას დაუჭერდა მხარს. მიუხედავად ასეთი „წარმატებისა", მენშევიკები სოხუმში მაინც ცუდად გრძნობდნენ თავს. ამასთან დაკავშირებით ბ. ჩხიკვიშვილი ნოე ჟორდანიას აცნობებდა: „ჩვენ არამცთუ გვისმენენ, არამედ ძალიან მტრულად არიან ჩვენდამი განწყობილნი"[2] და რესპუბლიკის მეთაურს სამხედრო დახმარებას სთხოვდა.

ამავე დროს მენშევიკებმა, რომლებიც ისწრაფოდნენ შეეჩერებინათ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდა, 1918 წლის მარტში სოხუმში მოიწვიეს აფხაზეთის „გლეხთა" II ყრილობა. ეს კულაკური ყრილობაც ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით ჩატარდა. მან კატეგორიულად გაილაშქრა ხელისუფლების ორგანიზაციის ბოლშევიკური პრინციპის წინააღმდეგ, რომელიც ყრილობაზე წაიკითხა ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნ. ლაკობამ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ორგანიზებულად წასამართავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რსდმპ(ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის პარტიულ კონფერენციას, რომელსაც აფხაზეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

1918 წლის თებერვლის პარტიული კონფერენციის შემდეგ მარტის

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 1, საქმე 18, ფურც. 8—9.

[2] იქვე. ფურც. 9—10.

შუა რიცხვებში ქ. ბათუმში მოწვეულ იქნა ბოლშევიკების თათბირი, რომელსაც კავკასიის სამხარეო კომიტეტიდან დაესწრო მ. ორახელაშვილი, ხოლო აფხაზეთის ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან — ე. ეშბა, ნ. ლაკობა და გ. ათარბეკოვი. აქ შემუშავებულ იქნა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გეგმა. თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე აფხაზეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი მშრომელთა შეიარაღებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

აფხაზეთის ყველა კუთხეში დიდი სამზადისი წარმოებდა შეიარაღებული აჯანყებისათვის. ნ. ლაკობამ და ე. ეშბამ ბათუმიდან სოხუმში ჩამოიტანეს 200 შაშხანა, რამდენიმე ყუთი ვაზნა და ხელყუმბარები. შემდეგ ე. ეშბა გაემგზავრა გუდაუთაში, თან წაიღო იარაღის ნაწილი და შექმნა აჯანყების მთავარი შტაბი. გუდაუთაში გლეხთა რაზმი „კერაზი“ გადიდდა 1000 კაცამდე, სოხუმსა და მის რაიონებში შეიქმნა მუშებისა და გლეხების მებრძოლი რაზმები. სოფ. დრანდაში ჩამოყალიბდა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ გ. ათარბეკოვი, ს. კუხალეიშვილი, ე. დამენია, ი. ჟვანია და სხვანი. ამ პერიოდში ს. კუხალეიშვილმა რევოლუციონერთა შესაიარაღებლად სოხუმში ჩამოიტანა 500 შაშხანა. სამურზაყანოს მაზრაში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტი პ. ძიგუას მეთაურობით.

აფხაზეთის ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ კონკრეტული გეგმით, 1918 წლის 11 მარტს აჯანყება დაიწყეს გაგრაში. ამავე დღეს გაგრასა და გუდაუთაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა — აჯანყებულებს დაეხმარა სოჭის წითელგვარდიელთა რაზმი. აჯანყებულები, რომელთა ძირითად ნაწილს „კერაზის“ რაზმები შეადგენდნენ, ვ. ეშბასა და ნ. ლაკობას ხელმძღვანელობით სოხუმისაკენ დაიძრნენ, მათ ახალ ათონთან დაამარცხეს მენშევიკთა რაზმები და ქალაქს მიადგნენ. იმავდროულად სოხუმს პარტიზანებიც მიუახლოვდნენ ჩებელდიდან და დრანდიდან. აქ გუმისტას უბნის სხვადასხვა სოფლიდან თავმოყრილი იყო საბრძოლო რაზმები, რომლებსაც მეთაურობდნენ გ. ათარბეკოვი, ს. კუხალეიშვილი და სხვანი.

მენშევიკებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს, მაგრამ მაინც ვერ გაუძლეს აჯანყებული მშრომელების შეტევას, რომლებმაც ქალაქ სოხუმს ალყა შემოარტყეს. 1918 წლის 24 მარტს (6 აპრილს) სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ქალაქის მისადგომებთან, სადაც მენშევიკებმა დამა-

რცხება განიცადეს . 26 მარტს (8 აპრილს)დილით მენშევიკები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სოხუმი.

გაგრის, გუდაუთის და გუმისტას უბნების გაერთიანებულმა გლეხთა და სოხუმის მუშათა დეპუტატების საბჭოებმა სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეფრემ ალექსის ძე ეშბას თავმჯდომარეობით: კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. ლაკობა, გ. ბთარბეკოვი, ს. კუხალეიშვილი, მ. ჩიქობავა, ვ. აგრბა, პ. ძიგუა, ბ. კვირკველია, ა. ზეითუნიანი, კ. მაკაროვი და სხვები. სოხუმში დაიწყო გამოსვლა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ორგანომ „სუხუმსკაია პრავდამ“.

1918 წლის 11 აპრილს საბჭოთა ხელისუფლება სამურზაყანოშიც (დღევანდელი გალის რაიონი) დამყარდა. სამურზაყანოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელსაც პ. ძიგუა ხელმძღვანელობდა, დიდი ბრძოლის ფასად გაწმინდა ეს რაიონი მენშევიკური ჯარებისაგან.

ამგვარად, აფხაზეთის გლეხთა რევოლუციური გამოსვლა დამთავრდა იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე, გარდა კოდორისა, სადაც თავი შეაფარეს თავად-აზნაურთა ხროვამ და მენშევიკური ჯარის ნაწილებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა კულაკობა.

აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოიყენა საბჭოთა რუსეთის გამოცდილება და დაუყოვნებლივ შეუდგა უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება აფხაზეთში. 8 აპრილს რევოლუციურმა კომიტეტმა დაშალა მენშევიკური გვარდია და მილიცია, დაიწყო წითელი გვარდიის ჩამოყალიბება მუშებისა და მშრომელი გლეხებისაგან. მოახდინა სახელმწიფო და კერძო ბანკების ნაციონალიზაცია, გაატარა რიგი ღონისძიებანი სასურსათო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა როგორც სოხუმში, ისე მთელს აფხაზეთში სანიმუშო წესრიგი დაამყარა, რასაც მენშევიკებიც ვერ მალავდნენ. „ბოლშევიკების ბატონობის პერიოდში,—ვკითხულობთ მენშევიკური სასამართლოს ძიების საქმეში,—მათ მიერ სოხუმში არ ჰქონია ადგილი არცერთ შემთხვევას მკვლელობისა, ძარცვისა და ბანდიტობისა“.[1] მაშინ როცა ქვეყანაში ანარქია, ძარცვა

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 142, აღწ. 1, საქმე 189, ფურც. 30.

და სხვა ბოროტმოქმედებათა ქაოსი იყო, ბოლშევიკურ სოხუმში ცხოვრება ნორმალურ ვითარებაში მიმდინარეობდა, ყოველგვარი ანარქიისა და ძალადატანება-ექსცესის გარეშე. ეს ამაღლებდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს აფხაზეთში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თანდათანობით ჩამოყალიბებასთან ერთად ორგანიზაციული შემოქმედების პროცესმა სოფელიც მოიცვა. „ამხანაგო გლეხებო, შექმენით თქვენი საბჭოები ყოველ სოფელში, ყოველ თემში, — მოუწოდებდა რევოლუციური კომიტეტი, — ჩვენ ასეთი საბჭოების მთელი ქსელით უნდა დავიფაროთ, დავირაზმოთ მათს ირგვლივ და მხარი მივცეთ მათ. მაშინ ვერავითარი მტერი ვერ შეგვაშინებს“ [1].

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ინტერესები მოითხოვდა მიწის საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრას. აგრარული პოლიტიკის განსახორციელებლად შეიქმნა საადგილმამულო კომიტეტები, ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ დეკრეტით მიწის შესახებ და კანონით მიწის ნაციონალიზაციის თაობაზე, რომლებიც მიღებულ იქნა საბჭოების მეორე და მესამე სრულიად რუსეთის ყრილობებზე. 1918 წლის 7 აპრილს გუდაუთაში შემდგარ მიტინგზე აღინიშნა, რომ არსებული საადგილმამულო კომიტეტები, რომლებიც ცხოვრებაში ატარებენ 26 ოქტომბრის ცნობილ დეკრეტს მიწის შესახებ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. გუმისტას გლეხთა ყრილობამ მიწის საკითხის შესახებ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები. დადგინდა მფლობელობისა და სარგებლობის ნორმები, რათა უფასოდ დაერიგებინათ მიწები ულარიბესი გლეხობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ანალოგიურ მუშაობას ეწეოდა სამურზაყანოს რევკომიც. მან კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა დამსჯელი ექსპედიცია და რევოლუციური სასამართლო ფ. თორიას თავმჯდომარეობით. ამ ორგანიზაციებმა დიდი სამსახური გაუწიეს სამურზაყანოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და დაცვის საქმეს.

სამურზაყანოს რევკომმა მიწები ჩამოართვა მემამულეებს და უფასოდ დაურიგა გლეხებს; ბრძოლა გამოუცხადა ბანდიტიზმსა და ქურდობას, რაც სამურზაყანოში გავრცელდა მენშევიკების ბატონობის პერიოდში. სამურზაყანოს მშრომელი გლეხობა მთელი ექვსი თვის გან-

---

[1] Газ. «Сухумская правда», 16 апреля 1918 года.

შავლობაში ებრძოდა მენშევიკების გვარდიას, არტილერიის გრიალში იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას.

აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მშრომელი მასების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას. „სხვადასხვა ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს, — წერდა რევოლუციური კომიტეტის ორგანო „სუხუმსკაია პრავდა“, — თავიანთი საერთო ინტერესები გააჩნიათ, გასაყოფი მათ არაფერი აქვთ, ისინი ერთად უნდა შეებრძოლონ თავიანთ ექსპლოატატორებს, დამმონებლებს... მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სხვადასხვა ეროვნებათა მუშებისა და გლეხების კავშირში, დარაზმულობაშია ჩვენი ძალა“.[1]

აფხაზეთის მშრომელები ისწრაფოდნენ კავშირი დაემყარებინათ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების აჯანყებულ რაიონებთან. სამურზაყანოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1918 წლის ივნისში დიდი დახმარება გაუწია სამეგრელოს აჯანყებულებს. ამ მიზნით ზუგდიდში დ. თორიას ხელმძღვანელობით გაიგზავნა რაზმი ორასი კაცის შემადგენლობით. ეს რაზმი ანაკლიის გზით შეიჭრა ზუგდიდში, დაიკავა ფოსტა-ტელეგრაფი, აიღო ზუგდიდის ციხე და გაანთავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, თუმცა შემდეგში რაზმი იძულებული გახდა უკან დაეხია.

მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ იტყობინებოდა, რომ აფხაზი აჯანყებულები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილენი იყვნენ რაჭა-ლეჩხუმშიც. „ერთი კვირის წინათ, — წერდა გაზეთი, — აჯანყებულებმა მთავარი შტაბი ჭრებალოში გადაიტანეს. ამ შტაბს თან ახლდნენ არა მარტო ლეჩხუმელები, არამედ მეგრელები და აფხაზები“[2].

აღნიშნული რაიონები, თავის მხრივ, დახმარებას უწევდნენ აფხაზეთის მშრომელებს. 1918 წლის აპრილში აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმი შ. ასკურავას მეთაურობით სამეგრელოდან სოხუმს გადავიდა. მეორე რაზმი კი საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად იბრძოდა სამურზაყანოში. ზუგდიდის ბოლშევიკურმა სამაზრო კომიტეტმა ზომები მიიღო, რათა კავშირი დაემყარებინა სოხუმის ბოლშევიკებთან მოქმედების კოორდინაციის მიზნით.

აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი და შეცდომებიც. უწინარეს ყოვლისა, მან მტკიცე ბრძოლა არ

---

[1] Газ. «Сухумская правда», 24 апреля 1918 года.

[2] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 10 მარტი.

გააჩაღა კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ. მაგალითად, არ დაშალა სოხუმის ქალაქის საბჭო, რომელიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა, აგრეთვე არ დაუპატიმრებია ზოგიერთი აქტიური მენშევიკი და სხვა კონტრრევოლუციონერები.

აშკარად მცდარი იყო რევოლუციური კომიტეტის ტაქტიკა კოდორის მიმართაც. საჭირო იყო ძალების დაუყოვნებლივ გაგზავნა ამ რაიონში, ვიდრე იქ თავს შეაფარებდნენ კონტრრევოლუციური ელემენტები.

ბუნებრივია, აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა და შეცდომებმა გარკვეული დაღი დაასვა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და შემდგომი შენარჩუნების საქმეს. აფხაზეთის საბჭოთა რაიონები საუკეთესო პლაცდარმს წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ამიტომ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ განსაკუთრებული ღონისძიებები გაატარა საბჭოთა აფხაზეთის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში მხოლოდ 40 დღე იარსება. ქართველი მენშევიკების ინიციატივით ამიერკავკასიის სეიმმა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ჩასახშობად დიდი სამხედრო ძალები დაძრა. 1918 წლის 10 მაისს მენშევიკურმა ჯარებმა შეტევა დაიწყეს ოჩამჩირიდან საბჭოთა სოხუმის წინააღმდეგ. ისინი გზადაგზა თავადაზნაურულ-კულაკურ რაზმებს იერთებდნენ.

1918 წლის 11 მაისს სოხუმის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს და ს. ორჯონიკიძეს თხოვნით ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზეთის მშრომელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. დეპეშაში ნათქვამი იყო: „ამიერკავკასიის გამოცხადება დამოუკიდებელ რესპუბლიკად მოხდა სოხუმის ოლქის მოსახლეობის ნება-სურვილის გარეშე. სოხუმის ოლქმა ცნო საბჭოთა ხელისუფლება. მიიჩნია რა ეს აქტი კანონიერი მთავრობის მიმართ ამბოხებად, ამიერკავკასიის მთავრობამ გამოგზავნა დამსჯელი რაზმები სოხუმის დეპუტატების საბჭოს წინააღმდეგ. დეპუტატთა საბჭოს მუშურგლეხური წითელი გვარდია ჩაება კონტრრევოლუციურ რაზმებთან უთანასწორო ბრძოლაში. მთელი შავი ზღვის სანაპირო, სოხუმის ფრონტის სარდლობა მიუთითებს დეკრეტებზე, რომ სახკომსაბჭოს ნებართვის გარეშე არა აქვს უფლება ღია ზღვაში გაუშვას სამხედრო ხომალდები. გთხოვთ სასწრაფოდ გასცეთ განკარგულება ნოვოროსიისკის

ფლოტის სარდალს საბლინს, სოხუმის ფრონტზე სამხედრო ხომალდების გამოგზავნის შესახებ".[1]

აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მობილიზაცია გაუკეთა მუშებსა და გლეხებს და მთელ თავის შეიარაღებულ ძალებს თავი მოუყარა მდინარე კოდორთან. 11 მაისს დაიწყო კოდორის ბრძოლა. მოწინააღმდეგეს ჰყავდა რეგულარული ჯარი და ძლიერი არტილერია. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ რევოლუციური რაზმები დამარცხდნენ და 17 მაისს იძულებული გახდნენ სოხუმი დაეტოვებინათ. მიუხედავად დამარცხებისა, აფხაზეთის მშრომელები მთელი ზაფხულის განმავლობაში ებრძოდნენ მენშევიკთა ჯარის ნაწილებს, მხოლოდ 1918 წლის შემოდგომისათვის შეძლეს მენშევიკებმა ხელთ ეგდოთ აფხაზეთის მთელი ტერიტორია.

როგორც ზემოთ ვწერდით, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაიწყო მძლავრი აგრარული მოძრაობა. ამ მოძრაობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო გორის მაზრაში, სადაც არსებობას განაგრძობდა ბატონყმობის ყველაზე უფრო ძლიერი ნაშთები. გორის მაზრის მშრომელ გლეხობას ადგილობრივი მემამულეები მკაცრ ექსპლოატაციას უწევდნენ. გლეხების სიძულვილმა მათი საუკუნეობრივი მჩაგვრელების მიმართ გამოხატულება პოვა მემამულეთა კარმიდამოების მასობრივ განადგურებასა და მემამულეებზე შეიარაღებულ თავდასხმებში. გლეხები შეიარაღებულ გამოსვლას აწყობდნენ აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წინააღმდეგ და ანადგურებდნენ მათ.

1917 წლის ზაფხულში გორის მაზრაში ხიზანმა გლეხებმა, რომლებსაც საიჯაროდ ჰქონდათ აღებული თავად ციციშვილების 70 ათას ჰექტარამდე მიწა, უარი განაცხადეს რაიმე ბეგარის შესრულებაზე მემამულეთა სასარგებლოდ და გააძევეს ამ მამულის ადმინისტრაცია. გლეხებმა ეს მიწა თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს. ამავე მაზრაში გლეხებმა გააძევეს კულაკი მოიჯარადრეები, რომლებიც, თავის მხრივ, იჯარითვე აძლევდნენ გლეხებს მიწას კაბალურ პირობებში. გლეხებმა დაისაკუთრეს თავად ერისთავების მიწები. ამავე მაზრის კავთისხევის სასოფლო საზოგადოებამ ხელთ იგდო სამონასტრო მიწები და უარი განაცხადა მიეცა მონასტრისათვის აღებული მოსავლის ნაწილი.

ყორნისის სასოფლო საზოგადოების გლეხებმა განდევნეს ადგილობ-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 261—262.

რივი ხელისუფლების ორგანოები და შექმნეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.[1] 1917 წლის სექტემბერში გორში შეიქმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია,[2] ხოლო 1917 წლის 13 აგვისტოს სოფ. ორტევში (ცხინვალის რაიონი) — „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური გლეხობის კავშირი“ [3].

აღნიშნული ორგანიზაციები სათავეში ედგნენ და ხელმძღვანელობდნენ მშრომელი გლეხობის რევოლუციურ გამოსვლას გორის მაზრაში.

1918 წლის იანვარში თბილისის გუბერნიაში გლეხთა რევოლუციურმა ბრძოლამ მიწისათვის მემამულეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი ხასიათი მიიღო.

თბილისის გუბერნიის მაზრის უფროსთა ყრილობაზე (ჩატარდა 1918 წლის იანვრის დამლევს) და საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტების სხდომაზე (რომელიც თებერვლის დასაწყისში მოეწყო), აღინიშნა, რომ თითქმის ყველა სოფელს მოედო გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. საადგილმამულო კომიტეტების სხდომაზე გორის, ახალციხის, ბორჩალოს, სიღნაღის და თბილისის მაზრების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ გლეხები მიწის საკითხის გადაწყვეტას ელოდნენ დამფუძნებელი კრებისაგან, მაგრამ მოლოდინი გაუმტყუნდათ. ამიტომ მათ რევოლუციური გზით მიჰყვეს ხელი მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ტყეების გაჩეხვას, არ იხდიდნენ საიჯარო გადასახადს, მაზრის უფროსები მოითხოვდნენ ჯარებით დახმარებას [4].

თბილისის გუბერნიის კომისარი თავის მოხსენებაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1918 წლის 18 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე წერდა, რომ გორის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, დუშეთისა და თბილისის მაზრების სოფლები გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ცეცხლშია გახვეული [5].

1918 წელი გორის მაზრაში დაიწყო ჯარისკაცთა რევოლუციური გამოსვლით. 2 იანვარს მე-4 ქართული პოლკის ჯარისკაცებმა (ეს პოლკი ამ დროისათვის გორში იდგა) ქ. გორში მოაწყვეს მიტინგი, რომელიც

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 2416, აღწ. 1, საქმე 18, ფ. 2.

[2] Газ. «Борьба», 20 сентября, 1917 года.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 2417, საქმე 541, ფურც. 9—12.

[4] გაზ. „საქართველო“, 1918 წლის 13 თებერვალი.

[5] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 267.

მიმართული იყო ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილე ჯარისკაცებმა მოითხოვეს იმ დეკრეტების განხორციელება საქართველოში, რომლებიც მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ.

10 იანვარს ჯარისკაცებმა განდევნეს გორის მენშევიკური საბჭო, განაიარაღეს მენშევიკური მილიცია, გატეხეს იარაღის საწყობი და გაიტანეს 120 შაშხანა, 2 ნაღმსატყორცნი, 5 ტყვიამფრქვევი და 50 ათასი ვაზნა.

4 თებერვალს სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებმა, ოსიაურის, ხცისის, ქვიშხეთისა და სხვა სოფლების 600 გლეხთან ერთად, ხაშურში მოაწყეს აჯანყება მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს ხაშურს, გაანადგურეს იქ მენშევიკური ხელისუფლება, გატეხეს არსენალი და დაეპატრონენ იარაღს. ხაშურის რაიონში რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად მენშევიკებმა გაგზავნეს დამსჯელი რაზმი 300 გვარდიელის შემადგენლობით, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს აჯანყების ჩაქრობა.

როგორც აღნიშნეთ, ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოდა რევოლუციური გლეხობა. გორის მაზრაში, სადაც თავადაზნაურობა ყველაზე უფრო შემჭიდროვებული იყო და სადაც ყველაზე ძლიერი იყო ბატონყმობის ნაშთები, 1918 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში გლეხებმა მოაწყეს აჯანყებანი. მათ ბევრი მემამულის კარ-მიდამო გაანადგურეს, დახოცეს მემამულეები: ვასილი, კონსტანტინე და ილია ციციშვილები, მაღალოვი, კირაკოზოვი, ამილახვარი და სხვა. სოფ. გომში შედგენილ იქნა შეიარაღებულ გლეხთა რაზმი 250-300 კაცის რაოდენობით. მის ძირითად ბირთვს შეადგენდა ფრონტიდან დაბრუნებული 150 ჯარისკაცი. აჯანყებულმა გლეხებმა სოფ. ოსიაურში მოკლეს მემამულე ვეზიროვი.[1]

მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყებული გლეხობისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ გაგზავნა თავისი გვარდიის ნაწილები, რომელთა ძალები დიდად აღემატებოდა აჯანყებული ჯარისკაცებისა და გლეხებისას. დიდი ბრძოლის ფასად მენშევიკური გვარდიის ნაწილებმა დროებით შეძლეს აჯანყების ჩაქრობა. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომლებიც სათავეში უდგნენ გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას გორის მაზრაში, მიტინგებზე აცხადებდნენ: „ჩვენ ყველანი ვიყავით და

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 201.

ვიქნებით მეფის, მემამულეებისა და მათი მომხრეებიის წინააღმდეგნი. ძირს მენშევიკები, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას".[1]

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ტალღა მოედო სამხრეთ ოსეთის სოფლებს, სადაც იგი მემამულეებისა და მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. მენშევიკების მიერ საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ და უცხოელ იმპერიალისტთა ფაქტიურმა ბატონობამ უკიდურესად გაამწვავა ეროვნული ურთიერთობანი საქართველოს გაბატონებულ კლასებსა და ნაციონალურ უმცირესობათა მშრომელ მასებს შორის.

მენშევიკები საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხთა მიმართ დიდმპყრობელურ ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკას ახორციელებდნენ. მენშევიკური მთავრობა წინააღმდეგი იყო ავტონომია მინიჭებოდა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელებს თვით საქართველოს ფარგლებშიც კი. „სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭებაზე უარის თქმა იმით იყო მოტივირებული, რომ ოსებს თითქმის არ გააჩნდათ ტერიტორია, რადგანაც, მენშევიკების აზრით, „ჯავის ხეობის სამი სოფლის თემი არ შეიძლება ჩავთვალოთ ასეთ ტერიტორიად". ეს იყო ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტების პოლიტიკა, მიმართული ნაციონალური უმცირესობის წინააღმდეგ".[2]

როდესაც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა დაადასტურა და ამიერკავკასია „დამოუკიდებელ" რესპუბლიკად გამოაცხადა, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ჯავასა და ცხინვალში შემდგარ ხალხმრავალ მიტინგებზე 1918 წლის მარტში მტკიცე პროტესტი განაცხადეს. „ჩვენ, მთელი სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, — ამბობდნენ ისინი, — მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ, ჩვენი ნება-სურვილის გარეშე საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთისაგან იზოლაციისა და ჩამოშორების წინააღმდეგ, ძალადობის წინააღმდეგ. ძალადობის ამ აღმაშფოთებელ ფაქტთან, რომელიც მომდინარეობს ღარიბი მშრომელი ხალხის მტრების ბანაკიდან, ჩვენ არასოდეს, არასგზით, არავითარ პირობებში არ შეგვიძლია შერიგება. ჩვენ უდავოდ ვადასტურებთ ჩვენი ხალხის შე-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 2417, აღწ. 1, საქმე 639, ფურც. 2.

[2] გ. ხ ა ჭ ა პ ო რ ი ძ ე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. თბილისი, 1957, გვ. 281.

უდრეკელ ნებისყოფას და ვაცხადებთ, რომ სამხრეთ ოსეთი არის და უნდა დარჩეს თავისუფალი საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის განუყოფელ ნაწილად".[1]

მენშევიკურმა მთავრობამ ოსი მშრომელების პროტესტს რეპრესიების გაძლიერებით უპასუხა. მასების აღშფოთება იზრდებოდა, ოსმა გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი.

შეიარაღებული აჯანყება დაიწყო 1918 წლის 14 მარტს ოსეთის სოფლებში ყორნისსა და ორტევში. მალე აჯანყების ალი მოედო ცხინვალისა და ჯავის რაიონებს. აჯანყებულებს უერთდებოდნენ ქართული სოფლებიც. გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური გლეხობის კავშირი", რომელიც 1917 წლის 23 აგვისტოს სოფ. ორტევში შეიქმნა. ამ კავშირის ხელმძღვანელები იყვნენ ი. ხარებოვი და ზ. აიდაროვი („რევოლუციური გლეხობის კავშირის" ხელმძღვანელი კომიტეტი 21 კაცს აერთიანებდა).

13 მარტს სოფ. ერედვში მოხდა შეიარაღებული შეტაკება გლეხებსა და მენშევიკური გვარდიის რაზმებს შორის, რომელთაც მოიწადინეს გლეხთა განიარაღება. 14 მარტს სოფ. ვანათში შემდგარმა სამხრეთ ოსეთის სოფლების გლეხთა წარმომადგენლების თათბირმა გამოიტანა დადგენილება — არ ჩაებარებინათ იარაღი ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობისათვის და შეექმნათ შეიარაღებული რაზმები. 15 მარტს სოფ. ვანათში შედგა გლეხთა დიდი მიტინგი. მიტინგმა მოუწოდა გლეხობას, ებრძოლათ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

სამხრეთ ოსეთის გლეხობის რევოლუციური გამოსვლის პასუხად ამიერკავკასიის სეიმმა გადაწყვიტა სასტიკად ჩაეხშო ეს აჯანყება. მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყების რაიონში გადაისროლა ჯარისა და „სახალხო გვარდიელთა" დიდი ნაწილები. მათ მეთაურობდნენ კ. ყაზიშვილი, თბილისის გუბერნიის კომისარი გ. მაჩაბელი და ს. კეცხოველი. ვაცხარებული ბრძოლა რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა. 18 მარტს აჯანყებულებმა აიღეს დაბა ცხინვალი და მთელს რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ბრძოლის დროს მოკლეს მენშევიკური გვარდიის ხელმძღვანელები — კოსტა ყაზიშვილი, საგუბერნიო კომისარი გიორგი მაჩაბელი და მენშევიკი სანდრო კეცხოველი.

მთავრობამ ოსეთის რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ დიდი

---

[1] Журнал «Жизнь национальностей», 25 июля 1920 года.

შეიარაღებული ძალები გაგზავნა ვ. ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის მეთაურობით. 22-23 მარტს მენშევიკურმა ჯარებმა აიღეს დაბა ცხინვალი, აჯანყებულმა გლეხებმა ჯავის ხეობისაკენ დაიხიეს.

ამგვარად, სამხრეთ ოსეთის გლეხთა რევოლუციური გამოსვლა მარცხით დამთავრდა. ამ დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო მისი იზოლირება. საქართველოს სხვა აჯანყებულ რაიონებთან კავშირის უქონლობა. მიუხედავად მარცხისა, 1918 წლის ზაფხულში ოსეთის ღარიბი გლეხობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა დუშეთის მაზრისა და საჩხერის რაიონის გლეხთა აჯანყებაში.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ 1918 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დუშეთის გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას.

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში დუშეთის მაზრაში გაგზავნეს პარტიული მუშაკები და პროპაგანდისტები, რომლებიც შეუდგნენ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას.

დუშეთში გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას ხელმძღვანელობდნენ: თედო შუშიაშვილი, თომა ჩუბინიძე, მიხა პაპუნაშვილი, გიორგი ლაფანაშვილი, გაბო მწითური, ვიქტორ ცინცაძე და სხვები. მიმდინარეობდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის პრაქტიკული სამზადისი — გლეხთა რაზმების შედგენა, მათი მომარაგება იარაღით და სხვა. ბოლშევიკებს გათვალისწინებული ჰქონდათ დუშეთის გლეხობის შეიარაღებული გამოსვლა დაეკავშირებინათ საქართველოს სხვა მაზრებში უკვე მიმდინარე აჯანყებებთან და, ამგვარად, მენშევიკური მთავრობა გლეხთა საყოველთაო აჯანყების ფაქტის წინაშე დაეყენებინათ. „დუშეთის ეს აჯანყება სამხარეო კომიტეტის გეგმით საქართველოს საერთო შეირაღებული აჯანყების სიგნალი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან დუშეთის მაზრაში აჯანყებამ დასახულ ვადაზე ადრე იფეთქა“ [1].

დუშეთის მაზრის გლეხობის სამზადისი აჯანყებისათვის მენშევიკურ მთავრობას მხედველობიდან არ გამოჰპარვია. მათ გადაწყვიტეს თვით დაესწროთ და განეიარაღებინათ გლეხობა, დაესაჯათ მოთავეები და, ამრიგად, დასაწყისშივე ჩაეკლათ განზრახული რევოლუციური გამოსვლა.

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 436.

16 ივნისს მენშევიკურმა გვარდიამ ალყა შემოარტყა ბაზალეთის, მისაქციელის და სხვა სოფლების გლეხთა რაზმებს და მათთვის იარაღის ჩამორთმევას შეუდგა. 17 ივნისს გვარდიელები ამავე მიზნით სოფ. წილკანში შევიდნენ, მაგრამ ამ სოფლის გლეხობის მისაშველებლად მეზობელი სოფლები აღდგნენ. გლეხთა რაზმები გარს შემოერტყნენ გვარდიას და დააყრევინეს იარაღი. ეს ფაქტი დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების სიგნალი გახდა, შეიარაღებული აჯანყება დაიწყო.

„საომარი მოქმედების მსვლელობის მიხედვით დუშეთის აჯანყება შეიძლება სამ პერიოდად გავყოთ: პირველი — აჯანყებულთა რაზმების შეტევითი ბრძოლის პერიოდი (17—27 ივნისი), მეორე—აჯანყებულთა რაზმების თავდაცვითი ბრძოლის პერიოდი (28 ივნისი — 15 ივლისი) და მესამე — აჯანყებულთა რაზმების პარტიზანული ბრძოლის პერიოდი (ივლისის მეორე ნახევარი—აგვისტოს პირველი რიცხვები)"[1],

აჯანყებულმა გლეხებმა შეადგინეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი მიხა პაპუნაშვილის, ვიქტორ ცინცაძის, გიორგი ლაფანაშვილის, სონკა დიაკვნიშვილის, ვანო ტოპრაკაშვილის და სხვათა შემადგენლობით. შემუშავებულ იქნა მოქმედების ოპერატიული გეგმა. შტაბმა სწორად ივარაუდა, რომ პირველ რიგში აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მცხეთის მიდამოების გამაგრება, რათა შენშევიკებისა და გერმანელ ოკუპანტთა სამხედრო ნაწილებისათვის გზა გადაეღობათ, მეორე მხრივ, დარიალსა და ყაზბეგში დაბანაკებული მენშევიკური რაზმის დამარცხება და გადასასვლელის ხელში ჩაგდება, ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა კავშირი თერგის ოლქთან, სადაც ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა.

ივნისში დუშეთის რევოლუციურმა გლეხებმა რამდენიმე მამაცური ბრძოლა გადაიხადეს. 19 ივნისს გლეხთა რაზმებმა ნატახტართან სასტიკად დაამარცხეს მენშევიკური ჯარის ნაწილები. ტყვედ იგდეს 250 კაცი, 7 ტყვიამფრქვევი, დიდი საომარი მასალა და სურსათი, იმავე დღეს სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა ერთი რაზმი გაგზავნა დუშეთის ასაღებად. 19 ივნისს დღის 2 საათზე გლეხთა რაზმი უბრძოლველად შევიდა ქ. დუშეთში. აჯანყებულებმა დაიკავეს ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სამხედრო და კერძო საწყობები, გაათავისუფლეს

---

[1] ნ. სტურუა, დუშეთის მაზრის მშრომელების მონაწილეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, იხ. საქ. მეცნ. აკად. შრომები, 1958, ტ. III, გვ. 68.

პატიმრები. აჯანყებულებმა ამავე დროს ხელთ იგდეს დარიალის უღელტეხილი.

„დარიალის დამცველი რაზმის განიარაღება უსისხლოდ მოხდა. აჯანყებულებმა დაიკავეს დარიალის ხეობა, გზა გახსნეს ვლადიკავკავისაკენ და უშუალო კავშირი დაამყარეს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტსა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომლებმაც აჯანყებულებს დახმარება აღმოუჩინეს".[1] ამის შემდეგ უკვე დაიწყო სამზადისი თბილისის მიმართულებით გალაშქრებისათვის. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს მცხეთისა და ქსნის რკინიგზის სადგურები, საიდანაც დაემუქრნენ თბილისს.

აჯანყების პირველ დღეებშივე დუშეთის სამაზრო ბოლშევიკური ორგანიზაცია შეუდგა მაზრის სამოქალაქო დაწესებულებათა ჩამოყალიბებას.

25 ივნისს დუშეთში შეკრებილმა გლეხთა დეპუტატების სამაზრო ყრილობამ დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. არჩეულ იქნა გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თედო შუშიაშვილის თავმჯდომარეობით. დაიწყო რევოლუციურ ღონისძიებათა გატარება.

დუშეთის გლეხთა რაზმების დიდმა წარმატებამ და დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მენშევიკური მთავრობა საგონებელში ჩააგდო. მან მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს. დახმარებისათვის მიმართა გერმანელ ოკუპანტებს. ხალხის დაუძინებელმა მტრებმა, სასიკვდილო საფრთხის წინაშე რომ აღმოჩნდნენ, პირფერობით აღსავსე, პროვოკაციული მოწოდებით მიმართეს ქართველ ხალხს. ამ გულამაჩუყებელ მოწოდებაში ისინი გოდებდნენ, თითქოს დემოკრატიას საფრთხე ემუქრებოდა და ყველა მშრომელი მოვალეა მის დამცველად გამოვიდეს. 1918 წლის 27 ივნისს გაზეთი „ერთობა" წერდა: „...ამ საბედისწერო ჟამს, როცა ჩვენს ქვეყანას დაღუპვა მოელის, როცა ხელიდან გვგლეჯენ მიწას და თავისუფლებას, როცა მუხანათურად გვტაცებენ რევოლუციის წითელ დროშას, რომ მის ადგილზე უცხოელების დროშა აფრიალდეს, — ვინ იქნება ისეთი უსულგულო და შეუგნებელი, რომ დემოკრატიის ჭაღარა ბელადის ნოე ჟორდანიას მოწოდებას არ გამოეხმაუროს და თოფი არ აიღოს ხელში..

[1] ა. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, დუშეთის მაზრის გლეხთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იხ. ბროშ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, თბ., 1960, გვ. 92.

სახელოვანმა სახალხო გვარდიამ ერთხელ კიდევ უნდა დაამტკიცოს რევოლუციის და ხალხის ერთგულება".[1] მაგრამ მენშევიკური მთავრობის ამ თაღლითურ მოთქმას გასავალი აღარ ჰქონდა. საქართველოს მშრომელი გლეხობა ცხადად ხედავდა, რომ სწორედ მენშევიკებმა მიიყვანეს საქართველო დაღუპვის კარამდე, წაჰგლიჯეს ხალხს მიწა და თავისუფლება. ლაფში ამოსვარეს რევოლუციის წითელი დროშა. სწორედ ამიტომ იღებდა ხალხი ხელში იარაღს, რათა მისი ინტერესების მოღალატე მთავრობა დაემხო.

მენშევიკებმა დუშეთის წინააღმდეგ დიდძალი ჯარი დაძრეს. 28 ივნისს ბებრის ციხესთან ბრძოლაში მენშევიკების მხარეზე მონაწილეობდნენ გერმანელთა ჯარები, არტილერია და თვითმფრინავები. რა თქმა უნდა, ასეთ ძალას დუშეთის მაზრის გლეხები, რომლებიც მეტწილად ნაჯახებით იყვნენ შეიარაღებულნი, დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. 28 ივნისს მენშევიკებმა დაიკავეს ბებრის ციხე და სოფ. წიწამური. აჯანყებულები ბრძოლით იხევდნენ უკან.

2-6 ივლისს ბრძოლები მიმდინარეობდა ჟინვალისა და დუშეთის რაიონებში.

დუშეთის აჯანყებული გლეხობისათვის მხარის დაჭერა გადაწყვიტეს თიანეთის მაზრის რევოლუციურმა გლეხებმა. თიანეთის გლეხთა შეიარაღებული რაზმი შაქრო გელოვანის მეთაურობით 2 ივლისს დუშეთში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ რაზმი მცირერიცხოვანი იყო, ამ ბრძოლაჭერამ მაინც აღაფრთოვანა აჯანყებული დუშელი გლეხები.

ჭარბი ძალების იერიშის შედეგად აჯანყებულები იძულებული გახდნენ 5 ივლისს დუშეთი და ჟინვალი დაეტოვებინათ. მძიმე ბრძოლები გაიმართა ფასანაურის რაიონში, აქ აჯანყებულებს შეუერთდა კავკავიდან კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოგზავნილი რაზმი გაგლოევისა და აბრამოვის მეთაურობით. ამ რაზმებთან ერთად აჯანყებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად კავკავიდან დუშეთის მაზრაში ჩამოვიდა სამხარეო კომიტეტის წევრი ს. ქავთარაძე. 8 ივნისს აჯანყებულები მთელი დღის განმავლობაში იგერიებდნენ მთავრობის ჯარის იერიშებს. უმაგალითო სიმამაცით იბრძოდა კავკავის რაზმი, მაგრამ მთავრობის ჯარმა მაინც სძლია აჯანყებულებს, რომლებმაც მლეთა-გუდაურისაკენ დაიხიეს.

1918 წლის 9 ივლისს დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბ-

---

[1] ვაზ. „ერთობა", 1918 წლის 27 ივნისი.

ჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება გლეხების, მუშებისა და ჯარისკაცებისადმი, რათა დაერაზმათ მთელი ძალები დუშეთის ფრონტზე გაგზავნილი მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ამხანაგებო, დღეს წყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ან უნდა გავიმარჯვოთ და ძირს დავსცეთ მემამულეებისა და მენშევიკების მთავრობა, ან გმირულად და სახელოვნად დავიხოცოთ, სხვა გზა ჩვენთვის აღარ არის.

ამხანაგებო! გლეხებო, მუშებო და ჯარისკაცებო! ყველა მაზრიდან, ყველა კუთხიდან, ყველა სოფლიდან გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას. ვისაც რით შეგიძლიათ თოფით, ცულით თუ კეტით, ყველამ მხარი დაუჭირეთ საერთო საქმეს.

ბრძოლა წარმოებს ძმობის, თანასწორობისა და ერთობის დასამყარებლად, ბრძოლა წარმოებს მუშებისა და გლეხების რევოლუციის დასაგვირგვინებლად, ბრძოლა წარმოებს იმიტომ, რომ მთელი ძალაუფლება მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდეს გლეხთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების სახით.

ძირს მენშევიკებისა და მემამულეების მთავრობა! გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების რევოლუციას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას ამიერკავკასიაში! გაუმარჯოს ერთობას რუსეთისა და ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის! გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!“.[1]

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დუშეთის მაზრის აჯანყებულთა დასახმარებლად გაგზავნა საშა გეგეჭკორის რაზმი, რომელიც 11 ივლისს კავკავში ჩავიდა. 13 ივლისს ს. გეგეჭკორის რაზმი ბრძოლით შევიდა ყაზბეგში და იმავე დღეს ჩაება ბრძოლაში მთავრობის ჯარების ძირითადი ჯგუფის წინააღმდეგ. ხიდი მსხვერპლის ფასად მთავრობის ჯარებმა 13 ივლისს დაიკავეს ყაზბეგი. ყაზბეგთან ბრძოლაში საგრძნობი ზარალი მოუვიდათ აჯანყებულებსაც. 14—15 ივლისს ბრძოლები მიმდინარეობდა დარიალის ხეობაში. 15 ივლისს აჯანყებულთა რაზმები გავიდნენ თერგის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება დამარცხდა. მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების ხელმძღვანელებს. ბევრი მათგანი დახვრიტეს. მენშევიკმა გვარდიელებმა და ჯარისკაცებმა ააწიოკეს სოფლები. გლეხობას უფრო მძიმე უღელი დაადგეს.

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 303—304.

აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იგი იზოლირებული აღმოჩნდა. გლეხების ნაადრევმა გამოსვლამ ვერ პოვა აქტიური მხარდაჭერა სხვა რაიონების მხრივ. მენშევიკებს საშუალება მიეცათ მოეხდინათ ძალთა მანევრირება. დიდი აქტიურობა გამოიჩინეს გერმანელმა ოკუპანტებმაც.

1918 წლის ივნისის ბოლოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყება დაიწყო შორაპნის მაზრის საჩხერის რაიონში, შორაპნის მაზრა მთელი 1918 წლის განმავლობაში აგრარული რევოლუციის ხანძრით იყო მოცული და მხარს უსწორებდა სოციალისტური რევოლუციისათვის მშრომელთა შეიარაღებული ბრძოლის ისეთ მოწინავე რაიონებს, როგორიც იყო ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის, დუშეთის მაზრები და აფხაზეთი.

შორაპნის გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას საფუძვლად ეღო იგივე მიზეზები, რაც აჯანყების სხვა რაიონებს, მიზანიც საერთო იყო. მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკით მოთმინებადაკარგული, მშიერი და გაძვალტყავებული გლეხობა, რომელსაც მოსწყინდა მენშევიკური დაპირებები და ლოდინი ამქვეყნიური „დემოკრატიული სამოთხისა“, ხელში იღებდა იარაღს, რომ აელაგმა მემამულეებისა და მოხელეების თვითნებობა, შეექმნა ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება და თვითონ გადაეწყვიტა თავისი სასიცოცხლო ინტერესები.

1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში შორაპნის მაზრაში, განსაკუთრებით საჩხერეში, უკვე იწყება ფრონტელ ჯარისკაცთა მეთაურობით გლეხობის დარაზმვა და რევოლუციურ მოთხოვნილებათა წამოყენება. მშრომელი მასები იარაღდებოდნენ, დღითიდღე იზრდებოდა ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი, ფრონტიდან დაბრუნებული ბევრი ბოლშევიკ-ჯარისკაცი აარსებდა სოფლებში ბოლშევიკურ ორგანიზაციას, რომელიც შემდგომ სათავეში უდგებოდა მენშევიკური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას. გაზეთი „ბრძოლა“ წერდა, რომ სოფლის გამოფხიზლებას, მის აქტიურ გამოსვლას დიდად უწყობს ხელს ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. გაზეთმა „ბრძოლამ“ დიდი როლი შეასრულა მასების რევოლუციური გათვიდცნობიერების საქმეში. იგი წერდა: „ეჭვს გარეშეა, ჩვენი სოფელი ამჟამად დიდი რევოლუციური ქარცეცხლის წინაშე იმყოფება. აგრარული მოძრაობა უკვე დუღილშია და ახლო მომავალში ის შესამჩნევ ფორმებს მიიღებს, რაც ძირიანად შეცვლის საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას... ჯარისკაცი, რომელმაც ნახა თავისი თვალით რუსეთის რევოლუცია, დაბრუნდა აღ-

ჭურვილი ღრმა რევოლუციური რწმენით და შეგნებით. დაბრუნებული სალდათი მთელი ძალით უნდა შეუდგეს სოფელში რევოლუციური შეგნების შეტანას, დარაზმოს მშრომელი ხალხი, მისცეს მოძრაობას მწყობრი ხასიათი და მით მოიხადოს თავისი რევოლუციური ვალი".[1]

სწორედ ეს ჯარისკაცები მეთაურობდნენ საჩხერის რაიონის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1918 წელს. საჩხერის გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ბაგრატ დიმიტრის ძე ხვედელიძე, რომელიც 1917 წელს ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ფრონტელ ჯარისკაცებთან: გ. კილაძესთან, ს. აბრამიშვილთან, ტ. კობალაძესა და სხვებთან ერთად ადგილობრივ გლეხობაში აწარმოებს რევოლუციურ პროპაგანდას.

1918 წლის მაისში საჩხერის რაიონის სოფ. არგვეთში ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა მოიწვიეს კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი გლეხობაც. დაისვა საკითხი მენშევიკი კომისრების თანამდებობიდან მოხსნისა და ბოლშევიკი კომისრების დანიშვნის შესახებ. შექმნეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი და მის ხელმძღვანელად აირჩიეს ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკი ბაგრატ ხვედელიძე.

მენშევიკებისათვის ცხადი შეიქნა, რომ საჩხერის რაიონში აჯანყება მზადდებოდა. მაშინ საჩხერის მენშევიკმა ხელისუფლებმა შორაპნის მაზრის მენშევიკურ ადმინისტრაციას მიმართეს დახმარებისათვის. საჩხერეში მოაგზავნეს გვარდიის შენაერთი ვ. ჯუღელის მეთაურობით. გვარდიელთა რაზმი მთელი სისასტიკით მოქმედებდა, ააოხრა რამდენიმე სოფელი. ჯუღელმა დააპატიმრა ბაგრატ ხვედელიძე და ფრონტიდან დაბრუნებული რამდენიმე სხვა ჯარისკაცი. მთელი რაიონი ფეხზე დადგა. მენშევიკური გვარდიის ხელმძღვანელები შეშინდნენ და იძულებული გახდნენ გაენთავისუფლებინათ ბ. ხვედელიძე და სხვა დაპატიმრებული ამხანაგები.

ჭეშმარიტად დიდი გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ შორაპნის მაზრა გლეხური რევოლუციის რკალით იყო გარშემორტყმული. 1918 წლის თებერვალში, როგორც ზევით აღენიშნეთ, პირველად იარაღით ლეჩხუმის მაზრის გლეხები გამოვიდნენ, მარტსა და აპრილში რევოლუციის ხანძარში ზუგდიდსა და სენაკის მაზრებიც გაეხვა, მასობრივი მოძრაობა დაიწყო აფხაზეთში, სადაც საბ-

[1] გაზ. „ბრძოლა", 1917 წლის 28 ნოემბერი.

ჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1918 წლის ივნისში ძლევამოსილი აჯანყება დაიწყო დუშეთში, შფოთავდნენ მანგლისელი გლეხები. აგრარული მოძრაობის მძლავრი ტალღა ოსეთში აზვირთდა. ასე რომ საჩხერე მთელი ამ მღელვარე მოვლენების შუაგულში აღმოჩნდა.

1918 წლის 28 ივნისს, დღის 12 საათზე, აჯანყებულმა გლეხებმა საჩხერეზე დაიწყეს შეტევა სამი მიმართულებით: სამხრეთიდან — მდ. ჯვირილას მხრიდან, კორბოულიდან მოსული ძალების საშუალებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა სარდიონ აბრამიშვილი, აღმოსავლეთიდან — მდ. ჩიხურის მხრიდან რაზმები მოდიოდა ალექსანდრე მეცხოვრიშვილის მეთაურობით და ჩრდილოეთიდან მოდინახეს ციხის მხრივ ბაგრატ ხვედელიძისა და დათიკო ბაზაშვილის ხელმძღვანელობით. დღის 3 საათისათვის საჩხერე აჯანყებულთა ხელში იყო.

საჩხერელ აჯანყებულებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი დახმარება გაუწიეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა. „...საჩხერელ აჯანყებულთა დასახმარებლად მოვიდნენ სამხრეთ ოსეთის კუდარის, ჯებულთისა და წანის რაიონის შეიარაღებული რაზმები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ პარტიზანები არქიპო ჯიოევი, ალექსანდრე და გეგა ჯიოევები და სხვა. საჩხერელ აჯანყებულთა მისაშველებლად სამხრეთ ოსეთის ყორნისისა და ოკუნის რაიონებიდან მოვიდა თავისი რაზმით ცნობილი ოსი კომუნისტი ისაკ ხარებოვი. მოსული წითელი პარტიზანების დახმარებით საჩხერის რაიონის აჯანყებულებმა სერიოზული დარტყმები აწვნიეს მენშევიკურ ჯარებს".[1]

1918 წლის 28 ივნისს აჯანყებულმა გლეხებმა საჩხერეში დაიკავეს მთავრობის ყველა დაწესებულება და მთელ რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ყოფილი ფრონტელი ჯარისკაცი ბაგრატ ხვედელიძე. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც ეყრდნობოდა შეიარაღებულ რაზმებს და მშრომელი მასების ფართო მხარდაჭერას დაბა საჩხერესა და მის რაიონებში, სრული რევოლუციური წესრიგი დაამყარა.

„საჩხერის რევოლუციურმა კომიტეტმა სოფლებში გააუქმა მენშევიკური ხელისუფლების ორგანოები და შექმნა რევკომები. პირველი ღო-

---

[1] ვ. ა ბ ა ე ვ ი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იხ. სტატ. კრებ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1957, გვ. 299.

ნისძიება, რომელიც რევკომმა გაატარა, იყო მიწის საკითხის გადაწყვეტა. მთელი მიწები გლეხებს გადაეცათ“ [1].

საჩხერის გლეხთა აჯანყება მაშინ მოხდა, როდესაც საქართველოს მრავალი კუთხე აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული, მაგრამ ეს აჯანყებანი ერთიანი ცენტრის ხელმძღვანელობით არ ტარდებოდა და ამიტომ ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებულნი. სწორედ ამ დროს სამეგრელოს აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ერთი ნაწილი ამ აჯანყებულებისა, რომელთაც ლეჩხუმისა და რაჭის აჯანყებულები შეუერთდნენ, ჩრდილოეთ კავკასიაში სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში მიემგზავრებოდა ს. გეგეჭკორის მეთაურობით (სწორედ საჩხერის აჯანყების დღეებში ეს რაზმი მამისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიდიოდა). დუშეთის აჯანყება, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში სტიქიურად დაიწყო, დამარცხების პირას იდგა. ამ ერთმანეთისაგან დაუკავშირებელ აჯანყებათა დამარცხებას ადვილად ახერხებდა მენშევიკური მთავრობა. მაგრამ ეს აჯანყებანი, თუნდაც ერთმანეთისაგან დაუკავშირებელნი, დიდად ასუსტებდა მენშევიკური მთავრობის პოზიციებს, ძირს უთხრიდა მის ბატონობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ საჩხერის რაიონში მხოლოდ ორი დღე იარსება; 30 ივნისს მენშევიკები შეიჭრნენ საჩხერეში და აღადგინეს თავიანთი ხელისუფლება (თუმცა აჯანყებული გლეხების ბრძოლები ხელისუფლების წინააღმდეგ 1918 წლის 25 ივლისამდე გრძელდებოდა).

„რამდენიმე დღის სიცოცხლის შემდეგ,—წერს ფილიპე მახარაძე, —განადგურებულ იქნა გლეხების საბჭოები და საჩხერის რაიონს მოევლინენ ისევ ყოფილი პოლიციელები და ოფიცრები კომისრების სახით, მაგრამ ახლა უფრო გამხეცებულნი და თავის უხეშ ძალაში მეტად დარწმუნებულნი... ასე დასრულდა საჩხერის საშინელი ტრაგედია“ [2].

გარდა ჩვენ მიერ აღნიშნული რაიონებისა, 1918 წელს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა ბორჩალოს, ქუთაისის, რაჭის, ტყიბულის, ბაღდადის, ხონის, თიანეთის, თეთრი წყაროს, მანგლისის, თელავის, სიღნაღის და სხვა რაიონები.

---

[1] ა. კაპანაძე, საჩხერის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იხ. ბროშ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, 1960, გვ. 99.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 174—175.

ბორჩალოს მაზრაში გლეხებმა გაანადგურეს მემამულეთა სახლ-კარი და ხელთ იგდეს მიწები. ამავე მაზრის სოფ. სადახლოში გლეხებმა, ქარხნის მუშებთან ერთად, გაანადგურეს ბარონ კუჩენბახის კალაპოტ-სარქის ქარხანა და განდევნეს ქარხნის ადმინისტრაცია.

აჯანყებულმა გლეხებმა კახეთის სოფლებში — კარდანახსა და ბაკურციხეში გაანადგურეს აფხაზის, ვაჩნაძისა და სხვა თავადების მამულები.

თელავის მაზრაში გლეხთა მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მენშევიკურმა მთავრობამ გაგზავნა იქ დიდძალი ჯარი და ჯავშნიანი მატარებელი.

გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას 1918 წლის ზაფხულში ადგილი ჰქონდა მანგლისის რაიონში. თავდაპირველად აქ მოქმედებდა 500 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც შაშხანების გარდა ტყვიამფრქვევებიც გააჩნდა. რაზმმა ხელში ჩაიგდო ელინსკის მსროლელი და ერევნის 117-ე დაშლილი პოლკების იარაღი და მთელი ქონება. აჯანყებულებს მოეხმარნენ დიდი თონეთის, პატარა თონეთის, ბზაახალსოფლის, საპურზრელის, შახვეთილოს და სხვა სოფლების გლეხები. შეიარაღებული რაზმი 1500 კაცამდე გაიზარდა. მის განკარგულებაში იყო 16 ტყვიამფრქვევი, 40 ათასზე მეტი ვაზნა, ხელყუმბარები და სხვა.

1918 წლის 9 ივნისს მანგლისის რაიონში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულებმა რაიონიდან განდევნეს ხელისუფლების წარმომადგენლები და თვით აიღეს ძალაუფლება. აჯანყებული გლეხები აცხადებდნენ, რომ „ისინი იარაღს არ დაყრიან და არ ცნობენ ახლანდელ მთავრობას, რადგანაც იგი ხალხის მიერ არ არის არჩეული, მასთან ისინი ამ მთავრობის არავითარ წარმომადგენლებს არ საჭიროებენ და სურთ მთელი რაიონი განაგონ თვითონ დამოუკიდებლად“ [1]. 14 ივნისს მანგლისში აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა შეიარაღებული ძალები, რომლებმაც სისხლის მორევში ჩაახშეს მანგლისის გლეხთა რევოლუციური გამოსვლა.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების კვალდაკვალ, 19 ივნისს, დაიწყო თიანეთის მაზრის გლეხთა აჯანყება. აჯანყებულებმა დაიკავეს დაბა თიანეთი და ხელში აიღეს ძალაუფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 116, აღწ. 1, საქმე 11, ფურც. 3.

მათ თანაგრძნობა გამოუცხადეს დუშეთის გლეხობას და დასახმარებლად თავიანთი რაზმი გაუგზავნეს.

1918 წლის სექტემბერში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა თეთრი წყაროს რაიონში, სადაც გლეხებმა ლიკვიდაცია უყვეს მენშევიკური ხელისუფლების ორგანოებს და თავიანთი ძალაუფლება დაამყარეს. თეთრი წყაროს აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ მენშევიკურმა მთავრობამ საკუთარ ძალებთან ერთად გერმანელებიც მოიშველია. თეთრ წყაროში გაგზავნილ იქნა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული გერმანელთა ერთი ასეული. სოფ. არახლოსა და კიზილსლოში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად აგრეთვე გაიგზავნა გერმანელთა ჯარის ნაწილები.

ქუთაისის მაზრაში 1918 წლის ზაფხულში გლეხთა აჯანყებით მოცული იყო ტყიბულის, ბაღდადისა და ხონის რაიონები. ტყიბულის რაიონში გლეხთა მოძრაობის ცენტრი გახდა სოფ. მანდიკორი. მენშევიკები იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ აჯანყებულ გლეხებს ჰყავდათ „შტაბი, შტაბის უფროსი, სურსათ-სანოვაგის გამგე და შტაბის მწერალი“.[1] აჯანყებულებმა სადგურ კურსების მახლობლად აყარეს ლიანდაგი, სროლა აუტეხეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილ ჯავშნოსანს. აჯანყებულნი თავს დაესხნენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების ადმინისტრაციას და ხელთ იგდეს იარაღი“.[2]

ბაღდადის რაიონში გამოსვლების ცენტრი იყო სოფ. სადემეტრაო (ამჟამად წითელი ხევი). აქ არსებობდა საბრძოლო რევოლუციური შტაბი, რომელიც აჯანყებას ხელმძღვანელობდა. აჯანყებულ გლეხებს მიეშველა ბაღდადში (ახლა მაიაკოვსკი) დაბანაკებული მე-12 ქვეითი პოლკი. ჯარისკაცებმა გატეხეს იარაღის საწყობი, აიტაცეს იარაღი, შეიპყრეს ოფიცრები და დაიკავეს ბაღდადი.[3] აჯანყებულთა წინააღმდეგ მენშევიკებმა დაძრეს სამხედრო ძალები, რომელთაც განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს სოფლების უხუთისა და გორის გლეხებმა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ მის ხელმძღვანელებს, რომელთა უმრავლესობა გაუსამართლებლად ადგილ-

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 30 ივნისი.

[2] ი ქ ვ ე.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქ. 1507, ფურც. 205.

ზე დახვრიტეს. მაგალითად, დახვრეტილ იქნენ გლეხები, გუგუციძე, ლოლაძე. ლაბაძე, კოტორეიშვილი და სირბილაძე [1].

მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ხონის რაიონშიც (ახლა წულუკიძის რაიონი).

თითქმის მთელ საქართველოში (გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ გურია) ბობოქრობდა მშრომელი გლეხობის რევოლუციური ქარიშხალი 1918 წელს. მენშევიკები ყველგან მათთვის ჩვეული სისასტიკით აქრობდნენ გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს.

სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში ისევ გრძელდებოდა გლეხთა მღელვარებანი, შემოდგომაზე სამეგრელოს გლეხთა მოძრაობამ კვლავ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მენშევიკებს ახალი დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნა დასჭირდათ.

ამგვარად, საქართველოს რევოლუციური გლეხობა, იწრთობოდა რა სამოქალაქო ომის მკაცრ სკოლაში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თანდათან ააქტიურებდა თვის მოქმედებას და მენშევიკური ხელისუფლების დამხობას აჩქარებდა. ცხადი იყო, რომ გერმანელ ოკუპანტებს, მენშევიკური ხროვის როგორი მხარდაჭერაც უნდა ჰქონოდათ, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დამონება, ხალხისა, რომელსაც გამარჯვების იმედებს უნერგავდა და მამაცურ ბრძოლაში აღაფრთოვანებდა რუსეთის მუშებისა და გლეხების შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ.

ასეთია მოკლე ისტორია გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა საქართველოში 1918 წელს.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მთელ საქართველოში მარცხით დამთავრდა

დამარცხების ძირითადი მიზეზები შემდეგი იყო:

1. გლეხთა აჯანყებები ყველგან არ იყო მომზადებული და ორგანიზებულ ხასიათს არ ატარებდა.

2. გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ერთიანი ცენტრის ხელმძღვანელობით არ ტარდებოდა. ამიტომ ამ ერთმანეთთან დაუკავშირებელ, დიქსაქსულ აჯანყებათა დამარცხებას ადვილად ახერხებდა მენშევიკური მთავრობა.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 13, საქ. 209, ფურც. 191.

3. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასელამდე, ხოლო შემდეგ თბილისის კომიტეტის ბიურო კონსპირაციულ პირობებში ერთგვარ ხელმძღვანელობას უწევდნენ აჯანყებული რაიონების ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა არ იყო სისტემატური, მოქნილი, შედეგიანი.

4. აჯანყებულებს არ ჰქონდათ საომარი მასალა, აკლდათ სურსათ-საწოვაგე, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა აჯანყების მსვლელობაზე.

5. დაბოლოს, მენშევიკურ მთავრობას აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც საომარი ტექნიკით, ისე ცოცხალი ძალით უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს გერმანელმა ოკუპანტებმა.

მიუხედავად დამარცხებისა, საქართველოს გლეხთა აჯანყებანი 1918 წელს, თუნდაც მოუმზადებელი, არაორგანიზებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი და დაქსაქსული, დიდად ასუსტებდნენ მენშევიკური მთავრობის პოზიციებს და ძირს უთხრიდნენ მის ბატონობას.

ამ აჯანყებათა ყველა ნაკლოვანი მხარე საქართველოს ბოლშევიკებმა გაითვალისწინეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შემდგომ ბრძოლებში.

1918 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილე საქართველოს მშრომელთა დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რუსი ხალხისა და მისი წითელი არმიის უანგარო დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბოლოოდ დაემხო მენშევიკების დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ამრიგად, საქართველოს გლეხთა რევოლუციური გამოსვლა 1918 წელს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის გზაზე.

თავი III

1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში და გლეხობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

1918 წლის გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ანალიზმა ცხადყო, რომ მათ აკლდა ორგანიზებულობა. წინასწარ მოუმზადებელი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი შეიარაღებული გამოსვლების სისხლში ჩახშობას ახერხებდა მენშევიკური მთავრობა, რომელსაც უდიდეს დახმარებას უწევდნენ გერმანელი ოკუპანტები.

სულ სხვა მდგომარეობა იყო 1919 წელს. ამ წლის ზაფხულში სერიოზული საშიშროება გასწიეს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აჯანყების მოსამზადებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასის დიდი ნაწილის აქტიური მონაწილეობა 1919 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში გამოწვეული იყო იმით, რომ მენშევიკები არც კი ფიქრობდნენ გაეუმჯობესებინათ მუშათა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. მათ ვერ გადაჭრეს და არც ცდილან გადაეჭრათ მუშათა საკითხი.

თავიანთი ბატონობის პერიოდში მენშევიკებმა ანტიხალხური კონტრრევოლუციური საშინაო და საგარეო პოლიტიკით ქვეყანა განსაკუთრებით მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს. ეკონომიკური ნგრევა საქართველოში სულ უფრო ძლიერდებოდა, ხდებოდა წარმოების შემდგომი შეკვეცა, იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, განსაკუთრებით ლითონდამმუშავებელ და თამბაქოს მრეწველობაში.

მენშევიკებმა ჩქარა მოუსპეს საქართველოს მუშებს დიდი ხნის იმედი 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ. მთავრობის წარმომადგენელმა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა და მოსამსახურეთა ყრილობაზე განაცხადა: თუმცა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება გათვალისწინებულია სოციალ-დემოკრატიის პროგრამით, მაგრამ „მონენტი მოითხოვს, თავი შევიკავოთ მისი აუცილებელი მოთხოვნისაგან“.

ამის შემდეგ გასაკვირი არ იყო, რომ რიგ წარმოებებში მუშებს 12-14 საათს ამუშავებდნენ.

მენშევიკებმა მაშინვე უარი თქვეს წარმოების ნაციონალიზაციასა და მასზე მუშათა კონტროლის დაწესებაზე. მათ მხოლოდ რკინიგზისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს ნაციონალიზაცია მოახდინეს, ხოლო ძირითადი საწარმოო საშუალებანი კვლავ კაპიტალისტების ხელში დარჩა. რაც შეეხება მუშათა პირობებს თვით წარმოებაში და მის გარეთ, იგი კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე მეფის ხელისუფლების დროს. თვით მენშევიკური პრესაც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ თბილისის, ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელისა და სხვა ქალაქების ძირითად საწარმოთა მუშების მდგომარეობა კვლავ აუტანელი რჩებოდა.

ამიტომაც მუშათა უკმაყოფილება თავის გამოხატულებას მასობრივ ეკონომიკურ გაფიცვებში პოულობდა, რაც თითქმის ყოველთვის პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზრდებოდა. კონფლიქტი მუშებსა და მეწარმეებს შორის ღრმავდებოდა. მარტო 1918 წლის შემოდგომაზე თბილისში ადგილი ჰქონდა 1600 კონფლიქტს მუშებსა და მეწარმეებს შორის, ქუთაისში — 684-ს. საგაფიცვო მოძრაობაში განსაკუთრებულ აქტივობას ტყიბულის მაღაროს მუშები იჩენდნენ. მარტო ტყიბულში 1918 წლის შემოდგომაზე 2000 მუშა გაიფიცა, რომლებიც მაღაროების მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემას მოითხოვდნენ. ამ მოძრაობაში საქართველოს რკინიგზაც ებმებოდა.

მენშევიკები ახშობდნენ მუშათა გაფიცვებს და, მიუხედავად მათი „სოციალისტური“ განწყობილებისა, საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას იმით ასაბუთებდნენ, რომ „დემოკრატიული საქართველო“ ახალგაზრდაა, მას ეკონომიკური მოღონიერება ესაჭიროება, ხოლო გაფიცვები ანარქიას იწვევენ, შრომის ნაყოფიერებას სცემენ, ეს კი ქვეყანას ასუსტებსო. რა თქმა უნდა, მენშევიკები დუმდნენ იმის შესახებ, რომ მუშების მდგომარეობა აუტანელი იყო, ხოლო კაპიტალისტები ჯიბეს ისქელებდნენ, რომ მეფის მთავრობის შემდეგ მუშათა მდგომარეობა არ შეცვლილა და კაპიტალისტთა თვითნებობა, აღვირახსნილი ექსპლოატაცია ისევ გრძელდებოდა. მენშევიკები ხომ კაპიტალისტთა ინტერესების გამომხატველნი იყვნენ და ბურჟუაზიის ეკონომიკური ბატონობის გარეშე ვერც კი წარმოედგინათ „დემოკრატიული სხქართველო“.

ბოლშევიკები, პირიქით, მუშებს განუმარტავდნენ, რომ მათი ინტერესების დაცვა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ ერთსულოვანი მოქმედებით არის შესაძლებელი. გაფიცვა, თუკი იგი

კარგად არის ორგანიზებული, თუკი მუშათა მოთხოვნა მტკიცე და ერთსულოვანია, გამარჯვებით დამთავრდება, წარმოების მეპატრონეები იძულებული გახდებიან მიიღონ მუშათა მოთხოვნები. ამხელდნენ რა მენშევიკების ბურჟუაზიულ პოლიტიკას მუშათა საკითხში, ბოლშევიკები პროლეტარულ მასებს განუმარტავდნენ, რომ კაპიტალისტები და მენშევიკები ფარული მოკავშირეები არიან, რომ ისინი არასოდეს უღალატებენ ერთმანეთს. ამიტომ საჭიროა ბრძოლა მათ წინააღმდეგ. საჭიროა აგრეთვე საწარმოებში მუშათა კონტროლის დაწესება. კონტროლისა, რომელიც ალაგმავს კაპიტალისტებს, დაიცავს მუშათა ინტერესებს.

არც პოლიტიკურ სფეროში გაუმჯობესებულა მუშათა მდგომარეობა. მართალია, მათ თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ საბჭოებში, მაგრამ თვით საბჭოები ყოვლად უუფლებო ორგანოებს წარმოადგენდნენ. გაერთიანების, გაფიცვის, სიტყვის, კრების, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება კვლავ განუხორციელებელი დარჩა. პროფკავშირები სასტიკი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. სულ მცირე ოპოზიციისათვის მათ ანადგურებდნენ. პროფკავშირთა საერთო კრებების მოწვევა მხოლოდ მილიციის ნებართვით შეიძლებოდა.

მუშათა ისედაც აუტანელ მდგომარეობას მასობრივი უმუშევრობაც დაერთო. მენშევიკების პოლიტიკურმა გაკოტრებამ ეკონომიკის მოშლა გამოიწვია, ხოლო ამ უკანასკნელს წარმოების სწრაფი შემცირება მოჰყვა. 1919 წელს ჭიათურის მარგანეცის გამამდიდრებელი 26 ქარხნიდან სამიღა მუშაობდა.

სასურსათო კრიზისი შიმშილით სიკვდილს უქადდა მშრომელებს, პირველ რიგში მუშებსა და დაბალი თანამდებობის მოსამსახურეებს. მენშევიკური ბონების კურსი სწრაფად ეცემოდა, მუშათა რეალური ხელფასი დღითიდღე მცირდებოდა. თუმცა 1919 წელს მუშათა ხელფასი ნომინალის მიხედვით 1914 წელთან შედარებით 21,8-ჯერ გაიზარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, კვების პროდუქტების ფასები 75,5-ჯერ გადიდდა, ე. ი. თითქმის ოთხჯერ და მეტად, ვიდრე ხელფასი.

1919 წლის ნოემბერში რკინიგზელთა ყრილობაზე შრომის მინისტრი ერაძეც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მეტად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის“.[1]

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 3, საქმე 239, ფურც. 4—6.

მენშევიკებმა, რომლებიც ყოველნაირად ზღუდავდნენ მუშათა მოძრაობას და გაფიცვების თავისუფლებას, 1919 წელსაც არ გამოსცეს დიდი ხნის წინათ დაპირებული შრომითი ხელშეკრულების კანონი. ამიტომ ანგარიშსწორება მეწარმეთა სურვილებისამებრ ხდებოდა; დამუშავებული კანონპროექტი კი მუშათა ორგანიზაციების უფლებებს ავიწროებდა. ამას გარდა, იგი არ ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებიც ფიზიკურ ან გონებრივ შრომას ეწეოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში, აგრეთვე საქალაქო ან საერობო თვითმმართველობებში.

მენშევიკებმა პროფკავშირები გამოაცხადეს „ნეიტრალურ ორგანიზაციებად", რომელსაც მეწარმეთათვის არავითარი მოთხოვნები არ უნდა წაეყენებინა, სანამ ეს მოთხოვნები განხილული და დამტკიცებული არ იქნებოდა პროფკავშირთა საბჭოს მიერ, პროფკავშირების საბჭოში კი მენშევიკებს უმრავლესობა ჰყავდათ. ამიტომ ბოლშევიკებმა მუშაობის ცენტრი ცალკეულ კავშირებში გადაიტანეს და გვერდი აუარეს მენშევიკურ საბჭოს. ცალკეული დარგის პროფკავშირებსა და წარმოებათა კომიტეტებში ბოლშევიკები ახერხებდნენ ჰყოლოდათ უმრავლესობა, ამიტომ კავშირები ბოლშევიკური ლოზუნგებით გამოდიოდნენ. პარტიის თბილისის კომიტეტმა მენშევიკური პროფსაბჭოს პარალელურად შექმნა არალეგალური „მუშათა ცენტრი", რომელიც სათავეში ედგა მუშათა საგაფიცვო მოძრაობას თბილისში.

„მუშათა ცენტრი" მეთაურობდა თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გრანდიოზულ გაფიცვას 1919 წლის გაზაფხულზე, რომელიც თვენახევარს გრძელდებოდა. გაფიცულთა მედგარმა ბრძოლამ და სიმტკიცემ აიძულა ქალაქის გამგეობა, დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა ეკონომიკური მოთხოვნები, მაგრამ უარი განაცხადა კოლექტიურად დაებრუნებინა სამუშაოზე ყველა გაფიცული.

ეს გაფიცვა ერთადერთი როდი იყო. მძიმე ეკონომიკური პირობების შედეგად 1919 წელს გაიფიცნენ საქართველოს რკინიგზის მუშა-მოსამსახურენი, პოლიგრაფიის მუშაკები, მელითონეები. აფთიაქებში მომუშავენი, ბორჯომის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურენი, რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები, მთავარი საავტომობილო სახელოსნოების, ფოთის ხე-ტყის ქარხნის მუშები და სხვანი.

მუშათა მდგომარეობა ბოლოს იმდენად კრიტიკული შეიქნა, რომ მენშევიკური მთავრობის შრომის მინისტრი გ. ერაძე 1919 წელს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა მეორე ყრილობაზე ამბობდა:

„...დღეს საქართველოს მუშათა კლასი მეტად მძიმე და მწვავე ეკო-

ნომიურ კრიზისს განიცდის... მისმა სიღარიბემ და სიღატაკემ უკანასკნელ საფეხურს მიაღწია, რომლის იქითაც მოსალოდნელია ჩვენი კლასის ფიზიკური გადაგვარებისა და განადგურების სწრაფი და მძლავრი პროცესი. აროც ერთი დემოკრატიული კლასი, ან ჯგუფი ჩვენი საზოგადოებისა არაა ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორშიაც ქალაქის მუშა-მოსამსახურენი...

ქალაქის მშრომელი მასის უმრავლესობა ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში განიცდის სისტემატურ შიმშილს... ავეჯეულობა, ძველი ტანსაცმელი, ლოგინი და სხვა საოჯახო ნივთები, რაც კი გააჩნდათ ძველი ნაამაგარი და ნაჭირნახულევი, უკვე გაიტანეს ოჯახიდან და გაჰყიდეს. ტანზე და ფეხზე ყველაფერი დაეგლიჯათ და შემოუცვდათ. ბევრს პერანგიც არ აცვია ტანზე. ჯუჯყიან, დაგლეჯილ და დაფლეთილ ძველ ძონძებში დაიარებიან როგორც შინ, ისე გარეთ. ბევრი მუშის ოჯახიდან ბავშვები სკოლაში აღარ დადიან ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის უქონლობის გამო. ყოველგვარი ავადმყოფობა და სნეულება მატულობს და ამ ნიადაგზე მუშათა ოჯახში სიკვდილი თანდათან გახშირდა.

...1914 წელს მუშის წლიური ბიუჯეტი 750 მანეთს შეადგენდა, ხოლო იმავე პირობებში რომ იცხოვროს მუშამ 1919 წელს, მისი შემოსავალი 61 560 მანეთს უნდა უდრიდეს... 1914 წლიდან 1919 წლის სექტემბრამდე ცხოვრება 75,4-ჯერ გაძვირდა, ხოლო სამუშაო ხელფასი მხოლოდ 21,6-ჯერ გადიდდა".[1]

რასაკვირველია, მენშევიკური მთავრობის შრომის მინისტრი გ. ერაძე აქ გვერდს უვლის მუშათა პოლიტიკურ უუფლებობას, მაგრამ მის მიერ დახატული ეკონომიკური მდგომარეობის სურათიც საკმაო სიცხადით გვიჩვენებს, თუ როგორ გაუარესდა მუშათა მდგომარეობა თვით მეფის მთავრობის პირობებთან შედარებით.

მენშევიკებმა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს რესპუბლიკის საფინანსო მხარეც. 1919—1920 წლის ბიუჯეტის შემოსავალი გათვალისწინებული იყო 1 263 564 485 მან., გასავალი კი 1 960 490 798 მან. ბიუჯეტის დეფიციტი უდრიდა 796 926 313 მან. თუ ამას დავუმატებთ წინა, 1918 წლის დეფიციტს — 260 მილიონ მანეთს, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 1 056 927 313 მანეთს[2].

რესპუბლიკის ეკონომიკის კატასტროფული სურათი უკვე საკმაოდ

---

[1] ეერნ. „რევოლუციის მატიანე", № 1, 1931, გვ. 48—49.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონ. 153, აღწ. 1, საქ. 160, ფურც. 10.

ნათელია და ამიტომ აქ სხვა დოკუმენტებს აღარ მოვიშველიებთ. კატასტროფული მდგომარეობის მარტო აღიარება საქმეს ვერ შველიდა. მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მენშევიკებს არ გაღაუდგამთ არც ერთი სერიოზული ნაბიჯი. ამიტომაც წალეკა მენშევიკების უდღეური დიქტატურა ნამდვილი მუშურ-გლეხური რევოლუციის გრიგალმა.

ასეთია საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობის მოკლე სურათი 1919 წლის შეიარაღებული აჯანყების წინ. ასეთ პირობებში ჩავარდნილი მუშათა კლასი ერთადერთ გამოსავალს არსებული წყობილების შეიარაღებული აჯანყების გზით დამხობასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში ხედავდა.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გადაჭრა საქართველოში მეორე უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხი — აგრარული ანუ გლეხობის პრობლემა, ამ საკითხის რევოლუციური გზით გადაჭრით დაინტერესებული იყო სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, კერძოდ, ღარიბი და საშუალო გლეხობა.

საქართველოს გლეხობა დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას რუსეთში მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მთელი მიწების ნაციონალიზაციის შესახებ. გლეხობა მოუთმენლად მოელოდა მიწის საკითხის მოგვარებას საბჭოთა რუსეთის მაგალითის მიხედვით, მაგრამ მენშევიკური მთავრობა ამ გზით არ წავიდა, აგრარულ სფეროში საქართველოში რაიმე ნნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ მომხდარა.

მენშევიკებმა კვლავ ამოათრიეს თავიანთი დაობებული არქივიდან მიწების მუნიციპალიზაციის დრომოჭმული პროგრამა და სასტიკად დაგმეს მემამულეთა მიწების კონფისკაციის, მთელი მიწების ნაციონალიზაციისა და გლეხთა კომიტეტების შექმნის მოთხოვნები. პირველ ხანებში ისინი არც კი ცდილან მიწის საკითხში რაიმე ღონისძიების გატარებას. გლეხობის მოთხოვნებზე — მიწის საკითხის გადაჭრის დაჩქარების შესახებ, მენშევიკები სტანდარტულ პასუხს იძლეოდნენ — „ამ საკითხის გადაწყვეტა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა მოითმინოთო“, ხოლო დამფუძნებელი კრების მოწვევას არ ჩქარობდნენ. მაგრამ მიწის საკითხი არც დამფუძნებელ კრებას გადაუჭრია, რომელიც 1919 წლის თებერვალში შეიკრიბა.

მენშევიკურმა მთავრობამ მიწის საკითხზე არაერთი დადგენილება და კანონი მიიღო, რომელთა მეოხებით მემამულეებს თითქოს მართლაც ართმევდნენ მიწებს, მაგრამ ფაქტიურად იმდენ ხვრელს უტოვებდნენ

ᲗᲐᲗ, რომ ისინი სხვადასხვა მაქინაციებით მაინც ახერხებდნენ მიწების შენარჩუნებას. მაგალითად, ახდენდნენ ოჯახების ფიქტიურ დაყოფას, ხოლო ოჯახის ყოველი წევრი ცალ-ცალკე ნორმას ღებულობდა.

„როდესაც მენშევიკებმა მიწის კანონის გამოცემის შემდეგ შეამოწმეს მიწების განაწილება გლეხებს შორის, მაგალითად, თელავის მაზრაში, გამოირკვა შემდეგი მდგომარეობა: გლეხთა კომლების 60,4 პროცენტის თითოეულ კომლს საშუალოდ ჰქონდა 0,83 დესეტინა მიწა, 16,1%-ს — 2,34 დესეტინა, 18,3%-ს — 4,29 დესეტინა და 5,2%-ს — 11,17 დესეტინა. ამრიგად, კულაკების კომლთა 5,2%-ის ხელში იყო თავმოყრილი მაზრის მთელი სახნავი მიწის 24,5%, მაშინ როცა 60,4 პროცენტი ღარიბების კომლთა წილად მოდიოდა მთელი სახნავი მიწის მხოლოდ 23,6%. დანარჩენი მიწები უპირატესად კვლავ მემამულეთა ხელში რჩებოდა“.[1]

მენშევიკები ქება-დიდებას ასხამდნენ მათ მიერ გამოცემულ აგრარულ კანონებს, ისინი ერთ-ერთ მორიგ „დემოკრატიულ ღონისძიებად“ მიაჩნდათ. ამავე დროს, აჯანყების ალში გახვეულ საქართველოს რაიონებს რომ ხედავდნენ, იძულებული ხდებოდნენ ამ არასასიამოვნო ფაქტისათვის თავისებური განმარტება მიეცათ: გლეხები ბუნებით კონტრრევოლუციონერები არიან, ამავე დროს მათი შეგნება დაბალია. ეს აჯანყებებიც მხოლოდ გლეხთა მასების გაუნათლებლობით აიხსნება. ეს მოძრაობა იგივეა, რაც კონტრრევოლუციური ვანდეა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგო, — გაჰყვიროდნენ ისინი და ცეცხლს უკიდებდნენ აჯანყებულ სოფლებს, აწიოკებდნენ გლეხთა ოჯახებს, ხვრეტდნენ და სახრჩობელაზე გზავნიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელებს.

საქართველოს ბოლშევიკები ააშკარავებდნენ მენშევიკთა აგრარული კანონის თვალთმაქცურ ხასიათს, განუმარტავდნენ მასებს, რომ ეს კანონი მემამულეთა და სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის სასარგებლოდ იყო შედგენილი. მთავრობამ მემამულეებს ჩამოართვა უმნიშვნელო რაოდენობის მიწა, ისიც უვარგისი, ამავე დროს ჩამორთმეულ მიწებზე დააწესა მაღალი გამოსასყიდი თანხა, რომლის გაღება მხოლოდ კულაკებს შეეძლოთ. ბოლშევიკური გაზეთი „კომუნისტ გრუზიი“ 1920 წელს წერდა: „ხომერიკის ეგრეთ წოდებულ აგრარულ რეფორმას არავითა-

---

[1] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 215.

რი დადებითი შედეგი არ მოუცია... მიწები, რომლებიც გასანაწილებლად იყო განკუთვნილი, სოფლის სპეკულანტებისა და კულაკების მმართველ პირთა და მათ ნათესავთა ხელში მოხვდა... სოფლად არასოდეს შეიმჩნეოდა კლასობრივი წინააღმდეგობანი ისე მწვავედ, როგორიცაა ამჟამად".[1] ბოლშევიკები ეწეოდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული მიწის დეკრეტის პროპაგანდას და უდავო ფაქტებით ცხადყოფდნენ, რომ მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო.

ამრიგად, გლეხთა მშრომელი მასების მდგომარეობა კვლავინდებურად მეტად მძიმე იყო. მენშევიკური აგრარული რეფორმა მემამულეებს უტოვებდა საუკეთესო მიწების მნიშვნელოვან ნაწილს და მხოლოდ მემამულეთა და კულაკთა მეურნეობის განვითარებას უზრუნველყოფდა, გლეხობის უმრავლესობას კი სული ეხუთებოდა მიწის ნაკლებობის გამო.

აჯანყების მრავალ მიზეზს შორის შეიძლება დავასახელოთ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმის სრული მოშლა. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ძალიან დაბალ დონეზე იდგა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მოსახლეობას ანადგურებდა შავი ჭირი, ტიფი და სხვა დაავადება. უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო განათლებისა და კულტურის საქმე.

1919 წლის აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს. ქართველი ხალხი— რუს ხალხს. მენშევიკებს უნდოდათ დაერღვიათ რუსი და ქართველი ხალხის მეგობრული კავშირი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მტკიცდებოდა. მენშევიკებმა საქართველო უცხოეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს მიუგდეს საჯიჯგნად, რაც უდიდეს აღშფოთებას იწვევდა მოსახლეობაში. ამიტომ საქართველოს მშრომელები იარაღით იბრძოდნენ კოლონიალიზმის მძიმე უღლის გადასაგდებად.

ვერც ამიერკავკასიის კომისარიატმა, ვერც სეიმმა და ვერც „დამოუკიდებელი" საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გადაჭრა ნაციონალური საკითხი. მენშევიკებს არ მიუციათ ავტონომია აფხაზების, ოსებისა და აჭარლებისათვის, პირიქით, ისინი მთელი თავისი ბატონობის მანძილზე შუღლს თესდნენ ქართველ და არაქართველ ერებს შორის.

„საქართველო ქართველებისათვის" — ასეთი იყო მენშევიკების შოვინისტური ლოზუნგი ეროვნულ საკითხში. მენშევიკების ასეთი მოქმე-

---

[1] Газ. «Коммунист Грузии», 15 ноября 1920 г.

დება უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა საქართველოს მრავალეროვან მშრომელ მოსახლეობაში, ამიტომ, ბუნებრივია, მენშევიკების დიდმპყრობელური პოლიტიკაც ერთ-ერთი მიზეზი იყო 1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისა.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყების გამომწვევ მიზეზთა შორის არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დენიკინის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა აშკარად ეხმარებოდა დენიკინის კონტრრევოლუციურ ჯარებს როგორც სატრანსპორტო საშუალებებით, ასევე ზოგიერთი პროდუქტებითა და ნავთობის გადაზიდვაში. ვ. ი. ლენინი სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებდა მენშევიკურ საქართველოს იმ 14 სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას.

ჩრდილო კავკასიის დაკავების შემდეგ უცხოელ იმპერიალისტთა წაქეზებით გათამამებული დენიკინი შეუდგა მზადებას ამიერკავკასიის დასაპყრობად, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა აქაურ მშრომელებს.

დენიკინის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის აუცილებლობა გამოწვეული იყო ორი გარემოებით: პირველი — დენიკინი უშუალოდ ემუქრებოდა მთელ ამიერკავკასიას დაპყრობითა და განადგურებით, რის წინააღმდეგაც, კონტრრევოლუციური ადგილობრივი მთავრობების სურვილის მიუხედავად, ამიერკავკასიისა და საქართველოს მშრომელებს ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით აუცილებლად უნდა ებრძოლათ, მეორეც — საქართველოსა და ამიერკავკასიაში დენიკინის შემოჭრის საფრთხე თუნდაც რომ არ ყოფილიყო, აქაური ბოლშევიკები მაინც ვალდებული იყვნენ სათავეში ჩასდგომოდნენ მშრომელთა ბრძოლას მაშინდელი მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც კავშირს კრავდნენ დენიკინთან და ყველა საშუალებით ხელს უწყობდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამდენად, დენიკინის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა საქართველოს მშრომელების შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო.

მენშევიკების მიერ გადაუჭრელი ყველაზე აუცილებელი პრობლემების მარტო ჩამოთვლა და შექმნილი მდგომარეობის ასე ზოგადი დახასიათებაც კი ნათელყოფს, რომ მენშევიკების ბატონობის წლები საქართველოს მშრომელებისათვის უაღრესად მძიმე და აუტანელი იყო. რომ

ამ ვითარებას მშრომელები გარდუვალი აუცილებლობით მიჰყავდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ.

1919 წლის დასაწყისში დენიკინელებმა შეძლეს მთელი ჩრდილო კავკასიის დაპყრობა და იქ საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამარცხება. ამის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში სისხლიანი ტერორი გამეფდა. ბოლშევიკებისა და რევოლუციურად განწყობილი მშრომელებისათვის აუტანელი პირობები შეიქმნა. ასეთი ვითარების გამო ზამთრის მძიმე პირობებში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები, ასევე ჩრდილო კავკასიის საბჭოთა მთავრობის, წითელი არმიისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები იძულებული შეიქნენ ჯერ მთებს შეხიზვნოდნენ, ხოლო შემდეგ თანდათანობით სამხედრო გზით საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. საქართველოში ჩამოსვლისთანავე სამხარეო კომიტეტმა ფართო ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა.

მას შემდეგ, რაც რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი 1919 წლის დასაწყისში ვლადიკავკაზიდან თბილისში გადმოვიდა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი მუშაობა მიმართული იყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. ამ საკითხის გადაჭრაში უშუალო მონაწილეობას იღებდა სერგო ორჯონიკიძე. მან ბოლშევიკური პარტიის კავკასიისა და თბილისის კომიტეტების წევრებს გადასცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითება ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების შესახებ. რამდენიმე თათბირი ჩაატარა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების წევრებთან საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების საკითხებზე.

ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ბუდმივ დახმარებას უწევდა ს. მ. კიროვი, რომელიც გზავნიდა ასტრახანიდან პარტიულ მუშაკთა ჯგუფებს.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია თავისი მუშაობის შესახებ საჭირო ინფორმაციას აწვდიდა რკპ/ბ/ ცენტრალურ კომიტეტს და მისგანვე ღებულობდა სათანადო მითითებებს.

რკპ/ბ/ კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისში გადმოსვლის შემდეგ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია საგრძნობლად გაძლიერდა. არჩეულ იქნა თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც სულ მალე შეძლო ძველი ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენა და ახალი პარტიული უჯრედების ქსელის შექმნა.

1919 წლის 9 ივნისიდან გამოსვლა დაიწყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ბოლშევიკურმა გაზეთმა „ვოლნაჲ". იგი გამოდიოდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორად. „ვოლნა" ეწეოდა ამიერკავკასიის ყველა ეროვნების მშრომელთა ერთიანი ფრონტის იდეის პროპაგანდას, ამჭიდროებდა რევოლუციურ ძალებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და ამხელდა მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს, როგორც უცხოელი ინტერვენტებისა და რუსი თეთრგვარდიელების მოკავშირეებს.

ემზადებოდნენ რა სოციალისტური რევოლუციისათვის, საქართველოს ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ გლეხობას, ვინაიდან ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, მშრომელი გლეხობის მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირის შექმნა იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორი.

1919 წლის 30 სექტემბერს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სპეციალური პროკლამაციით მიმართა საქართველოს გლეხობას. პროკლამაციაში დაწვრილებით იყო აღწერილი მენშევიკების ბატონობის პერიოდში შექმნილი მდგომარეობა.

„ამხანაგო გლეხებო, — მოუწოდებდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი საქართველოს გლეხობას, — თუ თქვენ გინდათ ახალი ბატონებისაგან განთავისუფლება, თუ თქვენ გინდათ, რომ ყველა მიწები თქვენს მიერ არჩეული საბჭოების ხელში გადავიდეს, თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენი შინაური საქმეების მოწესრიგება თვითონ თქვენს ხელში იყოს, თქვენ უნდა შემოკრბეთ კომუნისტ-ბოლშევიკების პარტიის გარშემო, შექმნათ მაგარი და მტკიცე ორგანიზაციები და დაუკავშირდეთ ქალაქის მუშებს, რომლებიც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ იბრძვიან. ასეთი ორგანიზაციები და ასეთი კავშირი აუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფო ძალაუფლება სავსებით მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდეს...

ძირს ექსპლოატატორები და მჩაგვრელები!

ძირს მენშევიკების ბურჟუაზიული მთავრობა!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!" [1].

„საშიხაო და საგარეო მდგომარეობის გულმოდგინე ანალიზს

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფონდი, 3, საქმე 248, ფურც. 47.

რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ "შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებისათვის საჭირო წანამძღვრები უკვე არსებობდა"[1], მძვინვარებდა ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა, შიმშილი, მოიშალა და დაკნინდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. მენშევიკების პოლიტიკა საბოლოოდ გაკოტრდა: კიდევ უფრო გააუარესა მუშათა მდგომარეობა, ვერ გადაჭრა მიწის საკითხი და მძიმე პირობებში დატოვა გლეხობა, ვერ გადაწყვიტა ეროვნული საკითხი, უუფლებო მდგომარეობაში ჰყავდა ჯარისკაცები, დააქვეითა განათლება და კულტურა.

ყოველივე ამან და მრავალმა სხვა გარემოებამ შექმნა ნამდვილი რევოლუციური სიტუაცია: ერთი მხრივ, არსებული ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემა, ხოლო მეორე მხრივ, მასების უკმაყოფილებისა და აღშფოთების მძლავრი აზვირთება. მუშებისა და გლეხების მოწინავე, შეგნებული ნაწილი შეიარაღებული აჯანყების გზით არსებული წყობილების დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოითხოვდა.

"შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან ერთად უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ ცალკეული მაზრების, რაიონებისა და სოფლების პარტიული ორგანიზაციები.

აჯანყების მომზადებისა და გატარებისათვის უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობის გასაწევად მაზრებში, რაიონებსა და სოფლებში დაიგზავნენ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტების წევრები. აჯანყებისათვის მზადება განსაკუთრებით გაძლიერდა აგვისტოსა და სექტემბერში, ხოლო აჯანყების მოახლოების კვალობაზე კიდევ უფრო გააქტიურდა.

საქართველოს მაზრებში, რაიონებსა და სოფლებში შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების შესახებ მდიდარი და საინტერესო მასალები მოიპოვება. აქ მხოლოდ მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

გორის მაზრაში აჯანყებისათვის მზადებისას ბოლშევიკები იყენებდნენ კონსპირაციის სხვადასხვა ფორმას, მაგალითად, სოფ. ძევერაში (ტყვიავის რაიონი) ივანე ილიას ძე ჯოლბორდმა თითქოს წარმოდგენების დასადგმელად შექმნა დრამატული წრე, რომელშიც ჩაბმული ჰყავდა რევოლუციურად განწყობილი გლეხი ახალგაზრდობა. წარმოდგენების მომზადებისა და რეპეტიციების ნიღაბს ამოფარებული ბო-

[1] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 240.

ლშევიკები სამი თვის განმავლობაში ათვითცნობიერებდნენ და ამზადებდნენ მასებს მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამის შესახებ მენშევიკებმა მხოლოდ აჯანყების შემდეგ გაიგეს.[1]

1919 წლის აგვისტოში დიდი მზადება მიმდინარეობდა გორის საშაზრო პარტიული კონფერენციის ჩასატარებლად. ამ მიზნით თბილისის საგუბერნიო კომიტეტმა (მდივანი ი. მგელაძე) ხაშურში გაგზავნა გუბკომის წევრი დ. რუხაძე, რადგან განზრახული იყო სამაზრო კონფერენციის ხაშურში ჩატარება. იმ დროს ხაშურში ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი ბოლშევიკები: გ. მოწონელიძე, ა. გიორგაძე, გ. ელისაბედაშვილი, ს. შალამბერიძე, მ. ძაძამია, ზ. ბერიაშვილი და სხვები.

საშაზრო კონფერენციის მოწვევის საკითხზე გ. მოწონელიძის ბინაში შედგა თათბირი, სადაც, ხაშურში მომუშავე ბოლშევიკების გარდა, გორიდან ესწრებოდნენ სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლები. გადაწყვიტეს, რომ სამაზრო კონფერენცია ხაშურში ჩაეტარებინათ. აშავე თათბირზე დაადგინეს, რომ ბოლშევიკებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ იმ კრებაშიც, რომელსაც მენშევიკები იწვევდნენ დამფუძხებელი კრების წევრების — ფოფხაძისა და იმნაიშვილის მოხსენებათა მოსასმენად.

კრებას უნდა განეხილა საკითხი: „დღევანდელი მომენტი და საქართველოს პროლეტარიატის როლი". კრება მართლაც შედგა მეორე დღეს, შაგრამ ხალხმა კრების პრეზიდიუმში მხოლოდ ბოლშევიკები აირჩია. კრების უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო. ამან აღაშფოთა დამფუძნებელი კრების წევრები და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმს მიმართეს. იმავე ღამეს ბევრი ბოლშევიკი დააპატიმრეს, მათ შორის ელისაბედაშვილი, შალამბერიძე, ძაძამია, ბერიაშვილი და სხვები. მხოლოდ მოწონელიძემ და გიორგაძემ მოასწრეს მიმალვა.

ამის შემდეგ გადაწყდა სამაზრო კონფერენციის მოწვევა სოფელ ხოვლეში, სადაც კომისრად ბოლშევიკი ვ. ბახტაძე მუშაობდა. კონფერენციის ჩატარება ა. გიორგაძეს მიანდეს, მაგრამ ის გზაში დააპატიმრეს. შემდეგ იქ სხვა ამხანაგი გაგზავნეს. კონფერენციამ წარმატებით დააშთავრა მუშაობა და სამაზრო კომიტეტიც აირჩია, რომელმაც კი-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 356, ფურც. 5—7.

დევ უფრო გააძლიერა აჯანყების მზადებისათვის ხელმძღვანელობა. უშუალოდ აჯანყების ხელმძღვანელობისათვის გორში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაგზავნა მათიკაშვილი და კილასონიძე, შეჯვრისხევის რაიონში — გუბკომის წევრი ამხ. შახნაზაროვი, ახალქალაქის რაიონში — მუშა ბოლშევიკი ვანო ჯეჯელავა.

გორის მაზრის რაიონებს შორის განსაკუთრებით დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა ხაშურის რაიონში, სადაც აჯანყებისათვის მზადებაში გლეხობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული რკინიგზის მუშები. სექტემბერში სურამში ჩატარდა ხაშურის სარაიონო პარტიული კონფერენცია, რომელმაც აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა. რაიკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ბუხნიკაშვილი, მდივნად — ქიმერიძე. კონფერენციაზე „ბოლშევიკური ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" მოხსენება გააკეთა საძაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვანო ელბაქიძემ. მიღებულ რეზოლუციაში კრებამ ერთხმად მოიწონა ცენტრის წინადადება აჯანყების მომზადებისა და გატარების შესახებ. ერთი კვირის შემდეგ კვლავ შედგა რაიკომის კრება პარტიულ აქტივთან ერთად. დღის წესრიგში იყო სამხედრო-ტექნიკური კომისიის არჩევა, რომელსაც უნდა მოეწყო შეიარაღებული აჯანყება ხაშურის რაიონში. კომისიაში არჩეულ იქნენ ვანო ელბაქიძე, ვასო ქურდაძე, დეპოს მემანქანე კაპანაძე და გვარდიელები — მაისურაძე და ცხოვრებაშვილი.[1] ამ კომისიას უნდა შეემუშავებინა ხაშურის დაკავების გეგმა. გვარდიის შტაბისა და მისი არსენალის აღება თავს იდვეს გვარდიელებმა.

საინტერესო იყო ხაშურის აღების გეგმა.

გეგმის თანახმად, ხაშურსა და გომს შუა, დაახლოებით სადგურ გომთან უნდა აყრილიყო რკინიგზა. გზა უნდა აყრილიყო აგრეთვე სადგურ ლიხთან. თუ სადგურ ხაშურში იმ დროს ჯავშნოსანი მატარებელი იდგებოდა, ბოლშევიკებს სროლა უნდა აეტეხათ აგარის ხიდზე მყოფი გვარდიელებისათვის. ამ შემთხვევაში სადგური აგარა დახ-

---

[1] ჯერ კიდევ 1919 წლის აჯანყებამდე დიდი ხნით ადრე გვარდიელები მაისურაძე და ცხოვრებაშვილი ბოლშევიკების მხარეზე ყადავიდნენ. გვარდიელმა ცხოვრებაშვილმა რამდენიმე ათეული გვარდიელი გადმოიყვანა ბოლშევიკების მხარეზე და აჯანყების ხელმძღვანელ შტაბს აცნობა გვარდიის შეიარაღების მთელი საიდუმლოება (სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 312, ფურც. 3, 4, 11).

მარებისათვის ხაშურიდან მოუხმობდა ჯავშნოსანს, რომელიც ჩავარდებოდა აყრილ გზაში. ამ დროს ხაშურიდან გაგზავნიდნენ ორთქლმავალს ჯავშნოსნისათვის დასაჯახებლად, ხოლო მეორე ორთქლმავალს — სადგურ ლიხისაკენ და აგდებდნენ წინასწარ აყრილი გზიდან. ჯავშნოსნისა და ორთქლმავლების გზიდან გადაგდებით გზას შეუკრავდნენ როგორც თბილისიდან, ისე დასავლეთ საქართველოდან მიმავალ მენშევიკების დამხმარე ძალებს. ამის შემდეგ ყოველი კუთხიდან ხაშურში შემოვიდოდხენ შეიარაღებული ძალები. აიღებდნენ ხაშურს, გვარდიის შტაბსა და ყველა დაწესებულებას. აჯანყებისათვის მზადების პერიოდში ხაშურის რაიკომი ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ დისციპლინასა და აქტიურობას.[1]

აჯახყებისათვის მზადების პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ხაშურის რაიონში ხშირად ჩამოდიოდნენ ლადო სუხიშვილი და გაიოზ დევდარიანი (უკანასკნელი ითვლებოდა ხაშურის რაიონის ახალგაზრდა სპარტაკელთა კომიტეტის მდივნად). მათ თბილისიდან მოჰქონდათ ბოლშევიკური პროკლამაციები, ლიტერატურა, ატარებდნენ პარტიული ორგანიზაციების კრებებს, ესაუბრებოდნენ რევოლუციურად განწყობილ გლეხებს, გლეხთა რევოლუციური რაზმების ხელმძღვანელებს, რკინიგზელ მუშებს და აჯანყებისათვის ამზადებდნენ მათ.

აჯახყების მოახლოებასთან ერთად ხაშურელმა ბოლშევიკებმა გააძლიერეს მუშაობა. ისინი ცენტრიდან ახალ-ახალ დირექტივებს ღებულობდხენ, კვლავ აფრთხილებდნენ ყოველ ბოლშევიკს აუცილებელი მზადყოფნის შესახებ. მოწვეულ იქნა პარტიული უჯრედების მდივნების კრება, რათა დანიშნული დროისათვის ყველაფერი მზად ყოფილიყო.

„გორის მაზრის ბოლშევიკებმა გააძლიერეს მუშაობა გლეხთა რევოლუციური რაზმების შექმნისა და შეიარაღებისათვის, რისთვისაც ჩრდილოეთ ოსეთში, თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში საკუთარი სახსრებით ყიდულობდნენ იარაღს და მაზრაში საიდუმლოდ შეჰქონდათ“ [2].

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 312, ფურც. 3, 4, 11.

[2] Ш. Д. Беруашвили, из истории борьбы за победу Советской власти в Грузии в 1917 — 1921 гг. (Борьба трудового крестьянства горийского уезда). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1967, стр. 18.

1919 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში თბილისიდან ხაშურში კვლავ ჩამოვიდნენ ლადო სუხიშვილი და ზნაურ აიდაროვი, რათა საბოლოოდ დაეზუსტებინათ აჯანყების გეგმა და დავალებები გაენაწილებინათ ხელმძღვანელ ბოლშევიკებს შორის.

1919 წელს ბოლშევიკების ძლიერი პარტიული ორგანიზაცია არსებობდა სამხრეთ ოსეთში (ადმინისტრაციულად სამხრეთ ოსეთი გორის მაზრაში შედიოდა).

1918 წლის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების დამარცხებისა და მენშევიკების დამსჯელი ექსპედიციების სასტიკი რეპრესიების შედეგად სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. მიუხედავად ამისა, 1919 წელს აქ კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა პარტიული მუშაობა და ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება.

1919 წლის 12 ივლისს ჯავაში შედგა სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი არალეგალური კონფერენცია, სადაც დელეგატები წარმოდგენილი იყვნენ სამხრეთ ოსეთის თითქმის ყველა რაიონიდან. კონფერენციამ განიხილა პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, კერძოდ, ის, თუ როგორ ემოქმედათ საბჭოთა რუსეთიდან სრული იზოლაციის პირობებში და როგორ მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება რკპ(ბ) კავკასის სამხარეო კომიტეტის დირექტივების შესაბამისად. კონფერენციამ აირჩია რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი ხუთი კაცის შემადგენლობით: ვ. სანაკოევი (თავმჯდომარე), ს. გაგლოევი (მოადგილე), ა. ჯატიევი (მდივანი), ა. პლიევი და ა. აბაევი (წევრები). იმ დროს სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაცია სწრაფად იზრდებოდა, იგი 960-ზე მეტ კომუნისტს და სამი ათასამდე თანამგრძნობს ითვლიდა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულმა კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაში ოსეთის მშრომელი გლეხების ჩასაბმელად. პარტიული კონფერენციის შემდეგ რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით პარტიული მუშაობა და აჯანყებისათვის მზადება გაჩაღდა სამხრეთ ოსეთის ყველა რაიონში. მილიციის როკის საგუშაგოს უფროსი 1919 წლის 19 ნოემბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ წერილობით მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ როკისა და მახლობელი სოფლების აჯანყებისათვის მომზადებაში მთავრობისათვის ბევრი არასაიმედო პირი იღებდა მონაწილეობას. იგი ჩამოთვლის აქტიურ

ბოლშევიკებს და მათ თანამგრძნობთ, რომლებიც გლეხობას აჯანყებისათვის აშზადებდნენ. ესენი იყვნენ: გრიგოლ, ტატო, სერგო და ცუცუკ გაგლოევები, ალექსანდრე ჯატიევი, სოსლან და ალექსანდრე პლიევები, მიშა კოზონოვი, ე. ბეგიზოვი, ციცა აბაევი და სხვები,[1] რომლებიც ყოველდღიურ აგიტაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში, განმარტავდნენ მენშევიკური მთავრობის მოღალატურ პოლიტიკას, უამბობდნენ მშრომელებს, თუ როგორ გადაჭრა ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში მშრომელთა ყველა საჭირბოროტო საკითხი და მოსახლეობას, მშრომელ გლეხობას ასეთივე რევოლუციისაკენ მოუწოდებდნენ.

რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და, საერთოდ, იქაური ბოლშევიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავი არ დაზოგეს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ასევე დიდი მზადება მიმდინარეობდა აჯანყებისათვის ბორჯომის რაიონში, რომელიც გარკვეული მოსაზრებით მაშინ ხაშურის რაიკომს ექვემდებარებოდა. ბორჯომის რაიონიდან აჯანყებისათვის მზადების პერიოდში გახსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბოლშევიკები: ლ. ქიმერიძე. მ. გელაშვილი, ვ. მურდალაშვილი, გ. დეკანოსიძე, ა. კრავცოვი. დ. არბულიშვილი, ა. ბიწაძე, ვლ. ბლიაძე და სხვები. სამწუხაროდ, ბორჯომელი ხელმძღვანელი ბოლშევიკები აჯანყების წინ დააპატიმრეს [2].

დუშეთის მაზრის ბოლშევიკური ორგანიზაციის შესახებ უნდა ითქვას, რომ მან დიდი დანაკლისი განიცადა 1918 წლის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების დამარცხების გამო. ყველაზე გამოცდილი ბოლშევიკები დუშეთის ორგანიზაციისა გაუსამართლებლად ისხდნენ მეტეხის ციხეში. მიუხედავად ამისა, დუშეთში არ შეწყვეტილა მზადება ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. აქაურ ბოლშევიკურ ორგანიზაციას განსაკუთრებულ დახმარებას უწევდნენ როგორც რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო, ისე თბილისის საგუბერნიო კომიტეტები. იქ ხშირად გზავნიდნენ გამოცდილ ხელმძღვანელ მუშაკებს.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 177.

[2] იქვე, ფურც. 179—180.

დუშეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში სამუშაოდ იქნენ მივლინებული ვლ. სუხიშვილი, ვლ. ციმინტია და გ. ლაფანაშვილი. მათ იქ დიდი მუშაობა გასწიეს 1919 წლის ზაფხულში. აჯანყების დაწყების წინ, 6 ოქტომბერს, მენშევიკებმა დააპატიმრეს სუხიშვილი და ლაფანაშვილი, ხოლო ციმინტია აჯანყებამდე განაგრძობდა მუშაობას. კობის რაიონში ბოლშევიკურ მუშაობას ხელმძღვანელობდა და გლეხთა რევოლუციურ რაზმებს ადგენდა სტ. ტაკაევი, რომელიც 1918 წელს წითელი არმიის რიგებში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად ჩრდილო კავკასიაში. მან შეძლო თრუსოს ხეობაში მყოფ სასაზღვრო ნაწილთან კავშირის დამყარება და იქიდან რამდენიმე მებრძოლის „გაბოლშევიკება“.

ბაზალეთის რაიონში არალეგარულ ბოლშევიკურ მუშაობას ეწეოდნენ და გლეხთა რევოლუციურ რაზმებს ადგენდნენ საშა გეგეჭკორის ყოფილი რაზმელები, თერგის ოლქიდან დაბრუნებული ბოლშევიკები: ვ. ახალაშვილი, გ. ზანდუკელი, პელაგია შუბლაძისა (ბოლშევიკ თედო შუშიაშვილის და), შ. ავსაჯანიშვილი, ლ. ვერძეული, ვ. შარაბიძე, ა. ელიაშვილი, ტ. ბრაჭული, ი. ეძგვერაძე და სხვები.

აჯახყების წინა დღეებში თბილისის გუბკომის მდივნის — ი. მგელაძის დავალებით დუშეთში გაიგზავნა ბოლშევიკი მ. მელია. იგი დაუკავშირდა ადგილობრივ მომუშავე ხელმძღვანელ ბოლშევიკებს — ციმინტიას, ტაკაევს, ავსაჯანიშვილს, ვერძეულს, ეძგვერაძეს და სხვებს. იმავე ღამეს ი. ეძგვერაძის ბინაზე გაიმართა აჯანყების სამაზრო ცენტრის საიდუმლო კრება. საყურადღებოა, რომ ამ კრებაზე დაისწრეს დარიალის მეექვსე სანაპირო რაზმის ჯარისკაცი ი. იორდანიშვილი და კადრის გვარდიელი შ. ბეჟანიშვილი. როგორც ჩანს, ისინი უკვე ბოლშევიკები ყოფილან და საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ აჯანყების საძაზრო ცენტრთან. ცენტრიდან მივლინებულმა ბოლშევიკმა მელიამ კრებას გააცნო მომავალი 24 ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გეგმა მთელ რესპუბლიკაში და გადასცა დავალებები, თუ როგორ უნდა ეშოქმედათ აჯანყების დროს დუშეთის ბოლშევიკებს.

აშავე კრებაზე საბოლოოდ დააზუსტეს მაზრასა და სამაზრო ცენტრში აჯახყების სამოქმედო გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ქ. დუშეთის ირგვლივ მდებარე მაღლობებს 24 ოქტომბერს ღამით დაიკავებდნენ სოფლებიდან გამოყვანილი გლეხთა შეიარაღებული რაზმები, იარაღს აჰყრიდნენ ბაზალეთის რაიონის მილიციას, შემდეგ ყველა მხრიდან შევიდოდნენ ქ. დუშეთში. მეექვსე სანაპირო

რაზმის ჯარისკაცთა საშუალებით ალყას შემოარტყამდნენ სამაზრო გვარდიის შტაბს და იარაღს აჰყრიდნენ გვარდიელებს. მილიციისათვის იარაღის აყრა ადვილ საქმედ მიაჩნდათ, რადგან მილიციის კომისარიატში ჰყავდათ ორი აქტიური მუშაკი ქ. კარიაული და მ. ვარსიმაშვილი. რომლებიც უკვე კარგა ხანია ბოლშევიკებთან თანამშრომლობდნენ. კობის რაიონში შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა დაევალა სტ. ტაკაევს, მას უკვე მომზადებული ჰყავდა ადგილზე გლეხთა შეიარაღებული რაზმი, რომელშიც ადგილობრივი მილიციელები და გვარდიელებიც იყვნენ ჩაბმული. კობის რაიონში, გარდა ტაკაევისა, აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ბოლშევიკები ა. მაკაევი და ჯავის რაიონიდან გადმოსული სტუდენტი ა. ჯატიევი.[1] ასე ემზადებოდა დუშეთი და მთელი დუშეთის მაზრა მომავალი აჯანყებისათვის.

აჯანყებისათვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა თელავის მაზრაში. აჯანყებისათვის მზადების კონკრეტული საკითხების განსახილველად 1919 წლის 28 სექტემბერს მოწვეულ იქნა თელავის ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალური სამაზრო კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა ტყეში, სომხების სასაფლაოს მახლობლად. მენშევიკების ადგილობრივმა ორგანოებმა გაიგეს, რომ უნდა ჩატარებულიყო ბოლშევიკების არალეგალური სამაზრო კონფერენცია. მათ ფეხზე დააყენეს ჯაშუშთა ქსელი, გვარდია, მილიცია და ყველა ძენშევიკი, მაგრამ ვერ შეძლეს კონფერენციის ჩატარების ადგილის აღმოჩენა. მაშინ მათ სხვა საშუალებას მიმართეს: დაიწყეს ბოლშევიკებისა და საერთოდ „შემჩნეული“ პირების ბინების ჩხრეკა. 1919 წლის 8 ოქტომბერს გაჩხრიკეს რამდენიმე ბოლშევიკისა და მათ თანამგრძნობთა ბინები. ჩხრეკის დროს ვ. რაზმაძის ბინაში აღმოაჩინეს ბოლშევიკური ლიტერატურა და ხელნაწერები. აქვე იპოვეს ახალარჩეული სამაზრო კომიტეტის შემადგენლობის სია. სამაზრო კომიტეტის ერთ-ერთი ოქმის საშუალებით მათ გაიგეს, რომ სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იყო ს. ცინცაბაძე, პასუხისმგებელ პროპაგანდისტად —სტუდენტი ნ. აუშტროვი, სამაზრო კომიტეტის მდივნად —ნ. ბაკურაძე და პასუხისმგებელ ორგანიზატორად —ნ. მაზანაშვილი. ძენშევიკებმა მაშინვე დააპატიმრეს სამაზრო კომიტეტის ხელძღვანელობა, რითაც შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება საფრთხის წინაშე დააყენეს. მაგრამ პარტიის სამხარეო და თბილისის საგუბერნიო

[1] გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 10 დეკემბერი.

კომიტეტმა მყისვე მიიღეს ზომები თელავის მაზრაში მუშაობის გასააქტ-ლებლად. თბილისის გუბკომის მიერ 18 ოქტომბერს თელავში გაიგზავნა პარტიული მუშაკები გ. სარჯველაძე და დ. აფციაური. თელავში ჩასვლისთანავე ისინი დაუკავშირდნენ არალეგალურად მომუშავე ადგილობრივ ბოლშევიკებს, რომელთა შორის აღსანიშნავია მეექვსე ათასეულის ჯარისკაცები ა. თუმანიშვილი და ვ. ბუღდიაშვილი. მათ ჩამოსულ ბოლშევიკებს გააცნეს სოფლად მომუშავე ამხანაგები გ. ჩიტალაძე, გ. მამულაშვილი და სხვები. მივლინებულმა ამხანაგებმა შეკრიბეს სოფლად მომუშავე ბოლშევიკები და მეორე დღესვე სათანადო დირექტივებით გაგზავნეს ადგილებზე პარტიულ ორგანიზაციებში აჯანყებისათვის მზადების გასაძლიერებლად.

გ. სარჯველაძემ და დ. აფციაურმა სასწრაფოდ მოიწვიეს აგრეთვე საძაზრო პარტიული აქტივის კრება, რომელსაც 20 კაცი დაესწრო. ამ კრებაზე "შეძუშავებულ იქნა შეიარაღებული აჯანყების გეგმა. გეგმის თანახმად, არჩეულ იქნენ კომისრები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებოდხენ ამა თუ იმ დაწესებულების აღებაზე აჯანყების დროს. აირჩიეს სამაზრო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, გეგმის მიხედვით, ცალკეულ გლეხთა რევოლუციურ რაზმებს, რომლებსაც სათავეში გამოცდილი ბოლშევიკები ედგნენ, უნდა "ძეესრულებინათ სხვადასხვა საპასუხისმგებლო დავალებები. მაგალითად, ერთ მათგანს უნდა დაეტუსაღებინა გვარდიის შტაბი, მეორეს — "ძეექვსე ათასეულის ოფიცრობა, მესამეს უნდა აეღო მილიციის კომისარიატი და ა. შ.

საძაზრო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წინასწარი მონაცემებით აჯანყებაში მონაწილეობისათვის მზად იყო შემდეგი შეიარაღებული რაზმები. მეექვსე ათასეულის ჯარისკაცებიდან 210 მებრძოლი 12 ტყვიამფრქვევით, ლაგოდეხის გლეხთა შეიარაღებული რაზმი 125 კაცის "შემადგენლობით. ყვარლის რაიონში იმყოფებოდა 60 შეიარაღებული რაზმელი, ხოდაშნის რაიონში—45 კაცი, ვარდისუბნის რაიონში — 70, ნაფარეულის რაიონში — 80 კაცი და სხვა. შეიარაღებულ რაზმებში ჩაწერის მსურველები გაცილებით მეტნი იყვნენ, მაგრამ იარაღი არ კმაროდა. სულ თელავის მაზრაში აჯანყების დაწყებისათვის "ზზად იყო 465 შეიარაღებული მებრძოლი, რომლებიც განაწილებული იყვნენ ცალკეული საბრძოლო დავალებების შესასრულებლად.[1]

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 10 დეკემბერი.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად დიდი მუშაობა ტარდებოდა ოზურგეთის მაზრაში. „როგორც ვიცით, 1918 წლის განმავლობაში, როცა თითქმის არც კი დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც ადგილი არ ჰქონებოდეს გლეხების გამოსვლებს, გურული გლეხობა სრულიად გაჩუმებული იყო. ამ გარემოებას დემაგოგიურად იყენებდნენ მენშევიკები მუშების წინაშე. აჯანყებებს უწყობენ დემოკრატიულ მთავრობას მხოლოდ და მხოლოდ ჩამორჩენილი კუთხეები და შეუგნებელი გლეხკაცობაო. და ამის დასამტკიცებლად უთითებდნენ გურიაზე და გურულ გლეხებზე: აბა შეხედეთ გურიას, თუ როგორ უჭერენ იქ მხარს დემოკრატიულ მთავრობასო“ [1].

1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებამ და თვით აჯანყებამ გააცამტვერა მენშევიკთა მიერ შეთხზული მითი იმის შესახებ, თითქოს მენშევიკური „დემოკრატიული სამოთხის“ წინააღმდეგ მხოლოდ საქართველოს ჩამორჩენილი რაიონები მოქმედებდნენ. 1919 წლის ხუმბერში გურიაში დატრიალებულმა ამბებმა ცხადყო, რომ არავითარი გამიჯვნა ე. წ. „ჩამორჩენილ“ და „მოწინავე“ რაიონებს შორის არ არსებობდა, რომ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ერთნაირი მებრძოლი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები.

როცა გურიაში სერიოზული სამზადისი დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის, მენშევიკებმა თავი დაანებეს გურიის ქებას და მის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართეს.

1919 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ბოლშევიკური უჯრედები შექმნილი იყო ოზურგეთის მაზრის თითქმის ყველა დიდ სოფელში. 1919 წლის 5 ივლისს გურიის სამაზრო კომიტეტმა გამოუშვა ხელნაწერი ჟურნალი „კომუნისტი“. სამაზრო კომიტეტი ბლომად უშვებდა და ავრცელებდა აგრეთვე ბროშურებს, ფურცლებსა და მოწოდებებს. მიუხედავად მენშევიკების მიერ გატარებული მკაცრი რეპრესიებისა, 1919 წელს ბოლშევიკებმა მოახერხეს ჯერ დიდი საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარება, ხოლო ზაფხულში თითქმის ყველა თემში მოაწყვეს ღია კრებები და მიტინგები მშრომელი გლეხობის ფართო მონაწილეობით. ამ მიტინგებზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გამართული დისკუსიების დროს გლეხობის უმრავლესობა

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921 წწ., გვ. 179.

ბოლშევიკების მხარეზე აღმოჩნდა და ბოლშევიკურ ლოზუნგებს უპერდა მხარს. ისინი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას მოითხოვდნენ. ერთ ასეთ მიტინგს ლანჩხუთში 15 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგის ხელმძღვანელებად გლეხებმა ბოლშევიკები აირჩიეს, მოხსენებით გამოვიდა ბოლშევიკი თ. კალანდაძე და რეზოლუციაც ბოლშევიკური მიიღეს.[1] ასეთი მიტინგები ჩატარდა ხიდისთავში, ამაღლებაში, ჩიბათში, ჯუმათში და სხვაგან.

"შეიტყო თუ არა გურიაში ჩატარებული ანტიმენშევიკური მიტინგების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოზურგეთის მაზრის ძილიციის უფროსს სწერდა: „არსებული ცნობების თანახმად სოფლებში: ჩიბათში, ჯუმათში, ხიდისთავში და მაზრის ზოგიერთ სხვა ადგილებში ადგილი აქვს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. წიხადადებას გაძლევთ სასწრაფოდ გაარკვიოთ აქტიური დემონსტრახტი პირების ვინაობა, დააპატიმროთ ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროზე ჩარიცხვით და შედეგებზე გვაცნობოთ."[2]

ბოლშევიკური ძიტინგებით შეშფოთებული შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი პირადად უგზავნის მეორე დეპეშას ოზურგეთის მაზრის ძილიციის უფროსს, რათა დააპატიმრონ ყველაზე უფრო გავლენიანი და აქტიური ბოლშევიკები: თედორე და ვარდენ კალანდაძეები, გრიგოლ მგალობლიშვილი და სხვები[3].

ოზურგეთის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მზადების მიმდინარეობაზე საყურადღებო მოგონება გამოაქვეყნა გურიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მაშინდელმა თავმჯდომარემ ტარასი მგალობლიშვილმა. იგი წერდა, რომ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ინიციატივით 1919 წლის გაზაფხულზე ქ. ბაქოში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური ყრილობა, სადაც დელეგატები იყვნენ საქართველოს თითქმის ყველა მაზრიდან. ყრილობაზე ერთ-ერთ საკითხს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები შეადგენდა. ყველა მაზრიდან გააკეთეს საინფორმაციო მოხსენებები ადგილზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", № 3, 1923, გვ. 118.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. № 24.

[3] ი ქ ვ ე, ფურც. 46.

გურიიდან მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. კალანდაძე, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „გურია მზად არის და როცა საჭიროება მოითხოვს (საერთო აჯანყების დროს), იგი გამოვა და იმედიცა გვაქვს, რომ გურიაში ძალაუფლებას ისე ჩავიგდებთ ხელში, რომ მსხვერპლის გაღებაც კი არ დაგვჭირდება“ [1].

ყრილობიდან დელეგატების დაბრუნების შემდეგ ყველგან და მათ შორის გურიაშიც დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა იქითკენ, რომ პირველ რიგში შეეძინათ იარაღი და სხვა საბრძოლო აღჭურვილობა, შეექმნათ სამხედრო რაზმები და მომავალი ბრძოლებისათვის მოემზადებინათ ისინი.

მიუხედავად მენშევიკების სასტიკი რეპრესიებისა, პარტიის სამხარეო კომიტეტის მითითებით ოზურგეთის მაზრაში გაჩაღდა მუშაობა სამაზრო პარტიული კონფერენციის ჩასატარებლად. სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1919 წლის ზაფხულში სოფ. ფიჩხისჯვარში შეიკრიბა გურიის სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრი გ. სტურუა ხელმძღვანელობდა. კონფერენციის ძირითად საკითხს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება შეადგენდა, თუმცა აჯანყების დღე და რიცხვი საბოლოოდ არ დაუდგენიათ, მაგრამ გადაწყვიტეს აჯანყება მოეწყოთ შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, როცა გლეხობა შედარებით თავისუფალი იქნებოდა.

როგორც საერთოდ მთელ საქართველოში, ასევე გურიაშიც ბოლშევიკები ფართოდ იყენებდნენ 1905 — 1907 წლების რევოლუციისა და განსაკუთრებით რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მდიდარ გამოცდილებას. კონფერენციამ ხელმძღვანელი ბოლშევიკები გაანაწილა რაიონების მიხედვით, მათ თავიანთ რაიონებში აჯანყებისათვის სამხედრო და პოლიტიკური მზადება უნდა ეწარმოებინათ. გურია იმ დროს 12 რაიონად იყო დაყოფილი. ყოველ რაიონს თავისი ხელმძღვანელი შტაბი ჰყავდა. შეიარაღებული აჯანყების მზადებაში ჩაბმული რაზმები დაყოფილი იყო ათეულებად და ასეულებად, რომლებსაც სათავეში ათისთავები და ასისთავები ედგნენ. ეს უკანასკნელები კი დაკავშირებული იყვნენ სოფლის ბოლშევიკურ უჯრედებთან,

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1926, გვ. 12.

საიდანაც ღებულობდნენ საჭირო დირექტივებსა და მითითებებს. რაიონული შტაბის ხელმძღვანელები ურთიერთობაში იყვნენ სამაზრო შტაბთან, ხოლო სამაზრო შტაბს პარტიის სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ. სამაზრო სამხედრო-რევოლუციური შტაბის თავმჯდომარედ პარტიის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ითვლებოდა. ოზურგეთის სამაზრო რევოლუციური შტაბის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. თავართქილაძე, ტ. მგალობლიშვილი, ს. და ბ. ჯიბუტები, ვ. კალანდაძე, ს. სარიშვილი, კ. უჯმაჯურიძე და სხვა. შტაბის ცალკეული სხდომები ჩატარდა სხვადასხვა ადგილას: სოფ. ფიჩხისჯვარში, მთისპირში, ხიდისთავში, ექადიაზე და სხვაგან.[1] პარტიის წევრები და შეიარაღებული რაზმელები გაფრთხილებული იყვნენ, ცნობის მიღებისთანავე იარაღით გამოსულიყვნენ წინასწარ დანიშნულ ადგილას. სამხედრო რაზმებში, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული იყვნენ ყოფილი ჯარისკაცები. რომლებმაც შედარებით უკეთ იცოდნენ იარაღის გამოყენება და სამხედრო წესები. იარაღს იძენდნენ როგორც ინდივიდუალურად, ისე ორგანიზებულად. მაგალითად, ძველი ბოლშევიკი კ. უჯმაჯურიძე თავის მოგონებაში წერს, რომ იარაღი ფოთიდან შემოზიდეს, ხოლო პირადად მან 4000 ცალი კრამიტი მისცა მაუზერში გვარდიელ ვ. თავართქილაძეს.[2]

სამაზრო კონფერენციის ჩატარების ამბავი მენშევიკებს არ გამოჰპარვიათ. მათ დაიწყეს ნადირობა ბოლშევიკებზე. სამაზრო კომიტეტის ბევრი წევრი დაიჭირეს. ხიდისთავის რაიონული კომიტეტის მთელი შემადგენლობა ერთ ღამეს დააპატიმრეს სოფ. ბუკნარში არალეგალურ კრებაზე. საჭირო შეიქმნა სამაზრო პარტიული კონფერენციის ხელახლა მოწვევა და სამაზრო კომიტეტის არჩევა, დანიშნულ დღეს, მძიმე რეპრესიების პირობებში, არალეგალურად შეიკრიბა სამაზრო კონფერენცია, სადაც ქუთაისის გუბკომის დავალებით მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა სევასტი თალაკვაძემ. შემდეგ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე. პარტიული უჯრედები და რაიკომები მოუთმენლად ელოდნენ აჯანყების დღეს.

შეძუშავებული გეგმის მიხედვით, ქ. ოზურგეთის აჯანყების ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა კირილე ჩხარტიშვილს. აჯანყების

---

[1] გაზ. „ლენინის დროშა", 1957 წლის 8 სექტემბერი.

[2] იქვე.

დღეს მის ბინაში და მასთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ გ. სტურუა და თ. თალაკვაძე, სამხედრო-რევოლუციური შტაბი მოთავსებული იქნებოდა ჩოხატაურის რაიონში კონსპირაციულ ბინაზე. გეგმის მიხედვით აჯანყება უნდა დაწყებულიყო ლანჩხუთსა და სუფსაში, როცა საძაზრო ხელისუფლება ამ აჯანყების ჩასაქრობად ძალებს გაგზავნიდა, აჯანყება დაიწყებოდა ჩოხატაურში, შემდეგ კი ჩრდილოეთიდან ქ. ოზურგეთს მიადგებოდა სილაურ-ჯუმათის შეიარაღებული რაზმები, აღმოსავლეთიდან ხიდისთავ-ასკანისა და ნაგომრის, დასავლეთიდან ნატანებისა და გურიანთისა. ამათგან დამკვრელ ძალას წარმოადგენდნენ ჯუმათ-სილაურის რაზმები. ჯუმათ-სილაურის შეიარაღებულ რაზმებზე გაპიროვნებული იყვნენ: ბ. რუსიძე, ს. სარიშვილი, ა. სიორიძე, ს. გოგიჩაიშვილი, ლანჩხუთისაზე:იულო, კონსტანტინე და ბიქტორ ცინცაძეები, გ. კომახიძე, ძმები სარჯველაძეები, სუფსელებზე: კ. გურგენიძე, მოსე და ნესტორ ღლონტები, მ. სირაძე, და სხვა. ნატანებლებზე: ძ. ვაშაყმაძე და მიმაგრებული თალაკვაძე, ასკანელებზე: თალაკვაძე, და ინწკირველი, ხიდისთავის, ნაგომრის, ძიმითის, აკეთის, მამათის რაზმებზე: კ. უჯმაჯურიძე, ნ. ჭეიშვილი, ე. ჩიგოგიძე, ე. კალანდაძე, თ. და ა. სიხარულიძეები და სხვანი.

დაბა ჩოხატაურის აღება დავალებული ჰქონდათ სოფლების: ამაღლების, ჯვარცმის, ბუკისციხე-იანეულის, ერკეთის, ხევისა და ქვაბლის შეიარაღებულ რაზმებს. აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა სამაზრო კომიტეტის წევრს ვლადიმერ ცინცაძეს. ჩოხატაურის რაიონში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: ლ. და ს. რამიშვილები, ვ. და შ. ცინცაძეები, ძმები გოგოლაძეები. ა. და ი. ანთიძეები, ს. და ი. ჩანტლაძეები, მ., ა., ი., თ., მ., ყ. და ს. მამალაძეები, ი., ვლ. და ს. ჯინჭარაძეები, ტ. და ე. მინდაძეები, ნ. კობიძე, ძ., გ. და ბ. ბერიძეები, კ. შაქარაშვილი, ნ. და ს. კალანდაძეები, მ. სიხარულიძე, ე. მდივანი, ვ. როინიშვილი, ფ. და ა. მგალობლიშვილები, ა. შარაშიძე და სხვები. რევოლუციონერი ქალებიდან ხელმძღვანელებად გამოყოფილი იყვნენ: მარო და ოლღა კალახდაძეები, ნატალია მგალობლიშვილი და ქიონია ჯინჭარაძე.

აჯანყების მზადების პერიოდში სხვადასხვა დროს გურიაში ჩადიოდნენ და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკები: თენგიზ ელენტი, თეოფილე ჩიჩუა, სიმონ ელენტი, ვალერიან გოგიბერიძე. აჯანყების წინ დაპატიმრებული იყვნენ აქტიური ხელმძღვანელი ბოლშევიკები: ანდრო და თედორე დოლიძეები,

ვარდენ, თედორე, იაგორ, ელიზბარ კალანდაძეები, ბესარიონ და მიხაკო ძეგრელიძეები, პარმენ და ასალო ცინცაძეები, გრიგოლ და ვაჟა მგალობლიშვილები, ვლადიმერ თავართქილაძე, დავით ფოცხიშვილი და სხვები.[1]

ოზურგეთის მაზრის რაიონული კომიტეტები სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით აქტიურ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ როგორც ბოლშევიკებში, აგრეთვე მშრომელთა ფართო მასებში. ამითაც უნდა აიხსნას პარტიული ორგანიზაციების სწრაფი ზრდა აჯანყებისათვის მზადების პერიოდში. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულზე 250-მდე ბოლშევიკი მუშაობდა. აჯანყების წინა დღეებში ლანჩხუთის რაიკომის პლენუმზე მოისმინეს სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება, პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ და მოუწოდეს უჯრედებსა და ყველა ბოლშევიკს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ აჯანყებისათვის მზადება.[2]

იგონებდა რა აჯანყებისათვის მზადების ამ პერიოდს, ლანჩხუთელი ბოლშევიკი აპ. იმნაიშვილი წერდა: „უკანასკნელი კრება კომპარტიის ლანჩხუთის რაიონის არალეგალურმა კომიტეტმა მოახდინა ნესტორ კვირკველიას სახლში. ამ კრებაზე მოვისმინეთ მოხსენება აჯანყების შესახებ. თუ რომელ დღეს მოხდებოდა აჯანყება, ეს ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული. ყველა ამხანაგი დიდი სიხარულით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, გულისფანცქალით მოელოდნენ აჯანყებას და მენშევიკურ-ბურჟუაზიული მთავრობის დამხობას... ყველამ ერთმანეთს შევფიცეთ: ან სიკვდილი, ან გამარჯვება...“ [3].

აჯანყების შემდეგ, როცა მენშევიკებს საშუალება მიეცათ გასცნობოდხენ ოზურგეთის მაზრის სამხედრო-რევოლუციური შტაბის მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მაზრაში ძალაუფლება მშრომელებს უნდა აეღოთ და საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ, გაზეთი „ერთობა“ წერდა: „აჯანყების მოწყობა ბოლშევიკებს კონფერენციაზე დაუდგენიათ. აჯანყების მოწყობაც ლენინისებურად გადაუწყვეტიათ: გლეხობას ჭირნახული მილაგებული აქვს, ძოცლით არის და, მაშასადამე, დროც მშვენიერია. ბოლშევიკების

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე.“ № 2, 1926, გვ. 12—13.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 303, ფურც. 46.

[3] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1926, გვ. 4.

შთავარი ბანაკი დაბა ჩოხატაურში უნდა ყოფილიყო. თვალის ასახვევად და მთავრობის ძალების დასაქსაქსავად აჯანყება პირველად იფეთქებდა ლანჩხუთსა და სუფსაში, როცა მთავრობის ძალა იქეთ გაეშურებოდა, როცა სამაზრო ქალაქი ოზურგეთი დასუსტდებოდა, მაშინ აჯახყებულები ჩოხატაურს დაიჭერდნენ. ამავე დროს ქ. ოზურგეთს ჩრდილოეთის მხრიდან თავს დაესხმოდნენ სილაურ-ახალსოფლელები, სადაც ბოლშევიკურად განწყობილი მცხოვრებლები კარგა ხანია გაურბიან მთავრობის მოთხოვნილებებს".[1]

ძოყვახილი ფაქტები ჩატარებული მუშაობის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, ისინი საკმაო სიცხადით მიგვითითებენ იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც მაშინ ოზურგეთის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად მიმდინარეობდა.

1918 წლის შემოდგომაზე საქართველოში, მენშევიკური მთავრობის ჯარებისა და გვარდიის დიდი შენაერთების სისხლიანი ლაშქრობის შემდეგ, კვლავ გაჩაღდა ბოლშევიკური ორგანიზაციების (არალეგალურ პირობებში) მუშაობა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის მასების დასარაზმავად. სამეგრელოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული გულისხმიერებით ჩაატარეს მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად. მშრომელი მასები ერთსულოვნად თანაუგრძნობდნენ მას.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში.

1919 წელს ამ მაზრების ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა საგრძნობლად გაძლიერდა. ძველი ბოლშევიკური უჯრედების განმტკიცებასთან ერთად, რიგ სოფლებში ახლად შეიქმნა პარტიული ორგანიზაციები. 1919 წლის აგვისტოში ქუთაისის გუბკომმა სენაკის მაზრის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სამსონ მამულიას დააკისრა.

ვერც კი მოასწრო ს. მამულიამ სენაკში ჩასვლა, რომ სამაზრო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელები ბ. გოგია, მ. ბედია, ო. ოჩიგავა, ა. თურქია და სხვები დააპატიმრეს. სამაზრო კომიტეტის წევრთა დიდი ხაწილის დაპატიმრების გამო საგრძნობლად გაძნელდა სამაზრო კომიტეტის სხვა წევრებთან კავშირის აღდგენა, პარტიულ უჯრედებთან დაკავშირება და სამაზრო პარტიული კონფერენციის ჩატარება.

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 16 ნოემბერი.

სათახადო კოხსპირაციული მუშაობის შედეგად კავშირი აღდგა პირველ რიგში პარტიულ აქტივთან, ხოლო მისი საშუალებით — ყველა პარტიულ უჯრედთან და რევოლუციურად განწყობილ მშრომელ მასებთან.

1919 წლის სექტემბერში ქ. ახალსენაკში მოწვეულ იქნა სენაკის სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც სასტიკი რეპრესიებისა და დევნის გამო ყველა პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. შედარებით ფართოდ იყო წარმოდგენილი ახალი აბაშის, სუჯუნის, ახალი სენაკის, ძველი სენაკის, გეჯეთის, ნოსირის, მარტვილის, სალხინოს, ინჩხურის, ხორშის და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია. გარდა ამისა, კონფერენციას ესწრებოდა პარტიის რამდენიმე აქტიური წევრი, რომლებსაც ჯერაც არ ჰქონდათ კავშირი რომელიმე უჯრედთან, მაგრამ მათ საქმიანობას იცნობდნენ სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელები.

სასტიკი დევნის გამო სამაზრო კონფერენციის სხდომები სულ სხვადასხვა ადგილას ტარდებოდა. როგორც ს. მამულია აღნიშნავს თავის მოგონებაში, პირველი სხდომა ღამით ჩაუტარებიათ სოფ. ახალსოფელში, მეორე — ქ. ახალსენაკში — სასტუმრო „ფრანციაში“, მესამე — მდ. ტეხურის პირას. მეოთხე და უკანასკნელი სხდომა ქ. ახალსენაკის ზევით თეკლათის ყოფილ დედათა მონასტრის გზის ახლოს გაუმართავთ ტყეში. ამ უკანასკნელ სხდომაზე აირჩიეს სამაზრო კომიტეტის შემადგენლობა, შეიმუშავეს სამაზრო კომიტეტის სამუშაო პროგრამა, აგრეთვე მომავალი შეიარაღებული აჯანყების გეგმა. სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ს. მამულია, მდივნად — ფ. ფრანგიშვილი, მოლარედ — მ. მიმინოშვილი.

ახლად არჩეულმა სამაზრო კომიტეტმა ფართო მუშაობა გააჩაღა მშრომელი მასების შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. სამაზრო ცენტრიდან ტერიტორიული სიშორის გამო სოფ. საჭილაოს პარტიული ორგანიზაცია დაკავშირებული იყო პარტიის სამტრედიის რაიკომთან, ბანძისა — ხონთან და ა. შ. თუმცა ზოგიერთი ბოლშევიკი და პარტიული ორგანიზაცია სამაზრო კომიტეტთან კავშირის გარეშე მუშაობდა, მაგრამ მტკიცედ ატარებდა პარტიის სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტების მითითებებს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საქმეში.

ასევე დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ ბოლშევიკები ზუგდიდის მაზრაში. აჯანყების პერიოდში ამ ორი მაზრის პარტიული ორ-

ganიზაციების შეთანხმებული და ერთობლივი მოქმედების უზრუნველსაყოფად 1919 წლის სექტემბრის ბოლოს ქ. ახალსენაკში მოწვეულ იქნა ზუგდიდისა და სენაკის სამაზრო კომიტეტების გაერთიანებული სხდომა. ამ სხდომაზე აირჩიეს აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი — სამეგრელოს სამეული, რომელშიც შედიოდნენ: ს. მამულია (თავმჯდომარე), ა. ქავთარაძე (წევრი), ფ. ფრანგიშვილი (მდივანი). როგორც ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები, ამავე სხდომას ესწრებოდნენ ძმები ჭკუასელები ფოთისა და სენაკ-ზუგდიდის მაზრების ბოლშევიკთა მუშაობის კოორდინირებისათვის აჯანყების დროს.

როგორც მასალებიდან ჩანს, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში შეიარაღებული მზადების ამბავი მენშევიკებსაც გაუგიათ. ამით უნდა აიხსნას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე ქუთაისიდან შიფრიანი დეპეშით აფრთხილებდა ზუგდიდის მაზრის კომისარს: „ჩემს მიერ მიღებული ცნობებით 24 ოქტომბერს ზუგდიდში ან მაზრაში შეიძლება მოხდეს საერთო ბოლშევიკური გაბოსვლა. გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ადგილობრივ გვარდიასთან შეთანხმებით მიიღოთ საჭირო ზომები“.[1]

„არასაკმაო კონსპირაციის შედეგად, კერძოდ, აჯანყების სამაზრო შტაბში შეპარული გამცემის დახმარებით მენშევიკების აგენტებმა აჯანყების წინა დღეებში დააპატიმრეს სენაკისა და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტების შემადგენლობის დიდი ნაწილი“.[2]

ზემოთ მოტანილი მასალები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი მუშაობისა რაც მაშინ გაჩაღებული იყო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში.

თავისი მასშტაბითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა ფოთის ბოლშევიკთა მუშაობა. ამ დროს იქ უკვე არსებობდა პარტიული უჯრედები რკინიგზის სადგურთან, ნავსადგურში, ელექტროსადგურში, შეთევზეთა კავშირში, ქალაქის თვითმმართველობაში, ფოსტა-ტელეგრაფში, მესამე ქართულ პოლკში, სანაპირო რაზმსა და სხვაგან. ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ა. გამბაროვი, მ. გახოკია, ბ. გოგია და სხვები.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1415, ფურც. 295.

[2] დ. ჯიბლაძე, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, იხ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1957, გვ. 212.

1919 წლის 20 აგვისტოს ფოთში ჩატარდა არალეგარული პარტიული კონფერენცია, რომელსაც 45 დელეგატი დაესწრო. არჩეულ იქნა ფოთის საქალაქო პარტიული კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით.

კონფერენციამ მხურვალედ დაუჭირა მხარი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს და გადავიდა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საკითხის განხილვაზე.

კონფერენციამ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაზე უშუალო ხელმძღვანელობისათვის გამოყო „სამეული"; ამის შესაბამისად სამეულები გამოიყო პარტიულ უჯრედებშიც.

მუშაობა გაჩაღდა, ერთი მხრივ, დენიკინისათვის მენშევიკების დახმარების ღონისძიებათა ჩასაშლელად, ხოლო მეორე მხრივ, შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

უდიდესი მუშაობა ტარდებოდა ჯარის ნაწილებში, განსაკუთრებით ბესამე ქართულ პოლკში. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას მხარს უჭერდა ჯარისკაცთა თითქმის მთელი შემადგენლობა. დიდი მუშაობა მიმდინარეობდა მეზღვაურებშიც. ფოთის რევოლუციურმა მეზღვაურებმა მოახერხეს ნავთის გაზიდვა საბჭოთა რუსეთში, რომელიც იმ დროს უცხოელი სახელმწიფოების ინტერვენციისა და შიხაური კონტრრევოლუციის ცეცხლით იყო გარემოცული.

ქ. ფოთში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და გატარებაზე მეთვალყურეობისათვის რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოყო ძველი ბოლშევიკი გ. სტურუა.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტების ხელმძღვანელობით ფოთის ბოლშევიკები წარმატებით ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. იძენდნენ იარაღს, გამოყოფილი ჰყავდათ სამხედრო-ტექნიკური შტაბი, შემუშავებული იყო აჯანყების გეგმა და ადგენდნენ შეიარაღებულ რაზმებს. 1919 წლის 27 მარტს საქართველოს სამხედრო სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა: „სანაპირო დაცვის უფროსს შავი ზღვის სანაპირო რაზმმა აცნობა, რომ ქ. ფოთში ტარდება ბოლშევიკური მიტინგები მუშებისა და ჯარისკაცების მონაწილეობით და აგრეთვე ინგლისელების წასვლის მომენტისათვის მზადდება გამოსვლებიც".[1]

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 82.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყების წინ ბოლშევიკებს ფოთში დიდი გავლენა ჰქონდათ არა მარტო მუშებსა და მოსამსახურეებში, არაძველ მეზღვაურებში, ჯარისკაცებში, ახლომახლო სოფლების გლეხობაშიც.

ფოთის მილიციის უფროსი ნოდია ერთ თავის მოხსენებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა, რომ ფოთში ბევრია ბოლშევიზმის იდეებს მომხრობილი პირი, განსაკუთრებით მესამე ქვეით პოლკში და შავი ზღვის სანაპირო რაზმში. ბოლშევიკური ორგანიზაციის საიდუმლო ხელმძღვანელები არიან ა. გამბაროვი, მ. გახოკია, ბ. გრგია, და მუშა გ. ლომთათიძეო.[1]

1919 წლის 24 აგვისტოს ჯარისკაცებმა, მუშებმა, მეზღვაურებმა და ახლო სოფლებიდან ჩამოსულმა გლეხებმა ქ. ფოთის ქუჩებში მოაწყვეს მახიფესტაცია, რომელშიც 400-მდე კაცი მონაწილეობდა. მანიფესტანტები მოითხოვდნენ დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლებას, აქტიურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ, ბოლშევიკური გაზეთების აღდგენას და სხვ.

ფოთის მილიციის უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა, რომ მუშათა, ჯარისკაცთა, მეზღვაურთა და გლეხთა მანიფესტაციებს ხელმძღვანელობდნენ: გამბაროვი, გახოკია, ბოყოშვილი, სერგია, ჭკუასელი, ლომთათიძე, შამათავა, კილაძე, გაბუნია, უჩანეიშვილი, გვასალია, ფირცხალავა, სიჭინავა, კილაძე, რამიშვილი, ხომერიკი, კიკაბიძე, ნადირაძე, კოპლატაძე და სხვანი.[2]

მახიფესტაციაში მონაწილეობისათვის ფოთის გარნიზონის უფროსმა მესამე ქართულ პოლკში დააპატიმრა ბოლშევიკი ჯარისკაცები: ვ. ძირცხულავა, ი. გახოკია, შ. და მ. გრეკოვები, ა. ბახია, ი. ლემონჯაკა, პ. ჩილაჩავა, ი. იზრაილაშვილი, ა. პერტია და სხვები[3].

აჯანყების მომწყობმა „სამეულმა" და ფოთის ბოლშევიკურმა საქალაქო კომიტეტმა აჯანყების ასეთი გეგმა შეიმუშავა: ნავსადგურის სახელოსნოს მუშებსა და რევოლუციურ მეზღვაურებს, უწინარეს ყოვლისა, ხელში უნდა ჩაეგდოთ ნავსადგურის არსენალი და პორტში მყოფი გემები.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1415, ფურც. 44.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 120—122.

[3] ი ქ ვ ე, ფურც. 135.

ხავსადგურში მყოფი სამხედრო გამანადგურებელი „ჭოროხი“, რომელიც შეიარაღებული იყო ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით, უნდა გასულიყო ზღვაში და იქიდან დაეშინა ცეცხლი მენშევიკების პოზიციებისათვის. ეს ადვილად შესრულდებოდა, რადგან „ჭოროხის“ კაპიტანი მ. ბაკალათია ბოლშევიკი იყო და გემის ეკიპაჟის შემადგენლობაც ბოლშევიკების გავლენას განიცდიდა.

ამავე დროს მცირე სამხედრო გამანადგურებლები „ტარიელი“ და „ამირანი“ უნდა შესულიყვნენ მდინარე რიონში და იქიდან აეტეხათ ტყვიამფრქვევის სროლა. აჯანყების საერთო წარმატების პირობებში ესეც ადვილი გასაკეთებელი იყო, რადგან ამ გამანადგურებლებზე მომუშავე ბოლშევიკები და მათი თანამგრძნობნი პირობას იძლეოდნენ, რომ დავალებას შეასრულებდნენ.

გეგმის თანახმად, სოფ. ნაბადაში მცხოვრებ ფოთელ მუშებსა და ადგილობრივ რევოლუციურ გლეხებს ხელში უნდა ჩაეგდოთ ნაბადას საზღვაო-სანაპირო მძიმე ბატარეა. აჯანყების „სამეულს“ არც ეს საქმე მიაჩნდა საძნელოდ, რადგან ბატარეის უფროსი ოფიცერი ი. ჭკუასელი ბოლშევიკი იყო. გარდა ამისა, ნაბადაში ბოლშევიკებს გლეხთა შეიარაღებული რაზმიც ჰყავდათ.

დიდ იმედებს ამყარებდნენ ფოთში მყოფი მესამე ქართული პოლკის ჯარისკაცებზე, რომელთა შორის ბევრი ბოლშევიკი ან მათი თანამგრძნობი იყო. ისინი მზად იყვნენ ყველა საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ნავსადგურის სახელოსნოების მუშებს, მეზღვაურებსა და ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცებს უნდა დაეკავებინათ მილიციის სამმართველო და გვარდიის შტაბი, მათი არსენალი.

სხვა რაზმებს ევალებოდათ რკინიგზის სადგურის, ფოსტა-ტელეგრაფის, პროფკავშირების საბჭოსა და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საზოგადოებრივი დაწესებულებების დაკავება. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ქალაქში ხმების გავრცელება ბოლშევიკების მიერ ფოთის აღებისა და წითელი არმიის შემოსვლის შესახებ.[1]

ქალაქის პარკის უბანში აჯანყების უზრუნველსაყოფად გამოიყენენ ბოლშევიკები მ. ჩაჩიბაია, ი. ბერძენი, გრ. ქორქია და სხვ. ახალსოფლის უბანში, სადაც გლეხთა ძლიერი რაზმი მოქმედებდა, აჯანყების ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდათ კ. ხოშტარიას, დ. ფაჩულიას, ს. ფრუიძეს, ლ. ჯიჯავაძეს, ფოტინე ჯიჯავაძეს, პ. ოგანეზოვს და სხვებს.

[1] გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1957 წლის 2 აგვისტო.

ძველი ბოლშევიკი თ. ჩაჩიბაია თავის მოგონებაში წერს, რომ მენშევიკების გვარდია და მილიცია ყველა ზომას ხმარობდნენ ფოთის არალეგარული ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ეპვი ჰქონდათ, რომ კრებებს ნაბადაში მართავდნენ, აგენტებიც მიუჩინეს, მაგრამ აიც ერთი კრება არ ჩავარდნილა. ამას აღწევდნენ იმის მეოხებით, რომ მილიციაში მუშაობდა ბოლშევიკების თანამგრძნობი ი. დარახველიძე, რომელიც მილიციის უფროსის განზრახვებს წინასწარ ატყობინებდა ბოლშევიკებს. მილიციის უფროსი ნოდია იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „ნაბადა მთლად წითლების ხელშიაო".[1]

აჯანყებისათვის მზადების პერიოდში ფოთის საქალაქო კომიტეტის ძიერ შედგენილი შეიარაღებული რაზმი ხუთასამდე მუშას, ჯარისკაცს, მეზღვაურს და გლეხს აერთიანებდა.

ასეთია მასალები ქ. ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობისა 1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

შეიარაღებული აჯანყებისათვის უაღრესად სერიოზული მზადება ძიმდინარეობდა სამტრედიის რაიონში 1919 წლის გაზაფხულიდან, როცა კავკასიის სამხარეო კომიტეტი ისევ თბილისში გადმოვიდა, ხოლო ოებდეგ ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტიც შეიქმნა, სამტრედიის რაიონში პარტიული მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ დროს რაიონში ყალიბდება რვა პარტიული უჯრედი, ქალაქის, რკინიგზელთა, კულაშის, გაღმა საშილაოს, დიდი ჯიხაიშის, ჯაგნის და ორიც სამხედრო ნაწილებში.

ზოგი უჯრედი 60—80-მდე წევრს აერთიანებდა. კრებები ყველგან რეგულარულად იმართებოდა. თითოეულ უჯრედს ჰყავდა 100 — 150 კაცისაგან შემდგარი გლეხთა და მუშათა რაზმები, რომელთაც მომზადებული და გამოცდილი ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ.[2]

1919 წლის 20 ივნისს რკინიგზის მუშათა უბანში, რკინიგზის მუშის შექი კვანტალიახის სახლში, შედგა რაიონის არალეგარული პარტიული კონფერენცია, სადაც არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ამავე კონფერენციაზე გადაწყდა

---

[1] გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი", 1957 წლის 16 ოქტომბერი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 54.

დიდი ჯიხაი'ის ქვერაიონის დაარსება, შემუშავდა გეგმა ზაფხულის პერიოდისათვის და სხვა. მაგრამ მენშევიკებმა იმავე ღამეს დააპატიმრეს კომიტეტის წევრები: ი. სტურუა, ე. კვანტალიანი, ს. კიკაჩეიშვილი და სხვები. გადარჩენილი ბოლშევიკები იძულებული შეიქნენ მთლიანად არალეგარულ საქმიანობაზე გადასულიყვნენ. მუშაობა რომ არ შეფერხებულიყო, მეორე კვირას ხელახლა მოიწვიეს რაიონული კონფერენცია ახალი კომიტეტის ასარჩევად და შეცვლილი ვითარების შესაბამისად ახალი გეგმის შესადგენად.

'შესაძჩნევად ძლიერდება მუშაობა სამტრედიის რაიონის სოფლებში. მენშევიკების წინააღმდეგობის მიუხედავად, გლეხები ბოლშევიკებს ირჩევენ სხვადასხვა კომისიაში, სოფლის კომისრებად და მილიციონერებადაც კი. ამის გამო მენშევიკები იძულებული შეიქნენ ბოლშევიკებზე კონტროლისათვის საჭილაოში სპეციალური პოსტი შეექმნათ.[1]

'ენ'შევიკების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, სამტრედიის რაიონის ბოლშევიკური ორგანიზაციები წარმატებით ავრცელებდნენ მასებში კომუნისტურ პროკლამაციებსა და ფურცლებს. 1919 წლის 23 ივლისს ქუთაისის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა, რომ სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშში აღმოაჩიხეს ქუჩებში გაკრული ბოლშევიკური პროკლამაციები, რომლებიც ხალხს არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა[2].

1919 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე სამტრედიის რაიონში ჩატარებული მუ'შაობა მიმართული იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. ამ პერიოდში სამტრედიას რამდენჯერმე ეწვია პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრი გ. სტურუა. მან ხელმძღვანელ პარტიულ აქტივს გააცნო სამხარეო კომიტეტის მითითებები აჯანყების მომზადების შესახებ. სწორედ ამ დროს ქუთაისის გუბკომმა რაიონს დამატებით მიაშაგრა გამოცდილი ბოლშევიკი ს. ვაშაკიძე (დაიღუპა ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლაში 1920 წელს). სასწრაფოდ ყალიბდება რაიონული კომისია, რომელშიც სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ვ. გუ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 67.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 84.

გეშიძე, ს. ვაშაკიძე, ი. ხარაბაძე, დ. სტურუა, ი. ახობაძე და პ. შენგელია. გუბკომის დადგენილებით აჯანყების პერიოდში ხონისა და აბაშის რაიონის ზოგიერთი სოფლის პარტიული ორგანიზაცია სამტრედიის რაიკომს დაექვემდებარა.

რაიონულმა კომისიამ შეამოწმა აჯანყებისათვის მზადების მიმდინარეობა, შეძენილი იარაღის რაოდენობა და ვარგისიანობა, შექმნა ახალი პარტიული უჯრედები და გლეხთა შეიარაღებული რაზმები ტობანიერში, იანეთში, მელაურსა და სხვა სოფლებში.

სამტრედიის პარტიულმა ორგანიზაციამ გაიცნო და საქმიანი კავშირი დაამყარა თერგის ოლქიდან გადმოსულ და არალეგალურად მომუშავე კომუნისტ ემელიანოვთან. ეს ურთიერთობა სამტრედიის პარტიული ორგანიზაციისათვის საჭირო იყო, რადგან ემელიანოვს თავის მხრივ საიდუმლო კავშირი ჰქონდა თერგის ოლქიდან გადმოსულ წითელარმიელებთან, რომლებიც სხვადასხვა ადგილას მოჯამაგირეებად მუშაობდნენ კულაკებთან. ემელიანოვმა მოაწყო წითელარმიელთა თათბირი, სადაც გამოირკვა, რომ აჯანყების წინ შეიძლება 20 შეიარაღებული ამხანაგის გამოყვანა, ხოლო აჯანყების პროცესში 200-300-მდე კაცის შეგროვებაც კი.[1]

1919 წლის 2 აგვისტოს გაიმართა ხონისა და სამტრედიის ბოლშევიკური კომიტეტების გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ყველა წარმომადგენელი დაესწრო.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა მშრომელი მასების მზადყოფნა აჯანყებისათვის, უჯრედებს დაევალა კიდევ უფრო გაეშალათ მუშაობა იარაღის შესაძენად.

უჯრედები აფრთხილებდნენ ბოლშევიკებს, რომ იმ დღეებში მორიდებოდნენ ლხინსა და დროსტარებას, რომ არ წამოსცდენოდათ აჯანყებასთან დაკავშირებული რაიმე საიდუმლოება. ბოლშევიკები თვითონ იძენდნენ იარაღს. ჩუმად ყიდულობდნენ გადაგვარებული გვარდიელების, მილიციელების ან დეზერტირი ჯარისკაცებისაგან.

„იმოქმედებს თუ არა დენიკინის ფრონტზე ჩვენი გამოსვლა?“ „შევძლებთ თუ არა საჩქაროდ ჯარის შეგროვებას და დენიკინის წინააღმდეგ გალაშქრებას?“ — ამ კითხვებს აყენებდნენ შეიარაღებული რაზმები და პარტიული უჯრედები აჯანყების წინა დღეებში.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 88.

ზოგიერთ უჯრედს უკვე მზად ჰყავდა კანდიდატები ადგილობრივი ხელისუფლების შესადგენად, დასახული ჰქონდათ მიწის რეფორმის გეგმები.

1919 წლის 16 ოქტომბერს მოწვეულ იქნა სამტრედიისა და ხონის რაიკომების გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც განიხილა და საბოლოოდ დააზუსტა აჯანყების სამხედრო-ტექნიკური გეგმა და აირჩია აჯახყების სამხედრო-ტექნიკური შტაბი, გამოყო ხელმძღვანელები სასოფლო-საძეურნეო თემების მიხედვით. პლენუმზე შიღებულ იქნა აჯახყების ასეთი გეგმა: ჯერ განაიარაღებდნენ სოფლად მყოფ მენშევიკებსა და გვარდიელებს, ხოლო შემდეგ ყველა რაზმი თავს მოიყრიდა კულაშში, საიდანაც დაიძრებოდნენ რაიონის ცენტრის ასაღებად. მხოლოდ საჭილაოს რაზმს არ ევალებოდა კულაშში ჩასვლა. ამ რაზმს, რომელიც 80-მდე ბებრძოლი ითვლებოდა, უნდა დაეკავებინა ადგილობრივი კომისარიატი, გვარდიის შტაბი, რკინიგზის ხიდი მდ. ცხენისწყალზე და დაეცადათ სამტრედიის აღებამდე.

ასეთია აჯანყებისათვის მზადების ზოგიერთი ფაქტი სამტრედიის რაიონში.

როგორც ყველა მაზრასა და რაიონში, 1919 წლის ზაფხულში შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება გაჩაღდა ტყიბულის რაიონშიც. აქ ჩატარდა პარტიის რაიონული კონფერენცია, აირჩიეს რაიკომის ახალი შემადგენლობა, რომელმაც შეიმუშავა მშრომელი მასების შეიარაღებული აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის გეგმა. იქმნებოდა ახალი პარტიული უჯრედები, რომლებშიც ერთიანდებოდნენ რევოლუციურად გახწყობილი გლეხები, ყალიბდებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები. აგვისტოში ახალი უჯრედები შეიქმნა სოფ. ძველ მაღაროებში, დაბა ტყიბულში, სოფ. ხრესილში და სხვაგან. ორგანიზაციების ბდივეხებად გამოიყო: ახალ მაღაროებში — დ. ბულაგაშვილი, ძველ მაღაროებში — ს. ქათამაძე, ტყიბულში — ნ. ბაგდანაშვილი, სოფ. ხრესილში — ტ. ობოლაძე, სოფ. ძუნურში — გ. გაბრიაძე, სოფ. ძიროვანში — პ. სოფრომაძე და სხვები.

გრძნობდნენ რა ბოლშევიკების მუშაობის გააქტიურებას; მენშევიკები სასწრაფო კონტრზომებს მიმართავდნენ მათ წინააღმდეგ. 1919 წლის ზაფხულის ბოლოს ტყიბულის რაიონში 44 კომუნისტი დააპატიბრეს, ხოლო იმავე წლის 3 ოქტომბერს — პარტიის არალეგარული რაიკომის 7 წევრი.[1] ტყიბულის პარტიულ ორგანიზაციაში აქტიური

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", № 1, 1931, გვ. 142—143.

მუშაობის გამო მენშევიკებმა დაიჭირეს პარტიული უჯრედების მდივნები: კ. ეზიაშვილი, ი. ვარდანიძე, დ. ბულაგაშვილი, პ. სოფრომაძე, გ. ქარქაშაშვილი, ა. ქარქაშაშვილი, ს. ქათამაძე, ტ. ობოლაძე და სხვები [1].

მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, ბოლშევიკური ორგანიზაციები განაგრძობდნენ მუშაობას და ბრძოლას. როგორც მოტანილი ფაქტებიდან ჩანს, 1919 წელს ტყიბულში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მუშაობა გაუძლიერებიათ, მაგრამ აჯანყების კონკრეტული გეგმა მასალებში არ მოიპოვება.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა შორის ჭიათურისა და რაჭა-ლეჩხუმის რაიონების ბოლშევიკები.

1919 წელს დიდი რევოლუციური მუშაობა მიმდინარეობდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩხერის რაიონში. 1918 წელს გლეხთა რევოლუციური გამოსვლისათვის მენშევიკებმა სასტიკად დასაჯეს საჩხერის რაიონის ბოლშევიკები და მათი თანამოაზრე მშრომელები, მაგრამ აჯანყებაში დამარცხების მიუხედავად, მათ დიდი რევოლუციური გამოცდილება მიიღეს და კვლავ ახალი ენთუზიაზმით ემზადებოდნენ აჯანყებისათვის.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჭიათურის მარგანეცის მაღაროების ბევრი მუშა საჩხერის რაიონიდან იყო. მათ კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი სოფელთან. როგორც წინა წლის აჯანყებისას, ისევე ახლაც ჭიათურაში მომუშავე საჩხერელები აქტიურად იყვნენ დაკავშირებული გლეხთა ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან და მათთან ერთად ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

როგორც მენშევიკური პრესა აღნიშნავდა, საჩხერელი ბოლშევიკები დაკავშირებული ყოფილან გორის მაზრის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთანაც. მაგალითად, სოფელ ჩონჩოთში სისტემატურად იმართებოდა კრებები გორის მაზრის ბოლშევიკების მონაწილეობით [2].

როგორც მენშევიკური გაზეთი „ერთობა" აღნიშნავდა, საჩხერის რაიონში 1919 წელს შეიარაღებული აჯანყებისათვის მშრომელი მოსახლეობის მზადება იმდენად შესამჩნევი ყოფილა, რომ 1918 წლის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების გამოცდილებით შეშინებული ადგილო-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1414, ფურც. 283.

[2] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 30 დეკემბერი.

ბრივი თავადაზნაურობა, კულაკები და სხვა შეძლებული ფენები ქუთაისსა და თბილისში გახიზნულან. იგივე გაზეთი წერს, რომ ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რათა შარშანდელი ამბები განმეორებულიყო (იგულისხმება 1918 წლის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება საჩხერეში). იმავე ცნობაში ნათქვამია, რომ საჩხერის რაიონში აჯანყების ძეთაურები ორ ნაწილად იყოფოდნენ. ერთნი იდეურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ და ორგანიზებულად ამზადებდნენ აჯანყებას, ხოლო მეორენი შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ [1].

თვით მენშევიკებიც ვერ უარყოფდნენ ბოლშევიკების მიერ ჩატარებულ დიდ პოლიტიკურ მუშაობას და იმ ფაქტს, რომ საჩხერის რაიონის მოსახლეობა ბოლშევიზმის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

1919 წლის 23 ივლისს მენშევიკების საგანგებო რაზმის უფროსი თავისი პარტიის საოლქო კომიტეტს საყვედურობს, რომ მენშევიკები სოფლად უმოქმედობას იჩენენ, რაც კიდევ უფრო უადვილებს მუშაობას ბოლშევიკებსო. იგი უსაყვედურებს თავის პარტიას, რომ 1919 წლის თებერვალში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ მენშევიკური ორგანიზაციები საჩხერეში სრულ უმოქმედობას იჩენენ, ხოლო ბოლშევიკები დიდ პოლიტიკურ აგიტაციას ეწევიან. ავტორი დაასკვნის, რომ „პერსპექტივები მეტად ცუდიაო" [2].

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მიმოწერიდან ირკვევა, რომ საჩხერის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან კავშირი ჰქონია და მას დახმარებას უწევდა ცნობილი ბოლშევიკი შ. ლეჟავა. როგორც ერთი ცნობიდან ჩანს, შ. ლეჟავასთან დაკავშირებული ყოფილან აგრეთვე ბოლშევიკები — ძმები კალანდაძეები, რომელთა საშუალებითაც საჩხერეში 200 შაშხანა გაიგზავნა [3].

აჯანყებისათვის მზადების დღეებში საჩხერეში ბევრი ბოლშევიკი დაუპატიჟრებიათ, მათ შორის გ. გუჯეჯიანიც, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობის მეთაური. ასეთია საჩხერის რაიონში აჯანყებისათვის მზადების ზოგიერთი ფაქტი 1919 წელს, ხოლო კონკრეტულად რა ზომები და რა გეგმები იყო დასახული შეიარაღებული აჯანყების გახხორციელებისათვის, საამისო მასალებს ვერ მივაკვლიეთ.

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 30 დეკემბერი.

[2] იქვე.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 31!, ფურც. 74—75.

„მკაცრი საოკუპაციო რეჟიმის მიუხედავად ბოლშევიკების გავლენა აჭარის მშრომელ მასებში არა თუ არ შესუსტებულა, არამედ კიდევაც გაძლიერდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო პარტიული ორგანიზაცია ბათუმში“ [1]. იგი ტონის მიმცემი იყო ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის მთელ აჭარაში. აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში სხვადასხვა დროს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობას ეწეოდნენ: ვ. ბახტაძე, გ. რამიშვილი, ი. პევცოვი, ს. გუბელი, დ. მახარაძე და სხვები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მდიდარი და მრავალფეროვანი მასალები გაგვაჩნია ბათუმის ოლქში ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებისა და განმტკიცების შესახებ, მაგრამ კერძოდ 1919 წლის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების თაობაზე მონაცემები თითქმის არ მოიპოვება. ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ინგლისის საოკუპაციო ჯარებისა და, საერთოდ, კონტრრევოლუციური ძალების კონცენტრაციის პირობებში, აჭარაში შეუძლებელი გახდა შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის სერიოზულად ემზადებოდნენ აფხაზეთის მშრომელები. მარტში სოხუმში არალეგარულად მოწვეულ იქნა პარტიული კონფერენცია, რომელმაც აირჩია რკპ/ბ/ სოხუმის ახალი საოლქო კომიტეტი ა. ბელიაევის, ს. კუხალეიშვილის, ალ. მგელაძის და სხვათა შემადგენლობით.

1919 წლის აგვისტოში ხელახლა იქნა მოწვეული სოხუმის ოლქის ბოლშევიკების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე აირჩიეს რკპ/ბ/ სოხუმის საოლქო კომიტეტი, რომელსაც შემოკლებით „სოკს“ ეძახდნენ. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. აკირტავა, ს. კუხალეიშვილი, ი. ვაგრიანოვი, ნ. სვანიძე და სხვ. „ამ კომიტეტმა მიზნად დაისახა, — ხათქვამია მენშევიკების შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ ცნობაში, — არალეგარული მუშაობით საქართველოში არსებული დემოკრატიული წესწყობილების დამხობა. დასახული მიზნის განსახორციელებლად მთელ ოლქში მოაწყვეს კომუნისტური ორგანიზაციები: ქალაქ სოხუმის კომიტეტი, გაგრის სამაზრო რევოლუციური კომიტეტი და სხვა ბევრი წვრილი ორგანიზაციები. გაგრის ორგანიზაციას დავალებული ჰქონდა გაგრის ფრონტზე მდგომი ჩვენი რესპუბლიკის ჯარების დაშლა.

უმთავრესი მოქმედი ორგანიზაციები იყო: 1) ქ. სოხუმში „სოკი“.

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 442.

რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა დანარჩენ ორგანიზაციებს, იძენდა ასაფეთქებელ მასალას, ეწინააღმდეგებოდა მთავრობის ძიერ გამოცხადებულ მობილიზაციას და ფულად დახმარებას უწევდა ხელქვეით ორგანიზაციებს. 2) გაგრაში — გაგრის სამაზრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც საჭირო მასალებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, პროპაგანდითა და აგიტაციით ხრწნიდა საქართველოს ჯარისკაცებსა და არღვევდა ჩვენს ფრონტს".[1]

საყურადღებო მასალებია აგრეთვე იმავე არქივის სხვა დოკუმენტებშიც. როგორც დაპატიმრებული ბოლშევიკის — ა. აგირბას „აჩხრეკის დოკუმენტებიდან ჩანს, სოხუმის საოლქო კომიტეტს უკვე შედგენილი ჰქონია შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების გეგმა, რომელიც ყუბანისა და თერგის ოლქებში მოქმედ ბოლშევიკურ რაზმებთან კავშირსა და ურთიერთდახმარებასაც ითვალისწინებდა. იმავე აგირბას ჩხრეკის მასალებში აღმოჩნდა აჯანყებისათვის შექმნილი ბოლშევიკური რაზმების სიები. პირველ სიაში აღნიშნულია, რომ სოფ. ლიხნაში 70 მებრძოლია, მათ შორის 40 შეიარაღებულია, სოფ. დურპშანში — 30, მათგან 20 უთოფოა, ახტოზახში — 50 მებრძოლიდან ოცი უთოფოა, აცახში — 30 რაზმელიდან 15, აბგარვახში—70-დან 40.

მებრძოლთა მეორე სიაში ჩამოწერილია ჯირხვანის საზოგადოების 21 მებრძოლი, მათ შორის 20 თოფიანია. მესამე სიაში ჩამოთვლილია კალდახვარის კომიტეტის წევრთა გვარები, ჩაგუ ახაშარვა, მახტი ბენია, მანუვა კონჯარია და აგრეთვე 20 სხვა მებრძოლი. მეოთხე სიას სათაურად აქვს: „ოთხარის მებრძოლთა გვარები" და ჩამოწერილია 49 რაზმელის გვარი. მეხუთე სიაში 93 გვარია ჩამოთვლილი. მეექვსეში, რომელსაც სათაურად აქვს „ბალდახვარის კომიტეტი", მოცემულია 15 გვარი (გარდა კომიტეტის წევრებისა). ამავე სიაში აღნუსხულია შემადგენლობა სასოფლო კომიტეტებისა: გუგუდზირხვინის, ოთხარის, ჯვარხინის, კოლდოხვარის, ბირშიშის და ზვანდრიშის (3—3 წევრი თითო კომიტეტში), მეშვიდე სია სათაურით „ბალუშახის კომიტეტი" შეიცავს 28 რაზმელის გვარს. მერვეს აწერია „კალდახვარის დამატება" და ჩამოთვლილია 20 მებრძოლის გვარი. მეცხრე სიაში (ანუ „დამატება ჯი-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 507, ფურც. 3—5.

რხვასი") 22 რაზმელის გვარია ჩაწერილი. მეათე სიაში, რომელსაც „გუ-გუდზირხინის დამატება" ჰქვია, 41 რაზმელის გვარია.

სიებში ზოგიერთი გვარის პირდაპირ დასმულია ციფრი — 1, რაც ნიშნავს შეიარაღებულს. ამგვარად ეს სიები მოიცავს 8 საზოგადოების კომიტეტსა და 14 მებრძოლ რაზმს. მებრძოლთა საერთო რიცხვი აღწევს 560 კაცს -- გარდა კომიტეტების წევრებისა. მებრძოლი ჯგუფები ისეა განაწილებული, რომ ისინი რკალივით ეკვრიან მთელს გუდაუთის მაზრას. ბოლშევიკების მიერ შედგენილ რუქაზე აღნიშნულია ამ ჯგუფების ადგილსამყოფელი და რესპუბლიკის ჯარების მიერ დაკავებული ხაზი [1].

როგორც ვხედავთ, მუშაობა და მზადება უაღრესად სერიოზული ყოფილა არა მარტო სოხუმში, არამედ მაზრებში, რაიონებსა და სოფლებშიც. მაგრამ ბოლშევიკების მუშაობა მენშევიკებს არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. შინაგან საქმეთა სამინისტრო სოხუმის ოლქის კომისარიატის თავმჯდომარისა და საქართველოს მთავრობის რწმუნებულის სახელზე შეიარაღებული აჯანყების წინა დღეებში ასეთი შინაარსის დეპეშას გზავნის: „სამინისტროში მიღებული ცნობებით სოხუმში და მთელ ოლქში ერთ-ერთ მახლობელ კვირას უნდა მოხდეს მუშათა ორგანიზაციების გამოსვლა მთავრობისათვის პროტესტის გამოცხადების მიზნით. მინისტრის ბრძანებით გთხოვთ მიიღოთ ექსტრიკესი ზომები ამ გამოსვლის ასალაგმავად და შედეგი გვაცნობეთო".[2]

როგორც ჩანს, გამოსვლების ხასიათის შესახებ კარგად ვერ ყოფილა იხფორმირებული შინაგან საქმეთა სამინისტრო. უბრალო საპროტესტო გამოსვლები კი არა, შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

აჯანყებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე კოდორის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სხდომის ოქმი, რომლის დღის წესრიგში ასეთი საკითხები იდგა: „1) კოდორის მაზრაში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოსვლების გეგმა, 2) მაზრის რევკომის წევრის მივლინება სუხუმის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისათვის მოსახსენებლად. 3) მივლინება სამურზაყანოში ადგი-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 507, ფურც. 3 — 5.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 132.

ლობრივ სამხედრო რევოლუციურ კომიტეტთან კავშირის დასამყარებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად“ [1].

გარდა ამისა, კოდორის მაზრის არალეგარული რევოლუციური კომიტეტი აჯანყების წინ ახდენდა მოწინააღმდეგის ძალების აღრიცხვას თავის მაზრაში, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ ოჩამჩირეში მენშევიკების სახალხო გვარდია შედგებოდა 42 კაცისაგან, სამაზრო მილიცია — 60, ქალაქის მილიცია — 10, მესაზღვრეები — 30 კაცისაგან, სოფლებში გვარდიის რეზერვად ითვლებოდა 150 კაცი. ამას გარდა, გუდაუთსა და გაგრაში იმყოფებოდა 30 მესაზღვრე. სულ მთავრობის შეიარაღებული ძალები 448 კაცს შეადგენდა, ხოლო კოდორის რევკომის გახკარგულებაში მყოფი რაზმები 88 მებრძოლს ითვლიდა. მაგრამ თუკი იარაღს იშოვნიდნენ, რაზმელთა რიცხვი შეიძლებოდა 200-მდე გაზრდილიყო. მაზრაში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად კოდორის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დაადგინა:

„1) რაც არ უნდა მოხდეს, გადიდდეს შეიარაღებულ რაზმელთა რიცხვი 200 კაცამდე.

2) გამოსვლები უნდა დაიწყოს ქ. ოჩამჩირეში აუცილებლად ღამის 12 საათიდან და მეორე დღეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მაზრაში აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას.

3) აუცილებელია სოხუმის საოლქო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სანქციით ცოცხალი ძალებით მხარი დაგვიჭიროს სოხუმის რევკომმა.

4) მიღებული იქნეს ყველა ზომა იარაღის შესაძენად.

განიხილა რა ზემოთ აღნიშნული, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი საჭიროდ თვლის გაძლიერდეს მზადება და ამიტომ ეთხოვოს საოლქო სამხედრო რევოლუციურ კომიტეტს გამოგვიყოს ხარჯებისათვის...“[2] (თანხის რაოდენობა წაშლილია — ვ. ჯ.).

როცა კოდორის რევკომმა თავის სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების საკითხი განიხილა, საჭიროდ მიიჩნია ეცნობებინა სოხუმის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისათვის, რომ კოდორის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს შეუძლია იმედი ჰქონდეს საერთო წარმატებისა მხოლოდ გაგრის ფრონტიდან წითელი არმიის მხარდაჭერის შემთხვევაში.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 31, ფურც. 132.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 309, ფ. 4—5.

აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებული ყველა გადაუდებელი საკითხის სოხუმის საოლქო კომიტეტთან და საოლქო რევკომთან შესათანხმებლად კოდორის სამხედრო რევოლუციური საბჭო სოხუმში მოხსენებისათვის მივლინებით გზავნის რევკომის წევრს სულაბერიძეს. შეზობელ სამურზაყანოს მაზრასთან კავშირის დასამყარებლად და საერთო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად იქ იგზავნება რევკომის წევრი კარევინი.[1]

ზემოთ მოტანილი დოკუმენტები და მასალები, რასაკვირველია, მთლიანად ვერ ამოწურავს შეიარაღებული აჯანყებისათვის აფხაზეთის მშრომელთა მზადებას, მაგრამ ისინი გარკვევით მიგვითითებენ იმ დიდ მუშაობაზე, რაც გაჩაღებული იყო მაშინ აფხაზეთში ამ მიმართულებით.

დაახლოებით ასეთივე დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა 1919 წელს შეიარაღებული აჯანყებისათვის საქართველოს სხვა მაზრებში, რაიონებსა და სოფლებში, მაგრამ აქ ჩამოთვლილი ზოგიერთი მაზრის, რაიონისა და სოფლის მასალების მიხედვითაც შესაძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ აჯანყებისათვის მზადების შესახებ.

ასეთი იყო მდგომარეობა საქართველოში 1919 წლის ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში.

1919 წლის 13 აგვისტოს მოიწვიეს თბილისის, ხოლო სექტემბერში, ქუთაისის საგუბერნიო კონფერენციები, რომლებმაც განიხილეს შეიარაღებული აჯანყების საკითხი. 1919 წლის 9 სექტემბერს შედგა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შეიარაღებული აჯანყება დაწყებულიყო ნოემბერში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე წლისთავის დღესასწაულის დღეებში.

შეიარაღებული აჯანყება საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გარდუვალად ხელს შეუშლიდა ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალისტების გეგმებს, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. იგი გმირ წითელ არმიასაც დაეხმარებოდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ მომენტში.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებამ შეიარა-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 308, ფურც. 4—5.

ღებული აჯანყების შესახებ ახალი აღმავლობა გამოიწვია საქართველოს მშრომელებში. აჯანყება უნდა დაწყებულიყო სამხედრო-რევოლუციური შტაბის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში და იმავე დროს მოსდებოდა მთელ საქართველოს. სკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავისი რწმუნებულები გაგზავნა ყველა მაზრაში.

აჯახყების წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოებას, რომ დენიკინის მთელი ძალები და ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვის აღებისაკენ, ამდენად მას ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა აჯანყების ჩასაქრობად დახმარება გაეწია მენშევიკური მთავრობისათვის.

აძავე დროს 1919 წლის შემოდგომაზე ინგლისის საოკუპაციო ჯარების ძირითადი ნაწილი უკვე გაყვანილი იყო ამიერკავკასიიდან. ინგლისის ჯარები დარჩენილი იყო მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე და მათ ეფექტური დახმარების გაწევა არ შეეძლოთ მენშევიკებისათვის. ეს ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნიდა აჯანყების გამარჯვებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, აჯანყების უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის რკპ/ბ/ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შექმნა საქართველოს სამხედრო-რევოლუციური ცენტრი (შტაბი). მის მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა აჯანყების მოწყობის ყველა აუცილებელ პირობას. სათანადო შტაბები შექმნილი იყო ყველა მაზრასა თუ რაიონში და ისინი ცენტრს ემორჩილებოდნენ. თვით მენშევიკების რეაქციული მთავრობაც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ აჯანყება მართლაც დიდი მონდომებითა და საქმის ცოდნით იყო მომზადებული.

როცა აჯანყების დამარცხების შემდეგ მენშევიკებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ დოკუმენტებს აჯანყების მომზადების მიმდინარეობაზე, ისინი განცვიფრებული დარჩნენ ჩატარებული გრანდიოზული მუშაობით. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „როცა კომუნისტები დარწმუნდნენ, რომ ხალხი მზადაა გაჰყვეს მათ, რომ მათი ორგანიზაციული მზადება დამთავრებულია, რომ ყველაფერი რიგზეა, დანიშნეს დღე აჯანყებისა და გაანაწილეს როგორც ხელმძღვანელები, ისე მათი მოვალეობანი. ეს გეგმა მართლაც რომ იდეალურად იყო შედგენილი“ [1].

უნდა ითქვას, რომ აჯანყების მოწყობისა და გატარების გეგმები დიდი წინდახედულებით იყო შემუშავებული როგორც თბილისში, ისე

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 6 დეკემბერი.

რაიონებში. ამ მხრივ, რასაკვირველია, გამოირჩეოდა აჯანყებისათვის მზადება თბილისში.

აჯანყების გეგმა თბილისში ითვალისწინებდა არა მარტო მთავარ და აუცილებელ პირობებს, არამედ ყველა წვრილმანსაც. გეგმის თანახმად, მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებული ძალები დაყოფილი იყო რაზმებად, რომლებსაც ჰყავდათ როგორც საერთო ხელმძღვანელი, ისე ქვედანაყოფების მეთაურები. შედგა ყოველი რაზმის სამარშრუტო მოძრაობის გეგმები. წინასწარ შესწავლილი და გაანგარიშებული იყო მტრის ძალები და შეიარაღება. გათვალისწინებული იყო სია და მისამართები ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა (მთავრობის სასახლისა, სამინისტროებისა, გვარდიის მთავარი და რაიონული შტაბებისა, მილიციის ცენტრალური და რაიონული სამმართველოებისა, სტრატეგიული ქუჩებისა, რედაქციებისა და სხვა). აღნუსხული ჰქონდათ აგრეთვე მისამართები ხელმძღვანელ პოსტებზე მყოფი მენშევიკებისა. ბოლშევიკური რაზმები იყოფოდა იმის მიხედვით, თუ რომელ ობიექტს შენშევიკების რა ძალები იცავდნენ. სამინისტროებიდან ყველაზე მეტი ყურადღება გეგმის თანახმად შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროებს ექცეოდა, შემდეგ გვარდიის შტაბსა და ჯავშნიან მატარებელს. ამ უკანასკნელის შესახებ გეგმა ითვალისწინებდა თითქმის ყველა დეტალს — თუ სად დგას მატარებელი, რამდენი კაცისაგან შედგება მისი რაზმი, რამდენი გუშაგი ჰყავს, რა შეიარაღება აქვს და სხვ. ასევე გათვალისწინებული იყო ჯავშნიანი ავტომობილების ხელში ჩაგდება და მათი გამოყენება.

თბილისის გარნიზონის სამხედრო საბჭოსა და აჯანყების რესპუბლიკური შტაბის გეგმის თანახმად, თბილისში აჯანყება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო ქალაქის ყველა რაიონსა და უბანში. რკინიგზის სადგური უნდა დაეკავებინა 200 შეიარაღებულ მებრძოლს, მთავრობის სასახლე — 150, რადიოსადგური — 140, ფოსტა-ტელეგრაფი — 100, გვარდიის შტაბი — 300, მილიციის კომისარიატები — 200, გაზეთ „ერთობის“ რედაქცია — 30 კაცს, „სახალხო საქმის“, „საქართველოს“ და „სლოვოს“ რედაქციები — ათ-ათ მებრძოლს და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჯანყება დაიწყებოდა თბილისში და ერთდროულად მოედებოდა მთელ საქართველოს. მაგრამ ასე გულდასმით მომზადებული შეიარაღებული აჯანყება საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

აჯანყების დაწყებამდე ორი დღით ადრე, 22 ოქტომბერს, თბილის-

ში დაინიშნა სამხედრო-რევოლუციური შტაბის უკანასკნელი თათბირი, სადაც საბოლოოდ დაზუსტებული დირექტივების მისაღებად მოწვეული იყვნენ თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილის წარმომადგენლები (სულ 22 კაცი), მაგრამ სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი, ვინმე ფიჩხაია, მოუსყიდავს მენშევიკების შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ინგლისელების დაზვერვას. მან გასცა მზადების მთელი საიდუმლოება და თათბირის ყველა მონაწილე დაპატიმრებულ იქნა თვით ფიჩხაიასთან ერთად.[1] როგორც ფ. მახარაძე წერს, „აღმოჩნდა ერთი იუდა — გამცემი, პროვოკატორი, რომელმაც მთელი ეს კრება იქვე კედიას განსაკუთრებულ რაზმს დააჭერინა“ [2].

აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო-რევოლუციური შტაბისა და თბილისის საგარნიზონო საბჭოს დაპატიმრების გამო, ცხადია, აჯანყების ბედიც უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მხედველობაში მიიღო ეს გარეგნება და გადაწყვიტა აჯანყების გადადება. ამ ამბის შესატყობინებლად საიდუმლო წარმომადგენლები დაგზავნა ყველა მაზრაში. შიკრიკები დაიგზავნა პირველ რიგში იმ მაზრებსა და რაიონებში, სადაც ყველაზე დიდი მასშტაბით იყო ჩატარებული აჯანყებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. სამწუხაროდ, დარჩენილი დროის სიმცირის გამო არ მოხერხდა ყველა მაზრისა და რაიონისათვის ამ გადაწყვეტილების თავის დროზე შეტყობინება. ამიტომაც იმ ადგილებში, სადაც სათანადო ცნობამ ვერ მიუსწრო, აჯანყება მაინც 24 ოქტომბერს დაიწყო.

აჯანყების ცენტრის დაპატიმრებისთანავე მენშევიკურმა მთავრობამ თავისი ადგილობრივი ორგანოების გასაფრთხილებლად სასწრაფო შიფრიანი დეპეშები გაუგზავნა ფოთის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ონის, ცაგერის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, ახალციხის, ახალქალაქის მილიციის უფროსებს, ქუთაისის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს, ასლი სამაზრო კომისრებს და საქალაქო, მი-

---

[1] საზოგადოების თვალის ასახვევად დაპატიმრებული იყო გამცემი ფიჩხაიაც, მაგრამ იგი მალე გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსვლისას პატიმარმა კომუნისტებმა გაძცემს ჯერ კიდევ გარეთ მყოფი ხელმძღვანელი ბოლშევიკების რამდენიმე მისამართი მისცეს და სხვადასხვა დავალებებიც გამოატანეს, მაგრამ დავალებათა შესრულების ნაცვლად იმ მისამართებზე მცხოვრები ბოლშევიკები დაპატიმრებულ იქნენ (ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 1, 1924, გვ. 287).

[2] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921, 1927, გვ. 182.

ლიციის უფროსებს: „სამინისტროში მიღებული ცნობებით ხვალ დილით უნდა დაიწყოს შეიარაღებული ბოლშევიკური აჯანყება, რასაც მთავრობის დავალებით გაცნობებთ სათანადო ზომების მისაღებად“.[1]

ამით უნდა აიხსნას, რომ მენშევიკების ადგილობრივმა ორგანოებმა ბოასწრეს აჯანყების სამაზრო და რაიონული ცენტრების ხელმძღვანელობისა და აქტიურ მებრძოლთა დაპატიმრება.

აჯახყების დაწყების წინა დღით, 1919 წლის 23 ოქტომბრის საღამოს 8 საათზე, შედგა ფოთის ბოლშევიკების საიდუმლო კრება, სადაც საბოლოოდ გადაწყდა 24 ოქტომბერს ადრე დილით გამოსვლა ძალაუფლების ხელში ასაღებად. მაგრამ ამ დროს უკვე მობილიზებული იყო მენშევიკების განკარგულებაში მყოფი ყველა ძალა.

როგორც გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა, აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკებმა „გამოიყვანეს ფოთის სახალხო გვარდია, სენაკის გვარდიელთა რაზმი, შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარისკაცები პოლკოვნიკ შველიძის მეთაურობით, ქუთაისის პირველი პოლკის ასეული და ვ. გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი“ [2].

გარდა ამისა, მენშევიკებმა სასწრაფო ზომები მიიღეს ბოლშევიკურად განწყობილი მესამე პოლკის ფოთიდან გაყვანისათვის. იგი სრულიად მოულოდნელად მანგლისში გადაიყვანეს. დაპატიმრებულ იქნენ გემ „ჭოროხსა“ და სხვა სამხედრო ხომალდებზე მყოფი ბოლშევიკები, მათ შორის სამხედრო გემის კაპიტანი შ. მაკალათია, ო. ცანავა და სხვ. იმავე ღამეს ქალაქში დააპატიმრეს ყველა აქტიური ბოლშევიკი და მათი თანამგრძნობნი, სულ ას კაცზე მეტი.

ფოთში აჯანყების ჩაშლას ხელი შეუწყო პირველ რიგში იმ გარეშოებამ, რომ მენშევიკების დაზვერვამ შეძლო მოესყიდა პარტიაში შეპარული და აჯანყების საქმესთან დაკავშირებული ერთი მეზღვაური ვინმე მარჩენკო, რომლის საშუალებითაც მენშევიკებმა გაიგეს აჯანყების მთელი გეგმა.

ასეთი მკაცრი წინასწარი ზომების შედეგად, რასაკვირველია, ფოთში აჯანყებას ადგილი არ ჰქონია.

მენშევიკების მიერ მიღებული ზომებისა და ხელმძღვანელი ბოლშევიკების ერთი ნაწილის წინასწარი დაპატიმრების მიუხედავად, სამტრედიის რაიონში შეიარაღებული აჯანყება მაინც დანიშნულ დროს

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 493.

[2] გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 25 ოქტომბერი.

დაიწყო. ბოლშევიკურმა რაზმებმა, რომელიც სამასამდე შეიარაღებული გლეხი შედიოდა, დაიკავეს დაბა კულაში, სოფლები,: გუბი, საჭილაო, ძარანი, ღანირ-ჭაგანი და ზოგიერთი სხვა სოფელი, იარაღი აჰყარეს მენშევიკურ ადმინისტრაციას და ამ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

საყურადღებოა მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა ამ აჯანყებაში. როგორც აჯანყების რაიონული შტაბის ერთ-ერთი წევრი — ვ. გეგეშიძე წერდა თავის მოგონებაში, „კულაშის გიმნაზიის უფროსკლასელები მთლიანად გამოცხადდნენ ბოლშევიკური რაზმის გახკარგულებაში და ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ყველამ მიიღო იარაღი“ [1].

წიხასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ჩამოთვლილი სოფლების შეიარაღებული რაზმები სამი მიმართულებით გაემართნენ სამტრედიის ასაღებად. კულაშის რაზმს შეტაკება მოუხდა მენშევიკური გვარდიის ნაწილთან. აჯანყებულებმა განაიარაღეს და დაატყვევეს რაიონული შტაბის უფროსი და რამდენიმე გვარდიელი.

24 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში სამტრედიის სამხედრო რევოლუციურმა შტაბმა ცნობა მიიღო პარტიის სამხარეო კომიტეტისაგან აჯანყების გადადების შესახებ. ამიტომ სამტრედიაზე შეტევა შეჩერებულ იქნა. რაზმებმა ბრძოლით უკან დაიხიეს და არალეგარულ მდგომარეობაზე გადავიდნენ.

ბოლშევიკების სამტრედიის რაიკომისა და აჯანყების სამხედრო-რევოლუციური შტაბის მიერ მიღებული ზომების შედეგად ბევრმა ბოლშევიკმა მოასწრო მიმალვა და არალეგარულ მდგომარეობაზე გადასვლა, მაგრამ ამის მიუხედავად მენშევიკებმა მაინც მოახერხეს 45 აქტიური ბოლშევიკების დაპატიმრება და სამხედრო-საველე სასამართლოს საშუალებით გასამართლება [2].

მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ დაბა კულაშის აღებაში მონაწილე ბოლშევიკებიდან 24 კაცი დააპატიმრეს, ხოლო 42 ბოლშევიკი გაიქცა ცხენისწყლის მიმართულებით. გუბის თემში აჯანყების მონაწილეებიდან დაუპატიმრებიათ 10 ბოლშევიკი, ხოლო დანარჩენები, ორმოცამდე კაცი, მიიმალაო. დაახლოებით ასე-

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1927, გვ. 142.

[2] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1927, გვ. 141—143.

თივე შემადგენლობის რაზმები მოქმედებდნენ სოფელ მარანში, საჭილაოში, ღანირ-ჭაგანში და სხვაგან [1].

როგორც ვხედავთ, აჯანყებაში შეიარაღებულ მებრძოლთა საკმაოდ დიდ მასას მიუღია მონაწილეობა, რაც ბოლშევიკების ფართო მოსამზადებელი მუშაობის შედეგი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებისათვის აფხაზეთში დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა, მენშევიკების მიერ აქტიური ბოლშევიკების წინასწარი დაპატიმრების შედეგად აჯანყება იქაც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. აფხაზეთში აჯანყება შედარებით ადრე დაიწყო. 1919 წლის 12 ოქტომბერს აჯანყდნენ სოხუმის მეორე ქვეითი პოლკის ჯარისკაცები, 14 ოქტომბერს კი შეიარაღებული აჯანყება დაიწყო აფხაზეთის სხვა ადგილებში. მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ერთ ცნობაში აღნიშნულია „კომუნისტების ამგვარი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ოქტომბერში სოხუმის ოლქში მართლაც მოხდა აქა-იქ შეიარაღებული გამოსვლები, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ხელმძღვანელები დატუსაღებული იყვნენ" [2].

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, მენშევიკებს აჯანყების ხელმძღვანელების დაპატიმრება მოუსწრიათ და ალბათ ამით იყო გამოწვეული, რომ აჯანყებას ვერ მიუღია ფართო ხასიათი. აქ გამორიცხული არ არის აგრეთვე შესაძლებლობა, რომ აფხაზეთის ბოლშევიკებმა მიიღეს ცნობა აჯანყების გადადების შესახებ.

სამწუხაროდ, არა გვაქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები იმის თაობაზე, თუ სად როგორი ხასიათი მიიღო აჯანყებამ სოხუმის ოლქში.

ხაშურის რაიონულმა კომიტეტმა რკპ /ბ კავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან მიიღო ცნობა აჯანყების გადადების შესახებ და ამიტომაც თვით ხაშურში აჯანყება არ მომხდარა. მაგრამ ხაშურის რაიკომმა მაინც ვერ მოახერხა შეეჩერებინა აჯანყება რაიონის რიგ სოფლებში.

25 ოქტომბერს ხაშურის საორთქმავლო დეპოს მუშებმა, რაიონის გლეხებმა და ჯარისკაცებმა, რომელთა რიცხვი 600-მდე აღწევდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს მთელი რიგი სოფლები — ატენამდე. ამ სოფლებში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, აირჩიეს რევოლუციური კომიტეტები.

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 28 ოქტომბერი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1434, ფურც. 99.

წითელარმიელებს განზრახული ჰქონდათ აეღოთ ხაშურიც. მაგრამ 26 ოქტომბერს მიიღეს ცნობა აჯანყების შეჩერების შესახებ და ამ განზრახვაზე ხელი აიღეს, მაგრამ იმ სოფლებში, რომელთა დაკავებაც მოასწრეს აჯანყებულებმა, საბჭოთა ხელისუფლება კიდევ 12 დღეს არსებობდა.

როგორც ვხედავთ, ხაშურის რაიონში აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო და რიგ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლებაც გამოცხადდა. მაგრამ საერთო შედეგი აქაც ისეთივე იყო, როგორც სხვა რაიონებში.

რკპ/ბ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით 1919 წლის 24 ოქტომბერს შეიარაღებული აჯანყება მოხდა სამხრეთ ოსეთის რიგ ადგილებში. აჯანყება დაიწყო როკის რაიონში. ბოლშევიკურმა რაზმებმა დააპატიმრეს მენშევიკური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მალე საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა მთელ ჯავის ხეობაში. შეიარაღებული აჯანყება ერთდროულად მოედო ცხინვალ-ყორნისის რაიონსაც, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო მას წარმატება არ ჰქონია.

თელავის მაზრაში შეიარაღებულ აჯანყებას საყოველთაო ხასიათი არ მიუღია. ეს იმიტომ, რომ აქ, ჯერ ერთი, აჯანყება შეჩერებულ იქნა პარტიის სამხარეო კომიტეტის მითითებით, მეორეც — 20-22 ოქტომბერს მენშევიკებმა დააპატიმრეს თბილისის გუბკომის მიერ მივლინებული პარტიული მუშაკები გ. სარჯველაძე და დ. აფციაური, აგრეთვე ადგილობრივი აქტივისტი ბოლშევიკები. მიუხედავად ამისა აჯანყებას საკმაოდ ფართო და სერიოზული ხასიათი ჰქონდა ლაგოდეხის რაიონში. თელაველმა ბოლშევიკებმა ვერ მოასწრეს თავის დროზე ეცხობებინათ აჯანყების ცენტრის ჩავარდნისა და აჯანყების გადადების შესახებ ლაგოდეხელი ბოლშევიკებისათვის, რადგან პარტიის თელავის სამაზრო კომიტეტი უკვე დაპატიმრებული იყო. ამიტომ ლაგოდეხის რაიკომმა შემუშავებული გეგმის თანახმად განახორციელა შეიარაღებული აჯანყება. ამ აჯანყების შესახებ გაზეთმა „ერთობამ" გამოაქვეყნა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ოფიციალური განცხადება, სადაც წერია: „...ლაგოდეხში 24 ოქტომბერს, დღის 4 საათზე, ბოლშევიკთა რაზმი, დაახლოებით 30 კაცი, შეიჭრა დაბაში, დაიკავა ფოსტა-ტელეგრაფი და სათემო თვითმმართველობა და დაეპატრონა ადგილობრივ ძალაუფლებას... ბოლშევიკებს შეტაკება მოუხდათ სახაპირო რაზმის პატარა ჯგუფთან, რომლის დროს მოკლულ იქნა

ერთი თავდამსხმელი და ერთი ჯარისკაცი, რომელიც იარაღის საწყობს იცავდა, ხოლო მძიმედ დაიჭრა ოფიცერი გამყრელიძე და ერთი მილიციონერი. ბოლშევიკები დაეპატრონენ იარაღის საწყობს და წაიღეს 150 სამხაზიანი თოფი და რამდენიმე ყუთი ვაზნები. თავდამსხმელნი დარწმუნებული იყვნენ, რომ იმავე ღამით თბილისში მთავრობა დაეცა და მთელს რესპუბლიკაში ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა. როცა გამოირკვა, რომ თბილისში სიწყნარეა და ხმა გავარდა სახალხო გვარდია იგზავნებაო, ბოლშევიკები გაიფანტნენ. ამჟამად ლაგოდეხის რაიონში სიწყნარეა".[1]

როგორც დავინახეთ, ლაგოდეხელ ბოლშევიკებს თავიანთი გეგმა ზუსტად განუხორციელებიათ, მაგრამ შექმნილი საერთო ვითარების გამო იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და მიმალულიყვნენ. კახეთის სხვა რაიონებში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით აჯანყება შეჩერებულ იქნა.

აჯანყებისათვის მზადება ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა დუშეთის რაიონში, მაგრამ სამხარეო კომიტეტმა აჯანყება შეაჩერა, უფრო სწორად გადადო. მიუხედავად ამისა, აჯანყება მაინც მოხდა დუშეთის მაზრის სოფ. ბაზალეთში. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" წერდა: „...23 ოქტომბერს, ნაშუაღამევს, დუშეთის ახლოს ორ ადგილას შეგროვილიყვნენ 50-60 კაცი, ზოგი იარაღითა და ზოგიც უიარაღო. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა ბოლშევიკების აქტიური მეთაურები თავს დაესხნენ ბაზალეთის კომისარიატს, ასტეხეს სროლა და იარაღი აჰყარეს 7 მილიციელს. ერთი მათგანი, ვარსიმაშვილი ტყვედ წაიყვანეს, მაგრამ ჩქარა ისევ გაანთავისუფლეს... კომისარიატზე თავდასხმის დროს სროლის გაგონებაზე უმალ ფეხზე დადგა დუშეთის გვარდია, ჯარი და მილიცია. გაიჩხრიკა ყველა საეჭვო ადგილები, რამდენიმე მეთაური და მათ შორის მელიაც[2] იქვე იქნა შეპყრობილი. ამის შემდეგაც გვარდიას და მილიციას ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია".[3]

1919 წლის 24 ოქტომბერს შეიარაღებული აჯანყება შეჩერებულ იქნა ისეთ კარგად მომზადებულ რაიონებში, როგორიც იყო ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრები. მიუხედავად ამისა, იმ დღეე-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 29 ოქტომბერი.

[2] მელია თბილისის გუბკომის მიერ მიელინებული იყო დუშეთში აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

[3] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 10 დეკემბერი.

ბ'ში მენ'შევიკებმა მაინც დააპატიმრეს სამაზრო და რაიონული კომიტეტების წევრთა დიდი ნაწილი.

1919 წლის 24 ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებას უიძედობა და პანიკა არ გამოუწვევია. ბრძოლის გასაგრძელებლად ძზად იყო დაპატიმრებას გადარჩენილი ყველა ბოლშევიკი. ადგილებზე 'შექმნილი მებრძოლთა რაზმები კვლავ მზად იყვნენ განეხორციელებინათ ჩახაფიქრი. ამ მდგომარეობის გამო არც სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტებს 'შეუცვლიათ აზრი ახალი აჯანყების მოწყობაზე.

„...ცენტრი მაინც ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას, — წერს ფ. მახარაძე, — ამ მიზნით, დაჩქარებით შედგენილი იქნა ახალი სამხედრო შტაბი და რამდენიმე თვით აჯანყების გეგმაც. ახლა გამოსვლები პირველად უნდა დაწყებულიყო პროვინციაში, რომელსაც შემდეგ ტფილისი უნდა გამოხმაურებოდა. გამოსვლების ვადად დაინიშნა 8-9 ნოემბერი“.[1]

'შექ'ძნილი ვითარების გამო ოქტომბრის ბოლოს თბილისში, რკინიგზის მუ'შის ა. ყიფიანის ბინაზე, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ხელმძღვანელი ბოლშევიკები, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოაწყო პარტიული თათბირი, სადაც ირჩეოდა სიღნაღელი ბოლშევიკების მოთხოვნა ახალი აჯანყების შესახებ. სამხარეო კომიტეტი ჯერ წინააღ'მდეგი იყო, მაგრამ ბოლოს დათანხმდა დაწყებულიყო ახალი შეიარაღებული აჯანყება. რომელსაც პერიფერიები დაიწყებდა და წარმატების შემთხვევაში გამოეხმაურებოდა თბილისი. სამხარეო კომიტეტის მიერ მიღებული იყო ყველა ზომა სამხედრო შტაბის შესაქმნელად.

კვლავ დაიგზავნა ადგილებზე ხელმძღვანელი პარტიული აქტივი: სიღნაღში — მ. ვარამა'შვილი, დ. ხირსელი და ვ. აირაპეტოვი, თელავ'ში — ლ. მიროტაძე. ახალციხეში — კ. ერკაიანი და გ. სამუელოვი (ერკაიანი მენ'შევიკებმა ახალციხის ციხეში დახვრიტეს), გორში — მათიკა'შვილი და ს. კილასონიძე, ხაშურში — ვ. ელბაქიძე და ზ. აიდაროვი (ეს უკანასკნელი შემდეგ მენ'შევიკებმა დახვრიტეს). მეჯვრისხევის რაიონში — გუბკომის წევრი გ. შახნაზაროვი რომელიც შემდეგ ჯუღელმა დახვრიტა. ახალქალაქის რაიონის ხელმძღვანელობა მიენდო ვანო ჯიჯელავას[2]. ახალი აჯანყების მოსამზადებლად და მისთვის ხელმძ-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, 1917 — 1921. 1927. გვ 184.

[2] ეურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 1, 1924, გვ. 283—284.

ღვანელობის გასაწევად დასავლეთ საქართველოში სამხარეო კომიტეტმა ისევ გ. სტურუა მიავლინა.

არ შეიძლება კრიტიკულად არ მივუდგეთ ახალი აჯანყების მომზადების ფაქტს. მაშინ როცა თვეების განმავლობაში მომზადებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ მარცხი განიცადა, რის შედეგადაც ხელმძღვანელი პარტიული აქტივის დიდი და ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილი დაპატიმრებულია, როცა ადგილებზე მენშევიკების დამსჯელი ექსპედიციები ძძვინვარებს და ათობით ბოლშევიკს ხვრეტენ, როცა სამხედრო-რევოლუციური ცენტრი თბილისში და მაზრებში დაპატიმრებულია, ასეთ პირობებში სამხარეო კომიტეტს ანგარიში არ უნდა გაეწია ძეტისძეტად ფიცხი ცალკეული პირებისათვის, რომლებიც ახალ გამოსვლებს მოითხოვდნენ. სამხარეო კომიტეტს უნდა სცოდნოდა, რომ ახალი აჯანყება განწირული იყო მარცხისა და უშედეგო ძსხვერპლისათვის.

როგორც ძოსალოდნელი იყო, მენშევიკების დაზვერვამ ამ ახალი აჯახყების ძზადების შესახებაც შეიტყო. სახელდახელოდ შექმნილი აჯახყების ცენტრი თბილისში კვლავ ჩავარდა, ხოლო ადგილებზე ბოლშევიკური ორგანიზაციები იმდენად დასუსტებული იყო სასტიკი რეპრესიების შედეგად, რომ აჯანყებამ მხოლოდ ზოგიერთ რაიონში იფეთქა. შედარებით სერიოზულ გამოსვლებს ჰქონდა აღგილი ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ახალქალაქის, მეჯვრისხევის და ნაწილობრივ ხაშურის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში.

8—9 ნოემბრის აჯანყების მიმდინარეობაზე მეტად ძუნწი ცნობები გამოაქვეყნა მენშევიკურმა პრესამ, მაგრამ, ისინიც მკაფიოდ მიგვითითებს აჯანყების ზოგიერთ წარმატებაზე ცალკეულ რაიონში.

პარტიის სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტების დავალება ახალქალაქის რაიონში (გორის მაზრა) წარმატებით განახორციელა ვანო ჯეჯელავამ. მისმა რაზმმა მოქმედება დაიწყო სოფ. ხოვლედან. დაბა ახალქალაქში იგი ორი მხრიდან შეეიდა და თოფის გაუსროლელად დააპატიმრა მთელი ერობა. ერობის შენობაზე სამფეროვანი, ბურჟუაზიული დროშის ნაცვლად წითელი დროშა აღმართეს და რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყების დღეებში ახალქალაქის რევკომს მეზობელ სოფლებთან და რაიონებთან ძმური ურთიერთობა დაუმყარებია, მათთვის ასეთი შინაარსის წერილები დაუგზავნია: „ახალქალაქის რაიონის სამხედრო-რევოლუციური შტაბი ბოლშევიკებისა გთხოვთ, როგორც ძმები ჭირში და ლხინში გაიზია-

როთ ჩვენი სიხარული. ჩვენ, ახალქალაქის რაიონში უკვე შევიპყარით ხალხის მოღალატე ადგილობრივი მთავრობა და თქვენ გთხოვთ შემოგვიერთდეთ ხალხის საკეთილდღეო საქმეში".[1]

საძწუხაროდ, თვით სამაზრო ცენტრში, გორში, მენშევიკებმა დაასწრეს და აჯანყების ხელმძღვანელები დააპატიმრეს, ამიტომაც ვერ მოხერხდა იქ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. საბჭოთა ხელისუფლება ახალქალაქის რაიონში 2 დღეს არსებობდა. აჯანყება ჩაქრობილ იქნა დამსჯელი ექსპედიციის მიერ.

შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი ჰქონდა გორის მაზრის მეორე სოფელშიც — მეჯვრისხევში. ამ აჯანყების შესახებ გაზეთი „სახალხო საქმე" წერდა: „...ნოემბრის 9-ს დილით ბოლშევიკებმა დაატუსაღეს მეჯვრისხევის სათემო ერობის წევრები, მილიციის უფროსი, მილიციელები, აგრეთვე ძმები ხმალაძეები, ლოლაძეები და სხვები, დაიწყეს კარისკარ სიარული იარაღის ჩამოსართმევად. ამის მოთავე იყო ადგილობრივი მცხოვრები გ. შახნაზაროვი (ათუაშვილი)... ამათ შეუერთდნენ ოსები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მეჯვრისხევის კომისრებისა და სათემო ერობის მართვა-გამგეობით, ჩამოვიდნენ ზოგი თოფით. ზოგი ჯოხით... მეთაურების წინამძღოლობით.

ნოემბრის 10-ს, საღამოს, გორიდან მომავალ გვარდიას და ჯარს დაუწყეს სროლა. ჯარმა თავის მხრით დაუშინა ორი მხრიდან: სჭექდა ზარბაზნები, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები. რამდენიმე საათის შემდეგ ბოლშევიკები გაფანტულ იქნენ, ჯარი და გვარდია დაბინდებისას შემოვიდა მეჯვრისხევში" [2]. როგორც ვხედავთ, აქაც ორ დღეს, 9 და 10 ნოემბერს იარსება საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლის შენარჩუნებისათვის ბოლშევიკურ რაზმს მედგარი ბრძოლა გაუმართავს კარგად შეიარაღებული მენშევიკური ჯარისა და გვარდიისათვის.

ამავე დღეებში შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე გორის მაზრის კიდევ ერთ სოფელში — ხცისში. როგორც მენშევიკური გაზეთი „ერთობა" აგვიწერს, „9 ნოემბერს დილით ოსებისა და ადგილობრივი ქართლის ბოლშევიკები შეიჭრნენ ხცისში. მთელ მხარეს ალყა შემოარტყეს, გზები შეკრეს, დაატყვევეს საზოგადო მოღვაწეები, სკოლებში დაბანაკდნენ. მათ თან ახლდათ ცხენოსანი რაზმი. შეადგი-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 321, ფურც. 30

[2] გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წლის 2 დეკემბერი.

ნეს ძებრძოლი პოლკი, დაანაწილეს გუნდებად, დაიწყეს სამხედრო მეცადინეობა. თოფი და პატრონები ყველასათვის ჩამოურთმევიათ, მოუწვევიათ მთებიდან ოსები და სხვა ბოლშევიკური ელემენტები.

ტყვედ ჩავარდნილი ოსების გადმოცემით, მოძრაობას ხელმძღვანელობდა ამ რამდენიმე ხნის წინათ ვლადიკავკაზიდან ჩამოსული ოსი[1], რომელიც კრებაზე ლაპარაკობს როგორც ბოლშევიკი, ოსურად და რუსულად... "შეუგროვებიათ დიდი რაზმი და 12 ნოემბერს აპირებდნენ გალაშქრებას ხაშურის ასაღებად" [2].

მოტანილი ცნობები ნათლად მეტყველებს, რომ შეიარაღებულ აჯანყებას სერიოზული ხასიათი ჰქონდა გორის მაზრაში, თუმცა სამაზრო ცენტრი ვერ აუღიათ და ამდენად აჯანყებაც მაზრაში ნაწილობრივ განხორციელდა.

აჯანყებას კიდევ უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა გურიაში (ოზურგეთის მაზრაში). როგორც საარქივო მასალებიდან, მაშინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან და აჯანყების აქტიურ მონაწილეთა მოგონებებიდან ჩანს, სამაზრო კომიტეტს და აჯანყების სამხედრო ცენტრს საკმაოდ დახუსტებული გეგმა ჰქონიათ შედგენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 24 ოქტომბრისათვის მომზადებული აჯანყება რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითების თანახმად ოზურგეთის მაზრაში შეჩერებულ იქნა. სამხარეო კომიტეტის მიერ ახალი აჯანყების ვადად 8—9 ნოემბრის დანიშვნის შემდეგ გურიაში ისევ იგზავნება სამხარეო კომიტეტის წევრი გ. სტურუა. გამოირკვა, რომ 24 ოქტომბრის აჯანყების გადადების მიუხედავად, მენშევიკებს მაინც ბევრი ხელმძღვანელი ბოლშევიკი დაუპატიმრებიათ, მათ შორის სამაზრო კომიტეტის ზოგიერთი წევრიც.

1919 წლის 5 ნოემბერს მოწვეულ იქნა სამაზრო კომიტეტის პლენუმი. ძმამავალი შეიარაღებული აჯანყების შესახებ მოხსენება გააკეთა გ. სტურუამ. ამავე პლენუმზე ხელახლა აირჩიეს სამაზრო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი სამი წევრის შემადგენლობით: ტარასი მგალობლიშვილი (თავმჯდომარე, იგივე სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე). სამსონ ჭანიშვილი და სარდიონ ჯიბუტი. სოფლებსა და რაიონებში შეიარაღებული აჯანყებისადმი ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდათ გამოცდილ და აქტიურ ბოლშევიკებს.

---

[1] იგულისხმება ცნობილი რევოლუციონერ-ბოლშევიკი ზნაურ აიდაროვი.

[2] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 23 ნოემბერი.

გეგმის თანახმად, ჩოხატაურის რაიონის ცენტრის ასაღებად დამკვრელ ძალას წარმოადგენდა ხევ-ერკეთის ხაზზე მყოფი სოფლების გლეხთა ბოლშევიკური რაზმები. საბოლოოდ ისინი თავს იყრიდნენ სოფ. ერკეთში, საიდანაც ჩოხატაურისაკენ უნდა წასულიყვნენ, ხოლო მდინარე სუფსის ნაპირზე მათ უნდა შეერთებოდა ამაღლებისა და სხვა მახლობელი სოფლების გლეხთა რაზმები.

8 ხოემბერს, ნაშუაღამევს, უჩვეულო სიძლიერის, როგორც იტყვიან, კოკისპირული წვიმა მოდიოდა. მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ ასეთ ამინდში გარეთ თავს არავინ გამოყოფდა. მიუხედავად ამისა, სოფ. ერკეთში თავი მოიყარეს მახლობელი სოფლების ბოლშევიკებმა და მათმა თანამგრძნობმა გლეხებმა. გამოირკვა, რომ ბევრ მათგანს იარაღი აკლდა. აუცილებელი შეიქნა ერკეთის მილიციის განიარაღება. ეს ადვილი საქმე იყო, მაგრამ გეგმის მიხედვით ჩოხატაურის აღებამდე არც ერთი თოფი არ უნდა გავარდნილიყო. ახლა უკვე საჭირო გახდა გამოემეღავნებიათ ერკეთის მილიციის უფროსის ავთანდილ მამალაძის ვინაობა, რომელიც ფარულად მუშაობდა ბოლშევიკურ პარტიაში. ახლა აუცილებლობის გამო ის შევიდა მილიციის შენობაში და თან რამდენიმე ბოლშევიკი შეჰყვა. მილიციელებს აზრადაც არ მოსვლიათ, თუ მათი უფროსი ბოლშევიკი იყო. განაიარაღეს მილიციელები, მათ განკარგულებაში მყოფი თოფები და ვაზნები წაიღეს.

რაზმელები დაიძრნენ ჩოხატაურისაკენ ძმები მამალაძეებისა და ჩანტლაძეების მეთაურობით. მდ. სუფსის ხიდთან მათ ამაღლებისა და მახლობელი სოფლების შეიარაღებული გლეხთა რაზმები შეუერთდნენ ს. ჯიბუტისა და გ. ყაჭეიშვილის მეთაურობით. აქ მოხდა ძალების გადანაწილება, თუ რომელ რაზმს უნდა აეღო ფოსტა-ტელეგრაფი, გვარდიის შტაბი, რაიონის მილიცია, ერობის სამმართველო, სამნეო საწყობები, ქალაქის საგუშაგოები, სასამართლოსა და სკოლების შენობები და სხვა. ყველა რაზმმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და რაიონის ყველა დაწესებულება აიღო.

ბოლშევიკებმა რაიონის ცენტრში სრული წესრიგი დაამყარეს. ქალაქს იცავდა წითელი მილიცია სამსონ ჭანიშვილის ხელმძღვანელობით. ასევე სოფლებშიც შექმნილი იყო რევკომები და წითელი მილიცია. იმ დღეს ბევრი აქტიური მენშევიკი დააპატიმრეს როგორც რაიონის ცეხტრში, ისე სოფლებში. სამაზრო რევკომის სახელით გამოსცეს და სოფლებს დაუგზავნეს მოწოდებები, რითაც მოსახლეობას მშვი-

დობიანი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდნენ. რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ოზურგეთთან და ლანჩხუთთან სატელეფონო კავშირი ვერ აღადგინეს, ხოლო სამტრედიას თუმცა დაუკავშირდნენ ტელეფონით, მაგრამ იქიდან მხოლოდ მუქარა ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამტრედია მენშევიკების ხელში იყო. საღამოს დატყვევებული მზვერავის საშუალებით (რომელიც ოზურგეთის გვარდიის შტაბს დასაზვერად გამოეგზავნა) გაიგეს, რომ ოზურგეთი ისევ მენშევიკების ხელში იყო. თუმცა ლანჩხუთსა და სუფსაში აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება, მაგრამ მალე ადგილობრივ გვარდიას ჯავშნოსანი მატარებელი მიეშველა და ბოლშევიკები ისევ განდევნეს. გაიგეს აგრეთვე, რომ ჩოხატაურის წინააღმდეგ ოზურგეთიდან წამოსულა გვარდია 150 კაცის შემადგენლობით და რეგულარული ჯარი მძიმე არტილერიით. ხოლო სადგურ საჯავახოში გოგუაძეს ჯავშნოსანი მატარებლიდან რაზმი გადმოუსხამს და სამტრედიის გვარდიასთან ერთად ჩოხატაურისაკენ დაძრულა აღმოსავლეთიდან. აგრეთვე გაიგეს, რომ თბილისში კვლავ ჩავარდნილა მთავარი შტაბი და აჯანყება აღარ მომხდარა.

გადაწყდა ძ'შვიდობიანი გზით დაეტოვებინათ რაიონი. მთელი რაზმი ორ ნაწილად გაყვეს. ერთი წავიდა ხევ-ერკეთის მიმართულებით, ხოლო მეორე — აძაღლება-ნიგოითის მთისაკენ. შტაბის შემადგენლობაც ასევე ორად გაიყო. ღამის 10 საათზე რაზმებმა დატოვეს რაიონის ცენტრი. მაგრამ მალაზიები, ფოსტა და საწყობები რომ არ გაეძარცვათ და ჩვეულებისამებრ ბოლშევიკებისათვის არ დაებრალებინათ, მათ დასაცავად თავიანთი გუშაგები დააყენეს. ვისაც იარაღის შენახვისა და მოვლის საშუალება არ ჰქონდა, ასეთებს იარაღს იქვე ატოვებინებდნენ, ხოლო დანარჩენი, მათ შორის რამდენიმე ტყვიამფრქვევიც, თან წაიღეს.

ასე დატოვეს ბოლშევიკებმა ჩოხატაური. ჩქარა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან სროლა მოისმა. დასავლეთიდან უტევდა ოზურგეთის გვარდია და ჯარი არტილერიით, აღმოსავლეთიდან კი ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი და სამტრედიის გვარდია. მიუხედავად იმისა, რომ ჩოხატაური წყნარად იყო და არავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევდა, მენშევიკებმა ღამის სამ საათამდე მაინც ვერ გაბედეს შიგ შესვლა.[1]

აჯანყება მოხდა აგრეთვე ქ. ლანჩხუთში, დაბა სუფსასა და სოფ.

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 16 ნოემბერი.

სილაურ'ში. ლანჩხუთის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე აპოლონ იმხაი'შვილი თავის მოგონებაში წერს: „...აჯანყების დღეს, 8 ნოემბერს, ყველა სოფლიდან მოდიოდა ჩვენი რაზმები. თავს ვიყრიდით მთის ძირას, მივარდნილ სოფელ ჯაბელ'ში. 500 კაცზე მეტი მოგროვდა; მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ იარაღი ძლიერ ცოტა გვქონდა. გავხაწილდით რაზმებად, ლანჩხუთის რაიონის სხვადასხვა დაწესებულებებზე თავდასასხმელად. იქვე ავირჩიეთ რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: კ. ცინცაძე, ა. ბზეკალავა და ბ. ცინცაძე. რ. ცინცაძის მითითების შემდეგ გავეშურეთ თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად. სანამ ჩვენ მოვიდოდით დანიშნულ ადგილზე, მტერმა უკვე გაგვიგო და დასახვედრად მოემზადა. მიუხედავად ამისა, ქალაქის და რაიონის მილიციის სამმართველოები მაინც დავიკავეთ და გვარდიის შტაბსაც შევუტიეთ. გათენებისას გვარდიის შტაბის ტყვიამფრქვეველებმა გვძლია, რის შემდეგ ჩვენი გამაგრება შეუძლებელი იყო. როგორც იარაღის, ისე ვაზნების ნაკლებობის გამო უკან დახევა მოგვიხდა.“[1]

ლანჩხუთის რაზმელებმა ვერ მოასწრეს რკინიგზის ლიანდაგის აყრა და ამიტომ დილით, 9 ნოემბერს, ჯავშნიანმა მატარებელმა მოუსწრო ალ. გოგუაძის მეთაურობით. რაზმელები სოფ. სილაურისაკენ გაემართნენ, რადგან იქაურ გლეხთა მძლავრ ბოლშევიკურ რაზმებს დავალებული ჰქონდათ შეტევაზე პირველები გადასულიყვნენ სამაზრო ცენტრის—ოზურგეთის ასაღებად. სოფ. სილაურში მათ მოულოდნელი სურათი დახვდათ: წინაღამის ძლიერი წვიმის შედეგად მდინარე სუფსა ისე ადიდებულიყო, რომ ნაპირებზე გადასულიყო. მდინარის გადალახვა შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ ქ. ოზურგეთის ასაღებად მიმავალი 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი, ყოველმხრივ მზადმყოფი, უქმად იდგა, დაეპატიმრებინათ ადგილობრივი მენშევიკები და სოფელში საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინათ. დღის მეორე ნახევრისათვის ამის შესახებ უკვე იცოდა სამაზრო გვარდიამ და მილიციამ. მენშევიკებს გამოეგზავნათ რეგულარული ჯარის ნაწილები არტილერიით და მდ. სუფსის მარცხენა ნაპირიდან უმოწყალოდ უშენდნენ სოფ. სილაურს ზარბაზნებიდან და ტყვიამფრქვეველებიდან. გლეხთა სახლებს ცეცხლი ეკიდებოდა. მოსახლეობა წვიმ-კივილით გარბოდა და იმალებოდა.[2]

---

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1926, №2, გვ. 4.

[2] ი ქ ვ ე.

1919 წლის 19 ნოემბერს გაზეთი „სახალხო საქმე“ ლანჩხუთის აჯანყების შესახებ წერდა: „ეს ერთი ხანია ბოლშევიკური გამოსვლები თვალსაჩინოდ გაიზარდა გურიაში. უწინ თუ მიტინგებით და სხვა ორგანიზაციული მუშაობით კმაყოფილდებოდნენ, ახლა უკვე ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე მიდგა კითხვა. ამას ამტკიცებს მათი შეიარაღებული გამოსვლა როგორც ქ. ლანჩხუთში, ისე სოფ. სილაურში, დაბა სუფსასა და სხვაგან. ქ. ლანჩხუთში შეიარაღებული გამოსვლა სამასაზდე კაცმა მოახდინა.

კვირას, ნოემბრის 9, დილის სამ საათზე საშინელი სროლა ატყდა. პირველი იერიში ქალაქის და რაიონის მილიციის სამმართველოებზე იქნა ძიტანილი. პატარა წინააღმდეგობის შემდეგ ქალაქის მილიციის სამმართველო დაიკავეს, მილიციონერებს იარაღი აჰყარეს და გამაგრდნენ. მეორე ჯგუფმა რაიონის მილიციის ბინა დაიკავა, უფრო დიდი ჯგუფი გვარდიის შტაბს შემოერტყა. გვარდიელებმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს განსაკუთრებით ტყვიამფრქვევით. ბრძოლამ 3 საათიდან დილის 6-7 საათამდე გასტანა. გვარდიელთა მხრივ სასიკვდილოდ დაიჭრა რუსია. მათ დაედევნა მილიცია და გვარდია, კვირა საღამომდე 24 კაცი დაიჭირეს. ასეთივე გამოსვლები მოხდა სოფ. სილაურში. სუფსაში და სხვაგან. სუფსაში მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, კომისარის დანიშვნაც კი მოასწრეს. მხოლოდ ჯავშნოსანი მატარებლის ჩასვლის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქნა.“[1]

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, სამაზრო ცენტრის— ქ. ოზურგეთის აღება არ მოხერხდა. ეს გეგმა ვერ განხორციელდა პირველ რიგში მდინარე სუფსის უჩვეულო ადიდების გამო. სილაურ-ჯუმათის ჯგუფმა ვერ შეძლო მდინარეზე გადასვლა, ხოლო ჩოხატაურელი ბოლშევიკები, რომლებმაც ადვილად შეძლეს რაიონში ძალაუფლების ხელში აღება იმით დაკმაყოფილდნენ, რომ მთელი დღე რაიონის ცენტრში წესრიგს იცავდნენ და მახლობელ სოფლებთან კავშირს ამყარებდნენ. მათ აზრადაც არ მოსვლიათ თავიანთ განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული გლეხთა რაზმების ნაწილი მაინც გაეგზავნათ ოზურგეთის ასაღებად გამიზნული რაზმებისათვის დასახმარებლად, რასაც შესაძლებელია წარმატება მოჰყოლოდა, თუნდაც დროებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აჯანყებისათვის დიდი მოსამზადებელი

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წლის 19 ნოემბერი.

მუშაობა ჩატარდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში. მაგრამ, როგორც ამ აჯანყების სამეგრელოს სამეულის თავმჯდომარე ს. მამულია აგვიწერს, მენშევიკების აგენტის ვინმე ლაცუჟბაიას მიერ გაცემულ იქნა მზადებისა და სამოქმედო გეგმის მთელი საიდუმლოება, რის შედეგადაც სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში აჯანყების სამაზრო და რაიონული ცენტრები, ასევე ხელმძღვანელი პარტიული აქტივი წინასწარ იქნა დაპატიმრებული. იქვე დაუპატიმრებიათ ფოთის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლებიც — ძმები ჭკუასელები, რომლებიც წარგზავნილები იყვნენ ფოთიდან სამეგრელოს აჯანყების ცენტრთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად აჯანყების პერიოდში.

„9 ნოემბერს სოფ. გეჯეთში დანიშნული კრება არ შემდგარა. — წერს ს. მამულია, — 10 ნოემბერს გამოსვლები არ მომხდარა. გამოსვლები მოხდა მხოლოდ საჭილაოს თემში ამხ. პროკოფი ნოდიას ხელმძღვანელობით. მენშევიკებთან უთანასწორო ბრძოლაში საჭილაოელი ამხანაგები დამარცხდნენ.

ციხე'ში ჩვენთან ამბავი მოჰქონდათ გურიის აჯანყების შესახებ, ჩვენ გული გვიკვდებოდა, რომ გურულ ამხანაგებს სათანადო დახმარება ვერ აღმოვუჩინეთ მენშევიკების ჯალათებთან უთანასწორო და გმირულ ბრძოლაში“.[1]

როგორც დავინახეთ, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში შეიარაღებული აჯანყების ბედი, ისევე როგორც ბევრ სხვა რაიონში, წინასწარ გადაწყვიტა ხელმძღვანელი ბოლშევიკების დაპატიმრებამ.

ასე განწირული აღმოჩნდა 1919 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის შეიარაღებული აჯანყებები საქართველოში.

1919 წლის შეიარაღებული აჯანყების შესახებ ჩვენ აქ მოვიყვანეთ არსებული ცნობების მხოლოდ ნაწილი. მაგრამ ეს მასალებიც საკმაო სიცხადით წარმოგვიდგენს იმ დიდ რევოლუციურ მუშაობას, რომელსაც მაშინ საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად საქართველოში.

„მენშევიკები ჯერ ისედაც ულმობლად ავიწროებდნენ ბოლშევიკებს, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ მათ, ხოლო ახლა, აჯანყების დამარცხების შემდეგ, ზედმეტი საბაბი მიეცათ ნამდვილი თეთრი ტე-

---

[1] ს. მ ა მ უ ლ ი ა, კომუნისტური პარტიის მუშაობა სენაკის მაზრაში 1919 წელს, ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1948, № 1, გვ. 128.

ტორის გამოსაცხადებლად. ეს საბაბი მათ მართლაც სრულად გამოიყენეს და სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. დახვრეტა, კატორღა, ციხე, — ასეთი იყო მენშევიკური გვარდიის სამხედრო-საველე სასამართლოს „განაჩენის“ მთელი ლექსიკონი“ [1].

აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ს. მ. კიროვი 1920 წლის დასაწყისში რკპ/ბ/ ცენტრალურ კომიტეტს სწერდა: „საქართველოში აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკების დევნა გრძელდება, დაპატიმრებულია ათას კაცზე მეტი, დახვრეტილია 300-მდე, აქტიური მუშაკები თითქმის აღარ დარჩნენ.“[2]

1919 წლის ნოემბერსა და დეკემბერში თბილისში დააპატიმრეს რკპ(ბ) კავკასიის სამხედრო კომიტეტისა და თბილისის საგუბერნიო კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა. სამხედრო კომიტეტის წევრებიდან, როგორც ფ. მახარაძე წერს, დაპატიმრებას გადაურჩნენ მხოლოდ ნაზარეტიანი და თუმანოვი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გაუსწორდნენ მენშევიკები აჯანყებულ მშრომელებს, მოგვყავს მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჯანყების წინადღით ფოთში ასამდე კომუნისტი დააპატიმრეს, მაგრამ დაპატიმრებები მას შემდეგაც გრძელდებოდა. 1919 წლის ბოლოს ფოთში ბევრი ბოლშევიკი გაასამართლეს; მათ შორის კ. სერგიას და არ. ნადარეიშვილს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ მუშათა პროტესტებმა და დემონსტრაციებმა აიძულა მენშევიკების მესვეურები დახვრეტა კატორღით შეეცვალათ.

გორის მაზრაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დააპატიმრეს და სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს 300 კაცი. მათგან 9 დახვრიტეს, 28 კაცს საკატორღო მუშაობა მიუსაჯეს, 35-ს ადმინისტრაციული წესით პატიმრობა გადაუწყვიტეს. ახალი შეიარაღებული აჯანყებით შეშინებულმა მენშევიკებმა „სახალხო გვარდიელთა“ ნაწილების დიდი სამხედრო ქვედანაყოფის მეშვეობით განაიარაღეს გორის მაზრის დანარჩენი რაიონების მოსახლეობა, აგრეთვე ამ მაზრაში შემავალი ცხინვალისა და ოსეთის მთიანი რაიონები [3].

---

[1] დ. ჯიბლაძე, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, იხ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტ. კრებ., 1957, გვ. 219.

[2] С. М. Киров, Статьи, речи, документы, М., 1936, стр. 205.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 24, საქმე 125, ფურც. 5—7.

გორის მაზრაში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ გაზეთი „ერთობა“ წერდა: „10 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე გორის მაზრაში მოქმედ ჯარისა და გვარდიის საველე შტაბთან არსებული განსაკუთრებული სასამართლოს განაჩენით დახვრეტილია შემდეგი პირნი:

1) მეჯვრისხევის შეიარაღებული აჯანყების მეთაური, სამხედრო კომუნისტური სარდლობის შტაბის თავმჯდომარე გეურქ მიხეილის ძე მახსახაროვი. 2) თერგის ოლქის სოფ. კარაგანას მცხოვრები ზნაურ ზაქარიას ძე აიდაროვი, კავკასიის კომუნისტთა სამხედრო შტაბის ინსტრუქტორი, ოსურ სოფლებში შეიარაღებული აჯანყების მომწყობი და მეთაური; 3) სოფ. ჯაგანიანთკარის (ქარელის რაიონი) მცხოვრები ბესარიონ გიორგის ძე თიბილაშვილი, რომელიც ხცისის შეიარაღებული მებრძოლ კომუნისტთა გუნდის უფროსი იყო. 4) სოფელ ხოვლეს შეიარაღებული რაზმის მეთაური, ახალქალაქის თავდამსხმელი, კომისარიატისა და ერობის დამრბევი შაქრო ბანაკას ძე მეცხვარიშვილი. 5) ახალქალაქის შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელობისათვის არტემ იოსების ძე ხუციშვილი. ბოლშევიკი, „ჰიორლას ბიჭად“ წოდებული. 6) სოფ. ხოვლეს მცხოვრები სანდრო ზაქარიას ძე გალუსტაშვილი, ახალქალაქის შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელობისათვის. 7) მეჯვრისხევში შეიარაღებული გამოსვლისათვის, კომუნისტთა სამხედრო-სარევოლუციო ორგანიზატორი იაკობ იოსების ძე ზარაფიანცი. 8) სოფ. თელეთის მცხოვრები (სურამის რაიონი) მილიციონერი ეფრემ დავითის ძე ჩადუნელი, შეიარაღებული გამოსვლებისათვის, 9) ამავე დანაშაულისათვის მილიციონერი ივანე (ვანო) იოსების ძე კორკოტაძე“.[1]

მენშევიკურმა მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა ხაშურის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელ ბოლშევიკთა უმრავლესობამ მოასწრო მიმალვა, მენშევიკურმა გვარდიამ დააპატიმრა, „გაასამართლა“ და გადაასახლა ადგილობრივი რკინიგზის რამდენიმე მუშა და ქვიშხელი გლეხი. გარდა აიდაროვისა და თიბილაშვილისა, საველე-სამხედრო სასამართლომ ხაშურში დახვრიტა არჩილ ქალიაშვილი, არსენა ლომიძე, აბესალომ ხინდიკაშვილი, გიგო და ალექსი ბეკოშვილები.[2]

---

[1] გაზ. „ერთობა“ 1919 წლის 28 ნოემბერი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 311, ფურც. 159.

არქივში ინახება დაპატიმრებულ ხაშურელ ბოლშევიკთა რამდენიმე სია. ერთ მათგანში 25 კაცია ჩამოთვლილი.[1]

ბოლშევიკებმა შავი დღე გაუთენეს სამხრეთ ოსეთის განაწამებ მშრომელებს. იქაც სპეციალური დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა გორის მაზრის გვარდიის უფროსის ხიმშიაშვილის მეთაურობით, რომელმაც მიწასთან გაასწორა სამხრეთ ოსეთის რაიონები და სოფლები.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბევრი ბოლშევიკი დააპატიმრეს ჭიათურის რაიონშიც, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთათურ თანაშემწეს ეს არ მიაჩნდა საკმაოდ და აღშფოთებული ეკითხებოდა გვარდიის შტაბის უფროსს ჭიათურაში: „რატომ არ ატუსაღებთ ბოლშევიკებს: არჩილ გოცაძეს, პლატონ და პარმენ მიხელიძეს, სანდრუშა ყელაძეს, ისიდორე ჯავახიძეს, ვასილ ნეფარიძეს“.[2]

რაც შეეხება მეზობელ საჩხერეს, იქ მენშევიკების საგანგებო დამსჯელი ექსპედიცია მოქმედებდა თავისი საველე-სამხედრო სასამართლოთი, რომელიც ადგილზე ღებულობდა გადაწყვეტილებებს დახვრეტის შესახებ და განაჩენი იქვე მოჰყავდა სისრულეში.[3]

სამტრედიის რაიონში კი, გარდა იმისა, რომ ას კაცზე მეტი დააპატიმრეს, ხუთ ბოლშევიკს: ს. გიგინეიშვილს, ა. ფანცულაიას, ნ. რაზმაძეს, ა. ხურცილავას და გ. სვანიძეს სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ეს სასჯელი შემდეგ უვადო კატორღით შეცვალეს[4]. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, გარდა ზემოჩამოთვლილი ბოლშევიკებისა, ქუთაისის ციხეში ჩაყარეს სამტრედიელი ბოლშევიკები: ი. გიგინეიშვილი, ს. კალაძე, ს. სტეფანენკო, ი. განკოვი, ა. შენგელია, ვ. ქაჯაია, რ. რაზმაძე, პ. შენგელია, გ. შენგელია, ი. გიგინეიშვილი, ა. ხურცილავა, მ. შენგელია, კატო მიქაძე, ი. ხურცილავა, თ. გიგინეიშვილი, ლ. გოგიშვილი, მ. ეძგვერაძე, ი. ცაგარეიშვილი, ე. ნინუა, შ. ნოდია, კ. ხარაძე, დ. სტურუა, პ. ვაშაკიძე, იაშ-პონ-შინი (ჩინელი) და სხვ., „რომლებსაც ბრალად ედებათ ბოლშევიკური შეიარაღებული გამოსვლები სამტრედიაში და კულაშში“.[5]

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1414, ფურც. 58.

[2] ი ქ ვ ე. საქმე 312, ფურც. 23.

[3] გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 18 დეკემბერი.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1434, ფურც. 210.

[5] ი ქ ვ ე. საქმე 311, ფურც. 52; საქმე 1488, ფურც. 3.

აჯახყების ჩასაქრობად მენშევიკები ფართოდ იყენებდნენ ინგლისის საოკუპაციო ჯარებს. თვითონ მენშევიკური გაზეთი „ბორბა“ წერდა, რომ მეორე პოლკის აჯანყებული ჯარისკაცების დასაწყნარებლად ინგლისის კრეისერმა სოხუმში დესანტი გადასხაო. მენშევიკებმა აფხაზეთის ციხეები ბოლშევიკებითა და აჯანყებაში მონაწილე მშრომელებით აავსეს. ნ. რამიშვილის პირადი მითითებით დააპატიმრეს: ს. კუხალეიშვილი, ა. ურუშაძე, ი. ბელიაკოვი, ი. ჟვანია, ალ. მგელაძე, ვ. დამენია და სხვები.[1]

თუმცა ახალციხის მაზრაში თვით აჯანყების მიმდინარეობის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ამავე პერიოდში იქაც სასტიკი რეპრესიები ყოფილა. „როგორც ახალციხის შტაბი იტყობინება, აქ აღმოუჩენიათ კომუნისტური ორგანიზაცია, მიღებული ზომებით ორგანიზაცია მოუსპიათ და მისი წევრები დაუპატიმრებიათ“.[2]

ამავე დღეებში გაზეთი „ერთობა“ იტყობინებოდა: „შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ქ. ახალციხეში წუხელ მივაგენით ახალციხე-ახალქალაქის კომუნისტური ორგანიზაციის ბინას, სადაც ხელთ ვიგდეთ სამი დროშა, მოწმობათა დედნები და ბეჭედი. დავაპატიმრეთ 2 ქალი და ერთი კაცი. ირკვევა, რომ მზადდებოდა გამოსვლა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. გამოძიება სწარმოებს, დაწვრილებით მოხსენებაში“.[3]

მენშევიკები ჩვეული სიმკაცრით მოეპყრნენ ოზურგეთის მაზრას. აჯახყების ბევრი მონაწილე დააპატიმრეს ჩოხატაურში, რომელთაგან 48 კაცი საველე-სამხედრო სასამართლომ ოზურგეთში გაასამართლა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩოხატაურში დაპატიმრებული ბოლშევიკები ორჯერ გაასამართლეს. პირველად 12 კაცს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, ხოლო შემდეგ ნ. რამიშვილის დაჟინებული მოთხოვნით ხელმეორედ შედგა სასამართლო და რვა ბოლშევიკს დახვრეტა გადაუწყვიტეს. დანარჩენებს — სხვადასხვა ვადით კატორღა და ციხე. ქ. ოზურგეთის მახლობლად მერია-ვაშნარის მიდამოებში (ბაძგნარაში) გვარდიელებმა ს. მათითაიშვილის მეთაურობით დახვრიტეს ჩოხატაურელი ბოლშევიკები: ავქსენტი ახალაძე, თეოფილე თოდრაძე, ბენია ბერიძე, პართენ მამალაძე და ტარასი მინდაძე.

---

[1] სოციალისტ. მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1415, ფურც. 311.

[2] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წლის 12 ნოემბერი.

[3] გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 11 ნოემბერი.

იმავე საშხედრო-საველე სასამართლომ ყოველგვარი წინასწარი გაძიების გარეშე სამასამდე გლეხი გაასამართლა ლანჩხუთში, რომელთაგან ზოგი ადმინისტრაციული წესით ციხეში გაგზავნეს, ზოგს სხვადასხვა ვადით კატორღა მიუსაჯეს, ხოლო 12 კაცს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა (მათგან ერთ-ერთი — ჯორბენაძე იმავე ღამეს ციხეში გადაყვანისას გაიქცა. სამი — სარჯველაძე, კილაძე და კერესელიძე დახვრიტეს, მ. სირაძემ და ს. ადეიშვილმა ფეხებშეკრულებმა მოახერხეს გაქცევა, ხოლო ექვსს დახვრეტა კატორღით შეუცვალეს).

გურული ბოლშევიკების დახვრეტიდან ერთი წლის თავზე ბოლშევიკური გაზეთი „ახალი კომუნისტი" წერდა: „ისინი იყვნენ კომუნისტური რევოლუციის პირველი მერცხლები გურიაში... ჯალათები ანგარიშში მოტყუვდნენ. ისინი ლამობდნენ კომუნისტების წამებით და ცოფმორეული ტერორით კომუნიზმი ერთბაშად აღმოეფხვრათ გურიაში. მოხდა პირიქით, ნოემბრის დღეებიდან კომუნისტურმა იღეებმა უფრო ღრმად და მკვიდრად გაიდგეს ფესვები მშრომელი გურიის ფართო მასაში. და ეს გამალებით გვაახლოებს ჩვენს საბოლოო გამარჯვებასთან.

აი, რა ნაყოფი მოგვიტანეს ჩვენ წამებულებმა და ამისათვის ღირდა სიკვდილი, ღირდა წამებაც"...[1]

ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ დუშეთის აჯანყებულ გლეხებს და მათ ხელმძღვანელ ბოლშევიკებს.

ბოლშევიკური გაზეთი „ერთობა" იტყობინებოდა, რომ „ბოლშევიკური გამოსვლის გამო დღემდის შეპყრობილია: 1) მიხეილ მელია, 2) სტეფანე ტაკაევი, 3) ვანო ეძგვერაძე, 4) ქიტო კარიაული, 5) ბაგრატ ვარსიმაშვილი, 6) ნიკა პეტრიაშვილი, 7) ტატო ბრაშული, 8) ნიკოლოზ ქენქაძე, 9) ივანე იორდანიშვილი, 10) შაქრო ბეჟანიშვილი, 11) ლექსო ლალიაშვილი და სხვები. პირველ 7 კაცს საგანგებო საშხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში. დანარჩენები კი ზოგი გასამართლებულია და ზოგიც გასასამართლებელი".[2]

დუშეთში ამ აჯანყების მონაწილე ბევრი ბოლშევიკი და უპარტიო გლეხი იქნა დაპატიმრებული. მათი ნაწილი თბილისის ციხეებში გადაგზავნეს, ხოლო ნაწილი ჯერ კიდევ დუშეთის ციხეში იჯდა და ელოდა გასამართლებას.

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წლის 11 ნოემბერი.

[2] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 10 დეკემბერი.

მენშევიკებმა ანგარიში გაუსწორეს აგრეთვე ლაგოდეხის მშრომელებს, რომლებმაც შეიარაღებული აჯანყება მოახდინეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. იქ დააპატიმრეს არა მარტო ბოლშევიკები, არამედ აჯანყების მონაწილე ბევრი უპარტიო გლეხიც. 1919 წლის 7 ნოემბერს გაზეთი „ერთობა" წერდა: „ამ დღეებში თბილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს ლაგოდეხში აჯანყების დროს დაჭერილი 30 კომუნისტი".[1]

მენშევიკების სასტიკ რეპრესიებს ვერ გადაურჩნენ თელავისა და სიღნაღის მშრომელებიც. იქაური ბოლშევიკების ერთი ნაწილი თბილისში გადაგზავნეს, ხოლო უმრავლესობა ადგილზე გაასამართლეს.

ბოლშევიკები სამაზრო ცენტრის დაპატიმრების შედეგად რაჭაში (ონის მაზრა) აჯანყება არ მომხდარა, მაგრამ დაპატიმრებებს იქაც ჰქონდა ადგილი როგორც აჯანყების წინა დღეებში, ასევე შემდეგაც.

სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ბოლშევიკებისა და მათ თანამგრძნობთა დაპატიმრება გრძელდებოდა აჯანყების შემდეგაც. 1919 წლის 27 ოქტომბერს სენაკის სამაზრო მილიციის უფროსი აბაშის რაიონში აპატიმრებს დ. გოჩოლეიშვილს, ფ. მაკალათიას, ვ. კაჭარავას, ა. ლაბარტყავას, პ. ნადარეიშვილს, ი. ტაკვარელიას, ბ. ხასაშვილს, გ. გოგიშვილს, ვ. ლიპარტიანს, მ. გრიგოლიას და მათ შესახებ შინაგან საქმეთა საქმინისტროს ატყობინებს: „მიღებული ცნობების თანახმად ისინი საფუძვლიან იქვებს იმსახურებენ. ითვლებიან აქტიურ ბოლშევიკებად, ბოლშევიკური მიმართულების აგიტაციას ეწევიან აბაშის რაიონის მოსახლეობაში და მოუწოდებენ მათ აჯანყების გზით არსებული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ და რომლებიც ამა წლის 24 ოქტომბრისათვის აჯანყების მოსაწყობად ემზადებოდნენ."[2]

ზუგდიდის მაზრაში აჯანყების წინა დღეებში და შემდეგ დაპატიმრებული ბოლშევიკების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა 1919 წლის 19 დეკემბერს განკარგულება გასცა: „ებრძანოს ზუგდიდის მაზრის კომისარს დაუყოვნებლივ საჭირო სიფრთხილით გადაიყვანოს ქუთაისის ციხეში ყველა პატიმარი კომუნისტი, რომლებიც ამჟამად ზუგდიდის ციხეში იმყოფებიან."[3]

სენაკის მაზრის მილიციის უფროსი ატყობინებდა ადმინისტრაცი-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 7 ნოემბერი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქ. 1434, ფურც. 13; საქმე 1415, ფურც. 301.

[3] ი ქ ვ ე, საქმე 311, ფურც. 139.

ის იხსპექტორის თანაშემწეს ქუთაისში, რომ აბაშის რაიონის სოფ. მარანში დაპატიმრებულია 24 ოქტომბრის აჯანყების 12 მონაწილე, რომლებიც მოთავსებულნი არიან სენაკის ციხეშიო.[1] როგორც დავინახეთ, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში აჯანყების ჩაშლის მიუხედავად, მშრომელმა გლეხობამ და მათმა მეთაურმა ბოლშევიკებმა მაინც მძიმე რეპრესიები განიცადეს.

ზოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ სასტიკი რეპრესიების გარეშე ვერ დარჩა ვერც ერთი მაზრა, რაიონი თუ სოფელი.

„საქართველოს ყველა საპყრობილე დაპატიმრებულებით აივსო. დაპატიმრებულთა, დახვრეტილთა და კატორღამისჯილთა საერთო რიცხვი 2 ათასამდე აღწევდა.“[2]

1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში მარცხით დამთავრდა.

შეიარაღებული აჯანყების დამარცხების მიზეზებიდან, ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თავბრუდახვევა წარმატებებისაგან, რასაც მაშინ ჰქონდა ადგილი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. იმ პერიოდში მენშევიკების დიქტატურით განაწამები საქართველოს მშრომელებისათვის შეიარაღებული აჯანყების იდეა იმდენად პოპულარული და მისაღები იყო, რომ აჯანყებისათვის მზადებაში დიდი ხალისით ჩაებნენ მშრომელთა ფართო ფენები, განსაკუთრებით საქართველოს გლეხობა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ რევოლუციურად განწყობილი მშრომელების მიერ იარაღის შეძენა თითქმის აშკარა ხასიათს იღებდა. ამიტომ არ შეიძლებოდა ეს გარემოება მხედველობიდან გამორჩენოდათ მენშევიკებისა და ინგლისის დაზვერვას. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მენშევიკები ფართოდ იყენებდნენ ძველი, მეფისდროინდელი დაზვერვის ყველაზე გაქნილ და გამოცდილ კადრებს.

მშრომელთა აქტივობის ზრდით წახალისებულმა არალეგალურმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თანდათან შეამცირეს კონსპირაციის დაცვის მოთხოვნა და ნაწილობრივ კიდეც უგულებელყვეს იგი. მან კიდევ უფრო გაუადვილა მუშაობა მტრის დაზვერვას. თბილისის ცენტრში, სასტუმრო „ავრორაში“, თითქმის აშკარად იკრიბებოდნენ როგორც

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 11, საქმე 1415, ფურც. 302.

[2] გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 243.

რკპ/ბ/ კავკასიის სამხარეო და თბილისის საგუბერნიო კომიტეტების წევრები, ასევე ინფორმაციისა და დირექტივების მისაღებად საქართველოს მაზრებიდან და რაიონებიდან ჩამოსული ხელმძღვანელი ბოლშევიკები, აგრეთვე სამხარეო ნაწილების ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. სწორედ აქ, ამ სასტუმროში, მოიწვიეს 22 ოქტომბერს დღისით თბილისის გარნიზონის საბჭოს სხდომა, რომელსაც საქართველოს "შეიარაღებული აჯანყების სამხედრო-რევოლუციური "შტაბის წევრებიც ესწრებოდნენ. აბა რა კონსპირაციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პატარა სასტუმროში დღისით-მზისით იწვევენ ასეთ დიდ თათბირს, რომელსაც 30-ზე მეტი ხელმძღვანელი ბოლშევიკი ესწრებოდა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ გეგმით გათვალისწინებული არ იყო ცენტრის ჩავარდნის შემთხვევაში მეორე, სათადარიგო ცენტრის არჩევა. ამიტომაც იყო, რომ ცენტრის დაპატიმრების შემდეგ აჯანყება ხელმძღვანელობის გარეშე აღმოჩნდა. როგორც მასალებიდან ჩანს, კოხსპირაციის არასაკმაო დაცვის პირობებში აჯანყების ცეხტრთან დაკავშირება და თბილისის გარნიზონის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში შეძრომა ადვილად შეძლო მენშევიკების დაზვერვის მიერ მოსყიდულმა პირმა, ვინმე ფიჩხაიამ. მსგავს მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მაზრასა და რაიონშიც.

საძეგრელოს რაიონების აჯანყების მთელი საიდუმლოება გასცა ვიღაც გარეწარმა ლაცუეგაიამ, რომელსაც ყოველად დაუმსახურებლად გამოუცხადეს ნდობა და აჯანყების სამხედრო-ტექნიკური შტაბის შემადგენლობაში "შეიყვანეს. ასევე მოხდა ფოთშიც, როცა აჯანყებისათვის მზადების ხელმძღვანელ შტაბში სრულიად შეუმოწმებლად შეიყვანეს ვინმე მარჩენკო.

ეს და სხვა ფაქტები მიუთითებენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისა და სამხედრო-ტექნიკური ცენტრების (შტატების) გადაჭარბებულ სითამამეზე, კონსპირაციის დაუცველობაზე, რაც საბედისწერო აღმოჩნდა 1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ყოველივე ამას უნდა დაემატოს ის საგარეო პირობებიც, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდნენ აჯანყების ბედზე. ცნობილია, რომ მაშინდელ პირობებში მარტო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაძარჯვება "შეუძლებელი იყო, თუ მას მხარში არ ამოუდგებოდნენ მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებიც. ცალ-ცალკე ამ რესპუბლიკების მშრომელების ყოველგვარ ცდას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ადვილად ჩაკლავდნენ ადგილობრივი

კონტრრევოლუციური მთავრობები, რომლებიც, ურთიერთმტრობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მაინც ერთიანდებოდნენ. სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ რესპუბლიკების კონტრრევოლუციურ მთავრობებს ეხმარებოდნენ და ზურგს უმაგრებდნენ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამას მოწმობს ინგლისელების დახმარება საქართველოს მენშევიკებისადმი აფხაზეთში აჯანყების ჩასაქრობად.

დაბოლოს, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება ისეთ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომ მოძმე საბჭოთა რუსეთი და მისი წითელი არმია უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში იყვნენ და არავითარი საშუალება არ გააჩნდათ შეიარაღებული ძალებით დახმარებოდნენ ამიერკავკასიის მშრომელებს. ყველა ეს მიზეზი განაპირობებდა აჯანყების დამარცხებას საქართველოში 1919 წელს.

ძართალია, 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში დამარცხდა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იქცა საქართველოს მუშებისა და გლეხების სამოქალაქო ომის სკოლად.

რამდენადაც საქართველოში 1919 წლის შეიარაღებული აჯანყების მთავარი ამოცანა იყო არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ღამყარება, არამედ წითელი არმიისათვის უშუალოდ დახმარების აღმოჩენა აჯახყების შედეგად, ამდენად 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ თავისი ამოცანა ნაწილობრივ შეასრულა.

აჯანყებამ ნათლად გამოამჟღავნა, რომ მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციურმა საქმიანობამ აავსო ხალხის მოთმინების ფიალა, რომ საქართველოს მშრომელები, განსაკუთრებით მშრომელი გლეხები, საბოლოოდ დაადგნენ მენშევიკთა დიქტატურის იარაღით დამხობის გზას.

აჯანყებამ გააცამტვერა მენშევიკთა მიერ შეთხზული მითი იმის შესახებ, თითქოს მენშევიკური „დემოკრატიული სამოთხის" წინააღმდეგ 1918 წელს მხოლოდ საქართველოს ჩამორჩენილი რაიონები ძოქმედებდნენ. 1919 წლის ნოემბერში გურიაში დატრიალებულმა ამბებმა ცხადყო, რომ არავითარი გამიჯვნა ე. წ. „ჩამორჩენილ" და „მოწინავე" რაიონებს შორის არ არსებობდა, რომ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ერთნაირი მებრძოლი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები.

1919 წლის შეიარაღებულმა აჯანყებამ საქართველოში დენიკინი-

აიძულა შიშით მოეხედა თავისი ზურგისაკენ და რამდენიმე პოლკი გადმოესროლა საქართველოს საზღვრებისაკენ ქართველი მენშევიკების დასახმარებლად, რაც, ბუნებრივია, გარკვეული დახმარება იყო დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლი გმირული წითელი არმიისათვის.

აჯანყებაში გამოვლინდა ორგანიზატორული როლი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, რომლებმაც, მენშევიკური მთავრობის სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, არალეგალური, იატაკქვეშა მუშაობის მძიმე პირობებში შეძლეს მაზრების, რაიონების, სოფლების მობილიზაცია, მშრომელი გლეხობის დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ საქართველოში ცხადყო, რომ მენშევიკური ხელისუფლების დამხობა, რომელიც თავის არსებობას მხოლოდ ინტერვენტთა ჯარების დახმარებითა და თავადაზნაურულ ავანტურისტთაგან შედგენილი გვარდიით ინარჩუნებდა, არ იყო შორეული მომავლის საქმე და კარგად ორგანიზებული გამოსვლის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

შეიარაღებული აჯანყება წარმოადგენდა მკაცრ გაკვეთილს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელისათვის. აჯანყების დამარცხების კონკრეტულ მიზეზთა გარკვევა, დაშვებული შეცდომების გამოსწორება ხელს შეუწყობდა პარტიას მომავალი აჯანყების უკეთ ორგანიზებაში.

დაბოლოს, 1919 წლის შეიარაღებულმა აჯანყებამ საქართველოში, მიუხედავად მენშევიკური ხელისუფლების სასტიკი დამსჯელი ღონისძიებებისა, არათუ შეამცირა საქართველოს მშრომელი მასების ბრძოლის წყურვილი, არათუ გატეხა მათი ნებისყოფა, არამედ, პირიქით, როგორც ფ. მახარაძე წერს, კიდევ უფრო გააკაჟა, განამტკიცა მებრძოლთა რიგები და მოამზადა ნიადაგი მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ გადამწყვეტი და საბოლოო შეტევისათვის.

თავი IV

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარება 1920 — 1921 წლებში და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

„...ბოლშევიკური მოძრაობა საქართველოში (იგულისხმება 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, ვ. ჯ.), — წერს ფ. მახარაძე, — მიუხედავად იმისა, რომ მას ხალხის ფართო მასაში ღრმა ნიადაგი ჰქონდა, კვლავ დამარცხდა. ამასთანავე, ორგანიზაციები დაინგრა, თითქმის ყველა აქტიური მომუშავე ან დახვრეტილი იყო ან სატუსაღოში იჯდა. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ხალხი გატყდებოდა და ქედს მოიხრიდა მტარვალების წინაშე, მაგრამ ეს არ მოხდა. მეხშევიკების სიმხეცემ და ჯალათობამ ხალხი, ერთის მხრივ, კიდევ უფრო აღაშფოთა და, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გააკაჟა, მას იმედი ჰქოხდა, რომ ახალი გამოსვლების დროს ის უსათუოდ გაიმარჯვებდა“.[1]

1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მშრომელთა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების წარუმატებლობის მიუხედავად, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა 1920 წლის დამდეგისათვის შეძლეს არალეგარული პარტიული აპარატის მთლიანად აღდგენა და არალეგალური მუშაობის ტექნიკის მოწყობა. ბოლშევიკური ორგანიზაციები კვლავ მზად იყვნენ საბრძოლველად და მათ ისევ დაიწყეს მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. სამხედრო კომიტეტმა დაამტკიცა სამხედრო შტაბის ახალი შემადგენლობა, რომელსაც უშუალოდ უნდა მოემზადებინა და ხელმძღვანელობა გაეწია შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1920 წლის იანვრის თვეში საქართველოში გაიმართა მთელი რიგი თათბირები, სადაც ირჩეოდა მომავალი აჯანყების ტექნიკური საკითხები. საქართველოს მაზრე-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921, თბ., 1927, გვ. 189.

ბში, რაიონებსა და სოფლებში იქმნებოდა მუშათა და გლეხთა შეიარაღებული რაზმები.

მენშევიკების რეპრესიების მიუხედავად, ბოლშევიკების დამრაზმველი მუშაობა თანდათან ფართოვდებოდა, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ძალები ყოველდღიურად იზრდებოდა. ბოლშევიკური უჯრედებისა და გლეხთა შეიარაღებული რაზმების ზრდამ დიდი გაქანება პოვა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გრანდიოზულ ძალად იქცა გორის, სიღნაღის, თელავის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, დუშეთის, შორაპნისა და სხვა მაზრებში; აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სამტრედიის, ხაშურის, სურამის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, აბაშის, ხონისა და სხვა რაიონებში. სუფსაში, სილაურში, ნაგომარში, ძველ სენაკში, ნოქალაქევში, ბანძაში. მარტვილში, სალხინოში, კულაშში, საჭილაოში, ჭაგანღანირსა და სხვა სოფლებში.[1]

გავარვარებულ ღველფს წააგავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რაიონები და სოფლები, რომლებიც ძირმომპალ მენშევიკურ ხელისუფლებას წალეკვას უქადდნენ.

საქართველოს მაზრების, რაიონებისა და სოფლების მშრომელი გლეხობის მოთმინების ფიალა ივსებოდა. გლეხები, რომელთაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ, მენშევიკური მთავრობის რეპრესიებს შეიარაღებული აჯანყებით პასუხობდნენ.

1920 წლის დასაწყისიდანვე ყველაზე დაძაბული მდგომარეობა სამხრეთ ოსეთში შეიქმნა. მენშევიკების სისხლიანი ბატონობის მთელ მანძილზე ოსი გლეხობა იარაღასხმული იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. 1918 წელს აჯანყებულმა გლეხებმა ხელთ იგდეს ცხინვალი და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მენშევიკებმა დიდი სამხედრო ძალების გამოყენებით ეს აჯანყება სისხლის მორევში ჩაახშვეს. 1919 წლის შემოდგომაზე რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ინიციატივით ოსეთში მოხდა გლეხთა აჯანყება. როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, მაგრამ მენშევიკებმა ამჟამადაც შეძლეს აჯანყების დამარცხება. ოსეთის გლეხთა შეიარაღებული რაზმების დიდი ნაწილი თოვლიანი უღელტეხილით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტი კვლავ მობილიზაციას უკეთებდა ძალებს ახალი, უფრო მასობრი-

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 136, საქმე 69, ფურც. 118—127.

ვი აჯანყებისათვის. შედგა გლეხთა ახალი რაზმები. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოვიდნენ 1919 წელს გადახვეწილი რევოლუციური რაზმები.

ჯერ კიდევ 1920 წლის იანვარში „ჩრდილო კავკასიის წითელი ჯარების ბიერ დაკავების მოლოდინში კავკასიის საოლქო კომიტეტი იმუშავებდა გეგმას საერთო აჯანყების მოწყობისათვის საერთოდ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში“.[1] ამასთან, გაითვალისწინა რა სამხრეთ ოსეთის, როგორც აქტიური რევოლუციური რაიონის, დიდი მნიშვნელობა, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1920 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით შექმნა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „მოეწყოს სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, დაინიშნონ რევკომის წევრებად ამხანაგები სერგო გაგლოევი, ალექსანდრე ჯატიევი, ვლადიმერ სანაკოევი“[2]. განსაზღვრავდა რა რევკომის ამოცანებს, სამხარეო კომიტეტი თავის დადგენილებაში წერდა: „ეაიშალოს ეროვნული საბჭო, გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება, დროებით მთელი ძალაუფლება განახორციელოს რევკომმა. დაუყოვნებლივ შედგეს შეიარაღებული რაზმი. დამყარდეს კავშირი ჩრდილოეთ ოსეთთან და გორის მაზრის სოფლებთან. მოძრაობის ცენტრად სასურველია იყოს ცხინვალი. რევკომის განკარგულებაში გადაეცეს 100 ათასი მანეთი“.[3]

სამხრეთ ოსეთის რევოლუციურმა კომიტეტმა 1920 წლის 6 მაისს გაერთიანებულ სხდომაზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წარმომადგენლებთან და ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად გადაწყვიტა გამოეცხადებინა საბჭოთა ხელისუფლება როკის რაიონში და ამის შესახებ ეცნობებინა მოსკოვისა და საქართველოსათვის. რევკომის დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო: ვემორჩილებით რა უმაღლესი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებას, აუცილებლად ვცნობთ გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება ჯერჯერობით როკის რაიონში, ჩავკეტოთ ხეობა. დავიცვათ თავი მშრომელი ხალხის მტრისაგან და შევუერთდეთ რსფს რესპუბლიკასო.[4]

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921. 1927, გვ. 206.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 552.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 553.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 562.

სამხრეთ ოსეთის რევკომის ამ დადგენილების შესაბამისად როკის რაიონში დაიწყო აჯანყება: დააპატიმრეს მენშევიკური მილიცია, კომისარი და როკში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებული როკის რაიონს მალე შეუერთდნენ ოსეთის სხვა რაიონები — კუდარის, ქემულეთის და ყორნისისა. აჯანყებულები მაისის დამლევამდე ეწეოდნენ თავდაცვით ოპერაციებს. როკის აჯანყების საკითხი განიხილა სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციის მეორე კონფერენციამ 1920 წლის 28 მაისს ვლადიკავკაზში, რომელშიც მონაწილეობდნენ რკპ/ბ/ ჩრდილო ოსეთის ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჩრდილო ოსეთის წითელი პარტიზანული რაზმი დაუყოვნებლივ მიშველებოდა სამხრეთ ოსეთის გლეხებს. რაზმი 1920 წლის 31 მაისს გამოვიდა ვლადიკავკაზიდან მათე სანაკოევის მეთაურობით. რაზმი სამ კოლონად უტევდა მენშევიკურ ჯარსა და გვარდიას: ერთი ხაწილი როკის უღელტეხილით, მეორე — ზეკარის უღელტეხილით და მესამე — მამისონის უღელტეხილით. როკისა და ზეკარის რაზმები ჯავაში შეერთდნენ და ენერგიულად შეუტიეს ცხინვალს, აჯანყებულებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ 7 ივნისს აიღეს ცხინვალი.

1920 წლის 8 ივნისს ცხინვალში გამართულ დიდ მიტინგზე სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. არჩეულ იქნა ახალი რევოლუციური კომიტეტი ვლადიმერ აბაევის ხელმძღვანელობით. რევოლუციურმა კომიტეტმა ამავე დღეს გამოუშვა ბრძანება. სადაც ნათქვამი იყო:

„აჯანყებულმა გლეხებმა სამხრეთ ოსეთიდან გააძევეს საქართველოს მენშევიკური ჯარები, ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე — ონიდან დუშეთამდე.

ხსენებულ ტერიტორიაზე მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს, რომლის ადგილსამყოფელი არის ქ. ცხინვალი.

ეცხობოს რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სამხრეთ ოსეთის ნება-სურვილი საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ“.[1]

მენშევიკური ჯარების დამარცხების შესახებ მენშევიკთა გენერალური შტაბის ოპერატიულ ცნობაში ნათქვამი იყო:

„თბილისი, 9 ივნისი. ცხინვალის მიმართულებით მოწინააღმდეგემ ისარგებლა თავისი სიმრავლით, 8 ივნისს შემოუარა ორივე ჩვენს

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 578 -- 579.

ფლანგს, რის გამოც ჩვენი ნაწილები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ცხინვალი".[1]

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ სამხრეთ ოსეთში ქართველ მენშევიკთა გააფთრება და გაბოროტება გამოიწვია. მენშევიკები ცდილობდნენ თავიანთ პრესაში სამხრეთ ოსეთის გლეხობის რევოლუციური გაძოსვლა დაესურათებინათ როგორც ბრბოს მძარცველური მოქმედება, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი პოლიტიკური ამოცანები, არც ეროვნული, არც სოციალური ლოზუნგები, თითქოს მათი ერთადერთი სურვილი საქართველოს გაძარცვა იყო.

„სამხრეთ-ოსეთში, — წერდა გაზეთი „ბორბა", — აჯანყებაა. რესპუბლიკას კვლავ უხდება შეიარაღებული ხელით დათრგუნოს ამბოხება, როკის უღელტეხილთან დაწყებული..."[2]

გაზეთი „ბორბა" 1920 წლის 12 ივნისის მოწინავეში წერდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ორი წლის განმავლობაში ეს მესამედაა, რომ მის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოდის ჯავის ხეობის მოსახლეობა, ჩამოსული მოთავეების წაქეზებით... ოსთა გამოსვლა ინიღბება საერთო კომუნისტური ლოზუნგებით, თითქოს იგი მიზნად ისახავს ჩამოაცილოს საქართველოს ოსებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი და შეუერთოს რუსეთს. ასეთია ამ აჯანყებათა გარეგნული სახე, არსებითად კი ეს გამოსვლები წმინდა წყლის მძარცველური გამოსვლებია".[3]

მენშევიკური პრესა გესლს ანთხევდა გლეხთა ბოლშევიკური გამოსვლის წინააღმდეგ და მოითხოვდა დაეთრგუნათ და სისხლში ჩაეხრჩოთ ოსი ხალხის რევოლუციური გამოსვლა: „დემოკრატიული საქართველო ვერ გაიხდის თავს ჯავის ხეობის მოსახლეობის შუასაუკუნეობრივი სიბნელის მსხვერპლად: ის მოვალეა... მთელი ძალებით, მთელი სიმტკიცით დაესხას თავს თავის ვანდეას და ალაგმოს იგი."[4]

მენშევიკებმა გადაჭრით მოსთხოვეს საქართველოს კომუნისტურ პარტიას კატეგორიულად გამიჯვნოდა ცხინვალის ამბებს და დაეგმო იგი. საქართველოს ბოლშევიკებმა კი, პირიქით, ამხილეს მენშევიკები, როგორც დიდმპყრობელი შოვინისტები. კომუნისტურმა პარტიამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის ამბებისადმი

---

[1] Газ. «Борьба», 10 июня 1920 г.

[2] Газ. «Борьба», 11 июня 1920 г.

[3] Газ. «Борьба», 12 июня 1920 г.

[4] იქვე.

და ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშრომელი ოსები არიან არა მძარცველები, როგორც მათ მენშევიკი ცილისმწამებლები უწოდებენ, არამედ მებრძოლნი პროლეტარული თავისუფლებისათვის, საბჭოთა დემოკრატიისათვის, ოს ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, ასეთი უფლება აქვს საერთოდ ყველა ხალხს, რაგინდ მცირერიცხოვანიც უნდა იყოს იგი. გაზ. „კომუნისტი“ წერდა: „თუ მართლა არსებობს ერთა თვითგამორკვევის უფლება, თუ მენშევიკებს არ ამოუშლიათ ეს უფლება თავის პროგრამიდან, იმათ არ აქვთ არავითარი საფუძველი ოსეთზე ძალადატანების გასამართლებლად. ამას მოითხოვს არა თუ სოციალიზმის, არამედ უბრალო დემოკრატიზმის პრინციპი“.[1]

„კომუნისტი“ სასტიკ პროტესტს აცხადებდა ქართველი მენშევიკების შოვინისტური პოლიტიკისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ უმაგალითო ძხეცობათა წინააღმდეგ და იძლეოდა გაფრთხილებას, რომ „მთელი პასუხისმგებლობა ამ ძმათა შორის სისხლის ღვრაში თავს დაატყდება საქართველოს მენშევიკების პარტიას“.[2]

ქართველი ბოლშევიკების ამ პასუხმა გააშმაგა მენშევიკები. ისინი გაჰკიოდხენ, რომ ოსების თვითგამორკვევის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩრდილო ოსეთში, სადაც ოსები მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენენ და არა სამხრეთ ოსეთში, სადაც ოსთა მხოლოდ მცირე ჯგუფიაო. გაზეთი „ერთობა“ თავის სტატიაში „კიდევ ოსეთზე“ 1920 წლის 15 ივნისს წერდა: „ბოლშევიკებმა ხმა ამოიღეს: მათ თქვეს თავის გულის ნადები, მაგრამ ისე, როგორც შეფერის მათ იდეურობას.

ისიხი წიხააღმდეგი არიან, რომ საქართველოს ჯარმა იარაღით გასცეს პასუხი აჯანყებულ ჯავის ხეობას. რათა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს აჯანყება თითონ მათ მოაწყვეს და მათი ლოზუნგების ქვეშ დააყენეს...

ერთა თვითგამორკვევის ამ დიადი იდეის სახელით ამართლებენ ბოლშევიკები ოსეთის მუხანათურ თავდასხმას.

ახლა ყველასათვის ცხადია, თუ რა მიზანს ემსახურება ტფილისელი „კომუნისტი“, როცა ჯავის ხეობაში უნდა შექმნას საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა...

თვითგამორკვევის უფლება დამოუკიდებლობამდე აქვთ ერებს, და არა ერთა მცირედ ხაშთებს, რომელნიც გადასახლებულან სხვა ეროვ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წლის 10 ივნისი.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წლის 12 ივნისი.

ნებელ ფარგლებში... ოსეთის თვითგამორკვევა ამ პრინციპის მიხედვით უნდა მოხდეს ე. წ. ჩრდილო ოსეთში, სადაც ოსთა 91 % ცხოვრობს და არა ჯავაში, სადაც სულ რამდენიმე სოფელია ოსის...“[1]

ძეხშევიკები, რომლებმაც ადამიანის სახე დაკარგეს, არაფერს თაკილობდნენ, მათ მოუწოდეს თავიანთ გვარდიას „გახურებული შანთით გასწორებოდნენ სამხრეთ ოსეთს“[2] ვითომდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, რომელიც, ისევე როგორც ოსი ხალხი, მენშევიკების უღელქვეშ გმინავდა.

ძეხშევიკური მთავრობის თავმჯდომარის — ნ. ჟორდანიას ბრძანებით, სამხრეთ ოსეთში გაიგზავნა ცხენოსანი პოლკი, მენშევიკური გვარდიის რვა ასეული, ორი სამთო საარტილერიო ბატარეა, თვითმფრინავები და სხვა. ოსი გლეხობის აჯანყების ჩახშობა დაევალა მენშევიკური გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს ვ. ჯუღელს.

ძეხშევიკების მიერ არნახული ჯვაროსნული ლაშქრობა სუსტად შეიარაღებული ოსი გლეხების წინააღმდეგ დაიწყო 1920 წლის 12 ივნისს. შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარტიზანული რაზმები, რომლებმაც მტრის რიცხობრივად უპირატესი ძალების დარტყმა განიცადეს, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ამასთან აჯანყებულები, დიდი ბრძოლის ფასად, საშუალებას აძლევდნენ მოსახლეობას გახიზნულიყო მთებში და იქიდან გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ქონებითა და პირუტყვით. მენშევიკები, ჯუღელის ბრძანების თანახმად, ხოცავდნენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, წვავდნენ სოფლებს, მიერეკებოდნენ პირუტყვს. ეს იყო საშინელი ანგარიშის გასწორება საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლებთან.

თავის ძიმართვაში „ქართველი ჯარის — მშობლიური კერის დამცველთა ძიმართ“ სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე წერდა: „არ დაინდოთ მოღალატენი. შხამიანი გველის წიწილები უნდა გაისრისოს. ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ბედნიერება... და მისი მთავრობის ურყევი გადაწყვეტილება, რომ რკინის ცოცხით გასწმინდოს და გაჰგაოს ღალატის ბუდეები და გაელვარებული შანთით მოსწვას ჩვენი ეროვნულ სხეულის ის დაჩირქებული ადგილები და მუწუკები, რომელნიც მთელ ორგანიზმს მოწამვლას და დაღუპვას უქადის“.[3]

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1920 წლის 15 ივნისი.

[2] გაზ. „ერთობა“. 1920 წლის 20 ივნისი.

[3] ი ქ ვ ე.

14 ივნისს „სახალხო გვარდიელებმა“ აიღეს და სასტიკად დაარბიეს ჯავის მშვიდობიანი მოსახლეობა.

1920 წლის 20 ივნისს ცხინვალში მენშევიკებმა დახვრიტეს 13 ოსი კომუნისტი: ვალიევი დანიელ ნიკოლოზის ძე სოფ. საბოლოკიდან, ვალიევი ნიკოლოზ არჩილის ძე სოფ. კორნისიდან, ცხოვრებოვი ნიკოლოზ ზურაბის ძე სოფ. წარბისიდან, კოტოლოვი ნიკოლოზ დავითის ძე სოფ. ურიადან, ჯიოევი ანდრია გაბიევის ძე სოფ. მორგიდან, ხოდოევი პაშკა დავითის ძე სოფ. გუდისიდან, გობოზოვი სოსოლევანის ძე სოფ. ელტურიდან, თედეევი ივანე რაჟდენის ძე სოფ. წარბისიდან, ცხოვრებოვი თოთრო დუსის ძე სოფ. გიხანთურიდან, ჯეროვანი ბუთუ გაბრიელის ძე სოფ. ბზავიდან, გაგლოევი რევაზ დავითის ძე სოფ. სნევიდან, გოგოლაევი საშა ნიკოლოზის ძე სოფ. სნეკიდან, კუმარიტოვი გიო ალექსანდრეს ძე სოფ. კოხტიდან.[1]

უთანასწორო ბრძოლა აჯანყებულ ნახევრად შეუიარაღებელ ოს გლეხებსა და იარაღში ჩამჯდარ მენშევიკურ ჯარებს შორის, რომელთა რიგებში დენიკინელი კაზაკებიც იბრძოდნენ, გაგრძელდა 23 ივნისამდე, როცა აჯანყებულთა უკანასკნელმა ჯგუფებმა, იგერიებდნენ რა მენშევიკურ ჯარების შეტევას, გადალახეს როკის უღელტეხილი და გადავიდნენ ჩრდილოეთ ოსეთში.

ვ. ჯუღელი ტრაბახობდა, რომ აჯანყებული ოსი გლეხები „სასტიკად დაისაჯნენ“ და რომ სამხრეთ ოსეთს „დიდხანს დარჩება მეხსიერებაში ეს ბედშავი ომი“.

სამხრეთ ოსეთში დატრიალებული ამბებისა და ოსი ხალხის მძიმე მდგომარეობის შესახებ რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის საოლქო რევკომმა აცნობეს ვ. ი. ლენინს და სთხოვეს დახმარება.

1920 წლის 18 ივნისს სამხრეთ ოსეთის რევკომმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს. დეპეშაში ნათქვამი იყო: „რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 23 მარტის ბრძანების თანახმად, რაც დადასტურდა იმავე კომიტეტის საგანგებო კურიერების მიერ (რომლებიც 6 მაისს ჩამოვიდნენ აჯანყებულთა ფრონტზე), რვა ივნისს სამხრეთ ოსეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. სამხრეთ ოსეთის კომუნის-

[1] ვ. აბაევი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იხ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1957, გვ. 305.

...ურ რაზმებს გამოელიათ ვაზნები. მათ ძალიან ცოტა ჰქონდათ ტყვიამფრქვევები, არც ერთი ქვემეხი არ მოეპოვებოდათ. აჯანყებულებს რომ საკმაოდ ჰქონოდათ ხსენებული მასალები, საქართველოს საზიზღარი მთავრობა სწრაფად იქნებოდა ლიკვიდირებული. მშრომელთა სამხრეთ ოსეთი ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდანვე აშკარა ბრძოლას აწარმოებს მენშევიკური საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. სამხრეთ ოსეთი არასოდეს შედიოდა მენშევიკური საქართველოს შემადგენლობაში და არც შედის, იგი თავს თვლის საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად.

მენშევიკების გამხეცებულმა ბანდებმა ჯუღელის ხელმძღვანელობით სულ ერთიანად გადაწვეს სოფლები ყორნისი, წუნარი, ტბეთი, ხეითი და ა. შ. სულ გადამწვარია 25 დიდი სოფელი, პატარა სოფლების ჩაუთვლელად. მცხოვრებლებს, დიდსა და პატარას, ელეტენ. ასეთია საქართველოს მთავრობის საზიზღარი ბრძანება. მშრომელთა სამხრეთ ოსეთი, რომელიც სულ ერთიანად სისხლისაგან იცლება უთანასწორო, მძიმე ბრძოლაში, გადამწყვეტ დახმარებას ელის“ [1].

დეპეშას ხელს აწერენ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე სანაკოევი, რევკომის წევრები ჯატიევი, გაგლოევი, პლიევი და კოზაევი.

1920 წლის 24 ივნისს სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა დეპეშით აცნობა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ვ. ი. ლენინს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ვ. ჩიჩერინს, რომ სამხრეთ ოსეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საქართველოს მენშევიკური მთავრობის გამხეცებული ბანდები ელეტენ ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის ტყეებში გაფანტულ ქალებსა და ბავშვებს, და რომ ამ მენშევიკურმა ტერორმა აიძულა ათასობით ოსი მშობლიური ადგილებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადახვეწილიყო. დეპეშაში ნათქვამი იყო: „კავკასიოხის მთავარი ქედით თერგის ოლქში გადასულ ლტოლვილთა რაოდენობა ოცი ათასზე მეტს აღწევს. მათი მდგომარეობა შემაძრწუნებელია. საბრალო, შიშველი და დამშეული მასა, რომელსაც არაფერი გააჩნია შრომას ჩვეული ხელის გარდა, დახმარებას საჭიროებს. ადგილობრივი ინიციატივა ამ მხრივ არასაკმარისია. გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას ლტოლვილთა მოსაწყობად და ზეგავლენის მოსახდენად საქართველოს სოციალ-შოვინისტურ მთავრობაზე. რათა მან

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 584.

"შეწყვიტოს სამხრეთ ოსეთის ღარიბი გლეხობის ჟლეტა".[1] დეპეშას ხელს აწერს რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სანაკოევი.

რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა მენშევიკების სამარცხვინო მოქმედება ოსი ხალხის მიმართ აცნობა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და სთხოვა მას დაენიშნა კომისია საქართველოს კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის გაუგონარ და უმაგალითო სისხლიან ბოროტმოქმედებათა ნათელსაყოფად. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი თავის 1920 წლის 8 ივლისის დეპეშაში კომინტერნის. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის — გ. ვ. ჩიჩერინის და გაზეთ „პრავდის" რედაქციის სახელზე წერდა:

„რევოლუციური სამხრეთ ოსეთის წითელ მეამბოხეთა სამხრეთ-დასავლეთის ჯგუფი 15000-ზე მეტ ქალთან და ბავშვთან ერთად თავს იცავს ეგროვის ტყეებში, სისხლიდან იცლება უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. სამხრეთ ოსეთის ყველა სოფელი, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, გადამწვარია. მოხუცები, ბავშვები და ქალები, ზოგიერთ სოფელში დარჩენილნი, ნაწილობრივ გაჟლეტილია, ნაწილობრივ ტყეებში იმალებიან, სადაც, ულუკმაპურონი მხოლოდ მცენარეულობით იკვებებიან. საქართველოს მთავრობა, რომელსაც ხელთა აქვს პრესა და რადიო, მთელს მსოფლიოში ავრცელებს უაღრესად ბოროტ პროვოკაციას, ამახინჯებს საქმის ნამდვილ ვითარებას. აჯანყებული სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის ნაწილია. ის არასოდეს შედიოდა და არც სურს შევიდეს შოვინისტურ. მენშევიკურ საქართველოს რესპუბლიკაში. რევოლუციური საბჭოთა სამხრეთ ოსეთი პროტესტს აცხადებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე რევოლუციური ღარიბი მოსახლეობის, უმწეო და შეუიარაღებელი მშვიდობიანი მცხოვრებლების — მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მიმართ ჩადენილი, ისტორიაში უმაგალითო მხეცობის წინააღმდეგ და მოითხოვს დაცვას და კომისიის გამოყოფას საქართველოს მთავრობის საშინელ მოქმედებათა ნათელსაყოფად."[2]

როგორც აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში გადახვეწილი სამხრეთ ოსეთის მშრომელები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. მართალია, იმ

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 581 — 582.

[2] Борьба за победу Советской власти в грузии, стр. 589—590.

დროს იქ უკვე არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ სოფლებში ჯერ კიდევ ბევრი იყო ბანდიტთა ჯგუფები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ლტოლვილებს, ძარცვავდნენ და ართმევდნენ მათ ქონებასა და პირუტყვს. გაჩნდა საშინელი სნეულებანი — ტიფი, ხოლერა, რომლებიც მუსრს ავლებდა ლტოლვილებს. ადგილობრივი მოსახლეობა და საბჭოთა ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში, ლტოლვილთა კომიტეტების მეშვეობით ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ მათ. ლტოლვილებს დიდი დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, პირადად ვ. ი. ლენინის მითითებით, ლტოლვილებს მოსკოვიდან გამოუგზავნეს ფული, რამდენიმე ვაგონი სურსათი და ტანსაცმელი, გარდა ამისა, გამოუყვეს დასასახლებელი მიწები დიდი და მცირე ყაბარდოს რაიონში.

მენშევიკების მიერ 1920 წელს განხორციელებული სისხლიანი დარბევის შედეგად სამხრეთ ოსეთში მოკლულ იქნა და ჩრდილოეთისაკენ უკან დახევის დროს დაიღუპა 5279 კაცი, გადაიწვა 25-ზე მეტი დიდი სოფელი — სულ 4227 ნაგებობა, მათგან 1588 საცხოვრებელი და 2639 სამეურნეო. განადგურდა დაახლოებით 23 600 ჰექტარი ნათესი, დაიღუპა 32 460 სული მსხვილფეხა რქოსანი და 78 485 სული წვრილფეხა საქონელი.[1]

„ძირიგად, მენშევიკების მხეცობის შედეგად მოხდა სამხრეთ ოსეთის მეურნეობის ეკონომიური საფუძვლის მოშლა, ქვეყანამ დაკარგა ყველა ძირითადი პირობა თავისი შემდგომი არსებობისათვის — ტერიტორია, სახლ-კარი, საქონელი, განიცადა აურაცხელი ტანჯვა".[2]

ქართველმა მენშევიკებმა 1920 წელს ცეცხლითა და მახვილით გაიარეს სამხრეთ ოსეთი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოსმა გლეხებმა არ დაკარგეს იარაღი, შემდგომში კიდევ უფრო მეტი გაბედულებით, სიმტკიცითა და შეუპოვრობით განაგრძობდნენ გმირულ რევოლუციურ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე, სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ გრანდიოზულ რევოლუციურ გამოსვლას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მოხდა სამხრეთ

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში, გვ. 196.

[2] ვ. აბაევი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იხ. სოციალისტური რევოლუც. გამარჯვება საქართველოში, თბ., 1957, გვ. 205.

ოსეთში 1920 წელს, საქართველოს სხვა მაზრებში, რაიონებსა და სოფლებში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მშრომელი გლეხობა მუშათა კლასთან ერთად დიდი რევოლუციური შემართებით იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, საქართველოს მშრომელი გლეხობა ირაზმებოდა და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

1918—1919 წლებში განცდილი მარცხის მიუხედავად, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აფხაზეთის მშრომელებს.

1920 წლის დამდეგისათვის აფხაზეთის ყველა მაზრაში არსებობდა სამაზრო და რაიონული კომიტეტები, სოფლებში კი — ბოლშევიკური უჯრედები, რომელთაც ჰყავდათ გლეხთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები.

1920 წელს საქართველოსა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ აფხაზეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ლეგალურად არსებობის უფლება მიეცა. სოხუმის კომიტეტი გადაკეთდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სოხუმის საოლქო კომიტეტად, რომელმაც ჩაატარა ენერგიული მუშაობა წევრების ხელახალი რეგისტრაციისათვის, თავისი რიგების განმტკიცებისა და პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის. მან მშრომელთა ფართო მასებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მასობრივი პროპაგანდა გააჩაღა. მთელი ამ მუშაობის შედეგად მალე მარტოოდენ გუდაუთის რაიონში იყო 8 სასოფლო ბოლშევიკური უჯრედი და გლეხთა („კერაზი") 14 მებრძოლი რაზმი, რომელშიც 560 კაცი შედიოდა. გლეხთა მებრძოლი რაზმები ყალიბდებოდა სამურზაყანოს მაზრაში (ახლანდელი გალის რაიონი). ბოლშევიკების საქმიანობა ფართოდ გაჩაღდა გაგრის რაიონშიც, სადაც ისინი, მენშევიკურ ხელისუფალთა ოფიციალური ცნობით, მთავარ მიზნად ისახავდნენ „შეიარაღებული რაზმებისა და აჯანყების მოწყობას".[1]

გაგრის სამაზრო კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სხვა სამაზრო კომიტეტებთან, პირველ რიგში გუდაუთისა და სოჭის რაიონების სამაზრო კომიტეტებთან.

1920 წლის 9—10 ივნისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკა-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 357, საქმე 30, ფურც. 19—24.

ᲡᲘᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲡᲝᲤ. ᲛᲣᲒᲣᲫᲘᲠᲮᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ. ᲐᲛ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲒᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ. ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲜᲔᲜ Ა. ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ Ⲙ. ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲚᲐᲓ.[1]

ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ, ᲡᲐᲛᲣᲠᲬᲐᲧᲐᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲛᲘᲡᲢᲐᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ. ᲐᲥ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲡᲝᲤᲚᲔᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲔᲬᲔᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲐᲡᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲘᲓᲔᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲛᲬᲔᲝᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲐᲩᲦᲔᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. 1920 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ (Ბ) ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲡᲣᲚᲐᲥᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ, 1920 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ 20 ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲚᲔ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲔᲨᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲝᲣᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲮᲕᲠᲔᲢᲓᲜᲔᲜ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ. ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲮᲨᲝᲑᲐᲓ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. 1920 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲝᲥᲕᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ. ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲓᲜᲔᲜ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲒᲣᲛᲘᲡᲢᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲝᲑᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲐᲠᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲘᲧᲝ: ᲒᲣᲛᲘᲡᲢᲐᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ. „ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ

---

[1] ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ), ᲤᲝᲜᲓᲘ 357, ᲡᲐᲥᲛᲔ 31, ᲤᲣᲠᲪ. 9—10.

ნაკვეთებიდან დაწესებული ღალა გაიღონ და ნებაყოფლობით გადაიხადონ სახელმწიფო გადასახადები“.[1]

აფხაზეთის ბოლშევიკები საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ერთი წუთითაც არ ასუსტებდნენ არალეგარულ მზადებას ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. აფხაზეთის ყველა მაზრაში, რაიონსა თუ სოფელში 1920 წლის შემოდგომისათვის შექმნეს გლეხთა მებრძოლი პარტიზანული რაზმები. მაგალითად, 30 კილომეტრზე სოხუმიდან მოქმედებდა 400 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც ჰქონდა 6 ტყვიამფრქვევი. პარტიზანული რაზმები სარგებლობდნენ მშრომელი მოსახლეობის სრული მხარდაჭერით. პარტიული ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწეოდა იმ ჯარის ნაწილების ჯარისკაცთა შორის, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ აფხაზეთში. ჯარისკაცთა უმრავლესობა მზად იყო ყველა მშრომელთან ერთად იარაღით ხელში გამოსულიყო მენშევიკური ხელისუფლებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ.

აფხაზეთის მშრომელების მხარდამხარ 1920 წელს საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიდი რევოლუციური შემართებით იბრძოდა აჭარის მშრომელი მოსახლეობა.

„მდგომარეობა აჭარაში რამდენადმე სხვანაირი იყო, ვიდრე ოსეთსა და აფხაზეთში. აქ მენშევიკები ბატონ-პატრონები გახდნენ მხოლოდ 1920 წლის მეორე ნახევრიდან. ამ დრომდე აჭარა დაკავებული ჰქონდა უცხოელ ინტერვენტებს — პირველად თურქ, შემდეგ ინგლისელ ოკუპანტებს“.[2] სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ როდესაც 1918—1919 წლებში მთელი საქართველო რევოლუციის ქარ-ცეცხლში იყო გახვეული, აჭარა დუმდა. „რა თქმა უნდა,—წერს ფ. მახარაძე —ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების დროს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება შეუძლებელი იყო“.[3] მაგრამ ჯერ კიდევ ოკუპანტების ბატონობის მძიმე პირობებში ბოლშევიკები ენერგიულ მუშაობას აწარმოებდნენ ქალაქის მუშებსა და აჭარის გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით ფართოდ მიმართავდნენ სააგიტაციო მუშაობას. მუშათა კოოპერატივების წარმომადგენლებს

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფონდი 24, საქმე 602, ფურც. 2—4.

[2] გ. ხ ა ჭ ა პ ო რ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 302.

[3] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921, გვ. 204.

გზავნიდნენ აჭარის შორეულ სოფლებში. მუშათა წარმომადგენლებს სოფლებში მიჰქონდათ ქალაქის ნაწარმი და ცვლიდნენ მას პროდუქტებზე. პროდუქტ-გაცვლის დროს მუშა-აგიტატორები ესაუბრებოდნენ გლეხობას მათ შორის კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე, საბჭოთა ქვეყნის წარმატებებზე. განუმარტავდნენ, თუ როგორ ცდილობენ იმპერიალისტები და კონტრრევოლუციონერები აჭარის ექსპლოატაციის გაძლიერებას და ამ მიზნით კავშირის გაწყვეტას ქალაქის მუშებსა და სოფლის გლეხობას შორის. მუშა აგიტატორები გლეხობას მოუწოდებდნენ დარაზმულიყვნენ ბოლშევიკების გარშემო. ბოლშევიკური იდეების პროპაგანდამ აჭარის შორეულ სოფლებშიც გააღვივა რევოლუციური ნაპერწკალი, არაერთ გლეხს გაუფანტა რელიგიური ფანატიზმი და ისინი სოფლის პარაზიტების (ბეგი, მოლა და სხვ.) წინააღმდეგ აამხედრა.

აჭარიდან გამოგზავნილ წერილში, რომელიც გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა, კორესპონდენტი იტყობინებოდა: „ართვინში პარტიული მუშაობა ამ 6-7 თვის წინათ დაიწყო. ქალაქის მცირერიცხოვანი მუშები დაღარიბებულ მოსახლეობა მწვავე ეკონომიური კრიზისისა და ალბანელთებელი პოლიტიკური პირობების გავლენის გამო მეტად უკმაყოფილონი იყვნენ არსებული მდგომარეობით და სიამოვნებით ეწერებოდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის რიგებში. თურქი მემამულეების, კულაკებისა და ადმინისტრაციის ველური თვითნებობის უღლით განაწამები ქალაქის მიდამოებში მცხოვრები თურქი გლეხობაც კი სიამოვნებით ყურს უგდებდა ჩვენს აგიტატორებს და სოფლებშიც გაჩნდა კომუნისტური ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, თურქი პარტიული მუშაკები არ მოგვეპოვება, ჩვენმა მუშაობამ ამ მოკლე ხანში მაინც საკმაოდ წინ წაიწია, და ბოლშევიზმი ისეთ მოვლენად გადაიქცა, რომელიც მეტად აინტერესებს ხალხის ფართო მასებს. ადგილობრივი მემამულეები და კულაკები ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდნენ და უკიდურესად გააფთრებული პროვოკაცია გააჩაღეს" [1].

აჭარის გლეხობამ რამდენჯერმე გაუწია წინააღმდეგობა მენშევიკების ცდებს — ხელში ჩაეგდოთ აჭარის ცალკეული რაიონები. ასე მაგალითად, 1920 წლის დამდეგს, როდესაც მენშევიკები შეეცადნენ გადაელახათ გოდერძის უღელტეხილი და ხულოს რაიონი დაეკავებინათ, აჭარელმა გლეხებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მენშევიკურ რაზ-

[1] გაზ. „კომუნისტი", 1920 წლის 1 ივლისი.

მებს. მენშევიკთა რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი მოკლეს, რაზმი კი განაიარაღეს.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გამარჯვებათა და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების გამო ინგლისელი ოკუპანტები იძულებული გახდნენ 1920 წლის ივლისში დაეტოვებინათ ბათუმი. წასვლის წინ ინგლისელებმა ბათუმის გამაგრებული ფორტები აააფეთქეს და გააფუჭეს ქვემეხები. ინგლისელების წასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 8 ივლისს, აჭარაში მენშევიკური საქართველოს ჯარები შევიდნენ.

მენშევიკები მათთვის ჩვეული დემაგოგიით ამ ამბავს საყოველთაო ეროვნულ დღესასწაულად ხატავდნენ, მას უწოდებდნენ „მშობლების შეხვედრას შვილებთან". მაგრამ აჭარაში მენშევიკთა მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ აქ სამხედრო წესები გამოცხადდა და გენერალ-გუბერნატორად მენშევიკი ბ. ჩხიკვიშვილი დაინიშნა. დაპირებული ავტონომიის ნაცვლად აჭარაში, ისევე როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, „დაიწყო განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი მართვა-გამგეობისა და ანგარიშის გასწორების პერიოდი. „უცხოელებისა" და მავნე ელემენტების სახით ოლქის საზღვრებიდან განდევნილ იქნენ მენშევიკი სატრაპებისათვის არასასიამოვნო პირები, მთელი ქონების ჩამორთმევით... აზუსტუნდა მათრანები, სხვადასხვა მხრისკენ დაიძრნენ დამსჯელი ექსპედიციები".[1]

აჭარის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა თავისი სისასტიკით და ადმინისტრაციული თვითნებობით მთელი მშრომელი მოსახლეობის ისეთი სიძულვილი დაიმსახურა, რომ მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა უკან გაეწვია იგი. მის მაგივრად დაინიშნა ყოფილი სამხედრო მინისტრი გიორგაძე, რომელიც ცნობილი იყო მით, რომ ბარბაროსული ღონისძიებებით ჩაახშო მშრომელი გლეხების აჯანყებები.

ერთი სატრაპის მეორით შეცვლა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა პოლიტიკური კურსის შეცვლას აჭარის მიმართ.

მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჭარელი გლეხობა მუშათა კლასთან ერთად აჩაღებდა პარტიზანულ ბრძოლას, თავს ესხმოდნენ მთავრობის საშხედრო რაზმებს, ანადგურებდნენ მენშევიკების მილიციას და სხვ.

ამგვარად, მენშევიკებმა აჭარის მშრომელებს კისერზე დაადგეს სისხლიანი ბატონობის უღელი. ისინი დევნიდნენ მშრომელთა ინტერესების

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1920 წლის 20 ივლისი.

ჭეშმარიტ დამცველებს — ბოლშევიკებს. ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მემამულეებსა და ვაჭრებს—ეყვლიფათ მშრომელი ხალხი. ცხადია. აჭარელ გლეხთა მოთმინების ფიალა ივსებოდა. აჭარა მენშევიკური ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ სახიფათო უბანს წარმოადგენდა, სადაც ყოველდღე მოსალოდნელი იყო აფეთქება.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა და რბევა-აწიოკებისა, რაც განიცადეს სამეგრელოს მშრომელებმა და მისმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა 1918—1919 წლებში, 1920 წლის დასაწყისშივე სამეგრელოში (სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში) ახალი ძალით გაიშალა მზადება რევოლუციური გზით მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად. სენაკისა და ზუგდიდის მაზრების ყველა რაიონსა და სოფელში იქმნებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომელთა საქმიანობას ბოლშევიკები წარმართავდნენ. 1920 წელს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას სამეგრელოში ცნობილი რევოლუციონერი ვანი სტურუა ხელმძღვანელობდა. განზრახული იყო აჯანყების მოწყობა წითელი არმიის ნაწილების საქართველოს საზღვრებთან მოახლოებასთან დაკავშირებით.

1920 წლის პირველ მაისს სოფ. ნოქალაქევში (სენაკის მაზრა) ჩატარდა ბოლშევიკური ორგანიზაციების სამაზრო კრება. კრებას ესწრებოდნენ ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. კრების ძირითადი საკითხი იყო აჯანყების მოწყობა სამეგრელოში წითელი არმიის ნაწილების საქართველოს საზღვრებთან მოახლოებასთან დაკავშირებით. კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი გლეხთა შეიარაღებული რაზმების შესაქმნელად.

სენაკისა და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტების თავდადებული მუშაობით არალეგარულად ყალიბდებოდა შეიარაღებული გლეხთა რაზმები. 1920 წლის 20 ნოემბერს სამეგრელოში აჯანყებისათვის მზადება თითქმის დასრულებული იყო.

ზუგდიდის მაზრაში გლეხთა შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბების საქმეში დიდ როლს თამაშობდა გრიგოლ როგავა, რომელიც ბოლშევიკების ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ზუგდიდის რაიონში ალექსანდრე თოლორაიას ხელმძღვანელობით გამოსვლისათვის მზად იყო 150 შეირაღებული კაცი, წალენჯიხის რაიონში—ი. კვარცხელიას ხელმძღვანელობით 350 კაცი, ჩხოროწყუ-ნარაზენის რაიონში ვასილ ქვარაიას მეთაურობით 200 კაცი, ხობის რაიონში — ვასო ბუკიას მეთაურობით 200 კაცი, დარჩელ-ორულ-ერგეტის რაიონ-

ში თავმოყრილი იყო რაზმი 300 კაცის შემადგენლობით. ზუგდიდის მაზრაში აჯანყებისათვის მზად იყო დაახლოებით 1800 რაზმელი. გლეხთა რაზმები მხოლოდ სიგნალს ელოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ გამოსვლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მსგავსად 1919 წლისა, გურია 1920 წელსაც ბობოქრობდა და წალეკვით ემუქრებოდა მენშევიკურ ხელისუფლებას. თუ 1918 წელს გურია დუმდა, რითაც ამაყობდნენ კიდეც მენშევიკები, 1919 წელს გურიაში ისეთი რევოლუციური ხანძარი დაინთო, რომ დაბადების დღე აწყევლინა მენშევიკებს.

როგორც უკვე აღინიშნა ოზურგეთის მაზრამ 1919 წლის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ დიდი დანაკლისი განიცადა. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, 1920 წლის დამდეგიდანვე ოზურგეთის მაზრის ბოლშევიკები შეუდგნენ სამზადისს შეიარაღებული აჯანყებისათვის. გურიის ყველა რაიონსა და სოფელში იქმნებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც ბოლშევიკები მეთაურობდნენ.

როგორც საერთოდ მთელ საქართველოში, ასევე გურიაში ბოლშევიკები ფართოდ იყენებდნენ 1905—1907 წლების რევოლუციისა და განსაკუთრებით რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მდიდარ გამოცდილებას.

1920 წლის შემოდგომისათვის გურია თითქმის მზად იყო რევოლუციური გამოსვლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. გლეხთა შეიარაღებული რაზმები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შექმნილი იყო: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, სუფსაში, სილაურში, ჯუმათში, ხიდისთავში, ასკანაში, ნაგომარში, ნატანებში, გურიანთაში, კონჭკათში, ჩიბათში, ამაღლებაში, ჯვარცმაში, ბუკისციხეში, იანეულში, ერკეთსა და სხვ. ბობოქრობდა გურიის პატარა სოფელი ნასაკირალი, რომელსაც 1905 წლის ეხი ჯერ კიდევ შერჩენოდა და გავარვარებულ ღველფს წააგავდა. გურიაში 1920 წლის ბოლოსათვის შეიარაღებული იყო 2000-მდე რაზმელი, რომელიც სიგნალს ელოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

ისე როგორც 1918—1919 წლებში, 1920 წელსაც რევოლუციური შემართებით ირაზმებოდა იმერეთის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. იმერეთის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში ახლაც შორაპნის მაზრის გლეხობა იდგა.

მიუხედავად 1918 წლის საჩხერის ტრაგედიისა, სადაც მენშევიკმა ჯალათებმა არნახული ბარბაროსობა ჩაიდინეს, 1920 წლის დამდეგიდან-

ვე შორაპნის მაზრის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გამოაცოცხლეს მუშაობა. მაზრის რაიონებში დაიწყეს ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენა და გლეხთა შეიარაღებული რაზმების შედგენა. შორაპნის მაზრის ბოლშევიკები მენშევიკური მთავრობის რეპრესიებით დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ და იატაკქვეშ მუშაობდნენ.

1920 წლისათვის შორაპნის მაზრა, ისე როგორც იმერეთის სხვა მაზრების რაიონები და სოფლები, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რაიონებსა და სოფლებში მშრომელთა სიღატაკემ და შიმშილმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ყოველივე ეს რაზმავდა მშრომელ გლეხობას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მენშევიკური მთავრობა უმტკიცებდა ხალხს, რომ ჩვენი გლეხობა ასლა გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ოდესმეო. გაზეთი „ერთობა“ ათავსებდა კორესპოდენციებს გლეხთა „საამური ცხოვრების“ შესახებ, მაგრამ სინამდვილეში გლეხობა უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა.

გაზეთ „ახალ კომუნისტში“ სათაურით — „შორაპნის მაზრის გლეხი ბიუის წერილი“ ვკითხულობთ: „შიმშილობა ძალიანია, დიდ უმრავლესობას საშუალება არა აქვს რამე რომ იყიდოს... გაზეთი „ერთობა“ გვიმტკიცებს, რომ ფული გლეხობის ხელში არისო, მე კი ვიტყოდი, რომ არც მთავრობას და არც გაზეთს არაფერი ცოდნია გლეხების ცხოვრების და მდგომარეობისა, ანდა აშკარად ატყუილებს მშრომელ ხალხს. მე კი ვურჩევდი „ერთობას“ და კამპანიას, წამოვიდნენ და გაეცნონ გლეხობის მდგომარეობას და ცხოვრებას, თუ რა გაჭირვებაში არიან ისინი. სანამ სიმინდი მოვიდოდეს... თუმცა სიმინდი და ყურძენი 2-3 თვე ყოფნის გლეხს, მერე მშიერია. თუ ამ ორი თვის პერიოდში ჩამოვლენ და მაჭარს და ცხელ მჭადს მიირთმევენ, ზედ ქათამს მიაყოლებენ და შემდეგ დაბრუნდებიან თბილისში და დაწერენ ჩვენი გლეხობა „სამოთხეში“ ცხოვრობსო... სიტიტვლეზე ზედმეტია ლაპარაკი, დახეული ტანსაცმელი, ზოგს ესეც არა აქვს, ზაფხულში არა უშავს კიდევ, მაგრამ ზამთარში რა ქნას მთლად შიშველმა გლეხმა. ასეთია ჩვენი სოფელი, ვაუბატონებო“.[1]

მენშევიკურმა მთავრობამ უფსკრულის პირას მიიყვანა საქართველო. ისინი გამოსავალს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მოტყუებაში, დაშინებაში, დაპატიმრებასა და ცემა-ტყეპაში ხედავდნენ. ამას მოწმობს გლეხის წერილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისადმი: „...ნიკოლოზის დროს უფრო გვაქცევდნენ ყურადღებას, ვინემ დღეს, შიმშილი სიკვდი-

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წლის 10 აგვისტო.

ლის ცელით თავზე გვადგია. გაცრუვდა იმედი, დაპირებანი. მიწებს სანახევროდ ვთესავთ, გადასახადები, ბაჟი, შიმშილი, ციხე, მათრახი. თავისუფალი სპეკულაცია და ხრიკები. ეს ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით და უწინდებურად აღარ მოვტყუვდებით...

ამხანაგებო (და (მუშებო) ძმებო, ჩემსავით ტაფაში დამწვარნო, სოფლის მშიერნო მუშებო!... გამოერკვიეთ, რომ ჩვენი ბედი ჩვენვე უნდა გავეჭედოთ, შეიგენით და შევუერთოთ ჩვენი ხმა ჩვენსავე ტანჯულთა ხმათა გრიალს, შემოკრებდით ნამდვილ ჩაგრულთა დამცველ დროშის ქვეშ, რომელიც მარჯვე კომუნისტურ ხელს უპყრია და ბრწყინვალე გამარჯვებას გვიქადის“ [1].

„...ქ. ზესტაფონის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირის მომატების შესახებ თითქოს ჩვენზედაც უნდა გავრცელებულიყო; მაგრამ ჯერჯერობით არაფერია... ფუთი სიმინდი ზესტაფონის ბაზარზე 1400 მანეთია და არც იშოვება. ფასები კი ყოველდღიურად იწევა მაღლა და მაღლა...

ჭიათურის სურსათის კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია... ხალხი ითხოვს შველას, მაგრამ პატრონი არაა...“ [2].

ასეთ აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი ხალხი მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც თვითონ მოტყუებული და გაძარცვული დარჩა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან.

ელოდნენ ჭიათურელი მუშები, რომლებიც აუტანელ მდგომარეობაში იყოფებოდნენ. იქმნებოდა მუშათა შეიარაღებული რაზმები და ჭიათურელები გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ბუნებრივია, მენშევიკებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ჭიათურის ამბები. მენშევიკურმა ორგანიზაციამ საჩქაროდ მოიწვია სხდომა, სადაც ასეთი დადგენილება გამოიტანეს: „დაევალოს მილიციის უფროსს ქვარიანს ჭიათურის მუშების დაფრთხობა და შეშინება, რის შემდეგ ადვილად დავარბევთ კომუნისტების ბიუროს, ამიტომ დაჭერილი იქნება მუშებში ცნობილი ბოლშევიკები... 28 ივლისს, ქვარიანმა ღამით გააჩაღა ნადირობა კომუნისტებზე. დაატყვევა გ. ვაშაძე, ალ. კოტრიკაძე, ს. ჭეიშვილი, გ. ბოდოკია და სხვები,... რომლებსაც ქვარიანმა წინასწარ წაუყენა შემუშავებული ბრალდება: აჯანყების მოწყობა, იარაღის დარიგება, აგიტაციის გაწევა და სხვ...“ [3].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წლის 20 ივლისი.

[2] ი ქ ვ ე.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წლის 1 აგვისტო.

მენშევიკები, როგორც აღვნიშნეთ, თვალთმაქცობდნენ, საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების პირობებს არ იცავდნენ, იჭერდნენ კომუნისტებს და კომუნისტური გაზეთების მკითხველებსაც, ციხეებში ამწყვდევდნენ სამაზრო კომიტეტების მთელ შემადგენლობას. ციხის საკანი, ტერორი და საველე სასამართლო — აი, რა იყო მენშევიკების იმედი.

შორაპნის რაზმის თითქმის ყველა რაიონში, ისევე როგორც მთელ იმერეთში, ბოლშევიკები ეწეოდნენ ცხოველ სამზადისს შეიარაღებული აჯანყებისათვის: ქმნიდნენ საბრძოლო რაზმებს, იძენდნენ იარაღს. ამასთან, ამხელდნენ მენშევიკური ხელისუფლების სრულ გაკოტრებას, შინაგან გახრწნას. მშრომელი გლეხობა მოუთმენლად ელოდა ბრძოლის დაწყების ნიშანს.

სამტრედიასა და ხონის რაიონებში, აგრეთვე რაჭასა და ლეჩხუმში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით იქმნებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომლებშიც 1920 წლის დასასრულისათვის გაერთიანებული იყო 950 კაცი.

დიდი სამზადისი მიმდინარეობდა დუშეთის მაზრაში. დუშეთის მაზრის სახელოვანი გლეხობა, რომელმაც სასტიკი რეპრესიები განიცადა მენშევიკური მთავრობისაგან 1918—1919 წლებში, 1920 წლისათვის დიდი რევოლუციური აღმაფრენით ემზადებოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის.

1920 წლის მარტში დუშეთის მაზრის გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად გაწმინდეს ვლადიკავკავი დენიკინის ბანდებისაგან და ამით უანგარო დახმარება აღმოუჩინეს გმირ წითელ არმიას.

დუშეთის მაზრის ბოლშევიკები და რევოლუციური გლეხები 1920 წელსაც განიცდიდნენ რეპრესიებს მენშევიკებისაგან. გაზ. „კომუნისტი" 1920 წლის 1 ივლისის მოწინავეში „დუშეთის მაზრა" წერდა: „გლეხობის მასა ტერორის ქვეშაა. ხდება მასიური დაპატიმრება. ფასანაურში პარტიის სადგომის კარზე გამოკიდებული განცხადება მოგლეჯილ იქნა კომისარ გაზგაიძის მიერ. ბიურო დაბეჭდილია, ივნისის 27-ს დააპატიმრეს პასუხისმგებელი ორგანიზატორები — აფციაური და სიხარულიძე და მათთან ერთად შემდეგი ამხანაგები: 1. ლაფანაშვილი გიორგი, 2. აბრამიშვილი, 3. ბერძნაულიშვილი. 4. კარდანაშვილი, 5. მათიაშვილი, 6. აგაშელაშვილი, ყველა დაპატიმრებული თბილისში გაიგზავნა".[1]

[1] გაზ. „კომუნისტი", 1920 წლის 1 ივლისი.

მიუხედავად მენშევიკების მხრივ სასტიკი რეპრესიებისა, დუშეთის მაზრის რევოლუციური გლეხობა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მზად იყო ბრძოლისათვის.

გორის მაზრის ყველა რაიონსა და სოფელში იქმნებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები. ბოლშევიკური ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ რაზმები სათანადოდ ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი. გორის მაზრის ბოლშევიკები მენშევიკთა სასტიკი რეპრესიების წინაშე ქედს არ იხრიდნენ. „გორის მაზრაში, — წერდა ფილიპე მახარაძე, — ძხეცურად მოკლულ იქნა დაპატიმრებული ამხ. კალიაშვილი, რომელმაც თითქოს გაქცევა დააპირა.

სურამში გაზ. „კომუნისტის“ გაყიდვისათვის დაიჭირეს ერთი ამხანაგი, რომელიც რვა დღის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს.

ივნისის 27-ს მიღებულ იქნა დეპეშა 26 ამხანაგის დაპატიმრების შესახებ, რომელნიც შეკრებილიყვნენ მუშაობის მოწესრიგებისა და ქ. გორის კომიტეტის დაარსების საკითხის გადასაწყვეტად. დაპატიმრებულთა გვარები არ ვიცით, გარდა ელისაბედაშვილისა და შოთასი“.[1] „დაჭერა მეტად გაძლირდა, ყველა დაჭერილ ამხანაგს უყენებდნენ ერთსა და იმავე ბრალდებას: შეძენა იარაღისა და შეიარაღებული აჯანყების მზადება. თუ რომელიმე გლეხი შემოვიდა პარტიულ ბიუროში წევრად ჩაწერის მიზნით, მას მაშინვე სტაცებენ ხელს და საპყრობილეში უკრავენ თავს“.[2]

მიუხედავად ამისა, გორის მაზრის მშრომელი გლეხობა მზად იყო ეგმირული ბრძოლისათვის.

შეიარაღებული აჯანყებისათვის დიდი სამზადისი მიმდინარეობდა თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქისა და სხვა მაზრებსა და რაიონებში.

ბოლშევიკების შეუნელებელი, ყოველდღიური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად დღითიდღე მაღლდებოდა მშრომელთა პოლიტიკური შეგნება და აქტივობა, როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციების, ისე გლეხთა შეიარაღებული რაზმების ბრძოლისუნარიანობა. მშრომელთა ანტიმენშევიკური განწყობილების საერთო ზრდას და ბოლშევიკების მიერ აჯანყებისათვის მზადების გაძლიერებას მენშევიკურმა მთავრობამ ასალი რეპრესიებით უპასუხა. ბოლშევიკების დაპატიმრება, დახვრეტა, რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გასახლება მასობრივ მოვლენად იქცა.

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბ., 1927, გვ. 214.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 216.

უმკაცრესი რეპრესიების მიუხედავად, 1920 წლის დასასრულს აჯანყებისათვის მზადება შეუნელებელი ტემპით მიმდინარეობდა.

„დემოკრატიული“ საქართველო სწრაფად მიექანებოდა უფსკრულისაკენ. სამეურნეო მოშლილობა, შიმშილი, რეპრესიები — აი, რა შედეგი მოიტანა მენშევიკების სამწლიანმა ბატონობამ.

1920 წლის დასაწყისიდან საქართველოს ზეცაზე განთიადის ალი აინთო, დაიწყო სოციალისტური რევოლუციის მზის ამობრწყინება. დენიკინის თეთრგვარდიული ბანდების განადგურება და ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოს განთავისუფლების დასაწყისს მოასწავებდა.

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება იყო საქართველოს კონტრრევოლუციისათვის ჩაცემული სასიკვდილო ლახვარი და საქართველოს მშრომელთა საბოლოო განთავისუფლების უმნიშვნელოვანესი საფეხური. მუსავატური კონტრრევოლუცია, რომელმაც თავი შეაფარა საქართველოსა და სომხეთს, მართალია, დიდად აქტიურობდა და იმპერიალისტური დასავლეთის მხრივ ახალ ლაშქრობას აამზადებდა (ენემალისტურმა თურქეთმა ისევ დაიწყო ინტერვენცია სომხეთში, ხოლო ანტანტის ბადეში გახვეულ მენშევიკებს საკუთარი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ნამდვილი ომი ჰქონდათ გაჩაღებული), მაგრამ ყოველივე ეს განწირულთა უკანასკნელი გაბრძოლება იყო. 1920 წლის ნოემბერში სომხეთის განაწამებმა მშრომელებმა წითელი არმიის დახმარებით დაამხეს დაშნაკური რეჟიმი და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კონტრრევოლუციის უკანასკნელი თავშესაფარი ამიერკავკასიაში მენშევიკური საქართველო გახდა. მენშევიკები, რომელთაც საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აროლვევდნენ მას. მიმართავდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს, კარს უღებდნენ დასავლეთის იმპერიალისტებს. ისინი ცდილობდნენ ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რეჟიმის აღდგენას.

მენშევიკ ხელისუფალთა კონტრრევოლუციური საქმიანობა განწირული აღმოჩნდა. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები მზად იყვნენ გადამწყვეტი იერიშებისათვის.

ამრიგად, „1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დამდეგს არსებობდა ყველა პირობა, რომლებიც აუცილებელი იყო შეიარაღებული აჯანყების წარმატებისათვის. ქვეყნის მეურნეობა მწვავე კრიზისს განიცდიდა. კომუნისტებს მიყვებოდა მუშებისა და მშრომელი გლეხების დიდი უმრავლესობა. თვით მენშევიკები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ მათსა და ხალხს შორის კავშირი გაწყვეტილია“.[1]

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე 1920 წლის მიწურულისათვის უაღრესად საპასუხისმგებლო, ისტორიული მომენტი დადგა. საქმე ის იყო, რომ თუ საქართველოში დაუყოვნებლივ არ მოხდებოდა შეიარაღებული აჯანყება და ხელისუფლების სათავეში ისევ მენშევიკები დარჩებოდნენ, გამორიცხული ჩანდა მშვიდობიანი საბჭოთა მშენებლობა მთელს ამიერკავკასიაში. ანტანტის საიმედო მოკავშირე მენშევიკური საქართველო, რომელსაც ბათუმის სახით დასავლეთთან ზღვიდან დაკავშირებელი პუნქტი გააჩნდა, მუდამ რეალურ საფრთხეს უქმნიდა აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთა მონაპოვარს, არ იყო აღკვეთილი იმპერიალისტური ინტერვენციის საფრთხე. ამასთან, წითელი არმიის ნაწილები უკვე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იყვნენ და მათ საქართველოს აჯანყებული მასებისათვის რეალური დახმარების გაწევა შეეძლოთ. საქართველოს მშრომელთა გამოსვლას საერთაშორისო ვითარებაც ხელს უწყობდა: ანტანტა ჯერ კიდევ ვერ გამართულიყო წელში იმ დარტყმებისაგან, რაც წითელმა არმიამ მათ გენერლებს — დენიკინსა და ვრანგელს მიაყენა.

სასაზრო პარტიული კონფერენციების ჩატარების შემდეგ, 1920 წლის 28 ნოემბერს, თბილისში გაიმართა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგარული კონფერენცია[2], რომელმაც სხვა პრობლემებთან ერთად შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხიც განიხილა. კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ვ. სტურუა და სხვ. საქ. კპ(ბ) ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ორახელაშვილი, რომელსაც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით დაეკალა საქართველოში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა.

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გვ. 337.

[2] ზოგიერთ დოკუმენტში იგი ყრილობად იწოდება.

1920 წლის 20 ნოემბერს არალეგარულად გაიმართა საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობა. ამ დროისათვის კომკავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გადიდდა, გაძლიერდა მათი დახმარება პარტიისადმი შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში.

1920 წლის 15 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მიიღო დადგენილება საქართველოში შეირაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. კავბიუროს დადგენილებიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და დანიშნა აჯანყების დრო. საქართველოს ყველა ბოლშევიკური ორგანიზაცია საბრძოლო მზადყოფნაში იყო. მუშებისა და გლეხების შეიარაღებული რაზმები აჯანყების სიგნალს ელოდნენ.

1921 წლის 11 თებერვალს, ღამით, ბორჩალოს მაზრაში, კერძოდ ლორეს რაიონში, დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. იგი სწრაფად გავრცელდა სხვა მაზრებსა და რაიონებში.

„1921 წლის თებერვალში დაწყებული გლეხთა შეიარაღებული აჯანყება ქვემო ქართლში, მაშინდელ ბორჩალოს მაზრაში, სწრაფად გადაიქცა მთელი საქართველოს გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებად. აჯანყდნენ გორის, დუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრების გლეხები. აჯანყება მოედო მთელს აფხაზეთსა და მენშევიკების დამსჯელი ექსპედიციებისაგან ადრე დაცარიელებულ ოსთა სოფლებს“.[1]

1921 წლის 16 თებერვალს შულავერში (ახლა ქ. შაუმიანი) საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების ძალთა კოორდინაციისა და საერთო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ფ. მახარაძე, ბ. კვირკველია, ა. გეგეჭკორი, მ. ელიავა, მ. ორახელაშვილი და სხვები.

რევკომმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს:

„მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო და საქართველოს ყველა მშრომელნო! დადგა ჟამი თქვენი განთავისუფლებისა ქართველი მენშევიკების, საერთაშორისო რეაქციული იმპერიალიზმის ერთგული ლაქიების

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX-XX საუკუნეები, ნაწილი III, თბ., 1967, გვ. 26.

უღლისაგან. სამი წელიწადი ისინი აბუჩად იგდებდნენ საქართველოს მშრომელებს, სამი წელიწადი ბილწავდნენ საქართველოში მოსახლე ეროვნებათა სულს, სამი წელიწადი იბრძოდნენ მშრომელთა რევოლუციის წინააღმდეგ კონტრრევოლუციისა და იმპერიალიზმის სადიდებლად. მენშევიკების ძალადობის, ურცხვობისა და თავხედობის პასუხი იყო აჯანყებები, რომლებსაც ისინი ყოველთვის ახშობდნენ შინაური და გარეშე რეაქციული ძალების ხელისშეწყობით: გაშმაგებით იძიებდნენ შურს მშრომელ ხალხზე კაპიტალის უღლისა და ეროვნული ჩაგვრის დამხობის ცდებისათვის.

აჯანყებულები, რომლებსაც ერთიმეორის მიყოლებით ბარდებიან მენშევიკური მთავრობის პოლკები, ძლევამოსილად მიიწევდნენ წინ მენშევიკური კონტრრევოლუციის დედაქალაქ თბილისისაკენ. მშრომელები ყველგან იარაღს ჰკიდებენ ხელს. აჯანყება ფართოვდება, აჯანყება რაიონიდან რაიონში გადადის... საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, ხელთ იღებს რა მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას, დამხობილად აცხადებს ქართველი მენშევიკების მთავრობას. ამიერიდან საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა.

მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელებს — მუშებსა და გლეხებს...

ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო!

წინ, საბჭოების ხელისუფლებისათვის!

გაუმარჯოს ახლად დაბადებულ, სახალხო აჯანყების ცეცხლსა და კვამლში შობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!"[1]

ეს მგზნებარე მოწოდება საქართველოს მშრომელებში ელვის სისწრაფით გავრცელდა. ხალხის მრისხანების ვულკანმა ერთბაშად იფეთქა.

რევკომმა საქართველოს მშრომელთა სახელით მიმართა რევოლუციის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს: „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ სახალხო მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში რომ იშვა, დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს აღფრთოვანებით მიესალმება. საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით სამი წლის მანძილზე მენშევიკურმა მთავრობამ მშრომელთა დასამონებლად შექმნა საკუთარი პოლიციური და სამხედრო აპარატი. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 661—662.

მშრომელები უძლურნი აღმოჩნდნენ და ყველა მათი ცდა, დაემხოთ მოძალადეთა უღელი, დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ ხალხის მასების ეს უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ევროპის რეაქციული ძალები მოისწრაფვიან. გაერთიანებულ შავ ლაშქარს წინააღმდეგობას მხოლოდ გაერთიანებული წითელი სოციალისტური ლაშქარი გაუწევს. ჩვენ იმედი გვაქვს, გვჯერა, რომ დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანა, რომელსაც დიდი მატერიალური შესაძლებლობანიც გააჩნია, არ დაგვტოვებს მარტო ამ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლად შობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს! გაუმარჯოს მის დიდ ბელადს! გაუმარჯოს წითელ არმიას“ [1].

ვ. ი. ლენინის მითითებით საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა სომხეთის საზღვრებიდან სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დაიძრნენ წითელი არმიის ნაწილები. მენშევიკური არმიის მხრივ დიდი წინააღმდეგობა საბჭოთა მეომრებს არ შეხვედრიათ. ფოილოსთან, კოჯორთან მცირე მასშტაბის ოპერაციების შედეგ XI არმიის ნაწილები საქართველოს აჯანყებულ მშრომელებთან ერთად თბილისში შემოვიდნენ. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში დაემხო მენშევიკური დიქტატურა. ქალაქში აფრიალდა წითელი დროშები, ქალაქის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მეომრებს, აჯანყებულ მუშათა და გლეხთა რაზმებს, რომლებმაც ამ დღეს ქალაქის დაწესებულებანი დაიკავეს. ამავე დღეს ს. ორჯონიკიძემ დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს:

„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ [2].

მენშევიკურმა მთავრობამ დატოვა თბილისი და კურსი აიღო ბათუმისაკენ. დასავლეთ საქართველოში მენშევიკების ასე სწრაფად გადასვლა გამოწვეული იყო „სტრატეგიული“ მოსაზრებით. ისინი საქართველოს ნავსადგურებიდან ელოდნენ ევროპის სახელმწიფოთა ჯარებს, და, როგორც თვით აცხადებდნენ, თბილისიდან ორგანიზებულად იხევდნენ, რათა დასავლეთ საქართველო გადაექციათ დასაყრდენად წითელ არმი-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 659.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 667.

ასთან ბრძოლისათვის. მაგრამ ბათუმს მენშევიკებმა ისე მიაღწიეს, რომ დამხმარე ძალები არსაიდან ჩანდა[1].

მენშევიკები მაინც საგანგებო ზომებს ღებულობდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ძალაუფლება, ხვრეტდნენ ჯარისკაცებს და „სახალხო გვარდიელებს", რომელთაც არ სურდათ ბრძოლა აჯანყებული მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

მენშევიკები იბრძოდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ და აშკარად აცხადებდნენ, რომ მათ ეხმარებიან საერთაშორისო იმპერიალისტები. მაგალითად, მენშევიკური არმიის გენერალური შტაბის 1921 წლის თებერვლის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ საფრანგეთის ესკადრა აჯანყებულებს ფლანგიდან უშენდა. ამ ცნობების მიხედვით, გაგრის რაიონში 20 თებერვალს საფრანგეთის ორმა გემმა დაუშინა სანაპიროს. 22 თებერვალს საფრანგეთის ესკადრის სამმა გემმა კვლავ დაუშინა ამ პუნქტს. 27 და 28 თებერვალს, აგრეთვე 3 მარტს წითელი არმიის ნაწილებს და აჯანყებულთა რაზმებს გუდაუთის რაიონში ინგლის-საფრანგეთის ესკადრა ენერგიულ დახმარებას უწევდა მენშევიკურ ჯარებს.

მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება უკვე აღარაფერს შეეძლო. გლეხთა მშრომელი მასები ყველგან ეხმარებოდნენ აჯანყებულთა რაზმებს და წითელი არმიის ნაწილებს. დიდი წარმატებით მიმდინარეობდა მოხალისე გლეხთა წითელ არმიაში ჩაწერა. გლეხები იჭერდნენ მენშევიკთა მიმალულ ოფიცრებს, რომელთაც რევოლუციურ კომიტეტებსა და წითელი არმიის ნაწილებს აბარებდნენ.

ბათუმის მიმართულებით წითელი არმიის ნაწილებმა 27 თებერვლიდან 5 მარტამდე მენშევიკური არმიის ნარჩენებისაგან გაწმინდეს მცხეთა, გორი, სურამი, მოსახლეობა აღტაცებით ეგებებოდა საბჭოთა არმიის ნაწილებს. განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში დაუყოვნებლივ ყალიბდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. 6-7 მარტს, მიუხედავად მუხლამდე თოვლისა საბჭოთა არმიის ნაწილებმა გადალახეს სურამის უღელტეხილი, დაიკავეს სურამის გვირაბი გაათავისუფლეს ხაშური. წარმატებით ვითარდებოდა ოპერაციები ახალციხის მიმართულებით. 7 მარტს საკავალერიო ნაწილებმა უკვე ბორჯომს მიაღწიეს. აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწი-

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია. ნაწ. III, გვ. 28.

ლებმა გადალახეს ყველა დაბრკოლება და დაიკავეს ყვირილა, სვირი, საჩხერე. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ჭიათურის რაიონში.

აჯანყებულებმა წითელი არმიის ნაწილებთან ერთად შეუტიეს აფხაზეთს. 19 თებერვალს გადალახეს მდ. ფსოუ, ხოლო 22 თებერვალს დაიკავეს გაგრა. აჯანყება მთელ აფხაზეთს მოედო. 25 თებერვალს აიღეს გუდაუთა.

მენშევიკები 3 მარტს საფრანგეთის გემით გაიქცნენ სოხუმიდან და თან წაიღეს მოსახლეობისაგან დატაცებული ქონება. 4 მარტს პარტიზანული რაზმები და წითელი არმიის ნაწილები სოხუმში შევიდნენ. 7 მარტს აჯანყებულებმა აიღეს ოჩამჩირე და მიადგნენ მდ. კოდორს.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა განთავისუფლებულ აფხაზ მშრომელებს, მისალოცი დეპეშით მიმართა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს:

„მუშურ-გლეხური აფხაზეთი ზეიმობს ბურჟუაზიის ლაქიების ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. საქართველოს სოციალ-გამყიდველები, ხალხის ჯალათები ვერ იხსნეს მათმა მბრძანებლებმა. ანტანტის ფლოტი სანაპიროების დაბომბვითა და გლეხთა ქოხების განადგურებით ცდილობდა თავისი ლაქიების გადარჩენას, მაგრამ უშედეგოდ: მამაცი წითელი არმიის მიერ აფხაზეთში აღმართულია საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო რევოლუციას!

გაუმარჯოს ყოვლისშემძლე საბჭოთა ხელისუფლებას!“ [1]

აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 4 მარტს ანალოგიური დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს და გ. ვ. ჩიჩერინს, სადაც რევკომი დიდ მადლობას უხდიდა საბჭოთა რუსეთის მთავრობასა და გმირულ წითელ არმიას უანგარო დახმარებისათვის.[2]

საქართველოს მშრომელებისადმი დახმარება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო და მენშევიკური ბანდების ლიკვიდაცია სწრაფად დამთავრებულიყო, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით XI არმიის ერთ ჯგუფს დაეკისრა მამისონის უღელტეხილის

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 694.

[2] ი ბ ი ე, გვ. 684.

ვადალახვა. წითელი არმიის ნაწილებმა სუსხიანი ზამთრის პირობებში ეს უაღრესად რთული ოპერაცია წარმატებით განახორციელეს. ღრმა თოვლიანი გზები მათ სწრაფად გადალახეს, დაიკავეს ონი და განავითარეს შეტევა ქუთაისის მიმართულებით.

გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა და წითელი არმიის ნაწილებმა 9 მარტს აიღეს ქ. ზუგდიდი, 10 მარტს დაიკავეს ქ. ქუთაისი, 11 მარტს —ახალი სენაკი (ახლა ქ. ცხაკაია) და 13 მარტს — ქ. ფოთი.[1]

საქართველოს მუშებთან და გლეხებთან მხარდამხარ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ოსეთის მშრომელები. მათ მიეშველა ჩრდილო კავკასიაში მყოფი პარტიზანული რაზმები. ამ რაზმებმა ზამთრის უმძიმეს პირობებში გადმოლახეს კავკასიის ქედი, 1921 წლის 2 მარტს შევიდნენ როკის რაიონში და დაიკავეს სოფ. ჯავა. ვანათის დაბლობის რაიონში სოფ. სერთან ოსმა პარტიზანებმა გაანადგურეს მენშევიკური ჯარის ნაწილები. 1921 წლის 5 მარტს პარტიზანული რაზმები შევიდნენ ცხინვალში. სამხრეთ ოსეთში შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.

სამი წლის გმირული ბრძოლა სამხრეთ ოსეთის მშრომელებისა, რომლებიც ქართველ ხალხთან მხარდამხარ ომობდნენ, გამარჯვებით დამთავრდა, სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ამრიგად, სულ რაღაც 20—25 დღის განმავლობაში საბჭოთა არმიის ნაწილებმა საქართველოს შეიარაღებულ მუშებთან და გლეხებთან ერთად შეძლეს მენშევიკური არმიის სასტიკი დამარცხება. მენშევიკებს ბათუმიღა შერჩათ, საიდანაც იმპერიალისტური ანტანტისა და მისი სატელიტების (პირველ რიგში თურქეთის) დახმარებით ვარაუდობდნენ ბრძოლის გაჩაღებას და მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ ეს დახმარება არ ჩანდა და იმედგაცრუებულები დამხობილი მთავრობა იტალიის გემით ბათუმიდან ევროპისაკენ გაეშურა. ბათუმი ისევ თურქმა მტაცებლებმა დაიპირეს. ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ მენშევიკების გამცილებელი ქართველი ოფიცრები რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად. მათ ცხარე ბრძოლებში თურქ მტაცებლებს შორს დაახევინეს და სრულიად გაწმინდეს ბათუმი მოძალადეებისაგან.[2]

1921 წლის 17 მარტს საღამოთი ბათუმში შეიქმნა ადგილობრივი

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 694—700.

[2] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. III, გვ. 29.

რევოლუციური კომიტეტი ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით, საპატიმროდან გამოუშვეს კომუნისტები.[1]

წითელი არმიის ნაწილებმა უმძიმეს პირობებში გადალახეს გოდერძის უღელტეხილი და 18 მარტს შევიდნენ ბათუმში.[2] აჭარის მშრომელებმა საქართველოს მუშებისა და გლეხების, წითელი არმიის ნაწილების ძმური დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხეს მენშევიკებისა და უცხოელ იმპერიალისტთა ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და რუსი ხალხის უანგარო დახმარებით საქართველოს მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ ბოლო მოუღეს მენშევიკების მეთაურობით არსებულ ბურჟუაზიულ დიქტატურას და განდევნეს საქართველოს ფარგლებიდან უცხოელი იმპერიალისტები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მშრომელმა გლეხობამ. საქართველოს გლეხობა სამი წლის განმავლობაში იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ და მუშათა კლასთან ერთად საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა ის.

საქართველოს გლეხობამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1917-1921 წლებში მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ამ მოძრაობას ჰქონდა ორგანიზებული და შეგნებული ხასიათი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, საფუძველს უყრიდა რა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტები, რომელთა მიზანი იყო ბურჟუაზიული ხელისუფლების აპარატის დამსხვრევა და ადგილებზე ახალი საბჭოთა ტიპის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნა. რევოლუციურმა კომიტეტმა იმ მიზნით, რომ საძირკველი ჩაეყარა სოციალისტური ეკონომიკისათვის, ხელთ იგდო სახალხო მეურნეობის ბრძანებელი მწვერვალები, მოახდინა მიწების, ფაბრიკების, რკინიგზების, ბანკების და სხვათა ნაციონალიზაცია. მრეწველობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр 708.

[2] იქვე.

მიწის საკითხი გადაიჭრა გლეხობის მშრომელი მასების ინტერესების საკეთილდღეოდ. ხორცი შეესხა საქართველოს მშრომელი გლეხობის ოცნებას, რომლისთვისაც ათასობით მაშვრალმა გაწირა თავი.

1921 წლის 6 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი № 17 მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. დეკრეტის მთავარი დებულებანი ასეთი იყო:

1) ყველა მიწა გადადის მშრომელი მოსახლეობის საზოგადო კუთვნილებაში. მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით ან რაიმე სხვა საშუალებით სხვისთვის გადაცემა ისპობა.

2) ყველა მიწის ნაკვეთსა და მსხვილ მამულს, რომლებიც ყოფილ მთავრობას არ ჩამოურთმევია მემამულეთათვის, ეკლესიებს, მონასტრებსა და სხვა მსხვილ მესაკუთრეებს, ყოველგვარი ნაგებობით, ინვენტარითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, კონფისკაცია ეყოს სრულიად უსასყიდლოდ და წინათ ჩამორთმეული მიწებთან ერთად ჩაირიცხოს სახელმწიფოს ფონდში მშრომელთა შორის გასანაწილებლად და სარგებლობისათვის.

3) ყველა სოფლის საზოგადოებაში ან თემში ღარიბი გლეხობისაგან დგება საგლეხო კომიტეტები, რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამაზრო რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ჩამოართმევენ მიწებს და, ადგილობრივი პირობების მიხედვით, განსაზღვრავენ როგორც წინანდელ მესაკუთრეებზე დასატოვებელ ნორმას, ისე იმ ნორმასაც, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მიწების დარიგება გლეხთა ოჯახებისათვის.

4) მიწათსარგებლობის უფლება ენიჭება ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც სურვილი აქვს დაამუშაოს მიწა საკუთარი შრომით ან თავისი ოჯახის წევრების დახმარებით, ანდა ამხანაგობის საფუძველზე. ამავე დროს, შრომის უნარის დაკარგვისთანავე იგი კარგავს მიწით სარგებლობის უფლებას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებს დახმარებას პენსიის სახით.

5) უმიწაწყლო და მცირემიწიანი მშრომელი მიიღებს საერთო-სახელმწიფოებრივი მიწის ფონდიდან იმ ზომის მიწას, რაც საჭირო იქნება მისი და მისი ოჯახის უზრუნველსაყოფად.

6) უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები, რომლებმაც მიწა შეიძინეს მიწის ფონდიდან ყოფილი მთავრობის დროს, მისი გამოსყიდვით, განაგრძობენ ამ მიწებით სარგებლობას, ამავე დროს გამოსასყიდი ფასი უკან უბრუნდებათ ხაზინიდან.

7) მიწაზე ყოველგვარი გადასახადი სამუდამოდ ისპობა.

8) მიწის ყველა კანონი, გამოცემული სხვადასხვა მთავრობის მიერ 1921 წლის 25 თებერვლამდე, ცხადდება გაუქმებულად.[1]

საქართველოს გლეხობამ მეურნეობის წარმოებისათვის მიიღო 2 115 000 ჰექტარი მიწა, ნაცვლად 343 000 ჰექტარისა, რომელიც 1917 წელს ეპირა.

ქართველი გლეხობა აღფრთოვანებული იყო ამ გრანდიოზული რეფორმით. რომელიც მას უქმნიდა ახალი ცხოვრების უდიდეს სარბიელს. ამ აქტმა სოფლად მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის შემდგომი აღმავლობა გამოიწვია. ამიერიდან ბოლო მოეღო სოფლად მემამულეთა მიწათმფლობელობას, საბოლოოდ მოისპო ფეოდალიზმის ნაშთები, ფრთები შეეკვეცა კულაკობის თვითნებობას და განხორციელდა მშრომელი გლეხობის სანუკვარი ოცნება — იგი გახდა მთელი მიწის ბატონ-პატრონი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა მშრომელი გლეხობის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა მიწისა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების ძირითადი პირობა იყო ის, რომ საქართველოს ბოლშევიკებს შესწევდათ მასებისადმი, მშრომელი გლეხობისადმი ხელმძღვანელობის უნარი და ურყევად ასრულებდნენ სოციალისტური რევოლუციის დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის მითითებებს. ისინი მიდიოდნენ და კვლავაც ივლიან ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, გამარჯვების გზით.

---

[1] Борьба за упрочнение Советской власти в Грузии, стр. 160—162. აგრეთვე „საისტორიო მოამბე", № 11—12, 1960, გვ. 6—8; ციტირებულია ი. მირცხულავას წიგნიდან „ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში", წიგნი II, თბ., 1965, გვ. 182—184.

РЕВОЛЮЦИОННОЕ ДВИЖЕНИЕ КРЕСТЬЯН В ГРУЗИИ В 1917—1921 ГОДАХ

Резюме

Борьба за Советскую власть в 1917—1921 гг. занимает особое место в обширной и славной истории классовой борьбы трудящихся Грузии. В этой героической борьбе огромная роль принадлежит трудовому крестьянству Грузии как союзнику пролетариата.

Большевистская партия и ее вождь В. И. Ленин в период подготовки и проведения Великой Октябрьской социалистической революции уделяли огромное внимание делу мобилизации и сплочения трудового крестьянства под руководством рабочего класса для победы социалистической революции.

Руководствуясь указаниями В. И. Ленина, большевики Грузии 1917—1921 гг. неустанно сплачивали трудящееся крестьянство на борьбу против меньшевистской буржуазно-националистической власти и империалистической интервенции, за установление Советской власти в Грузии.

Коммунистическая партия Советского Союза придавала и придает величайшее значение научному изучению и освещению богатого революционного прошлого трудящихся масс нашей Родины.

«На русскую социал-демократию, — писал В. И. Ленин, — несомненно, ложится обязанность самого тщательного и всестороннего изучения нашей революции, распространения в массах знакомства с ее формами борьбы, формами организаций и пр.

Нам надо позаботиться, — и кроме нас некому будет позаботиться, — о том, чтобы народ знал эти полные жизни, богатые содержанием и великие по своему значению и своим последствиям дни гораздо подробнее, детальнее и основательнее».[1]

---

[1] В. И. Ленин, Полное собр. соч., т. 16, стр. 26.

Сейчас все прогрессивно мыслящие люди земного шара заинтересованы в основательном знании каждого факта тех славных битв трудящихся против царского самодержавия и капитализма, которые в нашей стране завершились свержением помещичье-капиталистического строя и созданием первого в истории человечества государства рабочих и крестьян.

Поэтому освещение отдельных фактов борьбы за свержение меньшевистского господства, а также борьбы крестьян за Советскую власть в 1917—1921 гг. в Грузии представляет несомненный интерес для науки. Вот почему научной разработке истории героической борьбы грузинского народа за установление Советской власти был посвящен ряд исследований, в которых освещались и вопросы революционного движения в Грузии в указанный период.

Среди исследований, заостряющих внимание на проблемах социально-экономического положения Грузии в 1917—1921 гг., на политической ситуации тех лет, боевой готовности рабочего класса и крестьянства, руководящей и направляющей роли Коммунистической партии в борьбе трудящихся, аграрном вопросе, разложении мелкобуржуазных и буржуазно-националистических партий, крахе внутренней и внешней политики меньшевистского правительства, следует в первую очередь указать на очерки и статьи участников и руководителей этой борьбы: Ф. Махарадзе, С. Орджоникидзе, С. Кирова, С. Шаумяна, М. Орахелашвили, М. Цхакая и др.

Вопросы истории революционного движения в Грузии в 1917—1921 гг. разрабатывали многие историки. Среди них следует упомянуть Г. Хачапуридзе, А. Сургуладзе, Г. Дзидзария, Ю. Качарава, И. Мирцхулава, Н. Махарадзе, Г. Жвания, М. Церцвадзе, А. Киквидзе, Ш. Чхетия, К. Церетели, В. Эсайашвили, Н. Чахвашвили, Д. Енукидзе, С. Беридзе, Д. Джибладзе, М. Джиджеишвили, П. Цквитария, В. Карчава и др. Рассматривая вопросы борьбы трудящихся Грузии за установление Советской власти, эти авторы с большей или меньшей глубиной освещают революционное движение крестьян.

Вопросам революционного движения крестьян отдельных уездов и районов Грузии посвятили свои кандидатские диссертации А. Артилаква, М. Бердзули, С. Хурцилава, А. Капанадзе, Ш. Беруашвили, А. Кулумбеков, З. Джиоев и др.

Цель нашей работы состоит в том, чтобы, руководствуясь положениями и трудами классиков марксизма-ленинизма, анализируя архивные материалы и другие первоисточники, все-

сторонне, целостно и во взаимосвязи монографически разработать вопрос о революционном движении крестьян Грузии в 1917—1921 гг. и тем самым внести посильный вклад в изучение истории борьбы трудового крестьянства за установление Советской власти.

При разработке темы нами приняты во внимание руководящие указания В. И. Ленина и других выдающихся деятелей большевистской партии, в трудах которых, при освещении истории гражданской войны, показана большая роль трудового крестьянства в борьбе за Советскую власть. В труде использованы архивные материалы Центрального государственного архива Октябрьской революции Грузинской ССР и Грузинского филиала Института марксизма-ленинизма при ЦК КПСС, сборники документов, научные труды, газетные и журнальные статьи 1917—1921 гг., публиковавшиеся как в большевистской, так и в меньшевистской прессе, а также другие первоисточники.

Наша работа состоит из введения, четырех глав и заключения.

Глава первая — «Аграрный вопрос и аграрное движение в Грузии в период подготовки Октябрьской социалистической революции».

В тезисах ЦК КПСС «К 100-летию со дня рождения Владимира Ильича Ленина» указывается: «В период между февралем и октябрем 1917 года большевистская партия во главе с Лениным дала образцы применения разнообразных форм и методов классовой борьбы, умелого их сочетания и смены, выбора в каждый момент наиболее эффективных из них».[1]

После февральской буржуазно-демократической революции положение трудового крестьянства Грузии не претерпело изменений: пахотные земли, леса, пастбища по-прежнему оставались в руках помещиков, сохранивших свои привилегии. Безземельное крестьянство оказалось вынужденным вновь пойти на поклон к помещику и пользоваться землей на кабальных условиях.

Особый Закавказский комитет 12 апреля 1917 г. обратился к народу с воззванием дождаться окончательного решения аграрного вопроса Учредительным собранием.

---

[1] К 100-летию со дня рождения Владимира Ильича Ленина. Тезисы Центрального Комитета Коммунистической Партии Советского Союза, Москва, 1970, стр. 16.

Убедившись, что Временное правительство Закавказья не дает земли, крестьянство уже с апреля начало активную борьбу за уничтожение феодально-крепостнических пережитков.

Трудовое крестьянство Тбилисского, Горийского, Душетского, Ахалцихского, Сигнахского, Телавского, Кутаисского, Шорапанского, Сенакского, Зугдидского, Лечхумского уездов и Абхазии отказывалось от несения каких-либо повинностей в пользу помещиков, изгоняло чиновников, лесничих, захватывало земли и брало в свои руки управление лесами, пастбищами и земельными угодьями.

В апреле 1917 года была созвана VII (Апрельская) конференция РСДРП (б). Одним из основных в работе этой конференции был аграрный вопрос, с докладом по которому выступил В. И. Ленин. В докладе указывалось, что пролетарская партия должна призвать крестьян немедленно, самочинно, по решению местных Советов крестьянских депутатов осуществить аграрный переворот и конфискацию помещичьих земель.

После Апрельской конференции большевистская организация Грузии еще шире развернула работу по воспитанию и организации трудящихся. Она разоблачала антинародную политику меньшевиков и эсеров, стремилась изолировать их от масс.

Под воздействием неуклонного роста революционного движения в деревне меньшевики были вынуждены 21 мая 1917 г. поставить аграрный вопрос на обсуждение краевого съезда Советов рабочих и крестьянских депутатов.

Однако на этом съезде меньшевики вытащили из своего архива пресловутую программу муниципализации земли и яростно протестовали против национализации земли, создания крестьянских комитетов и захвата крестьянами помещичьих земель.

В защиту большевистской программы национализации земли на съезде выступили М. Цхакая, А. Джапаридзе и другие большевики. Они разоблачали меньшевистскую программу муниципализации, требовали образования революционных крестьянских комитетов и немедленного, насильственного захвата помещичьих земель, не дожидаясь созыва Учредительного собрания. Но поскольку на съезде большинство принадлежало меньшевикам, большевистская программа была отвергнута.

Пытаясь внести разброд в революционное движение крестьян, грузинские меньшевики и эсеры 19 июня 1917 г. созвали в Тифлисе краевой съезд крестьянских депутатов, на котором

вновь с упорством отстаивали программу муниципализации земли.

Большевистская партия была единственной партией, решительно и последовательно требовавшей немедленной ликвидации помещичьего землевладения революционным путем, безвозмездной передачи земли крестьянам.

Выдвигаемые большевиками революционные требования по аграрному вопросу находили единодушный отклик и поддержку в крестьянстве, которое начало действовать все смелее и энергичнее.

Поэтому в июле 1917 г. стихийные, но единодушные выступления приобретают еще более массовый характер. Все, без исключения, районы Грузии были охвачены аграрным движением.

Летом 1917 г. аграрное движение приняло острый характер в Борчалинском уезде. Население уезда повсюду силой оружия захватывало земли частных владельцев и зимние пастбища, не считаясь с Временным правительством.

В селе Мчадиджвари Душетского уезда крестьянский сход принял постановление отобрать у князей Багратиони-Мухранских пахотные земли, виноградники, леса и распределить их среди крестьян. Крестьяне Мцхета и окрестных сел самовольно вырубили помещичьи леса. Для усмирения крестьянских волнений в районе Боржоми пришлось послать войсковые части.

Крестьяне сел Карданахи и Чалаубани Сигнахского уезда захватили помещичьи земли и леса. Подобные действия приобрели широкий характер в Шулавери. В Горийском уезде крестьяне захватили пастбища князя Эристави, расположенные в долине Большой и Малой Лиахви.

Крестьяне села Симонети Кутаисского уезда захватили около 1000 га земель крупного капиталиста Онанова. Жители с. Звари Шорапанского уезда и др. отказывались от внесения арендной платы. Совет солдатских депутатов Сухумского округа постановил наложить секвестр на поместья великого князя Романова.

Аналогичное положение наблюдается в течение всего лета 1917 г. в Сенакском, Зугдидском, Лечхумском и др. уездах, где крестьяне самовольно захватывали помещичьи земли и отказывались от арендных платежей.

Меньшевики и эсеры, отстаивая интересы имущих классов, демагогически окрестили крестянское аграрное движение «анархией», «большевистским произволом» и оказывали органам

Временного правительства всемерную помощь в подавлении крестьянского движения.

Решающим событием, определившим дальнейшую деятельность большевистской партии, явился VI съезд РСДРП (б). Этот съезд разработал боевую программу подготовки вооруженного восстания, свержения капиталистического строя и установления диктатуры пролетариата.

Вооруженные решениями VI съезда РСДРП (б), большевики Грузии развернули активную работу по сплочению пролетариата и крестьянства на борьбу за победу социалистической революции.

В то время как по всей России назревала социалистическая революция, шла энергичная подготовка вооруженного восстания под руководством большевистской партии, в Тифлисе 2—7 октября 1917 г. проходил первый краевой съезд большевистских организаций Кавказа. Наряду с другими вопросами, съезд уделил большое внимание аграрному вопросу, с докладом по которому выступил Ф. Махарадзе.

В основу постановления первого краевого съезда большевистских организаций Кавказа по аграрному вопросу легли решения VII (апрельской) конференции РСДРП (б). Исходя из того, что решение аграрного вопроса непосредственно связано с вопросом о власти, съезд подчеркнул, что аграрный вопрос в России, и в частности на Кавказе, будет решен лишь тогда, когда вся власть перейдет в руки Советов рабочих, солдатских и крестьянских депутатов.

По аграрному вопросу было выдвинуто требование: провести национализацию земли и Советам крестьянских депутатов или крестьянским комитетам немедленно и организованно занять все помещичьи земли.

Решение первого краевого съезда кавказских организаций РСДРП (б) по аграрному вопросу — программа борьбы за дальнейшее укрепление революционного союза рабочих и крестьян — имело огромное значение для дальнейшего нарастания революционного движения крестьян в Грузии.

В октябре 1917 г. аграрное движение все больше усиливалось как в Восточной, так и в Западной Грузии. Крестьянство продолжало захват помещичьих, казенных и церковных земель. Безземельные крестьяне отказывались вносить арендные платежи и распределяли земли между собой.

Против самовольных действий безземельных крестьян, для усмирения т. н. «аграрных беспорядков» Особым Закавказским

Комитетом и меньшевистско-эсеровским кравым советом были посланы карательные отряды. Но они не могли потушить пожар аграрной революции, который, усиливаясь день ото дня, грозил уничтожением помещичьему землевладению.

Глава вторая — «Революционные выступления крестьян Грузии в 1918 году».

Победа Великой Октябрьской социалистической революции открыла новую эру в истории человечества. Октябрьская революция не только уничтожила господство помещиков и капиталистов в России и вывела страну на путь социалистического строительства, но и нанесла смертельную рану всему капиталистическому миру.

Борьба за социалистическую революцию в Грузии проходила в тяжелых и сложных условиях. В течение трех лет после Великой Октябрьской революции грузинские трудящиеся боролись за свержение буржуазно-националистического правительства и ига иностранных империалистов.

1918 год занимает особое место в трехлетней борьбе трудящихся Грузии за Советскую власть. С февраля 1918 г. революционная волна одновременно поднялась и в западных, и в восточных районах Грузии. Меньшевистские власти оказались вынужденными бросить на подавление очагов восстания не только все собственные карательные экспедиции, но и применить силу окопавшихся тогда в Грузии немецких оккупантов.

Первой и основной причиной волнений и революционных выступлений крестьян в 1918 г. был аграрный вопрос. Ни Закавказский комиссариат, ни сейм, ни «независимое» меньшевистское правительство Грузии не смогли уладить этот злободневный вопрос, имевший огромное значение. В его решении было жизненно заинтересовано подавляющее большинство населения деревни — бедное и среднее крестьянство.

Одной из причин революционных выступлений крестьян Грузии в 1918 г. являлось и то, что меньшевики оторвали Грузию от Советской России, грузинский народ — от русского народа, хотели разрушить их дружеский союз, который выковывался веками. Кроме того, меньшевики отдали Грузию на растерзание иностранным империалистическим государствам, что вызывало глубокое возмущение среди крестьянства.

Среди многих других причин, обусловивших развитие революционного движения крестьян, упомянем также полный развал дела здравоохранения, социального обеспечения, просвещения и культуры в меньшевистской Грузии, что не могло не

вызывать справедливого недовольства среди трудового крестьянства.

Один лишь перечень вопросов, не решенных меньшевиками, со всей очевидностью свидетельствует о том, что годы меньшевистского господства были крайне тяжелыми для грузинского крестьянства, что невыносимые условия жизни неизбежно толкали трудовое крестьянство к вооруженному восстанию, к социалистической революции.

Таким образом, в период засилья меньшевиков трудящиеся Грузии, в частности грузинское крестьянство, оказались в таких тисках экономического закабаления и политического притеснения, что перед ними вставал выбор: либо голод, рабство и смерть, либо — революционная борьба, свержение диктатуры меньшевиков и завоевание свободы. Третьего пути в тот период для грузинского народа не существовало.

Самую активную роль в революционных выступлениях крестьян в Грузии в 1918 г. сыграли возвратившиеся с фронта солдаты. На фронте, в результате проведенной большевиками работы, переодетые в солдатские шинели крестьяне поняли, кто был их истинным врагом. Меньшевистская газета «Социал-демократ» была вынуждена отметить, что «армия сегодня возвращается домой как носитель особой психологии и навязанной политики. Возвращение солдат в деревню привело к возникновению новой опасности и поставило под угрозу положение революции. Солдаты не с пустыми руками вернулись домой. Они привезли с собой большевизм и преподнесли его деревне».

В Грузии (в частности в Западной Грузии) вопрос подготовки вооруженного восстания трудящихся масс был решен конференцией большевистских организаций западного Закавказья, созванной в г. Кутаиси 20 февраля 1918 г. Для подготовки восстания был создан боевой штаб, председателем которого избрали Алексея (Сашу) Гегечкори. По решению конференции ответственные партийные работники были направлены в различные районы Грузии для подготовки восстания.

Конференция еще продолжала работу, когда 22 февраля 1918 г. началось вооруженное восстание крестьян лечхумского уезда. Повстанцы на второй же день захватили уездный центр Цагери, заняли все учреждения и провозгласили там Советскую власть.

Установление Советской власти в Лечхумском уезде не на шутку встревожило меньшевиков. 1 марта 1918 г. комиссар Кутаисской губернии объявил весь Лечхумский уезд вне закона. Правительство направило против восставших гвардию, милицию

и войсковые части с пушками. В конце марта 1918 г. крестьяне Лечхумского уезда потерпели поражение в неравной борьбе. Но революционные выступления крестьян в Лечхуми на этом не закончились — они продолжались в течение всего лета 1918 г.

В середине марта 1918 г., когда революционное движение крестьян Лечхумского уезда достигло кульминации, против господства меньшевиков восстали крестьяне Мегрелии — Сенакского и Зугдидского уездов. К концу месяца повстанцы заняли почти весь Сенакский уезд и объявили там Советскую власть. В начале апреля вооруженное восстание против меньшевистского правительства начали и трудящиеся Зугдидского уезда.

Для борьбы против нарастающей волны крестьянского движения меньшевистские власти 10 апреля 1918 г. (по ст. стилю) приняли постановление о создании т. н. «летучих отрядов», которые были направлены правительством против восставшего крестьянства Мегрелии. С мая до конца июля вся Мегрелия оказалась охваченной пламенем восстания.

Несмотря на то, что повстанцы оказывали героическое сопротивление хорошо вооруженным воинским частям меньшевиков, в некоторых местах они все же были вынуждены уступить позиции. В неравной борьбе сопротивление отрядов восставших было бы безрезультатным, поэтому С. Гегечкори было предложено покинуть Зугдиди и со своим отрядом уйти на Северный Кавказ в распоряжение Кавказского краевого комитета РКП (б).

Однако крестьянство Мегрелии до конца сентября 1918 г. продолжало героически бороться против регулярных войск меньшевистского правительства, пользовавшихся поддержкой германских интервентов, а также т. н. «народной гвардии». В этой борьбе крестьянство потерпело поражение.

В период героической борьбы лечхумского и мегрельского крестьянства против меньшевистского господства восстали и трудящиеся Абхазии. Меньшевистское правительство, не разрешив национального вопроса, не предоставило этому краю автономии, что вызвало огромное возмущение среди трудящихся Абхазии.

Стало быть, одной из многочисленных предпосылок, обусловивших подъем революционного движения трудового крестьянства в Грузии в 1918 году, была неразрешенность национального вопроса для проживавших в Грузии национальных меньшинств.

Восстание началось в Гагра и Гудаута, 11 марта 1918 г.

здесь была установлена Советская власть. Отряд восставших 26 марта (8 апреля) после тяжелых боев занял Сухуми и провозгласил там Советскую власть. 11 апреля Советы взяли в свои руки власть и в Самурзакано (теперешний Гальский район).

Таким образом, Советская власть победила на территории всей Абхазии. Но она просуществовала там всего 40 дней. 11 мая части регулярной армии меньшевистского правительства вступили в Абхазию. Революционные отряды вели с ними ожесточенные бои, но потерпели поражение и 17 мая вынуждены были оставить Сухуми. Несмотря на это, трудящиеся Абхазии все лето боролись с меньшевистскими воинскими частями, и меньшевики только к осени 1918 г. сумели захватить территорию всей Абхазии.

Пламя революционного восстания охватило и Горийский уезд. С особым героизмом боролось революционное крестьянство Юго-Осетии (входившей административно в Горийский уезд).

Одной из многочисленных причин, обусловивших революционное выступление осетинских крестьян в 1918 г., было то, что меньшевистское правительство не предоставило (наподобие Абхазии) автономии Южной Осетии.

Вооруженное восстание началось 14 марта 1918 г. в селах Корниси и Ортеви. Вскоре пламя восстания охватило Цхинвальский и Джавский районы. К восставшим присоединились и грузинские деревни Горийского уезда. 18 марта восставшие крестьяне взяли пос. Цхинвали и провозгласили Советскую власть во всем районе.

Меньшевистское правительство направило против революционного крестьянства Осетии крупные военные силы. 22—23 марта меньшевистские войска овладели Цхинвали. Революционное выступление крестьян Юго-Осетии закончилось поражением. Однако летом 1918 г. беднейшее осетинское крестьянство принимало активное участие в крестьянских восстаниях в Душетском уезде и Сачхерском районе.

В вооруженной борьбе против меньшевиков в 1918 г. особое место занимает восстание душетских крестьян.

25 июня собравшийся в Душети уездный съезд крестьянских депутатов провозгласил Советскую власть в Душетском уезде. Был избран исполнительный комитет уездного Совета крестьянских депутатов, началось проведение революционных мероприятий. Однако меньшевистское правительство мобилизовало все свои силы и обратилось за помощью к немецким оккупантам. Восстание крестьян Душетского уезда было разгром-

лено. Меньшевики жестоко расправились с руководителями восстания, многие из них были расстреляны. Меньшевистские гвардейцы и солдаты грабили деревни, жестоко притесняли жителей.

В конце июня 1918 г. вооруженное восстание крестьян началось в Сачхерском районе Шорапанского уезда. 28 июня повстанцы заняли в Сачхере все правительственные учреждения и объявили в районе Советскую власть, но она просуществовала всего два дня. 30 июня меньшевистские части вступили в Сачхере и восстановили меньшевистскую власть.

Кроме названных районов, против господства меньшевиков в 1918 г. боролись Борчалинский, Кутаисский, Рачинский, Ткибульский, Багдадский, Хонский, Тианетский, Манглисский, Телавский и др. районы.

Почти по всей Грузии (за исключением Гурии) в 1918 г. бушевала буря революционных выступлений трудового крестьянства. Но меньшевики повсюду беспощадно расправлялись с повстанцами. Революционные выступления в Грузии в 1918 г. окончились поражением.

Основные причины поражения следующие:

1. Крестьянские восстания не везде были подготовленными и не носили организованного характера.

2. Руководство революционными выступлениями крестьян не осуществлялось из единного центра. Поэтому меньшевистское правительство легко расправлялось с несвязанными между собой, разобщенными восстаниями.

3. Кавказский краевой комитет РКП (б) до его перемещения на Северный Кавказ, а впоследствии Бюро Тбилисского комитета в конспиративных условиях в некоторой степени направляли деятельность большевистских организаций в восставших районах. Но руководство это не было систематическим, гибким, результативным, поскольку меньшевистские агенты следили за каждым шагом лиц, подозреваемых в принадлежности к большевистской партии, и арестовывали их.

4. У повстанцев не было военного снаряжения, не хватало провианта, что оказывало отрицательное влияние на ход восстания.

5. И, наконец, в борьбе против восставших крестьян меньшевистскому правительству оказали существенную помощь — как военной техникой, так и живой силой — немецкие оккупанты.

Несмотря на поражение, восстания грузинских крестьян в 1918 г. существенно ослабили позиции меньшевистского правительства.

Все недостатки в подготовке и проведении восстания были учтены большевиками Грузии в дальнейших боях за установление Советской власти.

Таким образом, революционные выступления крестьян Грузии в 1918 г. были весьма значительным явлением в общей борьбе за установление Советской власти в Грузии.

Глава третья — «Вооруженное восстание 1919 г. в Грузии и борьба крестьян за Советскую власть».

Одним из ярких эпизодов борьбы рабочего класса и трудового крестьянства Грузии за Советскую власть в 1917—1921 гг. является вооруженное восстание 1919 года.

Вооруженное восстание трудящихся Грузии в 1919 г. отличается от других революционных выступлений не только по своим масштабам, — в деле его подготовки и проведения ясно видна руководящая и направляющая роль Кавказского краевого комитета РКП (б) и большевистских организаций Грузии.

Восстанию предшествовала большая подготовительная работа по созданию революционных отрядов рабочих и крестьян и их вооружению.

Активное участие большей части рабочего класса Грузии в восстании 1919 г. объясняется тем, что меньшевики и не помышляли об улучшении политического, экономического и культурного положения народа. Они не решили — да и не старались решить — рабочего вопроса.

Находясь в тяжелых экономических условиях и будучи лишенным политических прав, рабочий класс видел единственный выход из положения в свержении существующей власти и установлении Советской власти.

Можно было полагать, что меньшевики сделают определенные выводы из событий 1918 г. и серьезно возьмутся за решение аграрного вопроса, но этого не случилось.

Меньшевики пытались затуманить головы крестьян обещаниями, крикливыми демагогическими фразами. Но обмануть их было уже невозможно, — ведь перед ними стоял опыт двух революций. Крестьянство все больше убеждалось в том, что от буржуазно-меньшевистского правительства оно ничего не дождется и что надо самим с оружием в руках завоевывать землю и свободу.

Меньшевистское правительство не решило и национального вопроса. Оно не предоставило автономии абхазцам, осетинам и аджарцам, но в течение всего периода своего господства сеяло рознь между грузинским и негрузинским населением. Поэтому,

естественно, что одной из причин вооруженного восстания в Грузии в 1919 году была и великодержавная политика меньшевиков.

Среди причин, обусловивших вооруженное восстание в 1919 г., нельзя не упомянуть о необходимости борьбы против угрозы вторжения деникинских полчищ. Меньшевистское правительство Грузии открыто помогало контрреволюционной армии Деникина как транспортными средствами для перевозки войск и оружия, так и доставкой некоторых продуктов и горючего. Поэтому В. И. Ленин совершенно справедливо причислял меньшевистскую Грузию к тем 14 государствам, которые объявили первому в мире социалистическому государству войну не на жизнь, а на смерть.

Наряду с основной задачей — установлением в Грузии Советской власти — всеобщее вооруженное восстание трудящихся этой страны, как считали грузинские большевики, должно было нанести удар по Деникину с тыла и тем самым помочь героической Красной Армии в ее справедливой борьбе по защите завоеваний Октября.

Тщательный анализ внутреннего и внешнего положения в Грузии привел Кавказский краевой комитет РКП (б) к заключению, что необходимые для победы вооруженного восстания предпосылки уже налицо. В стране свирепствовал экономический кризис: безработица, голод, разруха во всех отраслях народного хозяйства. Политика меньшевиков потерпела окончательное банкротство. Она привела к большему ухудшению жизни рабочих, не смогла решить аграрный и национальный вопросы, держала солдат в условиях бесправия и унижения, просвещение и культура при меньшевиках пришли в еще больший упадок. Все это вместе взятое с непреложной необходимостью толкало трудящихся Грузии к вооруженному восстанию, к социалистической революции.

Готовясь к социалистической революции, большевики Грузии уделяли большое внимание крестьянству, поскольку в такой аграрной стране, какой была Грузия, тесный союз трудового крестьянства с рабочим классом был главным и решающим фактором победы революции.

Наряду с Тбилисской большевистской организацией большую работу по подготовке вооруженного восстания вели партийные организации отдельных уездов, районов, сел Грузии.

Для практического руководства подготовкой и проведением восстания в уезды были посланы члены Кавказского краевого и губернского комитетов РКП (б). Подготовка к восстанию особенно усилилась в августе и сентябре, а с приближением дня восстания она еще более активизировалась. Почти во всех уездах и районах Грузии состоялись партийные конференции, избравшие новые составы уездных и районных комитетов. Для непосредственного руководства восстанием всюду были созданы военно-революционные штабы. Отряды крестьян везде возглавляли большевики. Особенно сильные революционные отряды существовали в Горийском, Сигнахском, Озургетском, Сенакском, Зугдидском, Кутаисском уездах, в Абхазии, Юго-Осетии и т. д.

15 августа 1919 г. были проведены Тбилисская, а в сентябре — Кутаисская губернские конференции, рассмотревшие вопрос об организации вооруженного восстания. 9 сентября 1919 г. состоялся пленум Кавказского краевого комитета РКП (б), на котором было принято решение начать вооруженное восстание в ноябре, в дни празднования 2-й годовщины Великой Октябрьской социалистической революции. Восстание должно было начаться под непосредственным руководством военно-революционного штаба в Тифлисе 23—24 октября, а на периферии —24—25 октября. Кавказский краевой комитет РКП (б) послал своих уполномоченных во все районы и уезды Грузии.

За два дня до начала восстания, 22 октября, в Тбилиси было назначено последнее совещание военно-революционного штаба Грузии, куда для получения окончательно согласованных директив были приглашены представители всех частей Тбилисского гарнизона. Но контрразведке меньшевиков и английских интервентов удалось раскрыть местопребывание военно-революционного центра и арестовать весь состав как гарнизонного совета, так и военно-революционного штаба восстания. С арестом руководившего восстанием военно-революционного штаба и Тбилисского гарнизонного совета судьба восстания, разумеется, была заранее предрешена.

Кавказский краевой комитет РКП (б) принял постановление о перенесении срока восстания на 8—9 ноября. Для извещения об этом тайные представители были разосланы во все уезды. Но из-за недостатка времени не все уезды и районы были своевременно оповещены. Поэтому в тех местах, где извещение не было получено, восстание все-таки было начато 24 октября. А в тех уездах, где о постановлении краевого комитета узнали во-время, восстание началось 8—9 ноября.

В связи с тем, что меньшевистское правительство арестовало новый состав военно-революционного штаба Грузии и несколько сот активистов-большевиков, в некоторых районах восстание вообще не было начато.

Особенно широкий характер получило вооруженное восстание в Горийском, Озургетском, Сенакском, Сигнахском, Душетском, Кутаисском уездах, в Абхазии, Юго-Осетии и других районах. В некоторых местах смогли установить и временно удержать Советскую власть.

С помощью английских оккупантов меньшевики потопили в море крови вооруженное восстание октября-ноября 1919 г. С присущей им беспощадностью они чинили расправу над участниками восстания. Жестокие репрессии были проведены во всех уездах, районах, деревнях. Число арестованных, расстрелянных и приговоренных к каторге достигло двух тысяч.

Октябрьско-ноябрское вооруженное восстание 1919 г. в Грузии, правда, потерпело поражение, но оно имело большое значение для дальнейшей борьбы, явившись для рабочих и крестьян Грузии школой гражданской войны.

Поскольку главной задачей вооруженного восстания 1919 г. в Грузии было не только установление Советской власти, но и оказание непосредственной поддержки Красной Армии, постольку октябрьско-ноябрьское восстание частично выполнило свою задачу. Оно заставило Деникина с опаской оглянуться на свой тыл и перебросить к границам Грузии несколько полков в помощь грузинским меньшевикам. Это, естественно, было на руку сражавшейся против Деникина Красной Армии.

В восстании выявилась организаторская роль грузинских большевистских организаций, которые, несмотря на жесточайшие репрессии меньшевистского правительства, в тяжелых условиях нелегальной работы сумели мобилизовать уезды, районы и деревни, сплотить трудовое крестьянство на борьбу за Советскую власть.

Октябрьско-ноябрьское вооруженное восстание показало, что свержение меньшевистского правительства, державшегося лишь на иностранных штыках и гвардии из дворян-авантюристов, — дело недалекого будущего, и при условии хорошей организации выступлений установление Советской власти вполне возможно.

Восстание явилось поучительным уроком для большевистских организаций и всех трудящихся Грузии. Выяснение конкретных причин его поражения, исправление допущенных оши-

бок должно было способствовать лушей подготовке будущего восстания.

И, наконец, вооруженное восстание 1919 года, несмотря на жестокие репрессивные меры меньшевистского правительства, не только не умерило боеспособности грузинских трудящихся, не только не сломило их воли, но еще более закалило, укрепило ряды бойцов и подготовило почву для решительного и окончательного выступления против диктатуры меньшевиков.

Глава четвертая — «Дальнейшее развитие революционного движения крестьян в 1920—1921 гг. и победа Советской власти в Грузии».

Несмотря на неудачу октябрьско-ноябрьского всеобщего вооруженного восстания трудящихся в 1919 г. Кавказский краевой комитет и большевистские организации Грузии к началу 1920 г. сумели полностью восстановить нелегальный партийный аппарат. Большевистские организации были готовы к борьбе и начали подготовку к новому вооруженному восстанию. Краевой комитет утвердил состав военного штаба, который должен был осуществить непосредственное руководством вооруженным восстанием. В январе 1920 г. в Грузии прошел ряд совещаний, на которых обсуждались технические вопросы предстоящего восстания. В уездах, районах и деревнях создавались вооруженные отряды рабочих и крестьян.

Чаша терпения трудового крестьянства Грузии переполнилась. Крестьяне, во главе которых стояли большевики, на репрессии меньшевистского правительства отвечали вооруженными выступлениями.

С начала 1920 г. наиболее напряженное положение создалось в Юго-Осетии. В течение всего периода кровавого господства меньшевиков осетинское крестьянство с оружием в руках боролось за установление Советской власти. Восстание началось в Рокском районе; вскоре к повстанцам примкнули Кударский, Кремулетский и Корнисский районы. Восставшие после жарких боев вечером 7 июня взяли Цхинвали. 8 июня 1920 г. на большом митинге в Цхинвали была провозглашена Советская власть по всей Юго-Осетии. Однако меньшевики призвали свою гвардию, чтобы огнем и мечом расправиться с «мятежниками». Выступление осетинских трудящихся было жестоко подавлено. Но крестьяне Юго-Осетии не сложили оружия и в дальнейшем с еще большим упорством продолжали революционную борьбу, вплоть до окончательного установления Советской власти в этом крае.

Следует отметить, что такого крупного революционного выступления против меньшевистского правительства, как восстание 1920 г. в. Юго-Осетии, в других районах Грузии в этот период не было. Однако трудовое крестьянство вместе с рабочим классом во всех уездах, районах и селах в течение всего 1920 г. героически боролось против прогнившего меньшевистского правительства и готовилось дать ему решающий бой.

Несмотря на поражения в 1918—1919 гг., ни на минуту не прекращали борьбы против меншевистских властей трудящиеся Абхазии. К началу 1920 г. там повсюду работали уездные и районные большевистские комитеты, в деревнях — большевистские ячейки, которые руководили довольно значительными вооруженными крестьянокими отрядами.

В 1920 г. плечом к плечу с трудящимися Абхазии с большим революционным подъемом боролись за установление Советской власти рабочие и крестьяне Аджарии. Положение здесь было несколько иным, чем в Осетии и Абхазии. Меньшевики установили свое господство в Аджарии лишь со второй половины 1920 г., а до тех пор в этом крае хозяйничали иностранные интервенты — сначала турки, а потом английские оккупанты. Вот почему в 1918—1919 гг., когда Грузия была охвачена революционным пожаром, Аджария молчала. Но даже в тяжелых условиях засилия оккупантов большевики вели энергичную работу среди рабочих и крестьян Аджарии, стараясь укрепить их союз. С начала 1920 г. в Аджарии также создаются революционные отряды крестьян, руководимые большевиками.

После того, как английские оккупанты оставили Батуми (июль 1920 г.) и в Аджарии стали распоряжаться меньшевики, аджарское крестьянство вместе с рабочим классом повело партизанскую борьбу против меньшевистского режима, нападая на военные правительственные отряды, уничтожая меньшевистскую милицию и т. д.

Несмотря на жесточайшие репрессии и погромы, которым подвергались в 1918—1919 гг. трудящиеся Мегрелии и их большевистские организации, в начале 1920 г. там (в Сенакском и Зугдидском уездах) с новой силой развернулась подготовка к свержению меньшевистской власти. Во всех районах и селах названных уездов создавались вооруженные отряды крестьян, чья деятельность направлялась большевиками.

В конце 1920 г. только в Зугдидском уезде к восстанию были подготовлены 1800, а в Сенакском уезде—1400 дружинников, Эти отряды были готовы к выступлению против меньшевиков, за установление Советской власти.

В начале 1920 г. большевики Озургетского уезда стали готовиться к новому вооруженному восстанию. По всей Гурии создавались вооруженные крестьянские отряды под руководством большевиков.

Как и в 1918—1919 гг., с большим энтузиазмом готовилось к борьбе за Советскую власть население Имеретии. В авангарде революционной борьбы имеретинского крестьянства, как и прежде, шли крестьяне Шорапанского уезда. В Самтредском и Хонском районах, а также в Рача и Лечхуми создавались вооруженные крестьянские отряды.

Такие же отряды возникали в Горийском уезде. Большевистские организации делали все возможное, чтобы лучше их вооружить. Большая подготовительная работа к восстанию шла в Душетском, Сигнахском, Тианетском, Борчалинском, Ахалцихском, Ахалкалакском и других уездах. Трудовое крестьянство названных уездов под руководством большевиков было готово к решающей схватке.

Таким образом, в конце 1920 — начале 1921 г. существовали все предпосылки для успеха вооруженного восстания. Хозяйство Грузии переживало острый кризис. За большевиками шло подавляющее большинство рабочего и трудового крестьянства страны. Вместе с тем части Красной Армии, находившиеся на территории Закавказья, могли оказать реальную помощь восставшим массам трудящихся Грузии. Благоприятствовало выступлению грузинских трудящихся и международное положение: Антанта еще не оправилась от тех ударов, которые нанесла Красная Армия по армиям Деникина и Врангеля.

15 декабря 1920 г. Кавказское бюро ЦК РКП (б) постановило организовать в Грузии вооруженное восстание. Исходя из постановления Кавбюро, Центральный Комитет Коммунистической партии (большевиков) Грузии принял соответствующее решение и назначил время восстания. Все большевистские организации Грузии были приведены в боевую готовность. Вооруженные отряды рабочих и крестьян ожидали лишь сигнала к выступлению.

11 февраля 1921 г., ночью, в Борчалинском уезде и в частности в районе Лоре вспыхнуло вооруженное восстание. Оно быстро перекинулось на другие уезды и районы.

Грузинский революционный комитет от имени трудящихся Грузии обратился к великому вождю революции В. И. Ленину с просьбой о том, чтобы РСФСР оказала помощь восставшим.

По указанию В. И. Ленина, от границ Советского Азербайджана и Советской Армении на помощь грузинским братьям

двинулись руководимые Серго Орджоникидзе части XI Красной Армии, которые вместе с восставшими трудящимися Грузии 25 февраля 1921 г. вступили в Тбилиси.

Всего за один месяц части красной Армии рука об руку с вооруженными рабочими и крестьянами Грузии сумели разгромить меньшевистскую армию и установить по всей Грузии Советскую власть.

Таким образом, Советская власть победила на всей территории Грузии. Под руководством Коммунистической партии и при бескорыстной поддержке русского народа грузинские рабочие и трудовое крестьянство свергли буржуазную диктатуру меньшевиков и изгнали иностранных интервентов из Грузии.

С установлением Советской власти в Грузии закончилась долгая и упорная борьба трудового крестьянства за землю и политическую свободу. Основной предпосылкой для успешного завершения этой борьбы было умелое руководство крестьянством большевиками Грузии, неукоснительное выполнение указаний великого вождя социалистической революции В. И. Ленина. Трудящиеся Грузии шли и продолжают идти по пути, указанному великим Лениным, от победы к победе.

პირთა საძიებელი *

აბაევი ა. 137
აბაევი ვ. 116, 195, 199, 202
აბაევი ციცა 138
აბრამიშვილი 212
აბრამიშვილი სარდიონ 115, 116
აბრამოვი 112
აგაშელაშვილი 212
აგირბა ა. 161
აგრბა ვ. 100
ადეიშვილი ს. 186
ავსაჯანიშვილი შ. 139
ათარბეგოვი გ. 97, 99, 100
აიდაროვი ზნაურ 108, 137, 173, 183
აირაპეტოვი გ. 173
აკირტავა ნ. 160
ალავერდოვი 12
ალიხანოვ-ავარსკი 67
ამილახვარი 106
ანთელავა კ. 88
ანთიძე ა. 146
ანთიძე ი. 146
არამიანცი 30
არბულიშვილი დ. 138
ართილაყვა ა. 111, 226
ასკურავა შ. 76, 77, 78, 81, 85, 102
აუშტროვი ნ. 140
აფციაური დ. 141, 171
აფხაზი 118
ახალაშვილი ვ. 139
ახალაძე ალექსენტი 185
ახაშარავა ჩაგუ 161
ახვლედიანი ისაკი 93
ახობაძე ი. 156
ბაგდანაშვილი ნ. 157
ბაგრატიონ-მუხრანსკი 12
ბაკურაძე ნ. 140
ბაზალიშვილი დათიკო 110
ბასენცოვი 48
ბაჩილავა პავლე 82, 86, 90
ბახია ა. 152
ბახტაძე ვ. 134, 159
ბეგიზოვი ე. 138
ბედია მ. 148
ბეკოშვილი ალექსი 183
ბეკოშვილი გიგო 183
ბელიაკოვი ი. 185
ბელიაევი ა. 160
ბენდელიანი გიორგი 65
ბენია მახტი 161
ბეჟანიშვილი შაქრო 139, 186
ბერიაშვილი ზ. 134
ბერიძე ბენია 185
ბერიძე გ. 146
ბერიძე ს. 6, 226
ბერუაშვილი შ. 226
ბერძენაულიშვილი 212
ბერძენი ი. 153
ბერძული მ. 226
ბზეკელავა ა. 179
ბიწაძე ა. 138
ბლიაძე ვლ. 138
ბოდოკია გ. 211
ბოყოშვილი 152
ბრაჭული ტატო 139, 186

* შეადგინა რ. ხოხაშვილმა

ბუკია ალექსი 85
ბუკია ვასო 73, 83, 208
ბულაგაშვილი დ. 157
ბერუაშვილი შ. დ. 136
ბუღდიაშვილი ვ. 141
ბუხნიკაშვილი 135

ბაბისონია კ. 96
გაბრიაძე გ. 157
გაბუნია 152
გაგლოევი 112, 200
გაგლოევი გრიგოლ 138
გაგლოევი რევაზ 199
გაგლოევი სერგო 137, 138, 194
გაგლოევი ტატო 138
გაგლოევი ცუცუკ 138
გაზგაიძე 212
გალუსტაშვილი სანდრო 183
გამბაროვი ა. 150, 152
გამყრელიძე 171
განკოვი ი. 184
გახოკია ი. 152
.გახოკია შ. 150, 152
გეგეშიძე ვ. 156, 169
გეგეჭკორი ე. 46
გეგეჭკორი მიშა 76, 77, 82, 85
გეგეჭკორი საშა (ალექსი) 59, 63, 70, 71, 76, 83—92, 113, 117, 139, 216, 232, 233
გედევანიშვილი 93
გედევანოვი გ. ტ. 33, 34
გელაშვილი მ. 138
გელეიშვილი პ. პ. 33, 34
გელოვანი შაქრო 112
გვარჯალაძე გ. 25
გვასალია 152
გვაძაბია გრიგოლ 85
გრეკოვი მ. 152
გრეკოვი შ. 152
გრიგოლია მ. 187
'გიგინეიშვილი თ. 184
გიგინეიშვილი რ. 184
გიგინეიშვილი ს. 184
გიორგაძე ა. 134
გობოზოვი სოსო 199
გოგია ბ. 148, 150, 152
გოგიბერიძე ვალერიან 146
გოგიშვილი გ. 187
გოგიშვილი ლ. 184
გოგიჩაიშვილი ს. 146
გოგოლაევი საშა 199
გოგოლაძეები (ძმები)146
გოგუა თადა 83
გოგუაძე ალ. 178, 179
გოგუაძე ვ. 168
გოჩოლეიშვილი დ. 187
გოცაძე არჩილ 184
გრუზინსკი 33
გუბელი ს. 159
გუგუციძე 120
გულისოვი გ. 30
გურგენიძე კ. 146
გუჯეჯიანი გ. 159

ზადიანი 87
დავითულიანი ალექსანდრე 65
დამენია ვ. 185
დარახველიძე ი. 154
დევდარიანი გაიოზ 136
დეკანოსიძე გ. 138
დენიკინი 130, 151, 152, 156, 165, 190, 191, 212, 214, 215, 237, 239, 242
დენისოვი 92
დიაკვნიშვილი სონკა 110
დოლიძე ანდრო 146
დოლიძე თედორე 146

ელბაქიძე ვანო 135, 173
ელიავა მ. 216
ელიაშვილი ა. 139
ელისაბედაშვილი გ. 134, 213
ემელიანოვი 156
ემუხვარი ნ. 97
ენუქიძე ა. 35
ენუქიძე დ. 6, 226

ერაძე გ. 125
ერისთავი 31, 229
ერკაიანი კ. 173
ერქომაიშვილი 79
ესაიაშვილი ვ. 6, 226
ეშბა ე. 97, 99
ეძგვერაძე ვანო 186
ეძგვერაძე ი. 139
ეძგვერაძე მ. 184

ჰაგრიანოვი ი. 160
ვალიევი დანიელ 199
ვარამაშვილი მ. 173
ვარსიმაშვილი მ. 140
ვარსიმაშვილი ბაგრატ 186
ვაშაკიძე ს. 155, 156
ვაშაკიძე პ. 184
ვაშაყმაძე მ. 146
ვაშაძე ვ. 211
ვაჩნაძე 118
ვერძეული ლ. 139
ვორონცოვ-დაშკოვი 24
ვრანგელი 155, 215, 242

ზაგარიანი 48
ზანდუკელი გ. 139
ზარაფიანცი იაკობ 183
ზეითუნიანი ა. 100

თავართქილაძე ვლადიმერ 145, 147
თალაკვაძე ი. 146
თალაკვაძე სევასტი 145
თედეევი ივანე 199
თიბილაშვილი ბესარიონ 183
თოდრაძე თეოფილე 185
თოდუა პავლე 83, 88
თოლორაია ალექსანდრე 83, 85, 208
თოლორდავა სიმონ 86, 88
თორია ფ. 101
თუმანიშვილი ა. 141
თუმანოვი 182
თურქია ა. 148

ია-პონ-შინი 184
იზრაილაშვილი ი. 152
იმნაიშვილი 134
იმნაიშვილი აპოლონ 147, 179
ინწკირველი 146
იორდანიშვილი ივანე 139, 186

კაკაიანცი 12
კალანდაძე ელიზბარ 146, 147
კალანდაძე ვარდენ 144, 145, 147
კალანდაძე თეოდორე 143, 147
კალანდაძე იაგორ 147
კალანდაძე მარო 146
კალანდაძე ოლღა 146
კალანდაძე ნ. 146
კალანდაძე ს. 146
კალანდია გერასიმე 81
კალანდია დიტო 88
კალაძე ს. 184
კალიაშვილი 213
კალინოვსკი 29
კარდანაშვილი 212
კარეგინი 164
კარიაული ქიტო 140, 186
კარტოზია კაპიტონ 85
კარტოზია ლეონტი 73, 76, 82, 85, 86, 90
კაპანაძე 136
კაპანაძე ა. 117, 226
კაჩუხაშვილი ი. 67, 69
კაკარავა ვ. 187
კაკარავა ი. 6, 10, 226
კელია 167
კემულარია ვასო 83
კერენსკი 39
კერესელიძე 186
კეცხოველი სანდრო 108
კვანტალიანი ე. 155
კვანტალიანი მექი 154
კვარაცხელია ი. 208
კვირკველია ბ. 100, 216
კიროვი ს. მ. 6, 131, 182, 226
კიკაბიძე 152
კიკაჩეიშვილი ს. 153
კიკვიძე ა. 6, 49, 216, 219, 221. 226
კილასონიძე ს. 173

 კილაძე გ. 115
კირაკოზოვი 106
კობალაძე ტ. 115
კობიძე ნ. 146
კოზაევი 200
კოზონოვი მიშა 138
კომახიძე ვ. 146
კონიაშვილი 79, 80, 109
კონიევი გ. 23
კორკოტაძე ივანე 183
კონჯარია მამუკა 161
კორძაია 12
კოპალიანი დ. 67
კოპლატაძე 152
კოტორეიშვილი 120
კოტრიკაძე ალ. 211
კრავცოვი ა. 138
კუზნეცოვი 48
კულუმბეკოვი ა. 226
კუმარიტოვი გიო 199
კუჩენბახი 118
კუხალეიშვილი ს. 97, 100, 160, 185

ლაბარტყავა ა. 187
ლაბაძე 120
ლაკობა ნ. 98—100
ლალიაშვილი ლექსო 186
ლაფანაშვილი გიორგი 109, 110, 139, 212
ლაცუბაია 181, 189
ლემონჯავა ი. 152
ლენინი ვ. ი. 4—6, 10, 14, 16, 17, 21, 26—28. 43, 103, 130, 199—202, 217, 218, 220, 224, 225, 227, 228, 237, 242, 243
ლეკავა შ. 159
ლიპარტიანი ვ. 187
ლიპარტელიანი ბ. 66
ლოლაძეები (ძმები) 175
ლომთათიძე გ. 152
ლომიძე არსენა 183
ლორთქიფანიძე გ. 198
ლორის შელიქოვი 30

მაზანაშვილი ნ. 140
მათიაშვილი 212
მათითაიშვილი ს. 185
მათიკაშვილი 135, 173
მაისურაძე 135
მაკაევი ა. 140
მაკალათია ფ. 187
მაკალათია შ. 168
მაკაროვი კ. 100
მამადბეკოვი 48
მამალაძე ავთანდილ 177
მამალაძე თ. 146
მამალაძე ი. 146
მამალაძე მ. 146
მამალაძე პართენ 185
მამალაძე ს. 146
მამალაძე ყ. 146
მამულაშვილი გ. 141
მამულია სამსონ 148—150, 181
მარჩენკო 168, 189
მაღალოვი 106
მაჩაბელი გიორგი 108
მახარაძე დ. 159
მახარაძე ნ. 6, 226
მახარაძე სანდრო 83, 85, 86, 89, 91
მახარაძე ფილიპე 6, 14, 28, 34, 38—40, 51, 52, 59, 90, 91, 117, 141. 167, 173, 182, 191, 193, 194, 205, 213. 215, 216, 226, 230
მგალობლიშვილი ა. 146
მგალობლიშვილი გრიგოლ 147
მგალობლიშვილი ვაჟა 147
მგალობლიშვილი ნატალია 146
მგალობლიშვილი ტარასი 143, 145, 176
მგალობლიშვილი ფ. 146
მგელაძე ალ. 160, 185
მგელაძე ი. 134, 139
მდივანი ე. 146
მეგრელიძე ბესარიონ 147
მეგრელიძე მიხაკო 146
მელია მიხეილ 139, 172
მეუნარგია პ. ბ. 72, 73
მეცხვარიშვილი შაქრო 183

მეცხოვრიშვილი ალექსანდრე 116
მზარელუა ვლადიმერ 85
მზარელუა ნესტორ 85
მიმინოშვილი შ. 149
მინდაძე ე. 146
მინდაძე ტარასი 146, 185
მიროტაძე ლ. 173
მირცხულავა ი. 6, 16, 17, 53, 224, 226
მირცხულავა ვ. 152
მიქაძე კატო 184
მიხელიძე პარმენ 184
მიხელიძე პლატონ 184
მოწონელიძე გ. 134
მურდალაშვილი ე. 138
მწითური გაბო 109

ნადარეიშვილი არ. 182
ნადარეიშვილი პ. 187
ნადირაძე 152
ნაზარეტიანი 182
ნეფარიძე ვასილ 184
ნიკოლოზ II 93, 210
ნინუა ე. 184
ნოდია 152, 154
ნოდია პროკოფი 181
ნოდია შ. 184

ოგბოლაძე ტ. 157
ოგანეზოვი პ. 153
ონანოვი 31, 229
ორახელაშვილი მამია 6, 215, 216, 226
ორჯონიკიძე სერგო 6, 103, 131, 218, 226, 243
ოჩიგავა აკაკი 76, 82, 86
ოჩიგავა ო. 148

პაპაჯანოვი 31
პაპუნაშვილი მიხა 109,110
პევცოვი ი. 159
პერტია ა. 152
პეტრიაშვილი ნიკა 186
პლიევი ალექსანდრე 137, 138, 200
პლიევი სოსლან 138
პოპოვი 42
პროცერი ედუარდ 84

ჟვანია გ. 6, 226
ჟვანია ი. 185
ჟორდანია ნოე 20, 51, 76, 77, 98, 111, 198
ჟღენტი თენგიზ 146
ჟღენტი სიმონ 146

რაზმაძე ვ .140
რაზმაძე ნ. 184
რაზმაძე რ. 184
რამიშვილი 152
რამიშვილი გ. 159
რამიშვილი ლ. 146
რამიშვილი ნ. 143, 185, 187
რამიშვილი ს. 146
როგავა გრიგოლ 208
როგავა ლავრენტი 85
როინიშვილი ვ. 146
რომანოვი 12
რომიანკოვი 41
რუსია 180
რუსიძე ბ. 146
რუხაძე დ. 134

ხაბლინი 104
სამუელოვი გ. 173
სანაკოევი ვ. 137, 194, 200, 201
სანაკოევი მათე 195
სანიკიძე მალაქია 76
სარიშვილი ს. 145, 146
სარჯველაძეები (ძმები) 146
სარჯველაძე გ. 141, 171
სერგია კ. 152, 182
სვანიძე გ .184
სვანიძე ივანე 65, 66
სვანიძე ნ. 97, 160
სვერდლოვი ი. 35
სილაგაძე ალექსანდრე 65, 66
სიორიძე ა. 146
სირაძე შ. 146, 186

სირბილაძე 120
სიხარულიძე ა. 146
სიხარულიძე თ. 146
სიხარულიძე მ. 146
სიჭინავა 152
სოფრომაძე პ. 157
სრესელი 92
სულაბერიძე 163
სუმბათოვი ა. 30
სურგულაძე ა. 6, 55, 56, 204, 226
სუხიშვილი ვლადიმერ (ლადო) 136, 137, 139
სტალინი ი. ბ. 27, 28, 45, 46, 48, 218, 220
სტეფანენკო ს. 184
სტურუა გ. 144, 146, 151, 155, 173, 176
სტურუა დ. 156, 184
სტურუა ვანო 208, 215
სტურუა ი. 155
სტურუა ნ. 110

ტაკაევი სტ 139, 140
ტაკვარელია ი. 187
ტოლე 48
ტოპრაკაშვილი ვანო 110
ტყიბეჩავა მიშა 85

ურუშაძე ა. 185
უჯმაჯურიძე გ. 145, 146
უჩანეიშვილი 152

ფანცულაია ა. 184
ფაჩულია დ. 153
ფირცხალავა 152
ფიჩხაია 167, 189
ფოფხაძე 134
ფოცხიშვილი 147
ფრანგიშვილი ფ. 149, 150
ფრუიძე 153

ქავთარაძე ა. 150
ქავთარაძე ს. 35, 37, 112, 222
ქათამაძე ს. 157
ქალიაშვილი არჩილ 183
ქარჩავა ვ. 96
ქაჯაია ვ. 184
ქენქაძე ნიკოლოზ 186
ქვარაია ვასილ 83, 85, 88, 208
ქიმერიძე ლ. 138
ქორქია გრ. 153
ქურდაძე ვასო 135
ქუჩულორია აკაკი 83, 89

ღლონტი მოსე 146
ღლონტი ნესტორ 146

უაზიშვილი კოსტა 108
უაქეიშვილი 177
ყელაძე სანდრუშა 184
ყიფიანი ა. 173
ყურაშვილი ბ. 66

შალამბერიძე ს. 134
შამათავა ილარიონ 85
შანშიევი ა. 30
შანშიევი გ. 30
შარაბიძე ვ. 139
შარაშიძე ა. 146
შაუმიანი ს. გ. 6, 28, 39, 48, 226
შაქარაშვილი გ. 146
შახნაზაროვი გ. (ათუაშვილი) 175
შახნაზაროვი გეურკ 173, 183
შელია მიხა 83, 91
შენგელია ა. 184
შენგელია გ. 184
შენგელია მ. 184
შენგელია პ. 156, 184
შინგაროვი 27
შუბლაძე პელაგია 139
შუშიაშვილი თედო 109, 111
შუშიაშვილი ლადო 139

ჩადენელი ეფრემ 183
ჩაკვეტაძე ა. 66
ჩალიჩავა პ. 152
ჩანტლაძე ი. 146
ჩანტლაძე ს. 146
ჩანტლაძეები (ძმები) 177
ჩახვაშვილი ნ. 66, 226

ჩაჩიბაია თ. 154
ჩაჩიბაია მ. 153
ჩიგოგიძე ე. 146
ჩიტალაძე გ. 141
ჩიქვანაია თომა 77, 81
ჩიქობავა მ. 100
ჩიჩერინი გ. ვ. 199—201, 220
ჩიჩუა გრიგოლ 73
ჩიჩუა თეოფილე 146
ჩიჩუა ჯვებე 83, 88
ჩუბინიძე თომა 109
ჩხარტიშვილი კირილე 145
ჩხეიძე ნ. 89
ჩხენკელი ა. 30, 34, 42, 89
ჩხეტია შ. 6, 226
ჩხიკვიშვილი ბ. 92, 96, 97, 98, 207

ცაგარეიშვილი ი. 184
ცანავა ო. 168
ცერცვაძე მ. 6, 226
ციმინტია ვლ. 139
ცინცაბაძე ს. 140
ცინცაძე ა. 147
ცინცაძე ბიქტორ 146
ცინცაძე ვ. 146
ცინცაძე ვიქტორ 109, 110
ცინცაძე ვლადიმერ 146
ცინცაძე იულო 146
ცინცაძე კონსტანტინე 146
ცინცაძე პარმენ 147
ცინცაძე რ. 179
ცინცაძე შ. 146
ციციანოვი (ციციშვილი) 30
ციციშვილი ვასილ 106
ციციშვილი ილია 106
ციციშვილი კონსტანტინე 106
ცქვიტარია პ. 6, 226
ცხაკაია იოსებ 83
ცხაკაია მიხა 6, 9, 14, 22, 28, 37, 226, 228
ცხოვრებაშვილი 135
ცხოვრებოვი თოთრო 199
ცხოვრებოვი ნიკოლოზ 199

ძაძამია მ. 134
ძიგუა პ. 99, 100
ძიძარია გ. 6, 97, 226
ძნელაძე ბორის 37

წერეთელი 39, 77
წერეთელი კ. 226

ჭავჭანიძე კოწია 78, 86
ჭანიშვილი სამსონ 176, 177
ჭეიშვილი ნ. 146
ჭეიშვილი ს. 211
ჭკუასელები (ძმები) 150, 181

ხაბურზანია ბეგი 73
ხარაბაძე თ. 156
ხარაძე კ. 184
ხარებოვი ისაკ 116
ხახაშვილი ბ. 187
ხაჰაპურიძე გ. 6, 14, 24, 48, 51, 107, 128, 133, 188, 202, 205, 215, 226
ხეცია ჯვებე 85
ხეცურიანი ვლ. 65
ხეცურიანი სოლომონ 65, 66
ხვედელიძე ბაგრატ 115, 116
ხიმშიაშვილი 184
ხინდიკაშვილი აბესალომ 83
ხირსელი დ. 173
ხმალაძეები (ძმები) 175
ხმელიძე ილიკო 65
ხოდოევი პაშკა 199
ხომერიკი 152
ხომერიკი ნ. 52
ხოშტარია კ. 153
ხურცილავა ა. 184
ხურცილავა ი. 184
ხურცილავა ს. 226
ხუციშვილი არტემ 183

ჯაეახიძე ისიდორე 184
ჯატიევი ალექსანდრე 137, 138, 194, 200
ჯაფარიძე ა. 9, 22, 28, 228
199

ჯეროვანი ბუთუ 199
ჯეჯელავა ვანო 135
ჯიბლაძე დ. 6, 150, 182, 226
ჯიბლაძე ვლ. 79
ჯიბლაძე მ. 204
ჯიბუტი ბ .145
ჯიბუტი სარდიონ 145, 176, 177
ჯინჭარაძე ვლ. 146
ჯინჭარაძე ი. 146
ჯინჭარაძე ს. 146
ჯინჭარაძე ქიონია 146
ჯიოევი ალექსანდრე 116
ჯიოევი ანდრია 199
ჯიოევი არქიპო 116
ჯიოევი გეგა 116
ჯიოევი ზ. 226
ჯიჯავაძე დ. 153
ჯიჯავაძე ფოტინე 153
ჯიჯეიშვილი მ . 226
ჯიჯელავა ვანო 173, 174
ჯოლბორდი ივანე 133
ჯორბენაძე 186
ჯუღელი ე. 79, 80, 109, 115, 173, 198 .

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თ ა ვ ი I. აგრარული საკითხი და აგრარული მოძრაობა საქართველოში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში . . . 8

თ ა ვ ი II. გლეხთა რევოლუციური გამოსვლები საქართველოში 1918 წელს 45

თ ა ვ ი III. 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში და გლეხობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 122

თ ა ვ ი IV. გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარება 1920—1921 წლებში და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში . 192

რ ე ზ ი უ მ ე რუსულ ენაზე 225

პირთა საძიებელი 244

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი გ. კვანტალიანი

სბ 559

გადაეცა წარმოებას 19.02.81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.01.82.
უე 04307. საბეჭდი ქაღალდი № 1.60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 15,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,82.

ტირაჟი 1000. შეკვეთის № 1106

ფასი 1 მან. 60 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028 пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.